ზაალ ნემსაძე

ზეციდან შობილნი

თბილისი
2021

ზაალ ნემსაძე: ზეციდან შობილნი
გამომცემლობა „ივერიონი“. თბილისი. 2021. გვ 168.

„შეიძლება იყო კარგი ექიმი, ან ინჟინერი, მიწის მუშაკი, მომსახურე პერსონალი, ან მეცნიერების ნებისმიერ დარგში გქონდეს წარმატება, იყო ხელოვნების ამა თუ იმ სფეროს ცნობილი წარმომადგენელი, სპორტსმენი, იურისტი, მასწავლებელი, სტუდენტი, თუნდაც სასულიერო პირი, მაგრამ, თუ შენს საქმიანობასთან ერთად არ გაქვს თვალი უფლისკენ მხედველი და არ ზრუნავ შინაგანი მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, იქნები ცარიელი ჭურჭელი, ღვთის სისავსის მიღმა მყოფელი“.

უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსისა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ ილია II საშობაო ეპისტოლე.

ქრისტეშობა 2021 წელი.

ჩემი მოკრძალებული შრომა აკურთხა თერჯოლის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის წინამძღვარმა **დეკანოზმა სპირიდონმა** (ცქიფურიშვილი).

რედაქტორი - **რევაზ მიშველაძე**
კორექტორი - **ფიქრია ნემსაძე**

ISBN 978-9941-8-3235-2

გეპატიჟებით

საქართველოს მწერალთა კავშირის წევრის ზაალ ნემსაძის ყოველი ახალი წიგნი ლიტერატურული დაოსტატებისკენ წინგადადგმული ნაბიჯია და, რაც მთავარია, თემატურ-სტილური ორიგინალურობით გამოირჩევა.

პირველი წიგნი რეალურობისა და მისტიკურობის ურთიერთშერწყმის ნიადაგზე შექმნილი კინოსცენარებისგან შედგებოდა და დიახაც, ახალი სიტყვა გახლდათ ქართული კინოხელოვნების სარბიელზე.

ნიჭიერი მწერლის ეს მეორე წიგნი, რომელსაც „ზეციდან შობილნი“ ჰქვია, პირობითად რელიგიურ-დოკუმენტურ ჟანრს წარმოადგენს და წიგნის ავტორი ამ ჟანრის ფუძემდებლადაც კი შეიძლება მივიჩნიოთ.

ეს საპატიო ტიტული ზაალ ნემსაძისთვის ჰაიჰარად არ მიმინიჭებია, რაშიც ახლავე დაგარწმუნებთ.

მოგეხსენებათ, რელიგიურობა და დოკუმენტურობა ერთმანეთთან საკმაოდ დაშორებული ტერმინებია და მათი ერთ ლიტერატურულ ხერხად განივთება თითქმის შეუძლებლად შეიძლება მოგვეჩვენოს.

ზაალ ნემსაძემ ეს შეძლო.

„ზეციდან შობილნის“ წარმოსახვით-იდეური ჩარჩო რელიგიურია, ხოლო ამ ესეის მოქმედი პირნი ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში უაღრესად წარმატებული,კონკრეტული ადამიანები ბრძანდებიან.

ავტორმა კარგად იცის ბიბლია. ამ წიგნთა წიგნის (განსაკუთრებით მათეს, მარკოზის, ლუკას და იოანეს სახარების) ცალკეული პასაჟების ოსტატური მომარჯვებით განიხილავს იგი წიგნის გმირების ცხოვრებას და წმინდა წიგნების მაღალი გადმოსახედიდან უსურათხატებს მკითხველს, რამდენად მისდევენ მწერლისაგან რჩეულებად დასახელებულნი ქრისტეს გზას და რაოდენი გულმოდგინებით ასრულებენ კაცობრიობის ცოდვათა მტვირთველი, წამებული იესოს უკვდავ შეგონებებს:

„ნუ განიკითხავთ, რათა არ განიკითხნეთ“.

„ვინც არრა სცოდა, პირველ იმან ესროლოს ქვაი“.

„რომელი აღმაღლდეს მახვილითა, მახვილითვე წარხდეს იგი“.

„არ გაიხადო კერპად არცა კაცი, არცა ქალი და არცა ქონება“.

„სხვის თვალში ბეწვს ნუ დაეძებ, როცა შენს თვალში დირეა“.

„შემწედ ექმენი მაშვრალთა და ტვირთმძიმეთა“.

„არ დაპირდე და თუ დაპირდები, შეუსრულე კიდეც“.

„არ ენდო დამსმენთ და მსტოვართ, ხოლო ყოველივე, რასაც მსტოვარნი გაცნობებენ, შეამოწმე“.

„არასოდეს წამოგცდეს შენს თავზე, პირველი ვარო, რამეთუ მოვა დრო, როცა პირველნი იქნებიან უკანასკნელნი და უკანასკნელნი - პირველნი“.

წარმოიდგინეთ რა გულმოდგინება სჭირდებოდა ავტორს ბიბლიაში ეპოვა სწორედ ის ადგილები, წიგნის გმირების ხასიათს და ცხოვრების წესს რომ შეესაბამ-შეეხამებოდა.

ვკითხულობდი და თვალზე ზოგჯერ ცრემლიც კი მადგებოდა ზაალ ნემსაძის კეთილშობილური სურვილის გამო, უმაღლესი ზეციური კრიტერიუმებით განეჭვრიტა მისთა თანამედროვეთა რუდუნება, იმიტომ კი არა, რომ მისი გმირები უფლის ყველა მცნებას ზედმიწევნით იცავდნენ, უფრო იმიტომაც, რომ ავტორს უნდოდა ისინი სწორედ ასეთები ყოფილიყვნენ.

...დღეს, როცა ჟამიანობამ ტელევიზორს და წიგნს უსაშველოდ მიგვაჯაჭვა და ხშირად ვემობილურხმიანებით ერთმანეთს „წასაკითხი ხომ არაფერი გაქვსო“, მე სიამოვნებით გეპატიჟებით ზაალ ნემსაძის ახალი წიგნის „ზეციდან შობილნის“ წასაკითხად.

რევაზ მიშველაძე
რუსთაველის პრემიის ლაურეატი
საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე

ზეციდან შობილნი

ერთადერთი პირობა, რომელიც იესო ქრისტემ დაუწესა ადამიანს, როგორც აუცილებელი და გადაუდებელი – გადარჩენისთვის ანუ ღვთის სასუფევლისთვის – ხელახალი შობა გახლავთ!!!

საკვირველია, მაგრამ ვისაც გადარჩენა უნდა, იშვიათად სვამს კითხვას – რას ნიშნავს ზეციდან შობა რაზეც უფალი საუბრობს? როგორ უნდა დავიბადოთ მაღლიდან? როგორ გავიგო ზეციდან შობილი?

იესომ გვაუწყა შემეცნების სამი მთავარი გზა – ვინ და რანი ვართ; გადავრჩებით თუ ვერა; მაღლიდან ვიშვით თუ არა... და იქვე განგვიცხადა: – მდოგვის მარცვლისოდენა რწმენა მაინც თუ გვაქვს, ეს გახდება გადარჩენისა და ლაბირინთიდან გამოსვლის საშუალება.

წავიკითხოთ ნიკოდემოსის ისტორია, სადაც იესო უხსნის ნიკოდემოსს იმას, რაც აუცილებელია იცოდეს ქრისტიანმაც, მუსულმანმაც, იუდეველმაც, ურწმუნომაც ... რაც ნიკოდემოსმა მაშინვე ვერ გაიგო და რასაც ჩვენ ბიბლიის მკითხველნი ვერ ჩავწვდით, უფალმა მასაც და ჩვენც, ცოტა მოგვიანებით სახარებიდან აგვიხსნა. უფრო ნათლად: იოანე 3:1-9: „ფარისეველთა შორის იყო ერთი კაცი, სახელად ნიკოდემოსი, იუდეველთა მთავარი, რომელიც ღამით მივიდა იესოსთან (იმიტომ რომ რცხვენოდა და არ უნდოდა, სხვებს ენახათ, რომ იესოს მოწაფე იყო) და უთხრა: რაბი, ვიცით, რომ ღმრთისგან მოსულხარ მოძღვრად, ვინაიდან არავის შეუძლია შენ მიერ მოხდენილ სასწაულთა ქმნა, თუკი მასთან არ არის ღმერთი. ხოლო იესომ მიუგო: *„ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნები შენ: ვინც არ დაიბადება ხელახლა, ვერ იხილავს ღმრთის სასუფეველს“.* უთხრა მას ნიკოდემოსმა: „როგორ შეიძლება დაიბადოს მოხუცი კაცი? ხომ არ შეუძლია ხელმეორედ შევიდეს დედის საშოში და კვლავ დაიბადოს?“ მიუგო იესომ: *„ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნები შენ: ვინც არ დაიბადება წყლისა და სულისაგან, ვერ შევა*

ღმრთის სასუფეველში. ხორცის მიერ შობილი ხორცია და სულის მიერ შობილი – სული. ნუ გიკვირს, რომ გითხარი: ხელახლა უნდა დაიბადოთ-მეთქი. ქარი, სადაც სურს, ქრის, და გესმის მისი ხმა, მაგრამ არ იცი, საიდან მოდის ან საით მიდის; ასევეა სულის მიერ ყველა შობილიც“. მიუგო ნიკოდემოსმა და უთხრა მას: „როგორ შეიძლება ეს მოხდეს?“

და ჩვენ იგივე კითხვა გვებადება: როგორ? რა გზით? რა ხერხით და საშუალებით? და აი, სამი ნათელი და მარტივი პასუხი იესო ქრისტესგან ნიკოდემოსს და ჩვენ.

პირველი ნაბიჯი – ლოცვა, რომელიც ნიკოდემოსმა გადადგა მაშინ, როცა იგრძნო ძე კაცისასთან მისვლის საჭიროება, როცა ეახლა მას, თუმცა ფარულად და ღამით. ნიკოდემოსი ჯერ დარწმუნებული არ არის, რამდენად შეუძლია ენდოს ამ კაცს (იესო), რომელსაც ლანძღავენ მისი კოლეგები, მაგრამ მაინც მიდის იესოსთან და ეს არის მისთვის გადამწყვეტი.

თქვენი საქმე როგორღაა ძვირფასებო? განიცდით ღმერთის საჭიროებას? მისგან დაცვას და წყალობას კი არა მხოლოდ, თავად იესოსთან ყოფნას? მოუთმენლად ელით როდის მიხვალთ მასთან? როგორც ნიკოდემოსი თუნდაც მაშინ, როცა ყველას ძინავს? როცა ვერავინ გხედავთ? თუ თქვენ გრძნობთ იესოსთან მისვლის და საუბრის აუცილებლობას – გილოცავთ ჩემო ძმებო და დებო! თქვენ გადადგით ნაბიჯი უფლისკენ და გადალახეთ სიკვდილის უფართოესი თხრილი.

„ქარი ქრის, სადაც მოისურვებს!“ და თქვენ დაემორჩილეთ ამ ქარს, მის ხმას, მის მიმართულებას ანუ თქვენ გინდათ ღმერთთან! გინდათ იცნობდეთ მას! გინდათ ეახლოთ მას! თქვენ სწორ გზაზე დგახართ ნიკოდემოსივით. მართალია, მან მაშინვე ვერ შეიმეცნა ბევრი რამ, მაგრამ გავყვეთ მას, გავიაროთ მისი გზა. ნუ გადავდებთ, დღესვე დავიწყოთ ლოცვა, თუნდაც ჩვეულებრივი, ჩვენი სიტყვებით ვესაუბროთ უფალს. ვამცნოთ მას საკუთარი საქმეების შესახებ, რადგან ჩვენი ცოდვებისა და საჭიროების თაობაზე უფალმა კარგად უწყის. ვუთხრათ, რომ

უფრო კარგად, ახლოს გვინდა მისი გაცნობა – ჩვენი მეგობრის და უფლის იესო ქრისტესი. მასაც იგივე სურს. იგი იმდენად უკიდეგანოა, ყველა ჩვენთაგანს გასწვდება... და თუ გადავდგით ნაბიჯი უფლისკენ ნიკოდემოსთან ერთად, უფალი მასთან მიმსვლელს ხელს არ ჰკრავს.

მეორე ნაბიჯი რომელიც სულიწმინდამ გადაადგმევინა ნიკოდემოს იოლი არაა. ადრე თუ გვიან დგება მომენტი, რომ არა ღამით, არა ფარულად, არამედ დღისით, მზისით, ხალხის წინ მოგვიწევს საკუთარი რწმენის აღიარება. ნიკოდემოსს ამის გაკეთება მოუწია ფარისეველთა შეკრებაზე ანუ თანამოძმეთა შორის. თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, კოლეგებთან – ეპისკოპოსებთან. ამით მან დიდი საფრთხის ქვეშ დააყენა თავისი მდგომარეობა საზოგადოებაში და ეს მოიმოქმედა უფლისთვის, სიმართლისთვის:

„უთხრა მათ ნიკოდემოსმა, რომელიც ღამით მივიდა მასთან და ერთი იმათგანი იყო:

„განა სდებს მსჯავრს ჩვენი სჯული ადამიანს, თუ წინასწარ მისგან არ მოისმინა და არ გაიგო, რაც მან ჩაიდინა?“ (იოანე 7:50-51)

ამით ნიკოდემოსმა ჩააბარა მეორე გამოცდა, გადადგა მეორე ნაბიჯი: თავისი რწმენა და დამოკიდებულება აღიარა სახალხოდ თავისი მდგომარეობის მიუხედავად.

მესამედ და უკანასკნელად ნიკოდემოსს ვხედავთ იესოს ჯვარზე აღსრულების შემდეგ. რას შვება იგი? იოანე 19:38-42: „ამის შემდეგ იოსებ არიმათიელმა (რომელიც იესოს მოწაფე იყო, მაგრამ ფარულად, ვინაიდან იუდეველებისა ეშინოდა) სთხოვა პილატეს, რათა ჩამოეხსნა იესოს გვამი. პილატემ ნება დართო; ისიც მივიდა და ჩამოხსნა იესოს გვამი. მოვიდა ნიკოდემოსი (ერთხელ ღამით რომ მივიდა იესოსთან) და მოიტანა სმირნისა და ალოეს ნაზავი, ასიოდ ლიტრა. აიღეს იესოს გვამი და ტილოებში გახვიეს, ნელსაცხებელთან ერთად, როგორც მოითხოვს იუდეველთა დაკრძალვის წესი. იმ ადგილას, სადაც ჯვარს აცვეს, ბაღი იყო, ბაღში კი – ახალი სამარხი, რომელშიაც

ჯერ კიდევ არავინ დაესვენებინათ. იქ დაასვენეს იესო, იუდეველთა პარასკევის გამო, რადგანაც ახლოს იყო სამარხი“.

პასუხი ჩემს კითხვაზე – რას შვება ნიკოდემოსი? ლოცვისა და აღიარების სიტყვების შემდეგ მან საკმაო თანხა დახარჯა იმისთვის, რომ იესოს სხეული ღირსეულად დაეკრძალა. ამ დროს ნიკოდემოსმა, რასაკვირველია, არ იცოდა, რომ უფალი მესამე დღეს აღდგებოდა მიწიდან. ეს ნიშნავს, რომ ნიკოდემოსმა იესო ქრისტეს სხეულზე ზრუნვით და პატივის მიგებით პატივი მიაგო ეკლესიას – იესოს სხეულს. ეკლესია ხომ ღმერთის ერთგულებაა, რომელიც გვეხმარება ჩვენ და საჭიროებს ჩვენს დახმარებას.

და ბოლოს, მოდი გავიაზროთ ეს კითხვები:

1. იმდენად ვსაჭიროებ უფალთან კავშირს, რომ მინდა მასთან ყოფნა და საუბარი დღითა და ღამით?

2. არ მეშინია ამის აღიარება და უფალთან ჩემი კავშირის დამოწმება ნებისმიერ სიტუაციაში, თუნდაც ამით ჩემი მიწიერი ინტერესები შეილახოს?

3. ვარ თუ არა მზად, ქველმოქმედებით და გულმოწყალებით, შემოწირულობებით გამოვამჟღავნო ჩემი რწმენა?

და თუ ამ სამ კითხვაზე გვაქვს დამაჯერებელი დადებითი პასუხები, მაშინ მივულოცოთ ერთმანეთს: ჩვენ გადავრჩით, ჩვენ ზეციდან დავიბადეთ, მეორედ დავიბადეთ!

და ეს არის დიადი გზა, უფალთან სიარული. ამით ჩვენ მივდივართ არა მხოლოდ ეკლესიაში, არამედ ღმერთთან. ეკლესია – მორწმუნეთათვის საწვავის ჩამსხმელივითაა, მოწოდებულია დაგვაახლოვოს უფალთან. გვახსოვდეს, რომ ეკლესია არ არის მხოლოდ შენობა, მხოლოდ რელიგია. ეს არის გადარჩენილთა, მეორედ დაბადებულთა თავშესაფარი!

„ზეციდან შობილნი“ ამ ეკლესიაზე მოგითხრობთ.

ბიძინა ივანიშვილი

უსიამოვნო საუბარი ჰქონდა პრეზიდენტთან, რომელმაც თითქოს ნიღაბი ჩამოიგლიჯა და იმდენად საშინელი სისხლმოწყურებული თვალებით შემოხედა, მიხვდა, თუ ასე გაგრძელდებოდა და ამ შეშლილდორბლიანისთვის აღვირის ამოდებას ვერ შეძლებდა, ქვეყანა დაიღუპებოდა.

იმ ღამით დიდხანს ვერ დაიძინა. სული ეხუთებოდა, ბორგავდა: „როგორ შევძლო, როგორ ვუშველო ამ საწყლებს? ერთი-ორი წელიც და ყველაფერი გვიან იქნება. სახელმწიფოში ბატონყმური წყობილება აღდგება. ამათ ქვეყნის მეხუთედი დაკარგეს და ისეთი უფსკრულისკენ მიექანებიან, დამოუკიდებლობა კი არა, საბჭოთა კავშირიც სანატრელი გაგვიხდება. უნდა გავაჩერო ეს პროცესი, ვიდრე გვიან არ არის. ღმერთო, დამეხმარე. შენ მასწავლე გზა ტანჯული, ციხეებში ჩასმული, დასახვრეტად გამზადებული თანამემამულეების გადასარჩენად! თუ ამ მისიის აღსასრულებლად ჩემი სიცოცხლის გაღება იქნება საჭირო, მიიღე იგი“...

ალიონზე, ძილ-ღვიძილში, მზის პირველ სხივებთან ერთად, საწოლ ოთახში, ქათქათა მოსასხამში გახვეული, გრძელ თეთრთმაწვერიანი ხელარგნიანი მაღალი ჩვენება წარმოუდგა და არაამქვეყნიური ხმით აუწყა: – ღმერთი არ გკითხავს რამდენი ღვთის სახლი ააშენე და რამდენს გაუწოდე დახმარების ხელი. უფალი შენს გულში იყურება და პასუხს მოგთხოვს იმისთვის, რომ შეგეძლო გადაგერჩინა ადამიანთა სიცოცხლე... და თუ არ გადაარჩენ, სულიერი სიბრმავის გამო განისჯები! რახან თავად გაგიჩნდა სურვილი, ტირანისგან და განადგურებისგან იხსნა ხალხი, ამიტომ მოვედი და მოგიწოდებ ღვთის სახელით, გააკეთო ის, რისთვისაც გშობა უფალმა. გახსოვდეს, საქმე, რომელსაც იწყებ, ერთეულთა ხვედრია და რახან რჩეული ხარ შენი ერის კაცთა შორის, უნდა შეასრულო უზენაესის ნება! არ არსებობს სიმაგრე, რომლის გადალახვაც არ შეიძლება, თუ წმინდად დგახარ და მართლად უფლის წინ. გაიხსენე

იესოს სიტყვები: „...ეს კაცთათვის არის შეუძლებელი და არა ღვთისათვის, რადგან ღვთისათვის ყოველივე შესაძლებელია“. (მარკოზი. 10,27)და კიდევ: “ხოლო იესომ უთხრა: „თუ კი რამე შეგიძლიაო? მორწმუნისათვის ყველაფერი შესაძლებელია“. (მარკოზი 9;23)... მე არ შეგახსენებ იმ კეთილ საქმეებს, რაც აღასრულე შენს მამულში! დროა, აღასრულო ის, რისთვისაც მოგავლინა უფალმა და ამდენი წყალობა გიბოძა. დროა ალაგმო ის თარეში, რაც ქვეყანაშია. ახლა შენ ფიქრობ, დარდობ, გეშინია და უფრთხი იმ ლანძღვა-გინებას, რაც მოგელის ტირანიის წინააღმდეგ ბრძოლაში! შენ კი არა თვით უფალი, რომლის ფეხის მტვრად არ ღირს მთელი სამყარო, განკაცდა და ეწამა ადამიანთა ცოდვებისთვის და თუ თავს შეწირავ იმ ხალხს, ვის წიაღშიც დაიბადე ღმერთის ნებით, საუკუნო საცხოვრებელი მოგელის და ასეც რომ არ იყოს, მოყვასისათვის თავის გაწირვა გმართებს. მოვედი იმისთვის, – თქვა და არგანი იატაკს დაჰკრა, – რომ ღმერთს აღთქმა დაუდო!

– რახან უფლის ნება ასეთია, დაე აღსრულდეს, – უპასუხა მასპინძელმა და ცრემლი მოიწმინდა.

– თუ ღმერთს აღთქმას დაუდებ, ნუ დააყოვნებ მის აღსრულებას, რადგან უპირონი არად ვარგანან, რასაც აღუთქვამ აღასრულე! (ეკლეს: 5:3) და გახსოვდეს ჩემო შვილო: „ვინც ირწმუნებს და ნათელს იღებს, ცხონდება, ვინც არა და განიკითხება“ (მარ. 16:16). როცა ყველაზე ძლიერ შეგაწუხებენ მტრები და გიღალატებენ მეგობრები, ჯვარზე გაკრული იესო გაიხსენე, ყველამ რომ მიატოვა კეთილგონიერი ავაზაკის გარდა და მისი დიდი ხმით შეძახილი: “ღმერთო ჩემო რისთვის დამიტევე მე?! “(მათე27;46). გახსოვდეს ეს მუდამ და მზად იყავი იმისთვის, რომ ბევრი, ვისაც გვერდით დაიყენებ, გიღალატებს ათასგვარი მოგონილი საბაბით და ბრძოლას დაგიწყებს; ბევრი გიორგულებს, სიტყვით შენთან იქნება და საქმით სხვასთან, თუმცა სანდო მეგობრებიც გეყოლება, რომლებიც ბოლომდე გიერთგულებენ და რაც მთავარია – ხალხი! ხალხი ყოველთვის შენს სასარგებლოდ გააკეთებს არჩევანს, თუმცა ბევრჯერ

დაგტუქსავს და შემოგიბღვერს, მაგრამ ხალხმა იცის ღვიძლი შვილის გარჩევა მოგზავნილისგან. უფალი ჩვენი, იესო ქრისტე იმიტომ აღესრულა ჯვარზე, რომ ადამის მოდგმისათვის აეხილა თვალი და თუ დღეს შენ აგირჩია ქვეყნის მოწინავე კაცებთან ერთად ერის გადასარჩენად, არ მოგაკლებს თავის წყალობას. მაგიდაზე ლურჯი რვეული დაგიტოვე. ვიდრე საკეთებელს შეუდგები, წაიკითხე...

ხელარგნიანი შეუმჩნევლად განერიდა. მასპინძელი წამოდგა, ჩაიცვა და დაფიქრებული მიუახლოვდა მაგიდას, რომელიც ოთხიოდე ნაბიჯში იდგა. თხელი რვეული იდო. მღელვარებით აიღო და გადაფურცლა: „წაიკითხე იოანეს სახარების მეთვრამეტე და მეცხრამეტე თავი და დამიბრუნდი მე“. ეს ეწერა პირველ გვერდზე იისფერი მელნით.

„ახალი აღთქმა“ იქვე იდო. ხშირად კითხულობდა. რვეულში მითითებული ადგილი იპოვა და კითხვა ხმამაღლა დაიწყო:

თავი 18
იესო გაცემულია

1. ეს თქვა იესომ და გავიდა თავის მოწაფეებთან ერთად კედრონის ხევს გაღმა, სადაც ბაღი იყო, რომელშიც შევიდნენ თვითონ და მისი მოწაფეები.

2. იცოდა იუდამაც, მისმა გამცემმა, ეს ადგილი, რადგან იესო და მისი მოწაფეები ხშირად იკრიბებოდნენ იქ.

3. იუდამ კი წაიყვანა რაზმი და მღვდელმთავართა და ფარისეველთაგან მხლებელნი, და მივიდნენ იქ ლამპრებით, ჩირაღდნებითა და საჭურველით.

4. იესომ იცოდა ყველაფერი, რაც მოელოდა, და გამოვიდა და უთხრა მათ: „ვის ეძებთ?“

5. მიუგეს მას: „იესო ნაზარეველს“. ეუბნება მათ: „მე ვარ“. მისი გამცემი იუდაც მათთან იდგა.

6. როცა უთხრა, მე ვარო, დაიხიეს უკან და მიწაზე დაემხენ.

7. კვლავ ჰკითხა მათ: „ვის ეძებთ?“ მათ უთხრეს: „იესო ნაზარეველს“.

8. მიუგო იესომ: „გითხარით, მე ვარ-მეთქი. მე თუ მეძებთ, ესენი გაუშვით, წავიდნენ“.

9. რათა აღსრულებულიყო მისი ნათქვამი სიტყვა: „ვინც შენ მომეცი, მათგან არავინ დამიღუპავს“.

პეტრემ მახვილი იშიშვლა

10. სიმონ-პეტრემ, რომელსაც მახვილი ჰქონდა, ამოიღო და დაჰკრა მღვდელმთავრის მონას და მარჯვენა ყური ჩამოათალა. მონას მალქოსი ერქვა.

11. უთხრა იესომ პეტრეს: „ჩააგე მახვილი ქარქაშში. სასმისი, რომელიც მამამ მომცა არ შევსვა?“

12. მაშინ რაზმმა, ათასისთავმა და იუდეველთა მხლებლებმა, შეიპყრეს იესო და შეკრეს

13. და პირველად ანასთან წაიყვანეს. ის იყო სიმამრი კაიაფასი, რომელიც მღვდელმთავარი იყო იმ წელიწადს.

14. ეს ის კაიაფა იყო, რომელმაც იუდეველებს ურჩია, უმჯობესია, ერთი კაცი მოკვდეს ხალხისთვისო.

15. იესოს მიჰყვებოდნენ სიმონ- პეტრე და სხვა მოწაფე. ის მოწაფე მღვდელმთავრის ნაცნობი იყო და იესოსთან ერთად მღვდელმთავრის ეზოში შევიდა.

16. პეტრე კი კარს გარეთ იდგა. შემდეგ სხვა მოწაფე, მღვდელმთავრის ნაცნობი, გამოვიდა, გადაულაპარაკა მეკარე ქალს და პეტრე შეიყვანა.

17. ეუბნება პეტრეს მხევალი მეკარე: „განა შენც იმ კაცის მოწაფეთაგანი არა ხარ?“ ეუბნება იგი: „არა ვარ“.

18. იდგნენ მონები და მსახურნი და ნაკვერცხლები გაეღვივებინათ, რადგან სიცივე იყო, და თბებოდნენ. პეტრეც მათთან იდგა და თბებოდა.

იესო მღვდელმთავრების წინაშე

19. მღვდელმთავარმა ჰკითხა იესოს მის მოწაფეებზე და მის მოძღვრებაზე.

20. მიუგო მას იესომ: „მე აშკარად ველაპარაკებოდი სო-

ფელს და მუდამ ვასწავლიდი სინაგოგასა და ტაძარში, სადაც ყველა იუდეველი იკრიბება. ფარულად არაფერი მილაპარაკია.

21. მე რას მეკითხები, ჰკითხე მსმენელებს, რას ველაპარაკებოდი მათ. აჰა, მათ იციან, რასაც ვამბობდი“.

22. ამ სიტყვებს რომ ამბობდა, ერთმა მსახურთაგანმა, იქ მდგომმა, გაარტყა იესოს და უთხრა: „ასე პასუხობ მღვდელმთავარს?“

23. მიუგო იესომ: „თუ ცუდად ვთქვი, დაამოწმე ცუდი, და თუ კარგად – რადა მცემ?“

24. ანამ შებოჭილი გაგზავნა იგი მღვდელმთავარ კაიაფასთან.

უარყოფა პეტრესგან

25. სიმონ- პეტრე კი იდგა და თბებოდა. უთხრეს მას: „შენც მისი მოწაფეთაგანი არა ხარ?“ უარყო და თქვა: „არა ვარ“.

26. მღვდელმთავრის ერთერთმა მონამ, პეტრემ რომ ყური ჩამოათალა, იმის ნათესავმა, უთხრა: „განა მასთან ერთად არ გნახე ბაღში?“

27. პეტრემ კვლავ უარყო და მყისვე მამალმა იყივლა.

პილატეს სამსჯავროზე

28. კაიაფასგან იესო პრეტორიუმში წაიყვანეს. ადრე იყო და პრეტორიუმში არ შესულან, რათა არ გაუწმიდურებულიყვნენ, რომ პასექის ჭამა შესძლებოდათ.

29. გამოვიდა პილატე მათთან გარეთ და თქვა: „რა ბრალსა სდებთ ამ კაცს?“

30. მიუგეს და უთხრეს მას: „ეს რომ ბოროტმოქმედი არ იყოს, არ გადმოგცემდით“.

31. უთხრა მათ პილატემ: „წაიყვანეთ თქვენთან და თქვენი რჯულით განიკითხეთ“. უთხრეს მას იუდეველებმა: „ჩვენ არავის მოკვლის უფლება არა გვაქვს“.

32. რათა აღსრულებულიყო იესოს სიტყვა, რომელიც თქვა იმის მისანიშნებლად, თუ როგორი სიკვდილით უნდა მომკვდარიყო.

33. პილატე კვლავ შევიდა პრეტორიუმში, იესოს დაუძახა და უთხრა მას: „შენა ხარ იუდეველთა მეფე?“

34. მიუგო იესომ: „შენით ამბობ ამას, თუ სხვებმა გითხრეს ჩემზე?“

35. მიუგო პილატემ: „განა მე იუდეველი ვარ? შენმა ერმა და მღვდელმთავრებმა გადმომცეს შენი თავი. რა გაქვს ჩადენილი?“

36. მიუგო იესომ: „ჩემი მეფობა არ არის ამ სოფლისა. ჩემი მეფობა რომ ამ სოფლისა ყოფილიყო, მაშინ ჩემი მხლებელნი იბრძოლებდნენ, რომ იუდეველებს ხელში არ ჩავვარდნოდი. არა, ჩემი მეფობა სააქაო არ არის“.

37. უთხრა მას პილატემ: „მაშ, მეფე ხარ?“ მიუგო იესომ: „შენ თავად ამბობ, რომ მეფე ვარ. მე იმიტომ დავიბადე და იმიტომ მოვედი სოფელში, რომ ჭეშმარიტება დავამოწმო. ყველა, ვინც ჭეშმარიტებისგანაა, ისმენს ჩემს ხმას“.

38. ეუბნება მას პილატე: „რა არის ჭეშმარიტება?“ ეს თქვა და კვლავ გამოვიდა იუდეველებთან და უთხრა მათ: „ვერავითარ ბრალს ვერ ვპოულობ მასში.

39. ხომ გაქვთ ჩვეულება, რომ პასექზე ერთი გაგითავისუფლოთ. გსურთ, რომ გაგითავისუფლოთ იუდეველთა მეფე?“

40. კვლავ აყვირდნენ და თქვეს: „ეს კი არა, ბარაბა“. ბარაბა კი ავაზაკი იყო.

თავი 19
ჯვარცმა

1. მაშინ წაიყვანა პილატემ იესო და გააშოლტვინა.

2. ჯარისკაცებმა ეკლის გვირგვინი დაწნეს და თავზე დაადგეს, და ძოწეული მოახურეს.

3. მიდიოდნენ მასთან და ეუბნებოდნენ: „გიხაროდეს, იუდეველთა მეფევ!“ და სახეში სცემდნენ.

4. კვლავ გამოვიდა პილატე გარეთ და უთხრა მათ: „აჰა, მე გამომყავს იგი თქვენთან, რათა იცოდეთ, რომ ვერავითარ ბრალს ვერ ვპოულობ მასში“.

5. გამოვიდა იესო გარეთ, ეკლის გვირგვინით და ძოწეულით შემოსილი, და უთხრა მათ პილატემ: „აჰა, კაცი!“

6. როცა იხილეს იგი მღვდელმთავრებმა და მხლებლებმა, იყვირეს: „ჯვარს აცვი! ჯვარს აცვი!“ ეუბნება მათ პილატე: „თავად წაიყვანეთ და აცვით ჯვარს, ვინაიდან მე ვერ ვპოულობ მასში ბრალს“.

7. მიუგეს მას იუდეველებმა: „ჩვენ გვაქვს რჯული და ჩვენი რჯულით უნდა მოკვდეს, ვინაიდან თავი ღვთის ძედ გაიხადა“.

8. როცა მოისმინა პილატემ ეს სიტყვა, უფრო შეეშინდა,

9. კვლავ შევიდა პრეტორიუმში და უთხრა იესოს: „საიდან ხარ?“ მაგრამ იესომ პასუხი არ გასცა მას.

10. ეუბნება მას პილატე: „მე არ მელაპარაკები? განა არ იცი, რომ ხელმწიფება მაქვს შენს განტევებაზე და შენს ჯვარცმაზე?“

11. მიუგო იესომ: „არავითარი ხელმწიფება არ გექნება ჩემზე, მაღლიდან თუ არ მოგეცა. ამიტომ მას, ვინც ჩემი თავი გადმოგცა შენ, უფრო დიდი ცოდვა აქვს“.

12. ამის შემდეგ პილატე შეეცადა მის გათავისუფლებას, მაგრამ იუდეველები აყვირდნენ და თქვეს: „თუ ამას გაათავისუფლებ, არა ხარ მეგობარი კეისრისა, რადგან, ვინც მეფედ ხდის თავს, კეისარს ეურჩება“.

13. პილატემ რომ ეს სიტყვები მოისმინა, იესო გარეთ გაიყვანა და დაჯდა მსაჯულის ტახტზე, ადგილზე, რომელსაც ქვაფენილი ეწოდებოდა, ებრაულად კი გაბათა.

14. პასექის პარასკევი იყო, იქნებოდა მეექვსე საათი, და უთხრა იუდეველებს: „აჰა, თქვენი მეფე“.

15. მათ კი იყვირეს: „შორს, შორს! ჯვარს აცვი!“ ეუბნება მათ პილატე: „თქვენი მეფე ვაცვა ჯვარს?“ მიუგეს მღვდელმთავრებმა: „ჩვენ არ გვყავს მეფე, გარდა კეისრისა!“

16. მაშინ გადასცა მათ ჯვარზე საცმელად. და წაიყვანეს იესო.

17. თავად მოიკიდა ჯვარი და გავიდა თხემის ადგილზე, რომელსაც ებრაულად გოლგოთა ჰქვია.

18. სადაც ჯვარს აცვეს იგი, მასთან ერთად, აქეთ- იქით, ორი სხვა, შუაში კი – იესო.

იუდეველთა მეფე

19. პილატემ წარწერაც გააკეთებინა ფიცარზე და ჯვარს მიამაგრა. ეწერა: „იესო ნაზარეველი, იუდეველთა მეფე“.

20. ბევრი იუდეველი კითხულობდა ამ წარწერას, რადგან იესოს ჯვარცმის ადგილი ახლოს იყო ქალაქთან და დაწერილი იყო ებრაულად, რომაულად და ბერძნულად.

21. უთხრეს პილატეს იუდეველმა მღვდელმთავრებმა: „ნუ დაწერ: „იუდეველთა მეფე“, არამედ, როგორც თავად თქვა: „იუდეველთა მეფე ვარ“.

22. მიუგო პილატემ: „რაც დავწერე, დავწერე“.

წილისყრა კვართზე

23. ჯარისკაცებმა, როცა ჯვარს აცვეს იესო, აიღეს მისი სამოსელი და გაყვეს ოთხ წილად, თითოეულ ჯარისკაცს შეხვდა თითო წილი, და ცალკე იყო კვართი. კვართი კი უკერველი იყო, თავიდან ბოლომდე ნაქსოვი.

24. უთხრეს ერთმანეთს: „ნუ დავხევთ, წილი ვყაროთ მასზე. ვნახოთ, ვის შეხვდება“. რათა აღსრულებულიყო წერილი: „გაინაწილეს ჩემი სამოსელი და წილი ჰყარეს ჩემს კვართზე“. ჯარისკაცებმაც ასე გააკეთეს.

იესოს დედა

25. იდგნენ იესოს ჯვართან დედამისი, დედამისის და – მარიამ კლეოპასი – და მარიამ მაგდალელი.

26. იესომ დაინახა იქ მდგომი დედა და მოწაფე, რომელიც უყვარდა, და ეუბნება დედას: „ქალო, აჰა, შენი ძე!“

27. მერე მოწაფეს ეუბნება: „აჰა, დედაშენი!“ და მოწაფემ მაშინვე თავისთან წაიყვანა იგი.

იესოს სიკვდილი

28. ამის შემდეგ, იცოდა რა იესომ, რომ უკვე დასრულდა ყველაფერი წერილის აღსასრულებლად, თქვა: „მწყურია!“

29. იქ ძმრით სავსე ჭურჭელი იდგა. ძმრით გაჟღენთილი ღრუბელი წამოაცვეს უსუპს და პირთან მიუტანეს.

30. როცა მიიღო ძმარი იესომ, თქვა: „აღსრულდა!“ და მიიდრიკა თავი და სული განუტევა.

31. იუდეველებმა, რაკი პარასკევი იყო, და გვამები შაბათს რომ არ დარჩენილიყო ჯვარზე (ის შაბათი კი დიდი დღე იყო), სთხოვეს პილატეს, წვივები დაემტვრიათ მათთვის და ჩამოეხსნათ.

32. მოვიდნენ ჯარისკაცები და წვივები დაუმტვრიეს მასთან ერთად ჯვარცმულებს, ერთსაც და მეორესაც.

33. იესოსთან მისულებმა, როცა დაინახეს, რომ უკვე მომკვდარიყო, აღარ დაუმტვრიეს წვივები.

34. მაგრამ ერთმა ჯარისკაცმა შუბით გაუგმირა ფერდი და მყისვე გადმოსკდა სისხლი და წყალი.

35. მხილველმა დაამოწმა ეს და მისი მოწმობა ჭეშმარიტია. მან იცის, რომ ჭეშმარიტებას ამბობს, რათა თქვენ ირწმუნოთ.

36. რადგან ეს მოხდა, რათა აღსრულებულიყო წერილი: „მისი ძვალი არ შეიმუსრება“.

37. ასევე სხვა წერილიც ამბობს: „შეხედავენ მას, რომელსაც უგმირეს“.

დაკრძალვა

38. ამის შემდეგ სთხოვა პილატეს იოსებ არიმათიელმა, რომელიც იესოს მოწაფე იყო, ოღონდ ფარული, იუდეველთა შიშის გამო, ნება მიეცა მისთვის წაეღო იესოს ცხედარი. პილატემ დართო ნება. მივიდა იგი და წაიღო მისი ცხედარი.

39. მოვიდა ნიკოდემოსიც, უწინ ღამით რომ ეწვია იესოს, და მოუტანა ასიოდე ლიტრა სმირნისა და ალოეს ნაზავი.

40. აიღეს და შეახვიეს იესოს ცხედარი ტილოში სურნელებასთან ერთად, როგორც მიღებულია იუდეველებში დამარხვისას.

41. იმ ადგილას, სადაც ჯვარს აცვეს იგი, ბაღი იყო, ბაღში კი – ახალი სამარხი, რომელშიც ჯერ არავინ ჩაესვენებინათ.

42. იქ ჩაასვენეს იესო, იუდეველთა პარასკევის გამო, რადგან ახლოს იყო სამარხი“.

როცა ახალი აღთქმიდან ხსენებული თავები წაიკითხა, რვეულის მეორე გვერდზე გადავიდა: “უფლის ცხოვრების ყველაზე მძიმე საათები და მისი მოწამეობრივი აღსრულება ჯვარზე, გახდა სწორედ კაცთა მოდგმის გადარჩენა და ჩვენს მიმართ უფლის განუზომელი წყალობის დამტკიცება, – ეწერა იისფერი მელნით, – გასაჭირში ჩავარდნილი ადამიანი ხშირად კითხულობს: თუ უფლის გარეშე ერთი ფოთოლიც არ ჩამოვარდება ხიდან, რატომ ჩამაგდო მე ამ მდგომარეობაში? ხომ შეეძლო, ისეთი გავეჩინე, რომ აქამდე არ მივსულიყავი? როცა შეცდომას ვუშვებდი, რატომ არ შემაჩერა? საქმე ის არის, რომ ღმერთმა ყველას მოგვცა ახალი აღთქმა და თავისუფალი არჩევანის საშუალება. არჩევანი ჩვენზეა! თუ ტყეში გზა აგერია, თან ხანძარი გაჩნდა და იღუპები და უცებ გამოჩნდა ვერტმფრენი, რომელმაც კიბე ჩამოუშვა შენს გადასარჩენად, ხანძრისკენ გაიქცევი თუ კიბისკენ?

რაც უნდა შეგემთხვეს, თვით ეშმაკიც რომ გადაგეღობოს, არ შეშინდე, ღვთის მორჩილებით და მისივე სახელით განაგრძე და აკეთე შენი კეთილშობილური საქმენი. ღვთის მორჩილებით, ღვთის და ღვთისმშობლისადმი ლოცვით იარე წინ! ეს არის უძლიერესი დაცვა ყველა მტრის წინააღმდეგ.

მათე: 28:18-20;

18. მივიდა იესო მათთან და უთხრა: „მოცემული მაქვს მე მთელი ხელმწიფება ზეცასა და მიწაზე.

19. ახლა წადით და მოიმოწაფეთ ყველა ხალხი, მონათლეთ ისინი მამისა და ძისა და სულიწმიდის სახელით.

20. ასწავლეთ მათ ყოველივეს დაცვა, რაც მე გამცნეთ. აჰა, მე თქვენთანა ვარ დღენიადაგ საუკუნის დასასრულამდე. ამინ“.

ლუკა: 24;46-53;

46. და უთხრა მათ: „ასე სწერია, რომ ქრისტე უნდა დაიტანჯოს და მკვდრეთით აღდგეს მესამე დღეს;

47. და მისი სახელით ნაქადაგები უნდა იყოს მონანიება ცოდვათა მისატევებლად ყველა ხალხში, იერუსალიმიდან მოყოლებული.

48. თქვენ კი ამის მოწმენი ხართ.

49. და აჰა, მე მოვავლენ თქვენზე მამაჩემის აღთქმულს. თქვენ კი დარჩით ქალაქში, ვიდრე მაღლიდან ძალით შეიმოსებოდეთ“.

ამაღლება

50. და გაიყვანა ისინი ბეთანიამდე და აღაპყრო ხელები, და აკურთხა ისინი.

51. როგორც კი აკურთხა, განშორდა მათ და ამაღლდა ზეცაში.

52. მათ თაყვანი სცეს მას და დაბრუნდნენ იერუსალიმში დიდი სიხარულით.

53. და სულმუდამ ტაძარში იყვნენ, ღვთის მადიდებელნი და მაკურთხეველნი. ამინ.

საქმეები 1;11

1. პირველი წიგნით გადმოვეცი ყოველივე ის, თეოფილე, რითაც დაიწყო იესომ თავისი საქმე და სწავლა. 2. ამ დღემდე, როცა ამაღლდა ზეცად, მას შემდეგ, რაც სულით წმიდით მისცა მცნებანი მოციქულებს, რომლებიც ამოირჩია, 3. და რომლებსაც, მრავალი სარწმუნო ნიშნით, ცოცხლად წარუდგა თავისი ვნების შემდეგ; ორმოცი დღე ეჩვენებოდა და ღვთის სასუფეველზე ესაუბრებოდა მათ. 4. შეკრიბა ისინი და უბრძანა: ნუ გაშორდებით იერუსალიმს, არამედ ელოდეთ აღთქმას მამისას, რომელიც ისმინეთ ჩემგან. 5. ვინაიდან იოანე წყლით ნათლავდა ხალხს, ხოლო თქვენ, არცთუ მრავალი დღის შემდეგ, სულით წმიდით მოინათლებით. 6. შეკრებილნი კი ეკითხებოდნენ:

უფალო, ნუთუ ამ ხანებში აღუდგენ სამეფოს ისრაელს? 7. და უთხრა მათ: თქვენი საქმე არ არის დროთა და ვადათა ცოდნა, თავისი ხელმწიფებით რომ დაადგინა მამამ. 8. არამედ მიიღებთ ძალას, როცა სული წმიდა გადმოვა თქვენზე, და იქნებით ჩემი მოწმენი იერუსალიმში, მთელს იუდეასა და სამარიაში, ქვეყნის კიდემდე. 9. ეს რომ თქვა, მათ თვალწინ ამაღლდა და ღრუბელმა აიტაცა მათ თვალთაგან. 10. და ვიდრე ისინი ცას შეჰყურებდნენ, მისი ამაღლებისას, აჰა, წარუდგა მათ ორი კაცი თეთრი სამოსით, 11. რომლებმაც უთხრეს მათ: კაცნო გალილეველნო, რას დამდგარხართ და შეჰყურებთ ცას? ეს იესო, თქვენგან რომ ამაღლდა ზეცად, ისევე მოვა, როგორც ზეცად აღმავალი იხილეთ იგი“.

რვეულის მესამე გვერდზე წითელი ასოებით ეწერა: რა დაემართათ ადამიანებს, რომლებიც იყვნენ პასუხისმგებლები მისი უსამართლო მსჯავრისათვის? გამცემელი იუდა დაბრუნდა ტაძარში, უკან მიუყარა 30 ვერცხლი მღვდელმთავრებს, ხეზე ჩამოეკიდა და თავი ჩამოიხრჩო იერუსალიმის გარეთ.

წმინდა მარიამ მაგდალინელის ცხოვრებაში ვკითხულობთ(დიდი სვინაქსარი, მეხუთე გამოცემა, მეშვიდე ტომი. გვ425), რომ წავიდა მარიამი რომში და უჩივლა პონტოელ პილატეს და მღვდელმთავრებს კეისარ ტიბერიუსთან. კეისარმა მოისმინა რა ქრისტეს სასწაულების შესახებ და გაიგო, რომ მისი ჯვარცმის დროს დაბნელდა მთელი ქვეყანა, ბრძანა რომის სასამართლოში წარდგენა პილატესი, ანნასი და კაიაფასი. კაიაფა რომისკენ მიმავალ გზაზე გარდაიცვალა, ხოლო ანნა რომში დაისაჯა სიკვდილით. პილატე დატყვევებულ იქნა ციხეში რომის გარეთ და პატიმრობაში გარდაიცვალა. სხვა ცნობებს გვაწვდის თავის”ქრონიკებში”ზონარა. მეექვსე წიგნში ის წერს, რომ ტიბერიუსის მემკვიდრე კალიგულამ პილატე საფრანგეთში გადაასახლა, ხოლო ევსევი კესარიელის საეკლესიო ისტორიის მესამე წიგნში წერია, რომ პილატე პონტოელი საფრანგეთში გადასახლებული, სასოწარკვეთილებაში ჩავარდა და თავი მოიკლა.

კეისრის გადაწყვეტილება წარმოადგენს მეშვიდე და საბოლოო უდანაშაულობის ფაქტს ჩვენი მაცხოვრისას, თუ ყველაფერს განვიხილავთ ჩვენი, ცოდვილი ადამიანების დაწერილი და დარღვეული კანონებით:

დავიწყოთ იმით, ისევ წითელი მელნით ეწერა მეოთხე გვერდზე, – რომ უფალს სიკვდილი მიუსაჯა სინედრიონმა

მარკოზი 14;53-65

53. მიიყვანეს იესო მღვდელმთავართან. და თავი მოიყარა ყველა მღვდელმთავარმა, უხუცესმა და მწიგნობარმა.

54. პეტრე შორიდან მიჰყვებოდა მას, თვით მღვდელმთავრის ეზომდე, და დაჯდა მსახურებთან და ცეცხლს მიეფიცხა.

55. მღვდელმთავარნი და მთელი სინედრიონი ეძებდნენ მოწმობას იესოს წინააღმდეგ, რათა მოეკლათ იგი, მაგრამ ვერ პოულობდნენ.

56. მრავალი სწამებდა ცილს, მაგრამ ეს მოწმობანი ერთმანეთს არ ემთხვეოდა.

57. ზოგნი წამოდგნენ და ცილს წამებდნენ მას, ამბობდნენ:

58. ჩვენ მოვუსმინეთ, რომ ლაპარაკობდა: მე დავანგრევ ამ ხელითქმნილ ტაძარს და სამ დღეში ავაშენებ სხვას, ხელთუქმნელსო.

59. მაგრამ არც მათი მოწმობანი ემთხვეოდა ერთმანეთს. 60. დადგა მღვდელმთავარი შუაზე და ჰკითხა იესოს: „არაფერს უპასუხებ? რა არის, რასაც ესენი შენს წინააღმდეგ მოწმობენ?“

61. ის დუმდა და არაფერს პასუხობდა. კვლავ ჰკითხა მას მღვდელმთავარმა: „შენა ხარ ქრისტე, ძე კურთხეულისა?“

62. იესომ თქვა: „მე ვარ. თქვენ იხილავთ კაცის ძეს ძალის მარჯვნივ მჯდომარეს და ცის ღრუბლებში მომავალს“.

63. მღვდელმთავარმა შემოიხია სამოსელი და თქვა: „რაღად გვინდა მოწმენი?

64. თქვენ მოისმინეთ გმობა. რას იტყვით?“ მაშინ ყველამ დასდო მსჯავრი მას, როგორც სიკვდილის თანამდებს.

65. ზოგიერთებმა დაუწყეს მას ფურთხება; სახე დაუბურეს

და სცემდნენ, და ეუბნებოდნენ: იწინასწარმეტყველეო, და მსახურნი სილას აწნავდნენ“.

ქრისტე შეიპყრეს ხუთშაბათ საღამოს და ოფიციალური სასამართლო ჩატარდა, დასრულდა და სასიკვდილო განაჩენი აღსრულდა პარასკევს. ყველა ამ პროცესის შესრულებას იმდროინდელი კანონებით სჭირდებოდა სულ მცირე ოთხი დღე.

უმაღლესი ებრაული სასამართლო სამი პროცედურული დარღვევით დაიწყო(ხრისტოს დერმოსიანიდისი, ბერძენი მოსამართლე): დიდი სინედრიონი შეიკრიბა მღვდელმთავრის სახლში და არა სასამართლოს შენობაში; შეკრება მოხდა ღამით, რაც კანონით აკრძალული იყო და ჩატარდა სულ მცირე ორი მოწმის ბრალდების გარეშე, როგორც ამას სასამართლო პროცედურა მოითხოვდა.

აქვე ავღნიშნავ, რომ ებრაული სასამართლოს დიდ სინედრიონზე მოსეს რჯულის 16 სერიოზული დარღვევა აღინიშნა.

პილატეს სასამართლომ ამ დარღვევებს ახალი დაუმატა: რომაული სამართლით ბრალდებულის ტანჯვა და მისი ჯვარცმა მაშინ, როცა ექვსგზის აღმოჩნდა უდანაშაულო პილატესგან და ჰეროდესგან, არ შეიძლება რომ დახასიათდეს როგორც სასამართლო, არც როგორც სასამართლოს პაროდია, არამედ როგორც კაცობრიობის უდიდესი დანაშაული და საუკუნო სირცხვილი, რომელიც მთელს სამყაროს ამძიმებს! აქვე ერთი მომენტიც: პილატეს ცოლი პროკლა: “და ვითარცა დაჯდა საყდართა ზედა, მიუვლინა მას ცოლმან მისმან და ჰრქუა მას: არარაი ძეს შენი და მართლისა მაგის კაცისაი, რამეთუ მრავალი მევნო მე დღეს ჩუენებით მაგისთვის (მათე27;19). მოგვიანებით პროკლა მოინათლა ქრისტიანად და მისი ხსენება აღინიშნება, როგორც წმინდანისა 27 ოქტომბერს (ახალი სტილით).

სინედრიონის, რომელზეც იესოს სიკვდილი მიუსაჯეს, ორი მსაჯული, ნიკოდიმოსი და იოსებ არიმათიელი, უფლის გულშემატკივრები იყვნენ, მაგრამ უმრავლესობის ნებას ვერ აღუდგნენ. თუმცა “ვითარცა შემწუხრდა, მოვიდა კაცი მდიდარი

არიმათიაით სახელით იოსებ რომელ იგიცა მოწაფე ყოფილიყო იესუისა.

ესე მოვიდა პილატესა და გამოითხოვა გუამი იესუისი. მაშინ პილატე უბრძანა მიცემად გუამი იგი მისი.

და მოიღო გუამი მისი იოსებ და წარგრაგნა იგი არმენაკსა წმიდასა

და დადვა იგი ახალსა მისსა საფლავსა, რომელი გამოეკუეთა კლდისაგან, და მიაგორვა ლოდი დიდი კარსა მას საფლავისასა და წარვიდა". (მათე27;57-60) ნიკოდიმოსი და იოსები შემდეგში წმინდანებად შერაცხეს.

კაიაფა 18 წელი იყო მთავარი მღვდელმსახური. მის სახლში შეიკრიბა სინედრიონი, რაც სჯულის დარღვევა იყო. სწორედ მან თქვა საშინელი ფრაზა, რომ სჯობს ერთი მოკვდეს ყველასთვის, ვიდრე ყველა ერთისთვის.

ანნა (ებრაულად ჰანნან) კაიაფას სიმამრი იყო. ისინი ძალაუფლებას არცთუ კანონიერი გზით იყოფდნენ. ანნამ მონაწილეობა მიიღო იოანეს და პეტრეს გასამართლებაშიც.

დაახლოებით ჩვ. წ. აღ. 35 წელს, როცა პილატე პონტოელი აღარ იყო იუდეველების მმართველი, კაიაფაც მოხსნეს და იონათანი დანიშნეს. კაიაფას საფლავი იპოვნეს 1990 წელს იერუსალიმში, წყლის პარკის მშენებლობისას, ხოლო პილატე პონტოელის შესახებ გვამცნობს 1961 წელს ნაპოვნი წარწერა ქვაზე, რომ პილატე იყო იუდეის პრეფექტი და „შუბმტყორცნს" ეძახდნენ.

მეხუთე გვერდი შავი ფერის მელნით იყო დასათაურებული:

ჯვარცმის ადგილი

„დაეკიდა თვით ჯვარი თვისი და განვიდა ადგილსა მას თხემისა, რომელსა ჰრქუან ებრაელებრ გოლგოთა.

და მუნ ჯუარს-აცუეს იგი და მის თანა სხუანი ორნი ამიერ და იმიერ და შორის იესუ". იოანე 19;17-18

გოლგოთა შემთხვევით არ იყო შერჩეული: „აქ შემუსრა უფალმა თავი გუელისა მის ბოროტისა და ასპიტისა. ამ ადგილას იპოვნა აბრაამმა ვერძი იგი, რომლისა მიერ გაწერა ისააკი დაკ-

ვლისაგან. აქ არის საფლავი ადამისი და მას ზედა საკურთხეველი მელქისედეკისი და რქვიან გოლგოთა, რომელ ითარგმნების "თხემის ადგილი" (ეფრემ ასური) ანუ თუ შევაჯერებთ, უფლის ჯვარცმის ადგილი მდებარეობს იქ, სადაც დაკრძალეს ადამი, მღვდლობდა მელქისედეკი, მსხვერპლს სწირავდა აბრაამი და ანგელოზს სჭვრეტდა დავით მეფსალმუნე...

ავტორის ჩართვა: მე, მონა ღვთისა ზაალ ნემსაძე, როცა ამ ბოლო სიტყვებს გადმოვცემდი ქაღალდზე, 2020 წლის 15 ივნისის ღამის ორის ნახევარი იყო და გარეთ ისეთი ქარი ატყდა და ისეთი წვიმა წამოვიდა, ეზოში ღელეები მოდიოდა, რასაც კარგად ვამჩნევდი ელვის შუქზე, რომელიც წამდაუწუმ ანათებდა. კარგა ხანს ვუყურე ბუნების ცელქობას და როცა საწერ მაგიდას მივუჯექი, მოვიდა ის, რომელიც ყოველთვის მოდის ჩვენთან, როცა ვწერთ, ვხატავთ, მელოდიას ვქმნით თუ ვენახს ვუვლით და მითხრა: – იოსებ არიმათიელი, ფარისეველთა ტომის, იმ დროის უმდიდრესი ადამიანი, სინედრიონის წევრი არ ყოფილა. ის იესოს საიდუმლო მოწაფე და მისი მოძღვრების მიმდევარი იყო და ამავე დროს პილატე პონტოელთან დაახლოებული. ამიტომ არ გასჭირვებია მასთან შესლვა და ჯვარზე აღსრულებული იესოს გამოთხოვა. აი ნიკოდიმოსი კი, მართლაც იყო სინედრიონის წევრი და ერთადერთი მათ შორის ვინც გაამართლა იესო. გადაშალე იოანეს სახარების მესამე თავი და დასაწყისი წაიკითხე: იოანე3. 1-21.

თავი 3
ნიკოდემოსი იესოსთან

1. იყო ერთი კაცი ფარისეველთაგან, სახელად ნიკოდემოსი, იუდეველთა მთავარი.

2. იგი ღამით მივიდა მასთან და უთხრა: „რაბი, ჩვენ ვიცით, რომ შენ ხარ მოძღვარი, ღვთისაგან მოსული, ვინაიდან არავის ძალუძს ისეთი სასწაულების მოხდენა, როგორსაც შენ ახდენ, თუ მასთან ღმერთი არ არის".

3. მიუგო იესომ და უთხრა მას: „ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნები შენ: ვინც ხელახლად არ იშვება, ვერ იხილავს ღვთის სასუფეველს“.

4. ეუბნება მას ნიკოდემოსი: „როგორ შეუძლია კაცს იშვას, თუ იგი მოხუცია? ნუთუ შეძლებს, რომ თავისი დედის მუცელში მეორედ შევიდეს და იშვას?“

5. მიუგო იესომ: „ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნები შენ: ვინც წყლისა და სულისგან არ იშვება, ვერ შევა ღვთის სასუფეველში.

6. ხორცისაგან შობილი ხორცია და სულისაგან შობილი სულია.

7. ნუ გაგიკვირდება, რომ გითხარი: თქვენ ხელახლად უნდა იშვათ-მეთქი.

8. ქარი ქრის, სადაც მოისურვებს. მისი ხმა გესმის, მაგრამ არ იცი, საიდან მოდის და სად მიდის. ასევეა ყველა, ვინც სულისაგან არის შობილი“.

9. ნიკოდემოსმა მიუგო და უთხრა მას: „როგორ შეიძლება მოხდეს ეს?“

10. მიუგო იესომ და უთხრა მას: „შენ ისრაელის მოძღვარი ხარ და განა ეს არ იცი?

11. ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნები შენ: ვლაპარაკობთ იმაზე, რაც ვიცით, და ვმოწმობთ, რაც გვინახავს, მაგრამ თქვენ არ ღებულობთ ჩვენს მოწმობას.

12. თუ მიწიერზე გითხარით და არ გწამთ, როგორ იწამებთ, ზეციერზე რომ გითხრათ?

13. არავინ ასულა ცაში, გარდა ციდან ჩამოსული კაცის ძისა, რომელიც ცაშია.

14. როგორც მოსემ აღამაღლა გველი უდაბნოში, ასევე უნდა ამაღლდეს ძე კაცისა.

15. რათა არც ერთი მისი მორწმუნე არ დაიღუპოს, არამედ ჰქონდეს საუკუნო სიცოცხლე.

16. რადგან იქამდე შეიყვარა ღმერთმა სოფელი, რომ მისცა თავისი ერთადერთი ძე, რათა არავინ, ვინც მას ირწმუნებს, არ დაიღუპოს, არამედ ჰქონდეს საუკუნო სიცოცხლე.

17. რადგან იმისთვის კი არ მოავლინა ღმერთმა თავისი ძე სოფლად, რომ განეკითხა სოფელი, არამედ გადარჩენილიყო სოფელი მის მიერ.

18. ვისაც ის სწამს, არ განიკითხება, ხოლო ვისაც არ სწამს, უკვე განკითხულია, რადგან არ ირწმუნა სახელი ღვთის მხოლოდშობილი ძისა.

19. განკითხვა კი ის არის, რომ ნათელი მოვიდა სოფელში და ადამიანებმა ნათელზე მეტად ბნელი შეიყვარეს, ვინაიდან ბოროტი იყო მათი საქმეები.

20. ვინაიდან ყველას, ვინც ბოროტებას სჩადის, სძულს ნათელი და არ მიდის ნათლისკენ, რათა არ იქნეს მხილებული მისი საქმეები.

21. ხოლო ჭეშმარიტების მოქმედი ნათლისკენ მიდის, რათა ცხადი გახდეს მისი საქმეები, რადგან ღმერთშია ქმნილი".

ვიდრე ვკითხულობდი, ის, რომლის სტუმრობაც ოცნებაა ყველა მწერლის, ყველა მხატვრის, ყველა მუსიკოსის და ყველა მევენახის, ახლა სხვა გაჭირვებულთან წავიდა, მე კი ლურჯი რვეულის მეხუთე, შავი მელნით დაწერილი გვერდის წაკითხვა გავაგრძელე მის მფლობელთან ერთად და პარალელურად ამ ქაღალდზე გადმოტანა...

გზა გოლგოთამდე, რომელიც უფალმა გაიარა, 4 კილომეტრზე მეტია, ბოლოს კი 600 მეტრი ციცაბო აღმართია ასავლელი. ამ გზის გავლა იყო, უაღრესად სერიოზული დატვირთვა, რა დროსაც სისხლი აქტიურად მოძრაობდა ძარღვებში, ხოლო თრომბოციტების ნაჯერი ნორმა ხელს უწყობდა თრომბის განვითარებას ნებისმიერ წამს. იოსებ ფლავიუსი (ჩვ. წ. აღ. 37-100წ.) მიიჩნევდა, რომ ჯვარცმა ყველაზე მძიმე სიკვდილი იყო და ბრალდებულის საჯაროდ დამცირებას ისახავდა მიზნად. დამნაშავე, გამათრახების მერე მიჰყავდათ ციხის კარებთან და მხრებზე ჰკიდებდნენ ჯვრის გადამკვეთ ხარიხას, რომელიც იწონიდა 34-დან 57 კილოგრამამდე. იგი მიჰქონდა დამნაშავეს სასჯელის აღსრულების ადგილამდე, რაც იწვევდა მხრების მაქსიმალურ გადაჭიმვას, თუმცა ჯვარცმას უფლისას წინ უძღოდა გვემა უფლისა...

ტურინის სუდარის მკვლევარები აცხადებენ, რომ მასში გახვეული პიროვნების ანუ იესო ქრისტეს სხეულზე მიყენებული იარები, მათრახისგანაა. ამგვარ ნაკვალევს ტოვებდა რომაული მათრახი – "ფლაგრუმი", რომელსაც ენაზე ტყვია ან ძვლის ნაჭრები ება. მათრახის ტყავი თელისგან მზადდებოდა. მის ღვედებს ჰქონდათ ტყვიის ან ძვლის ორი პატარა ბურთულა. ეს "მძივები" ჰქმნიდნენ დიდ ნაიარევებს, რომლებიც უცებ გადაიქცეოდნენ ჭრილობებად. მათრახი, რომლითაც იესო დასაჯეს, იყო შვიდპირიანი და სპილენძის ბოლოებიანი. ძველებრაული კანონით, გაშოლტვის მაქსიმალური რაოდენობა იყო ორმოცი.

მონა ღვთისა ზაალ ნემსაძის ჩართვა: გაშოლტვის რიცხვმა გამახსენა: ორმოცი წელი უდაბნოში ხეტიალით მონა ერი თავისუფალ ერად გადაიქცა; ორმოც დღეს ელოდა მოსე სინაის მთაზე კანონებს ანუ მცნებებს; იესომ ორმოცი დღე იმარხულა უდაბნოში; მკვდრეთით აღმდგარი იესო ორმოცი დღე იყო მოწაფეებთან ვიდრე ამაღლებამდე... რიცხვ ორმოცს მოთხრობის ბოლოს ისევ დავუბრუნდებით, რადგან ეს არის ჩვენი, დღევანდელი საქართველოს ბედისწერაც... უკაცრავად, ლურჯ რვეულს დავუბრუნდეთ...

როცა ჯარისკაცებმა იესოს ცემით გული იჯერეს, მეწამული ანუ ალისფერი ქლამინდით შემოსეს იგი, ზურგში კი ჯოხს ურტყამდნენ, რაც ხელახალ სისხლდენებს იწვევდა.

ვინ იყო სიმონ კვირინელი? "და ვითარცა წარიყვანეს იგი, შეიპყრეს სიმონ ვინმე კვირინელი, მომავალი ველით, და დასდეს მას ზედა ჯუარი იგი, და მიაქუნდა შემდგომად იესუისა" ლუკა 23;26. ნეტარი ავგუსტინე (354-430წწ) აღნიშნავს, გოლგოთამდე ჯვარი იესომ ატარა, სიმონი კი აიძულეს თხემიდან ეტარებინა ჯვარი, როცა იესო ძლიერ დაიღალა.

წმინდა მოძღვრებაში ნათქვამია: სიმონი ოჯახით ჩამოვიდა რომში და ადგილობრივ ქრისტიანებში პატივით სარგებლობდა. მარკოზის სახარების მიხედვით "და პაჰრაკად წარიყვანეს თანა-წარმავალი სიმონ ვინმე კვირინელი, მომავალი ვე-

ლით, მამაი ალექსანდრესი და როფესი, რაითა აღიღოს ჯუარი მისი.

და მოიყვანეს იგი გოლგოთას, ადგილსა, რომელ არს გამო თარგმანებით: თხემისა ადგილი.” მარკ. 15;21-22

სიმონის ვაჟი ალექსანდრე, კართაგენში ეწამა ქრისტესთვის და ეკლესიამ წმინდანად შერაცხა; მეორე ვაჟი-როფე ან რუფუსი გახლდათ ერთ-ერთი სამოცდაათთაგანი.

„ხოლო იყო ჟამი მესამე, და ჯუარსააცუეს იგი”. მარკ. 15;25.

ჯვარი სხვადასხვა ხისგან იყო დამზადებული: გრძივი ნაწილი კვიპაროსის იყო, მას განივად კვეთდა ფინიკი; ფეხები რომელზედაც ელაგა-კედრის, ხოლო წარწერიანი ფიცარი ზეთისხილისგან იყო გაკეთებული. ერთ-ერთი აპოკრიფის მიხედვით სამი ხე- კვიპაროსი, ფინიკი და ზეთისხილი თავის დროზე აბრაამმა მისცა ლოტს, რომელმაც დარგო ისინი, რწყავდა და უვლიდა. შემდეგ ეს ხეები მოჭრეს და ხმარობდნენ ხიდად. სწორედ ამ ხიდიდან შექმნეს ჯვარი, რომელზეც გააკრეს იესო. ეს ჯვარი, მეოთხე საუკუნეში იპოვნა იმპერატორ კონსტანტინეს დედამ – ელენემ.

ჯვარცმა სავარაუდოდ მოხდა ნისანის თვის 14-ში, ანუ 33 წლის 3 აპრილს, პარასკევს. რაც შეეხება თავად მიმსჭვალვას: ჯალათები სიკვდილის გახანგრძლივების ან დასწრაფების ექსპერტები იყვნენ. რომაელებს იესოს სწრაფად მოკვლა კი არ სურდათ, არამედ იმის ჩვენება, რომ რომაულ ძლიერებასთან დაპირისპირება ფუჭი იყო. ტურინის სუდარა ადასტურებს, რომ ლურსმანი ხელის მტევნებშია და არა გულებზე. ელენე დედოფლის მიერ კონსტანტინეპოლში ჩამოსვენებულ ჯვარს, ლურსმნის ოთხი ნაკვალევი აჩნდა.

იოანეს სახარების მე-18 და მე-19 თავებში სრულადაა ასახული ყველაფერი ის, რაც მოხდა მაცხოვრის განკაცებული ცხოვრების უკანასკნელ საათებში. ეს ჩვენ უკვე წავიკითხეთ. ხოლო მათეს სახარებაში წერია: “მაშინ ჯუარს-აცუნეს ორნი ავაზაკნი: ერთი მარჯუენით მისსა და ერთი მარცხენით” მათე 27;38:

39. ერთი ჩამოკიდებული ბოროტმოქმედი გმობდა მას: „განა შენ ქრისტე არა ხარ? იხსენი შენი თავი და ჩვენც“.

40. მიუგო მეორემ, გაუწყრა და თქვა: „ნუთუ ღვთისა არ გეშინია, როცა შენც იმავე სასჯელში ხარ?

41. ჩვენ სამართლიანად დავიმსახურეთ, ვინაიდან ჩვენ რაც გავაკეთეთ, იმისი საკადრისი მივიღეთ, მაგას კი არაფერი უჯერო არ ჩაუდენია“.

42. და თქვა: „იესო, გამიხსენე, როცა შენს სასუფეველში მიხვალ“.

43. და უთხრა მას: „ჭეშმარიტად გეუბნები შენ: დღესვე ჩემთან ერთად იქნები სამოთხეში“.

ეს იყო ყოფილი ავაზაკის, ახლა კი ქრისტეს ახალი მოწაფის სიტყვები, რომელმაც ქრისტე მაშინ ირწმუნა, როცა ის მოწაფეებმა მიატოვეს. ავაზაკის რწმენა უფრო მეტი აღმოჩნდა ვიდრე მოციქულების. მან ყველას წინაშე დაუფარავად აღიარა ჯვარცმული ქრისტე ღმერთად და მისგან შეწყალება ითხოვა. ქრისტეს მიმართ თავმდაბალმა რწმენამ, იგი აღმსარებელი გახადა. მათე 10;32: “ყოველმან რომელმაც აღიაროს ჩემდამო წინაშე კაცთა, მეცა აღვიარო იგი წინაშე მამისა ჩემისა ზეცათაისა.

ფილიპელთა 3;10”რათა შევიცნო იგი, და ძალა მისი აღდგომისა, და ზიარება მისი ვნებებისა, და ვემსგავსო მის სიკვდილს”.

პირველი კორინთელთა მიმართ 1;23-24 “ჩვენ კი ვქადაგებთ ჯვარცმულს ქრისტეს: იუდეველთათვის საცდურს, ბერძენთათვის სიშლეგეს.

ხოლო იმავე იუდეველთათვის და ბერძენთათვის, რომელნიც არიან ხმობილნი, – ქრისტეს, ხმრთის ძალსა და სიბრძნეს“.

ღირსი ნილოს მირონმდინარეს (XVIII საუკუნის მოღვაწე ქრისტიანი განდეგილი) განცხადებით, ავაზაკი იგი იყო ყოვლადწმინდა დედა ღვთისმშობლის მადლიანი რძით დაურწყებული, ხოლო მეორე, წარმოშობილი იუდა ისკარიოტელის, გამცემის თესლისგან. მარიამმა ყრმა ავაზაკს ძუძუ აწოვა სოფელ ექსანიონში – ბერძნულად „უცხოდგამოჩინებული“. ეს ყრმა გახდა მონანული ავაზაკი. მეორე ავაზაკი გაჩნდა იუდასა და

მისი ბატონის ცოლის უკანონო კავშირის შედეგად. კეთილგონიერი ავაზაკის სახელია – დისმასი. მეორესი – გესტასი.

ასევე ერთ-ერთი აპოკრიფის მიხედვით, როცა წმინდა ოჯახი ეგვიპტეში გარბოდა, უდაბნოში მათ ცხოვრება მოუხდათ ყაჩაღის გვერდით, რომლის ცოლსაც ტყუპი ვაჟი გაუჩნდა. მას კი მხოლოდ ერთის გამოკვება შეეძლო და სწორედ ყრმა დისმასს აწოვა ძუძუ ღვთისმშობელმა.

არის ასეთი გადმოცემაც: წმინდა ოჯახი ყაჩაღებმა ტყვედ ჩაიგდეს. მარიამმა, როცა შეხედა, თუ როგორ უკვდებოდა შვილი ყაჩაღთა ბელადს ხელში შიმშილით, გამოართვა და როგორც კი, ღვთისმშობლის რძის პირველი წვეთი შეეხო ჩვილის ბაგეს, იგი გამოჯანმრთელდა.

ჯვარცმას წინ უძღოდა მძიმე გზა გოლგოთისკენ"და დაწერა პილატე ფიცარი და დასდვა ჯუარსა მას ზედა. და იყო წერილი ესრე: იესო ნაზარეველი, მეუფე ჰურიათაი – Iesus Nazareunus Rex Iudaorum.

ესე ფიცარი მრავალთა ჰურიათა აღმოიკითხეს, რამეთუ მახლობელ იყო ქალაქსა ადგილი იგი, სადა ჯუარს-აცუეს იესუ. და იყო წერილი ებრაელებრ და ჰრომაელებრ და ბერძლ" იოანე 19;19-20

ანუ პილატე პონტოელმა ამის დასაწერად გამოიყენა ძველი აღთქმის ენა – ებრაული, წარმართების და ფილოსოფოსების ენა – ბერძნული და რომის იმპერიის – ლათინური.

ეფრემ ასურის თქმით, "ჰეროდე ბერძენი იყო, პილატე – ჰრომი, ანნა და კაიაფა – ებრაელი".

ძმრის მიწოდება

ეს ეპიზოდი სახარებაში სამ ადგილზეა: "და მისცეს მას ძმარი ნავღლითა აღზავებული და გემოი რაი იხილა, არა უნდა სუმის," – მათე27;34

"მისცემდეს მას სუმად შემურვილსა ღვინოსა, ხოლო მან არა მიიღო", – მარკოზი 15;23

ხოლო მერე თავად მოითხოვა უფალმა:

“ამისა შემდგომად იხილა იესუ, რამეთუ ყოველივე აღსრულებულ არს. და რაითა აღესრულოს წერილი იგი, თქუა: მწყურის.

დგა მუნ ჭურჭელი ძმრითა სავსე. და მათ ღრუბელი აღავსეს ძმრითა მით უსუპსა თანა და დადგეს ლერწამი და მიუპყრეს პირსა მისსა.

და ოდეს მიიღო ძმარი იგი იესუ თქუა: ესეცა წერილი აღსრულებულ არს და მიიდრიკა თავი და განუტევა სული.” – იოანე19. 28-30.

პროფესორ რამსელ თომსენის განმარტებით: “ქრისტემ პირველად უარყო საგანგებო სასმელი, რომელიც ტკივილებს აყუჩებდა და ადამიანს აბრუებდა. სიკვდილის მოახლოების ჟამს კი, თავად მოითხოვა. “რომაელ ჯარისკაცს, რომელმაც ღრუბელი მიაწოდა იესოს, ლეგენდის თანახმად, სტეფანონი ერქვა.

კიდევ ერთი გადმოცემის მიხედვით, იესოს ჯვარცმაში მონაწილე ჯარისკაცებს ცენტურიონი სტეფანონი ხელმძღვანელობდა.

“ხოლო მო-რაი-ვიდეს იესუისა და იხილეს იგი, რამეთუ მომკდუარიყო, არა განუტეხნეს წვივნი მისნი,

არამედ ერთმან ერისაგანმან ლახურითა უგუმირა გუერდსა მისსა, და მეყსეულად გარდამოხდა სისხლი და წყალი”. იოანე19;33-34

წმინდა ნიკოდიმეს აპოკრიფულ სახარებაში, ხოლო შემდგომ იაკობ ვორაგინელის “ოქროს ლეგენდაში” ნათქვამია, რომ მეომარს, რომელმაც შუბით განგმირა იესო, ერქვა ლონგინ. იგი უსინათლო იყო და თვალი აეხილა ქრისტეს ჭრილობიდან გადმოსული სასწაულმოქმედი სისხლის მეშვეობით, ხოლო მოგვიანებით, გადმოცემის თანახმად, იგი მოინათლა და მოწამეობრივი სიკვდილით აღესრულა.

თანამედროვე მედიცინამ დაადგინა ჯვარზე აღსრულებული უფლის გარდაცვალების მიზეზები: ასფიქსია, ტეტანუსი, სეფსისი, თრომბოზი.

უფლისა ჩვენის, იესო ქრისტეს მოვლინება 700 წლით ადრე იწინასწარმეტყველა ესაიამ (9;6): „ხელმწიფების განსადიდებლად და უბოლოო მშვიდობისთვის დავითის ტახტზე და მის სამეფოში, მის განსამტკიცებლად და გასაძლიერებლად სამართალში და სიმართლეში აწ და მარადის, ცაბაოთ უფლის შური აღასრულებს ამას.“

მიქა წინასწარმეტყველმა (737-690წ. ქ. შ.) იესოს დაბადების ადგილი მიგვანიშნა. მიქა 5;1-3:

„1. შენ კი, ეფრათას ბეთლემო, უმცირესი ხარ იუდას ათასეულთა შორის, მაგრამ შენგან გამომივა ხელმწიფე ისრაელში და ძველითგან იქნება მისი წარმოშობა, საუკუნოი დღეებიდან.

2. ამიტომ მიუშვებს მათ იმ დრომდე, ვიდრე არ შობს ის, რომელმაც უნდა შობოს; დანარჩენი ძმებიც დაბრუნდებიან ისრაელიანებთან.

3. ის დადგება და დამწყესავს უფლის ძალით, უფლის, თავისი ღმერთის სახელის დიდებით, და მობრუნდებიან, რადგან ამიერიდან იდიდებს ის ქვეყნის კიდემდე.”

ესაიამ (7-8 ასეული წლის წინ ქრისტეშობამდე)მესიის მოსვლის მთავარ მიზანზე მოგვითხრო. 53:2-7.

„2. ამოიზარდა როგორც მორჩი მის წინაშე და როგორც ფესვი ურწყული მიწიდან; არც ღირსება ჰქონია და არც მშვენება, რომ ზედ შეგვეხედა, არც იერი, რომ მივეზიდეთ.

3. საძულველი იყო, კაცთაგან ათვალწუნებული, გატანჯული და სნებამორეული, ერთი მათგანი ვისაც პირს არიდებენ. საძულველი იყო და არად ვაგდებდით.

4. ნამდვილად კი, მან იკისრა ჩვენი სნებები და იტვირთა ჩვენი სატანჯველი: ჩვენ კი გვეგონა, ღვთისაგან იყო ნაცემ- ნაგვემი და დამცირებული.

5. მაგრამ ის ჩვენი ცოდვებისთვის იყო დაჭრილი, ჩვენი უკეთურობებისთვის დალეწილი, მასზე იყო სასჯელი ჩვენი სიმრთელისათვის და მისი წყლულებით ჩვენ განვიკურნეთ.

6. ყველანი ცხვრებივით დავეხეტებოდით. თითოეული ჩვენ-ჩვენ გზას ვადექით, უფალმა კი მას შეჰხარა ყოველი ჩვენგანის

უკეთურება.

7. ევნო და ეწამა, მაგრამ არ დაუძრავს ბაგე: კრავივით დასაკლავად მიიყვანეს და, როგორც ცხვარი დუმს პასველთა წინაშე, მასაც არ დაუძრავს ბაგე. “

ზაქარიამ (მე-6 ს ქ. შ.) ქრისტეს ოცდაათ ვერცხლად გაცემა იწინასწარმეტყველა – 11;12-13:

“12. ვეტყვი მათ: თუ გეთნევათ, მომეცით ჩემი გასამრჯელო, თუ არადა ნუ მომცემთ; და მომიწონიან გასამრჯელოდ ოცდაათ ვერცხლს.

13. მითხრა უფალმა: ჩაყარე ისინი საგანძურში- საუკეთესო საფასურია, როგორც დაფასდი მათგან. მეც ავიღე ოცდაათი ვერცხლი და ჩავყარე უფლის სახლის საგანძურში.”

“და ოდეს მიიღო ძმარი იგი იესუ, თქუა: ესეცა წერილი აღსრულებულ არს და მიიდრიკა თავი და განუტევა სული”. იოანე 19;30.

„და აჰა კრეტსამბელი იგი ტაძრისაი მის განიპო ორად ზეითგან, ვიდრე ქუემდე, და ქუეყანაი შეიძრა და კლდენი განსთქდეს, და საფლავნი აგეხუნეს, და მრავალნი გუამნი შესუენებულთანი წმიდათანი აღდგეს.

და გამოვიდეს საფლავით მათით და, შემდგომად აღდგომისა მისისა, შევიდეს წმიდასა ქალაქსა და გამოეცხადნეს მრავალთა.“ მათე 27;51-53.

და ვიდრე, „შემდგომად აღდგომისა მისისა“ მოხდებოდა, და ვიდრე „მიუგო ანგელოზმან მან და ჰრქუა დედათა მათ: ნუ გეშინინ თქუენ: ვიცი, რამეთუ იესუს ნაზარეველსა ჯუარცუმულსა ეძიებთ.

არა არს აქა, რამეთუ აღდგა, ვითარცა თქუა.“ მათე 28;5-6.

დიახ, ვიდრე ყველაფერი ეს მოხდებოდა ანუ იესო მკვდრეთით აღდგებოდა, მაცხოვარი ჩვენი ჯოჯოხეთში ჩაბრძანდა თავისი ძლიერებით და “ჯოჯოხეთი, უფლისგან იყო დატყვევებული, შეურაცხყოფილი, მოკვდინებული, ჩამოგდებული, შებოჭილი,” – წმინდა იოანე ოქროპირი (347-407წწ).

ჯოჯოხეთი ყოველთვის არსებობდა, ხოლო სამოთხე სათა-

ვეს იღებს ქრისტეს გამოჩენისას, რომელმაც შეცვალა სამყარო. ქრისტეს ჯოჯოხეთში ჩასვლამ დიდი პანიკა გამოიწვია და ჯოჯოხეთმა მოუწოდა ეშმაკს, მიდი და განაგდეო. მაპატიე, უძლური ვარო, ამოიბღავლა ეშმაკმა, კარები არ გაუღო მასო, მაგრამ თავისი ნებით დაეცნენ კარნი ჯოჯოხეთისანი, ხოლო იესომ შეკრა ეშმაკი და გაუნელებელ გენიაში უკრა თავი. მერე კი ამოიყვანა ადამიდან დაწყებული ყველა მართალი ჯოჯოხეთიდან.

როცა ჯვარცმულმა იესომ ავაზაკი შეიწყნარა (შეიწყალა), ჯოჯოხეთში ჯერ კიდევ იმყოფებოდნენ ძველი აღთქმის მართალნი, მათ შორის წმინდა იოანე ნათლისმცემელი. თვით უფალი უნდა ჩასულიყო იქ, თუმც არა იმისთვის, რომ ტანჯულიყო, რათა იქ მყოფნი დაეხსნა. უფალს ჯერ არავისთვის აღეთქვა სასუფეველში აღყვანება, მოციქულებსაც კი მას შემდეგ დაჰპირდა იქ დამკვიდრებას, რაც მათ სავანეებს განუმზადებდა. ავაზაკი გახდა სამოთხის პირველი ბინადარი ენუქ და ილიასთან ერთად. “ყოველმან რომელმან აღიაროს ჩემდამო წინაშე კაცთა, მეცა აღვიარო იგი წინაშე მამისა ჩემისა ზეცათაისა”, მათე10;32. “რათა შევიცნო იგი და მისი აღდგომის ძალა, და მის ტანჯვებში მოზიარეობა, და მის სიკვდილს ვემსგავსო, რათა, როგორმე მივწვდე მკვდრეთით აღდგომას”. ფილიპელთა 3;10, 11.

ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელის განმარტებით, იესო სამოთხეში იქმნა გონებით და ჯოჯოხეთში ჩავიდა სულით ანუ ვიდრე ცხედარი სამარხში ესვენა, იესოს სული ჯოჯოხეთს ამარცხებს და იესოს გონება სამოთხეში სავანეებს ამზადებს მართალთათვის!!! დიდება შენს ღვაწლს და ყოვლისშემძლეობას უფალო!!!

წმინდა მათე მოგვითხრობს სხეულით აღმდგარ გარდაცვლილ წმინდანებზე და რადგანაც უფლის ჯვარზე სიკვდილამდე, ყოველი გარდაცვლილი ადამიანის სული, როგორც ცოდვილების, ისე მართალთა, გარდაცვალების შემდეგ ჩადიოდა ჯოჯოხეთში, ცხადია, რომ გარდაცვლილი წმინდანების აღდგომა

არ იქნებოდა, თუკი მათ სულებს ჯოჯოხეთიდან არ გაათავისუფლებდა უფალი.

ჩვენი მხსნელი ჩავიდა ჯოჯოხეთში თავისი ნებითა და თავისი უფლებით, ჩავიდა იმისათვის, რათა ისევ მალე ამოსულიყო. ჩავიდა ერთი, რათა იქედან ამოეყვანა მრავალი, ვინც კი რწმენით ელოდა მის მოსვლას. უფლის ჩასვლა-ამოსვლა ჰგავდა ძლევამოსილი მეფის მიერ ბოროტი ქალაქის აღებას და იქედან ტყვეების გათავისუფლებას!!!

უფლის ჯოჯოხეთზე გამარჯვება იყო ყველაზე სასიამოვნო და ყველაზე დიდებული აღდგომილი უფლისათვის, რადგან მასში ყველაზე ნათლად იქნა მოძიებული მისი უკიდურესი სიყვარული ცოდვილი კაცობრიობისადმი და უმაღლესი ძლევამოსილება მისი, კაცთა მოდგმის მტერზე. იგი თავისი სულით ჩავიდა არამარტო ტანჯული სახით, არამედ როგორც სიკვდილისა და ჯოჯოხეთის დამთრგუნველი!

მთავარეპისკოპოსი ინოკენტი (საქართველოს ეგზარქოსი 1909-1913წწ.) ამბობს: “რათა აღივსოს თავისით ყოველი. ზეცა აღივსო მისი ღვთიური დიდებით, დედამიწა კი სავსეა მისი ტანჯვა-წამებით; საჭირო იყო ჯოჯოხეთიც აღვსილიყო მისი ძალით”.

ამასობაში დამთავრდა შავი ფერის მელნით ნაწერი მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე, მერვე, მეცხრე და მეათე გვერდები და... მეთერთმეტე გვერდი, მაისის მზის სხივების ფერის მელნით იყო ნაწერი. იმ მზით, გასაფურჩქნად გამზადებულ ვარდის კვირტს ან კოკორს რომ დახედავს.

რას აკეთებდა ჩვენთვის უფალი ჯოჯოხეთში? წმინდა მოციქული პეტრე გვეუბნება, რომ იგი იქაც ქადაგებდა. მან საქმით აჩვენა, რომ იგი ნათელი ქვეყნისა, ნათელია ჯოჯოხეთის ყველაზე ღრმა წყვდიადში მყოფთათვისაც. ვის უქადაგებდა იესო იქ?” „რომელნი იგი ურჩ ოდესმე იყვნეს, რაჟამ ერთ გზის თავს-ედვა სულგრძელებასა მას ღვთისასა დღეთა მას ნოვესთა, შემზადებასა მას კიდობნისასა. “1 პეტრე. , 3;20. თუ ეს უბედური ცოდვილებიც კი ღირსნი გახდნენ მათთვის სასარ-

გებლო ადამიანთა მხსნელის ქადაგებისა, მით უფრო მოუთმენლად უნდა მოუსმინონ მას ჯოჯოხეთის ტყვეთაგან იმათ, რომლებმაც თავიანთი ცხოვრებისას არ აჩვენეს შეუპოვრობა და არაწმინდება ნოეს თანამედროვეთ... და ამიტომაც მათზე უფრო ახლოს იყვნენ ჯოჯოხეთის საშინელი წყვდიადიდან გამომყვან კარებთან. მართალთა სულები არ იზიარებდნენ იქ იმ საშინელ ხვედრს, რომელშიც იმყოფებოდნენ ცოდვილთა სულები და მაინც, არ ქონდათ ძალა, რომ თავი დაეღწიათ სულთა საშინელი სამყოფელისათვის და ამაღლებულიყვნენ ზეციურ ნათელში, სადაცაა ღვთის საყდარი. ზეციური ბჭენი მათთვის ჯერ დახშული იყო.

შეიძლება წარმოდგენა იმისა, როგორი სიხარული ახლდა თან ჯოჯოხეთის ამ საშინელი სამყოფელიდან სულების გამოსვლას, როცა ქვეყნიური საპყრობილეთაგან გათავისუფლებულნი დიდ სიხარულს ვეღარ ერევიან! მაშინ მთელი ძალით გაცხადდა სიტყვა ღვთისა: "რამეთუ არა მოვედ წოდებად მართალთა, არამედ ცოვილთა სინანულად". მათე 9;13.

"ქრისტე ღმერთი, – ამბობს ეკლესიის ძველი მასწავლებელი კვინტუს სეპტიმუს ფლორენს ტერტულიანე (160-225წწ), – მოკვდა როგორც კაცი, დაიმარხა წერილის მიხედვით, შეასრულა ის კანონიც, რაც დამახასიათებელია ყველა მოკვდავისათვის, შევიდა ჯოჯოხეთში და ვიდრე ავიდოდა ზეცაში, იგი ჩავიდა დედამიწის უფსკრულში, რათა თანამგზავრებად გაეხადა პატრიარქები და წინასწარმეტყველები". როგორი სახით მოხდა თავად სულების აღმოყვანება ჯოჯოხეთიდან? განა შეუწინააღმდეგებლად დაუთმო თავისი საუკუნო მონაპოვარი სიბნელის მთავარმა უფალს? დიახ, უბრძოლველად! თუმცა უდიდესი სირცხვილით და წუხილით. თუმცა ხედავდა თავისთან ჩასვლას ადამიანის სულისა, მაგრამ ეს სული შემოსილი იყო ღვთის ყოვლისშემძლეობით, ხოლო თავად უკვე დამარცხებული და დამხობილი იყო გოლგოთაზე ჯვარით...სიბნელის მთავარს იესოს ყოვლისშემძლე მოქმედებამ ჩამოართვა ყველა ნიშანი უფლებისა და ხელმწიფებისა, რაც მას გარს ერ-

ტყა, როგორვ თვითმარქვიას და”განძარცუნა მთავრობანი იგი და ხელმწიფებანი და საჩუენებელ ჰქმნნა იგი კადნიერებით” (კოლასელთა 2. 15) ყველას წინაშე, რომელთაც მიატოვეს მისი ტყვეობა და ვინც მასთან იყო დარჩენილი (მთავარეპისკოპოსი ინოკენტი).

ჯოჯოხეთში ჩასვლით, ქრისტემ თავისი დიდების ბრწყინვალებით განაბნია შეუღწევადი წყვდიადი ტარტაროზისა, დაარღვია რკინის ჭიშკარი, დაამსხვრია ბორკილები და წმინდა ტყვენი, ტყვეობიდან გამოხსნილნი თავისთან აიყვანა ზეცაში.

“ჯოჯოხეთი, – წმინდა ოქროპირის სიტყვით, – უფლისგან იყო დატყვევებული, დამხობილი, შეურაცხყოფილი, მოკვდინებული, ჩამოგდებული, შებოჭილი.”

“უფალი ჩადის ჯოჯოხეთში, – მსჯელობს წმინდა ირინეოსი (II-III სს.), – ახარებს იქაც თავის მოსვლასა და ცოდვების მიტევებას მათ, რომელთაც სწამთ იგი; ხოლო ირწმუნა იგი ყველამ, ვინც კი მოელოდა, ანუ ყველამ მისი მოსვლის აღთქმულებმა და მაუწყებლებმა და მისი მცნებების შემსრულებელმა მართლებმა, წინასწარმეტყველებმა და მამამთავრებმა.”

წმინდა ეკლესიის დიდი შაბათის საგალობლები: “შთამოჰყუეთ ქვეყანად ჰხსნად ადამისა, და არღარა ჰპოვე იგი ქვეყანასა ზედა მეუფეო, ვიდრე ჯოჯოხეთამდე შთახედ მეძიებელი ჰოი სიხარული იგი, ჰოი, სიტკბოება იგი მრავალი, რომელიც აღავსენ, ჯოჯოხეთის შინა განაბრწყინუე რა ნათელი წყუდიადსა შინა მყოფთათვის. რაჟამ შთახედ საფლავად, ცხოვრება ეგე უკუდავი, მაშინ ჯოჯოხეთი შეაძრწუნე, ელვითა მით ღვთაებისა შენისათა, ხოლო რაჟამს მკუდარნი ქუესკნელით აღმოიყუანენ, მაშინ ყოველნი ძალნი ცათანი ჰღაღადებდნენ, ცხოვრების მომცემელო, ქრისტე ღმერთო დიდება შენდა!”

ყოველი ადამიანი, რომელიცაა შთამომავალი პირველშექმნილი ადამისა, არის ჩვენი ძმა. როგორ არ უნდა გავიხაროთ ჩვენ იმათი სიხარულით, როცა ისინი, ძველი აღთქმის მართალნი ჩვენს უფალს მიყოლილთ, შევიდნენ უბრწყინვალეს ღვთის სამოთხეში? მაგრამ ამ დამამშვიდებელ ნუგეშთან ერთად,

მაცხოვრის ჯოჯოხეთში ჩასვლა ჩვენ გვაძლევს გაფრთხილებასაც: უფალი ერთხელ ჩავიდა იქ, სადაც უკვე აღარ ჩავა: ვინღა ჩავა იქ, რომ გამოგვიხსნას ჩვენ ცოდვილნი, თუკი ცოდვების გამო ჯოჯოხეთში ჩავიყრებით?

მზის სხივების ფერით ნაწერი გაგრძელდა მეთორმეტე გვერდზეც:

ამიტომ არის უფალი მუდამ ჩვენთან, რომ დაგვიცვას ჯოჯოხეთში შთავარდნისგან. გავიხსენოთ, როგორ გამოეცხადა ჯოჯოხეთის დამმარცხებელი იესო მარიამ მაგდალინელს და რა მომენტში.

“ჰრქუა მას იესუმ: მარიამ! მიიხილა მან გარეთ და ჰრქუა ებრაელებრ: რაББუნი! რომელსა ჰრქუან მოძღუარ, და მირბიოდა შემოხვევად მისსა.

ჰრქუა მას იესუმ: ნუ შემომეხები მე, რამეთუ არღა აღსრულ ვარ მამისა ჩემისა; წარვედ ძმათა ჩემთა და არქუ მათ: აღვალ მამისა ჩემისა და მამისა თქუენისა, ღმრთისა ჩემისა და ღმრთისა თქუენისა.” იოანე20;16-17.

და როდის ხდება ეს? როცა ქრისტეს ყველა გულშემატკივარს და მოყვარულს იმედი გადაწურული აქვთ, მათ საკუთარი თვალით იხილეს უფლის გარდაცვალება, ზოგმა მის დამარხვაშიც მიიღო მონაწილეობა. ყოვლისშემძლე, ყველაზე უტყუარმა მეგობარმა და მხსნელმა ჩვენმა კი რა მოიმოქმედა ჩვენს სანუგეშებლად? ჯოჯოხეთიდან მართალთა გამომყვანი პირდაპირ მამას კი არ ეახლა, მარიამ მაგდალინელის სახით, ჯერ ადამიანებს გვაუწყა თავისი აღდგინება და უკვდავება, რითაც გაგვაცოცხლა და საუკუნო ცხოვრების სიხარული, იმედი და რწმენა მოგვცა! დიდება უფალს!!!

ყურადღება მივაქციოთ იესოს სიტყვებს: ნუ შემომეხები მე, რამეთუ არღა აღსრულ ვარ მამისა ჩემისა.

ამ დროს უფალი მხოლოდ ღმერთის თვისებებით არის აღჭურვილი და მასთან შეხებამ შეიძლება ფერფლად აქციოს ნებისმიერი მოკვდავი. მან ჯერ მამა უნდა მოინახულოს და მართალთა სულები სამოთხეში განაწესოს, მაგრამ მის საყვა-

რელ კაცობრიობას, რომლისთვისაც თავი გასწირა და რომელ-
მაც უარყო ის და გაიმეტა, სიძულვილს სიყვარულით უხდის
და აუწყებს მკვდრეთით აღდგომას, სიკვდილითა სიკვდილის
შემუსვრას და საფლავებს შინა მყოფთათვის სიცოცხლის მი-
ნიჭებას. თუმცა უფალმა იცის, რომ ადამიანთა უმადურობას
საზღვარი არ აქვს და ამის გამო, იგი მამასთან ხლების შემდეგ
უბრუნდება ადამიანებს და ორმოც დღეს დაჰყოფს მოსწავლე-
ებთან ვიდრე ამაღლებამდე.

თვით იუდა ისკარიოტელიც კი, რომლის მსგავსი მუხანათი
და გამყიდველი არ იცის კაცობრიობამ, ორჯერ იხსნა უფალმა
სიკვდილისგან: როცა იუდამ თავის ჩამოხრჩობა გადაწყვიტა,
ჯერ თოკი გაუწყდა, მერე კი ტოტი მოუტყდა, მესამედ კი – "გა-
უმართლა", ჩამოიხრჩო თავი. ანდა გავიხსენოთ, როგორ აირ-
ჩია იესომ თორმეტი მოწაფე.

იოანე. თავი მეექვსე

1. ამის შემდეგ გავიდა იესო გალილეის ანუ ტიბერიის ზღვის
გაღმა.

2. უამრავი ხალხი მიჰყვებოდა, რადგან იხილეს სასწაულები,
რომლებსაც ის ახდენდა სნეულებზე.

3. ავიდა მთაზე იესო და დაჯდა იქ თავის მოწაფეებთან ერთად.

4. ახლოვდებოდა პასექი, იუდეველთა დღესასწაული.

5. იესომ გაიხედა და დაინახა, რომ უამრავი ხალხი მოდიოდა
მისკენ და ეუბნება ფილიპეს: „სად ვიყიდოთ პური, ამათ რომ
ვაჭამოთ?"

6. ამას გამოსაცდელად ეუბნებოდა, თორემ თავად კი იც-
ოდა, რასაც მოიქმედებდა.

7. მიუგო მას ფილიპემ: „ორასი დინარის პურიც არ ეყოფათ,
რომ თითოეულ მათგანს ცოტაოდენი მაინც ერგოს".

8. ეუბნება მას ერთი მისი მოწაფეთაგანი, ანდრია, სიმონ –
პეტრეს ძმა:

9. „აქ არის ერთი ბიჭი, რომელსაც ხუთი ქერის პური და ორი
თევზი აქვს, მაგრამ ამდენ ხალხს ეს რას ეყოფა?"

10. თქვა იესომ: „უთხარით ხალხს, დასხდნენ“. ხოლო იმ ადგილზე ხშირი ბალახი იყო. რიცხვით ხუთი ათასამდე კაცი დაჯდა.

11. აიღო პურები იესომ, მადლი შესწირა და ჩამოურიგა მოწაფეებს, მოწაფეებმა კი იქ მსხდომთ, ასევე თევზიც, ვისაც რამდენი უნდოდა.

12. როცა დანაყრდნენ, უთხრა თავის მოწაფეებს: „მოაგროვეთ ნამუსრევი, რომ არაფერი არ დაიკარგოს“.

13. მოაგროვეს და აავსეს თორმეტი გოდორი იმ ხუთი ქერის პურის ნამუსრევით, რაც ჭამის შემდეგ დარჩა.

14. მაშინ იესოს მიერ მოხდენილი სასწაულის მხილველმა ხალხმა თქვა: „ესაა ჭეშმარიტად ის წინასწარმეტყველი, რომელიც სოფელში უნდა მოსულიყო“.

წყალზე სიარული ფეხით

15. იესომ იცოდა, რომ აპირებენ მოსვლას მის მოსატაცებლად, რათა გაემეფებინათ იგი, და კვლავ განმარტოვდა მთაზე.

16. როცა მოსაღამოვდა, ჩავიდნენ მისი მოწაფეები ზღვაზე.

17. ავიდნენ ნავზე და გაემართნენ ზღვის გაღმა, კაპერნაუმისკენ. უკვე ჩამობნელებული იყო, იესო კი ჯერაც არ მისულიყო მათთან.

18. ძლიერმა ქარმა დაუბერა და ზღვა აღელდა.

19. ოცდახუთი თუ ოცდაათი სტადიონი რომ გაცურეს, დაინახეს ზღვაზე მომავალი იესო, რომელიც ნავს უახლოვდებოდა, და შეეშინდათ.

20. ის კი ეუბნება მათ: „მე ვარ, ნუ გეშინიათ“.

21. უნდოდათ, ნავზე აეყვანათ იგი; და ნავი მაშინვე იმ ქვეყანაში გაჩნდა, სადაც მიდიოდნენ.

პური სიცოცხლისა

22. მეორე დღეს ზღვის გაღმა მდგომმა ხალხმა დაინახა, რომ იქ სხვა ნავი არ იყო, გარდა ერთისა, რომელშიც მისი მოწაფეები ჩასხდნენ, და რომ არც იესო ჩამჯდარა ნავში თავის

მოწაფეებთან ერთად, არამედ მხოლოდ მოწაფეებმა გაცურეს.

23. სხვა ნავებიც მოვიდა ტიბერიიდან იმ ადგილის მახლობლად, სადაც ჭამეს პური მას შემდეგ, რაც უფალმა მადლი შესწირა.

24. როცა დაინახა ხალხმა, რომ იქ არც იესოა და არც მისი მოწაფეები, ჩასხდნენ ნავებში და მივიდნენ კაპერნაუმს იესოს საძებრად.

25. და ნახეს იგი ზღვის გაღმა და უთხრეს მას: „რაბი, როდის მოხვედი აქ?“

26. მიუგო იესომ და უთხრა: „ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: იმიტომ კი არ მეძებთ მე, რომ სასწაული იხილეთ, არამედ იმის გამო, რომ პური ჭამეთ და გაძეხით.

27. ნუ ირჯებით ხრწნადი საზრდოსათვის, არამედ იმ საზრდოსათვის გაისარჯეთ, რომელიც რჩება საუკუნო სიცოცხლისათვის, რომელსაც ძე კაცისა მოგცემთ თქვენ, რადგან მას დაასვა ბეჭედი მამა ღმერთმა“.

28. უთხრეს მას: „როგორ მოვიქცეთ, რომ ღვთის საქმენი ვაკეთოთ?“

29. მიუგო იესომ და უთხრა მათ: „ღვთის საქმე ის არის, რომ ირწმუნოთ იგი, რომელიც მან მოავლინა“.

30. უთხრეს მას: „რა ნიშანს იძლევი, რომ დავინახოთ და გერწმუნოთ? რას მოიმოქმედებ?

31. ჩვენი მამები მანანას ჭამდნენ უდაბნოში, როგორც დაწერილია: „პური ზეციდან მისცა მათ საზრდოდ“.

32. უთხრა მათ იესომ: „ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: მოსემ კი არ მოგცათ პური ზეციდან, არამედ ჩემი მამა გაძლევთ ჭეშმარიტ პურს ზეციდან.

33. რადგან ღვთის პური ისაა, რომელიც ზეციდან ჩამოდის და სიცოცხლეს აძლევს სოფელს“.

34. უთხრეს მას: „უფალო, მუდამ გვაძლიე ეს პური“.

35. უთხრა მათ იესომ: „მე ვარ პური სიცოცხლისა. ჩემთან მომსვლელს არ მოშივდება და ჩემს მორწმუნეს არასოდეს მოსწყურდება.

36. მე კი გითხარით, რომ კიდევაც მიხილავთ, მაგრამ არ იწ-ამებთ.

37. ყველაფერი, რასაც მამა მაძლევს, ჩემთან მოვა. ჩემთან მოსულს გარეთ არ გავაძევებ.

38. რადგან ზეციდან ჩემი ნების აღსასრულებლად კი არ ჩა-მოვედი, არამედ მისი ნებისა, ვინც მე მომავლინა.

39. ეს არის ნება იმისი, ვინც მე მომავლინა, რათა რაც მომცა, არაფერი დამეკარგოს, არამედ აღვადგინო უკანასკნელ დღეს.

40. ჩემი მამის ნება ისაა, რომ ყველას, ვინც ძეს იხილავს და ირწმუნებს, საუკუნო სიცოცხლე ჰქონდეს, და მე აღვადგენ მას უკანასკნელ დღეს“.

პეტრე აღიარებს იესოს ღვთის ძედ

41. იუდევლები დრტვინავდნენ მის გამო, რადგან თქვა: „მე ვარ პური, ზეციდან ჩამოსული“.

42. თქვეს: „ეს იესო არ არის, იოსების ძე, რომლის მამას და დედას ვიცნობთ? როგორღა ამბობს, ზეციდან ჩამოვედიო?“

43. მიუგო იესომ და უთხრა მათ: „ნუ დრტვინავთ ერთმა-ნეთს შორის.

44. არავის შეუძლია ჩემთან მოსვლა, თუ იგი მამამ, ჩემმა მო-მავლინებელმა, არ მოიყვანა, და მე აღვადგენ მას უკანასკნელ დღეს.

45. წინასწარმეტყველებს უწერიათ: „ყველა განისწავლება ღვთის მიერ“. ყველა, ვინც უსმენს მამას და სწავლობს, ჩემთან მოდის.

46. ისე კი არაა, თითქოს ყველას ეხილოს მამა. ვინც ღვთის-განაა, მხოლოდ მან იხილა მამა.

47. ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: ვისაც ჩემი სწამს, მას საუკუნო სიცოცხლე აქვს.

48. მე ვარ პური სიცოცხლისა.

49. თქვენმა მამებმა ჭამეს მანანა უდაბნოში და დაიხოცნენ.

50. ეს არის პური, ზეციდან გადმომავალი, რომ კაცმა შეჭა-მოს იგი და არ მოკვდეს.

51. მე ცოცხალი პური ვარ, ზეციდან გადმომავალი. ვინც ამ პურს შეჭამს, საუკუნოდ იცოცხლებს. პური, რომელსაც გავცემ, ჩემი ხორცია, რომელსაც სოფლის სიცოცხლისათვის გავცემ“.

52. იუდეველებმა დაიწყეს კამათი ერთმანეთში და ამბობდნენ: „როგორ შეუძლია, თავისი ხორცი მოგვცეს საჭმელად?“

53. უთხრა მათ იესომ: „ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: თუ არ შეჭამთ კაცის ძის ხორცს და არ შესვამთ მის სისხლს, არ გექნებათ სიცოცხლე თქვენში.

54. ჩემი ხორცის მჭამელს და ჩემი სისხლის შემსმელს საუკუნო სიცოცხლე აქვს. და მე მას აღვადგენ უკანასკნელ დღეს.

55. რადგან ჩემი ხორცი ჭეშმარიტი საჭმელია და ჩემი სისხლი ჭეშმარიტი სასმელი.

56. ჩემი ხორცის მჭამელი და ჩემი სისხლის შემსმელი ჩემში რჩება, და მე – მასში.

57. როგორც მე მომავლინა ცოცხალმა მამამ და მე მამაში ვცოცხლობ, ასევე ჩემი მჭამელი იცოცხლებს ჩემში.

58. ეს არის ციდან ჩამოსული პური, ისეთი კი არა, თქვენმა მამებმა რომ ჭამეს მანანა და დაიხოცნენ. ამ პურის მჭამელი საუკუნოდ იცოცხლებს“.

59. ამას ამბობდა სინაგოგაში, როცა კაპერნაუმში ასწავლიდა.

60. ბევრი მისი მოწაფეთაგანი ამის მოსმენისას ამბობდა: „მძიმე სიტყვაა, ვის შეუძლია ამის მოსმენა?“

61. იესომ იცოდა, რომ მისი მოწაფეები ბუზღუნებდნენ თავისთვის ამის გამო, და უთხრა მათ: „ეს გაცდუნებთ თქვენ?

62. თუ იხილავთ კაცის ძეს, იქ აღმავალს, სადაც წინათ იყო?

63. სული ცხოველმყოფელია, ხოლო ხორცი უსარგებლო. სიტყვები, რომლებიც გითხარით, სული და სიცოცხლეა.

64. მაგრამ თქვენ შორის არიან ისეთებიც, რომელთაც არ სწამთ“. რადგან იესომ თავიდანვე იცოდა, ვინ არიან ურწმუნონი და ვინ არის მისი გამცემი.

65. და თქვა: „ამიტომ გეუბნებოდით, რომ ჩემთან არავის შეუძლია მოსვლა, თუ მამისგან არ ექნება მიცემული“.

66. ამის შემდეგ ბევრი მისი მოწაფეთაგანი გაბრუნდა უკან და აღარ მისდევდა მას.

67. მაშინ უთხრა იესომ თორმეტს: „თქვენც ხომ არ გინდათ წასვლა?“

68. მიუგო მას სიმონ-პეტრემ: „უფალო, ვისთან უნდა წავიდეთ? საუკუნო სიცოცხლის სიტყვები შენა გაქვს.

69. ჩვენ ვიწამეთ და შევიცანით, რომ შენ ხარ ქრისტე, ღვთის წმიდა“.

70. მიუგო მათ იესომ: „თორმეტი არ აგირჩიეთ? ერთი თქვენგანი ეშმაკია“.

71. „თქვა იუდა სიმონის ძეზე, ისკარიოტელზე, რადგან იგი, ერთი თორმეტთაგანი, აპირებდა მის გაცემას“.

მეთორმეტე გვერდის ბოლოს კი, ჩვეულებრივ, იისფერში გადასული ასოებით ეწერა: ვიცი, რომ გაგიჩნდა კითხვა: რატომ არ შექმნა ღმერთმა ყველა ადამიანი უცოდველი და კეთილი? ღმერთმა ჩვენ თავისუფალნი გაგვაჩინა, მოგვცა არჩევანის თავისუფლება: ვიყოთ ან კეთილი ან ბოროტი. თუმცა ცოდვის მონანიების შემთხვევაში სიხარულით გვიღებს კარს და გვპატიობს! უფალი პატივს გვცემს მის შვილებს, არაფერს გვაიძულებს. უფლებას გვაძლევს, თავად ავირჩიოთ ცხოვრების მიზანი, გავაკეთოთ არჩევანი. ბევრ რამეს გვითმენს ჩვენი მონანიების იმედით.

– ახლა შენ იცი, როგორ უნდა მოიქცე, – შემოესმა მასპინძელს, რომელმაც წაკითხული, თხელი, ლურჯი რვეული დახურა. ხელარგნიანი მოხუცი ფანჯარასთან იდგა, – დამშვიდობებისას ერთს გეტყვი გასამხნევებლად: რასაც ახლა იწყებ, ის შენ 1992 წლიდან გაქვს დაწყებული და ზუსტად ორმოცი წელი გჭირდება მიზნის მისაღწევად. 2032 წელს უკვე ძლიერი და წელშიგამართული ქვეყნის შემოქმედი იქნები შენს გუნდთან ერთად უფლის დახმარებით და წყალობით. თუ დაატყობ რომ თანამოაზრეები დამოუკიდებლათაც გაართმევენ თავს ქვეყნის აღთქმულ მიზნამდე მიყვანას, შეგიძლია განზე გადგე და შენს საყვარელ საქმეს გაცილებით ადრე დაუბრუნდე, ვიდრე

2032 წელია. თავიდანვე გითხარი, რომ ღმერთმა თავისუფალნი გაგვაჩინა და არჩევანის თავისუფლება გვიბოძა: ვიყოთ კეთილი ან ბოროტი. შენი ნაბიჯი კი შენი ბუნებიდან გამომდინარე ყოველთვის კეთილი იქნება.

მეორე დილით ლურჯი რვეული საიმედო ადგილას შეინახა და ქვეყნის კათოლიკოს პატრიარქს ეახლა...

ამ შეხვედრიდან ათი წლის შემდეგ ბიძინა ივანიშვილმა გაუგონარი, აქამდე არნახული რამ მოიმოქმედა: პოლიტიკიდან გავიდა და ასპარეზი ახალგაზრდებს დაუთმო. თან საკუთარი და ოჯახის ქონების 95% გააჩუქა, მშობელი ხალხის სამსახურში ჩადო. ქვეყნის მოამაგეებმა ქრისტიანული მადლი საკადრისად მიიღეს, ავყიებმა კი ისევ იუდა ისკარიოტელობით დაგმეს ის კეთილმოსურნეობა, რომლის მაგვარი ბიბლიურ ზაქესაც არ უქნია, რომელმაც ქონების ნახევარი დაარიგა და დიდი მადლი პოვა მაცხოვრის თვალში.

„...იესომ უთხრა: „ერთიღა გაკლია რაც გაქვს, ყველაფერი გაყიდე მიეცი ღარიბებს, და გექნება საუნჯე ზეცაში. მოდი და გამომყევი“ (ლუკა: 22)

ვისაც ეს უთხრა, მან არ დაუჯერა. ზაქემ და ბიძინამ კი შეასრულეს უფლის ნება, ვინაიდან „იღვაწე რწმენის კეთილი ღვაწლით, ჩაეჭიდე მარადიულ სიცოცხლეს, რომლისკენაც მოწოდებული ხარ, და აღიარე კეთილი აღსარება მრავალი მოწმის წინაშე“ (I ტიმოთე. 6:12).

აივანზე გამოვიდა და სამყაროს გადახედა. პირველი, რაც აქედან თვალში მოხვდა, გზის გადაღმა, ინსტიტუტის ტერიტორიაზე სოკოებივით ამოსული უამრავი სახლი იყო, რომელთა წითელ სახურავებს ადრეული ნოემბრის სუსტი მზე მოწყენილად ანათებდა.

ამ სახლებში 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად ახალგორიდან დევნილი ათი ათასი ადამიანი ცხოვრობს.

დარდმოძალებული და გაბრაზებული შებრუნდა ოთახში. ილია ჭავჭავაძის და ილია მეორის პორტრეტები მოხვდა თვალში. პატრიარქთან გადაღებულ სურათზე შეაჩერა მზერა: სიყვარულით შეცქეროდნენ ერთმანეთს და გაახსენდა ადგილი ილია მეორის წერილიდან: „გელათის, იყალთოს, გრემის ცნობილ აკადემიათა გაუქმების შემდეგ 800 წელი ელოდა ქართველი ხალხი საქართველოში უმაღლესი სასულიერო სასწავლებლის გახსნას და ახლა ეს კურთხეული დღე დადგა.

დადგა იგი, რა თქმა უნდა, უფლის შეწევნით;დადგა იგი უშუალოდ თქვენი მხარდაჭერითა და დახმარებით.

ეს არის ის საქმე, რომლის აღსრულებისთვის თაობები იტყვიან მადლობას.

ხომ ჭეშმარიტად ბედნიერია ის ადამიანი, ვისაც სხვისთვის სიხარულის მინიჭება შეუძლია;და რაოდენ უსაზღვრო უნდა იყოს ბედნიერება იმ პიროვნებისა, ვისაც ძალუძს, ღვთის განგებით, დიდი და ნამდვილი სიხარულით გაახაროს მთელი ერი.

ერთ-ერთი ასეთი სიხარული მოუტანეთ თქვენ ჩვენს ხალხს. ამიტომაც უღრმეს მადლობას გწირავთ და გლოცავთ. მადლობას გწირავთ ჟურნალ „ჯვრის ვაზის“ გამოცემის გაზრდის გამოც.“

ეს ბარათი 1988 წლის 4 იანვარს მოსწერა პატრიარქმა და მისი ყოველი წაკითხვა თუ გახსენება სიამაყით აღავსებდა. აი, ახლაც ხმამაღლა გაიფიქრა: – მხოლოდ ამ ბარათისთვის ღირდა ყოველივე ის ტანჯვა-წვალება, რაც დღემდე გამოვიარე.

– ოო, ნამდვილად ღირდა, თუმცა კიდევ ბევრი გაქვს გასაკეთებელი, – შემოესმა ხმა.

მისთვის დამახასიათებელი გამჭოლი მზერით გაიხედა ხმის მიმართულებით და თეთრთმაწვერიან, ქათქათა სამოსელში გახვეულ, თვალციმციმა სტუმარს წააწყდა.

– ვხედავ და ვგრძნობ, არ გაგაკვირვა ჩემმა დანახვამ, – განაგრძო მოსულმა.

– ამ ქვეყნად კარგა ხანია არაფერი მიკვირს და ძალიან მიხარია თქვენი სტუმრობა, – გაუცინა დაუპატიჟებელ სტუმარს.

– ალბათ ხვდები, ვინ ვარ.

– თითქმის და ვიმეორებ, უზომოდ მიხარია.

– იცი შენ, მე იშვიათად ვაკეთებ ამას და მხოლოდ მათ ვხვდები, ვისაც განსაკუთრებული როლი დააკისრა ჩემმა წარმომგზავნმა.

– ოთხმოც წელს გადავაბიჯე და ვთვლი, ჩემი როლი უკვე შევასრულე. ახლა ახალგაზრდებმა გამოიჩინონ თავი.

– მხოლოდ უფალი წყვეტს ვინ, როდის და სად უნდა დაასრულოს. რახან აქ ვარ, იმას ნიშნავს, რომ შენი მისია გრძელდება. მოდი, დავსხდეთ და აგიხსნი.

როცა ჩამოსხდნენ, თეთრთმაწვერიანმა დაიწყო: – ვერავინ, დედამიწის ზურგზე ვერ ახსნის უფლის საიდუმლოს. ვერ ნახავ სასულიერო პირს, ვერც საეროს, რომელიც გეტყვის – რაც უნდა ზედმიწევნით იცნობდეს ახალ აღთქმას, რომ უფალი და მაცხოვარი ჩვენი, ვინმეს ოდესმე გაცინებული ენახოს. დიახ, სახარებაში არსად წერია, რომ უფალი იცინოდა, თუმცა ორჯერაა მოხსენიებული მისი მწუხარების ცრემლების შესახებ. იცი შენ და მეც გაგიმეორებ, რომ არაფერი ადამიანური უფლისთვის უცხო არ იყო და ერთ-ერთი მიზეზი, რისთვისაც ის მოვიდა ჩვენთან, სწორედ ის იყო, ადამიანებისთვის ემოციების მოთოკვა ესწავლებინა. როგორ ფიქრობ, რატომ იტირა იესომ? მე ვიცი, შენ რატომ იტირე რამდენჯერმე. ჩამოგითვლი მოგვიანებით. ახლა კი კითხვას დავუბრუნდეთ: რატომ იტირა იესომ? ნუთუ თავისი მოწაფეების და ნათესავების უმადურობამ

და გონის სიბრმავემ აატირა იგი? თუ იმან, რომ მწიგნობრები და ფარისევლები მტრობდნენ? იქნებ იუდას გამცემლობამ აატირა იგი ანდა იმან, მოწაფეებმა რომ უარყვეს და გაექცნენ? თუ მაშინ, როცა თოკებით შეკრეს, გაამათრახეს და დასცინოდნენ? თუ როცა გარდაუვალი სიკვდილის წინ დადგა? რა თქმა უნდა, ყველა ეს სიტუაცია სატირალია, მაგრამ თუ ვინმე ფიქრობს, რომ იესომ იტირა, ცდება. ერთი ცრემლიც კი არ გადმოუგდია!შეიძლება ვივარაუდოთ, რომ უფლისთვის ეს მომენტები არ ღირდა იმისთვის, რომ ეტირა? ამას იმიტომ ვამბობ, რომ ამ ცოტა ხნის წინ, ერთმა ღვთისმგმობელმა ეპისკოპოსმა ქალბატონმა იმის თქმაც კი იკადრა, რომ იესომ ავანტიურისტულად გამოიწვია იუდეველები, რომ ეწამებინათ ის და ამით თავისი მისია შეესრულებინაო. ისევ უფალმა შეუნდოს თავის ფეხის მტვერს ამ წარმოუდგენელი მკრეხელობის და სიბრიყვის გამო, რადგან ჩვენი უფლის ორიდან ერთი ტირილი, სწორედ ყოველი იუდეველის უსაყვარლესი და სალოცავი ქალაქის, იერუსალიმის, მოსალოდნელი დანგრევის წინასწარმეტყველების გამო იყო. დიახ, იესომ ლამის ოთხი ათეული წლით ადრე იტირა იერუსალიმის დაღუპვა. ეს ქალაქი 70 წელს დაანგრიეს ვესპასიანეს ვაჟის ლეგიონებმა. აი, რას წერს მოციქული ლუკა: 19;41-44:

„როცა მიუახლოვდა და დაინახა ქალაქი, ატირდა ამის გამო, და თქვა: „ნეტავ ამ დღეს მაინც გცოდნოდა, რაც სამშვიდობოა შენთვის, მაგრამ ახლა ეს დაფარულია შენს თვალთაგან.

რადგან დაგიდგება დღეები, როცა მტრები შენს წინააღმდეგ აღმართავენ ზვინულს, შემოგერტყმიან და შეგავიწროვებენ ყოველი მხრიდან.

მიწასთან გაგასწორებენ შენ და შენს შვილებს შენში. ქვას ქვაზე აღარ დატოვებენ შენში, რადგან არ შეიცანი შენი მონახულების ჟამი“.

მინდა ერთი ეპიზოდი გაგახსენო შენი ცხოვრებიდან: როცა სოხუმის უნივერსიტეტი ქართულ და აფხაზურ სექტორებად გაიყო და მთელმა საქართველომ იზეიმა და აღიქვა ეს,

როგორც სოხუმის უნივერსიტეტის დამოუკიდებლობა, ერთადერთი იყავი, ვინც ცრემლი დაღვარა ამის გამო და იყვირა, უნივერსიტეტის ამგვარი გათიშვა ქართველების და აფხაზების ურთიერთგაუცხოებას გამოიწვევსო და ფაქტობრივად, წინასწარ გამოიტირე აფხაზეთის დანგრევა. სწორედ ამიტომ ვარ მე შენთან, რომ შენ სხვა დროსაც გქონდა უფლიდან ჩადებული კოდის გამოვლინების შემთხვევები. თუნდაც 9 აპრილს, როცა შენი ჩასვლა მომიტინგეებთან ასობით ადამიანის დაღუპვას გამოიწვევდა, რადგან ახლო-მახლო შენობების სახურავებზე ჩასაფრებული სნაიპერები სწორედ ამას ელოდებოდნენ, რათა შენი მოკვლით შეუქცევადი დამანგრეველი პროცესები გამოეწვიათ. მაშინ ლოგიკურად მოიქეცი: პატრიარქს არ მოუსმინეს და ჩემი ოპონენტები მეც არ მომისმენენო. ისინი აცხადებდნენ, პატიაშვილს არა, პირდაპირ კრემლს დაველაპარაკებითო. ახლა გეტყვი, შენი ნაბიჯი მაშინ მარტო ლოგიკური კი არა, უფლისგან იყო ნაკარნახევი, რადგან იმ სნაიპერების შესახებ, დამეთანხმები, იმ მოვლენიდან დიდი ხნის შემდეგ გაიგე. ამიტომაა უფალი დიდი და გულთამხილავი, რომ თავის ერთგულ შვილებს, გასაჭირში არ ტოვებს. ბევრ შემთხვევას გაგახსენებ შენი ცხოვრებიდან, როცა უფალმა დაგიფარა შენც და შენი სახით შენი სამშობლოც, რომლის ნამდვილი ჭირისუფლობაც უფლის ნებით დავალებული გაქვს სიცოცხლის ბოლომდე. შენ კი, ოთხმოცი წლის ვარ, ახლა სხვების ჯერიაო. შენი გასაკეთებელი შენ უნდა გააკეთო და ასი წლის ჯუმბერ პატიაშვილსაც არ გაუვა ყავლი არც უფლისგან და არც ხალხის თვალში: და როცა დღეს თითო-ოროლა ყიამყრალის(ღმერთმა შეუნდოთ!) გარდა, ყველას სიამე ეფინება სახეზე შენი დანახვისას და ხსენებისას, უფლის მადლი არ არის ეს?

პირველად კი უფალი ლაზარეს გამო აცრემლდა:

„მარიამი მივიდა იმ ადგილას, სადაც იესო იყო და რომ იხილა იგი, დაემხო მის ფერხთით და უთხრა: “უფალო, აქ რომ ყოფილიყავი, ჩემი ძმა არ მოკვდებოდა“

როდესაც იესომ დაინახა, რომ ტიროდა იგი და მასთან ერ-

თად მოსული იუდეველებიც ტიროდნენ, შეიძრა სულით და აშ-ფოთდა:

უთხრა: – "სად დაასვენეთ იგი?" მიუგეს: – „უფალო, მოდი და ნახე".

აცრემლდა იესო" (იოანე11;32-35)

დიახ. ნებისმიერი სიკვდილი ცრემლის ღირსია. სიკვდილი ღმერთს არ შეუქმნია. ის ჩვენს ცხოვრებაში შემოიჭრა ჩვენი უფლისადმი ურჩობის გამო. მისი მოსვლა, ტრაგედიაა. მილი-ონობით კვდებიან და მიდიან დაუბრუნებლად, და უმრავლე-სობა, როგორც თავად იესომ ბრძანა ჯოჯოხეთში ხვდება. სწო-რედ ეს იმსახურებს ცრემლს. ჩვენ, ადამიანებმა დავკარგეთ მუდმივი სიცოცხლის უფლება და სწორედ ამან ააცრემლა უფ-ალი, რომელმაც წინასწარ იცოდა ლაზარეს სიკვდილიც და ის-იც, რომ მას მკვდრეთით აღადგენდა... და სწორედ იმიტომ ვარ მე შენთან, რომ შენ იქნები იმ დიდ ქართველთა შორის, ვინც გა-იგონებთ იესოს ხმას:

„ეს რომ თქვა, დიდი ხმით დაიძახა: „ლაზარე, გამოდი!" (იოანე11:43).

ამ დაძახილს გაიგონებთ ყველა, რჩეულნი ამა ქვეყნისანი და იხილავთ: „გამოვიდა მიცვალებული, ხელ-ფეხი სახვევე-ბით ჰქონდა შეკრული და სახეც სუდარით ჰქონდა შეხვეული. უთხრა მათ იესომ: "გახსენით, გაუშვით, იაროს" (იოანე11:44).

და შენ იქნები გამხსნელთა შორის და ივლის შენი სამშობ-ლო, რომლის გარეშეც არ არსებობს შენი ცხოვრების ერთი წამიც კი. შენი სიტყვებია და შეგახსენებ: "სამშობლო, ალბათ, ყველაზე ღირებულია, რასაც ადამიანი უფლისგან ჯილდოდ იღებს, წინაპრებისგან მემკვიდრეობით, შთამომავლობისთვის კი-უდიდეს პასუხისმგებლობად. "გახსოვს?

– მახსოვს, – ნაღვლიანად გაიღიმა მასპინძელმა, – სამშობ-ლო არასდროს არ არის „აქ" და „ამჟამად!"

ის ყოველთვის იყო წარსულში და მან უნდა იარსებოს მომა-ვალშიც.

– შენ ბეწვის ხიდზე გაიარე, როცა დავითგარეჯის სამონას-

ტრო კომპლექსს იცავდი სტუდენტებთან ერთად და როცა, მეზობელი ქვეყნის ტერიტორიაზე მოყოლილი ბერთუბნის უნიკალური ფრესკების სანაცვლოდ, სამოცდაათ ჰექტარ მიწას აძლევდი ივრის პირას აზერბაიჯანს. და ეს შენი ღვაწლი ლამის ორმოცი წლის შემდეგ სიკეთეში წაადგა შენს ერს... და რამდენი სიკეთე ჰქენ ჩუმად და საიდუმლოდ ვინ მოთვლის, თუმცა ადამიანთა უმადურობას საზღვარი არ აქვს და სწორედ ამიტომ, დღემდე ჩუმად აკეთებ სიკეთეს. ნუ გაგაბრაზებს უმადურობა. გაიხსენე, ჩვეულებრივი, კეთილი ადამიანები, რომლებსაც სიკეთე უმადურობით და ბოროტებით გადაუხადეს. თვით უფალი ჩვენი, ჯვარზე აყვანილი, ყველა მოწაფემ მიატოვა და მხოლოდ ავაზაკმა ირწმუნა, მხოლოდ ავაზაკმა აღიარა. წასვლისას მინდა ერთი ამბავი გიამბო:

მეფე მსახურებს ფეხებს ბანს

„წამოდგა სერობიდან, გადადო ზედა სამოსელი, აიღო პირსახოცი და წელზე შემოირტყა.

შემდეგ ჩაასხა წყალი საბანელში და დაიწყო მოწაფეების ფეხის ბანა და იმ პირსახოცით შემშრალება რომელიც წელზე ერტყა.

მივიდა სიმონ-პეტრესთან, მან კი უთხრა: „უფალო, შენ უნდა დამბანო ფეხები?“

მიუგო იესომ და უთხრა მას: „რასაც ვაკეთებ, ახლა არ იცი, მერე კი გაიგებ“.

უთხრა პეტრემ: “უკუნისამდე არ დამბან ფეხებს. „იესომ უპასუხა: “თუ არ დაგბან, ჩემთან არ გექნება წილი.“

უთხრა სიმონ-პეტრემ: “უფალო, მარტო ფეხებს კიარა, არამედ ხელებსაც და თავსაც.“

უთხრა იესომ: „განბანილს აღარ სჭირდება დაბანა, გარდა ფეხებისა, რადგან ის მთლიანად სუფთაა და თქვენც სუფთანი ხართ, ოღონდ ყველა არა.“

რადგან იცოდა, ვინ გასცემდა. ამიტომ თქვა: „ყველანი არ ხართო სუფთა“.

ფეხები რომ დაბანა მათ და თავისი სამოსელი აიღო და კვლავ დაჯდა, უთხრა მათ: „იცით რა გიყავით?“

თქვენ მე მიწოდებთ მოძღვარს და უფალს, სწორად ამბობთ, რადგანაც ვარ.

ამიტომ, თუკი მე მოძღვარმა და უფალმა, დაგბანეთ ფეხები, თქვენც ერთმანეთს უნდა დაბანოთ ფეხები.

რადგან მაგალითი მოგეცით, რათა, როგორც მე მოგექეცით, თქვენც ისე მოიქცეთ.

ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: მონა არაა თავის ბატონზე დიდი და მოვლინებული არაა მომავლინებელზე დიდი.

რაკი ეს იცით, ნეტარნი ხართ, თუ ამას აღასრულებთ.

ყველა თქვენგანზე არ ვლაპარაკობ. მე ვიცი, ვინც ამოვარჩიე, მაგრამ უნდა აღსრულდეს წერილი: ჩემი პურის მჭამელმა, ჩემზე აღმართმა ქუსლი.

ახლა გეუბნებით, სანამ ეს ახდებოდეს, რათა, როცა ახდება, ირწმუნოთ, რომ მე ვარ.

ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: ვინც ღებულობს იმას, ვისაც მე მივავლენ, მე მღებულობს, ხოლო ვინც მე მღებულობს, ჩემს მომავლინებელსაც ღებულობს.“ იოანე13:4-20.

იესო იყო მეფე მეფეთა შორის. როცა მეფეზე ვსაუბრობთ, როგორი წარმოგვიდგენია იგი? ტახტზე მჯდომი, ოქროს გვირგვინით, საუკეთესო რაშზე ამხედრებული უძლიერესი ჯარის სათავეში და აღტაცებული ბრბოს მისასალმებლად ძვირფას ტანსაცმელში ჩაცმული, მაგრამ იოანესთან სხვაგვარ მეფეს ვხედავთ – მოწაფეების წინაშე დაჩოქილს, წელზე პირსახოცშემოკრული მათ ფეხებს ბანს. როგორ ქრისტეს ვხედავთ აქ? რატომ მოგვცა უფალმა ეს მაგალითი?

12 მოციქულს სჭირდებოდა ეს!იმ დროისთვის ისინი ჯერ ვერ მიმხვდარიყვნენ, რომ ჭეშმარიტი მოწაფის მოწოდება

მსახურებაა. გახსოვთ, ფეხბანვის წინ მოციქულები კამათობდნენ, ვინ იქნებოდა მთავარი სამეფოში და იესომ მუგო მათ: „...ვისაც თქვენს შორის დიდობა სურს, ის თქვენი მსახური იყოს“. (მარკოზი10;35-45), თუმცა ეს ნათქვამი მათ ვერ აითვისეს. საიდუმლო სერობის დროსაც კი ისინი ამ საკითხს განიხილავდნენ:

ლუკა22;24-27: „ასევე იყო დავა მათ შორის: რომელი მათგანი უნდა ჩათვლილიყო დიდად.

მან კი უთხრა: „ხალხთა მეფეები ბატონობენ მათზე და მათი ხელმწიფენი წყალობლებად იწოდებიან.

თქვენ კი ასე როდი ხართ. თქვენს შორის უფროსი უმცროსივით იყოს, ხოლო ვინც უფროსობს – მსახურივით.

ვინაიდან ვინ არის უფრო დიდი: მეინახე თუ მსახური? განა მეინახე არა? მე კი თქვენს შორის ვარ, როგორც მსახური“.

ფეხების დაბანა ამ კამათს მოჰყვა და ყველა მათგანს ამ დროს იესოს სიტყვები-მე კი თქვენს შორის ვარ, როგორც მსახური-ჩაესმოდა ყურში.

შეკრებილნი არიან განსაკუთრებული პასექის საჭმელად, რასაც დიდი მოვლენები უძღოდა წინ. მსახურები არ ჰყავთ, რომელიც ფეხებს დაბანს ან წყალს მიაწვდის ამ საქმისთვის. მოციქულებმა იციან, რომ დაუბანელი ფეხებით მაგიდას ვერ მიუსხდებიან, მაგრამ ფეხების დაბანა ხომ მსახურის საქმეა? თუ რომელიმე მათგანი მოემსახურება სხვებს და დაბანს, ამით სხვებს მისცემს უპირატესობას. არავის უნდა დამდაბლდეს ისე, რომ პირველობის ამბიცია დათმოს. სხვებისთვის ფეხის დაბანა, მათი აზრით, დამარცხებას ნიშნავს პირველობისთვის ბრძოლაში. თუმცა იესოს არამხოლოდ ამ ეჭვების გასაფანტად დასჭირდა ამ გაკვეთილის ჩატარება. საქმე იმაშია, რომ ქრისტეს უზომოდ უყვარს ისინი: „პასექის დღესასწაულის წინ იცოდა იესომ, რომ დადგა ამ წუთისოფლიდან მამასთან მისი გადასვლის ჟამი: როგორც შეიყვარა თავისიანები, რომლებიც ამ წუთისოფელში იყვნენ, ისევე ბოლომდე უყვარდა ისინი.“ (იოანე13:1).

და კიდევ იმიტომ, რომ ახლოვდებოდა იესოს ჯვარზე აღსრულება: იოანე 13:2-4.

„სერობის დროს, როდესაც ეშმაკმა უკვე ჩაუდო გულში იუდას, სიმონ ისკარიოტელისას, რომ გაეცა იგი.

იესომ, იცოდა რა, რომ მამამ ყველაფერი მისცა მას ხელთ, რომ ღვთიდან გამოვიდა და ღმერთთან მიდის,

წამოდგა სერობიდან, გადადო ზემო სამოსელი, აიღო პირსახოცი და წელზე შემოირტყა.“

ვინაიდან მალე უნდა აცვან ჯვარს და ვინაიდან უყვარს თავისი მოწაფეები, იესოს სურს, რომ ვიდრე მათ დატოვებს, მიიღონ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გაკვეთილი და უფალმა ჩაუტარა ის მათ – როცა ფეხები დაბანა. ოთხჯერ გაუმეორა მათ ამ პროცესის დროს:

1... ერთმანეთს უნდა დაბანოთ ფეხები.

2... რადგან მაგალითი მოგეცით, რათა, როგორც მე მოგექეცით, თქვენც ისე მოიქცეთ.

3... მონა არაა თავის ბატონზე დიდი.

4... რაკი ეს იცით, ნეტარნი ხართ, თუ ამას აღასრულებთ.

და საერთოდ, უნდა ვიცოდეთ, რომ ფეხების ბანვის ტრადიცია ძველ ისრაელში სტუმართმოყვარეობის ნიშანი იყო და ძველ აღთქმაშიც და ახალშიც ბევრი ამის მაგალითია აღწერილი: დაბადება 18:4; დაბადება19;2; დაბადება 24;32; დაბადება 43;24; ერთიანი მეფეთა 25;41; ლუკა 7;44; პირველი ტიმოთე 5;10 და ა. შ.

მაგრამ რა სურდა იესოს, როცა ის ამბობდა, რომ მოწაფეებს მისთვის მიებაძათ? მან პეტრეს უთხრა: „მერე გაიგებ“. რას გაიგებდნენ პეტრე და სხვა მოციქულები შემდეგ?

იმას, რომ იესოს სურდა მოციქულები მსახურებივით მოქცეულიყვნენ;

იმას, რომ მოციქულებმა ირწმუნეს, რომ ღვთის სამეფოსკენ გზა თავმდაბლობასა და მსახურებაზე გადის.

მარკოზ მახარებელი აღნიშნავს: 10;42-45; „იესომ კი მოიხმო ისინი და უთხრა: „თქვენ იცით, რომ ისინი, ვინც ხალხის მთავ-

რებად არიან მიჩნეულნი, ბატონობენ მათზე და მათი დიდებულნი ხელმწიფებენ მათზე.

მაგრამ თქვენს შორის ასე ნუ იქნება, არამედ, ვისაც თქვენს შორის დიდობა სურს, ის თქვენი მსახური იყოს.

ვისაც თქვენს შორის პირველობა იყოს, ის იყოს ყველას მონა.

რადგან კაცის ძე არ მოსულა იმისათვის, რომ მას ემსახურონ, არამედ იმისათვის რომ თავად ემსახუროს და მისცეს თავისი სული მრავალთა გამოსასყიდად.“

და შეიძლება ჩვენს შორის პირველი ის კი არ იყოს, ვინც ყველაზე მეტად ჩანს, დიდი მეცნიერია, დიდი მწერალია, საოცარი კომპოზიტორია, დიდი სახელმწიფო მოღვაწეა და განსაკუთრებული სიმდიდრის პატრონი, არამედ უბრალო წევრი დედა ეკლესიისა, მსახურების დროს სხვებზე უკან რომ დგას, კუთხეში, სხვების შეუმჩნევლად რომ ლოცულობს, მაგრამ იმისთვის ცოცხლობს, რომ ემსახუროს: ოჯახს, მეგობრებს, მეზობლებს, დებსა და ძმებს ქრისტეში და ეკლესიას. აი ვინ არის მდიდარი და უპირველესი კეთილი საქმეებით და ქრისტეს ერთგულებით.

ამიტომ მოითხოვდა უფალი მოწაფეებისაგან, ყოფილიყვნენ მსახურნი, რომ დიდები ყოფილიყვნენ ცათა სასუფეველში.“

უეჭველია, მიმიხვდი, რატომ გიამბე ეს ამბავი. შენ ყოველთვის მსახური იყავი ხალხისთვის და რაც მთავარია, უფლისთვის და ამიტომ დიდი იქნები ცათა სასუფეველში, ოღონდ ერთი პირობით: გააგრძელე ის საქმე, რასაც მთელი დღე და მოსწრება აკეთებ! გააგრძელე და ხშირად იფიქრე ილია მართალზე, რომლის იუბილე ისე დიდ ზეიმად უქციე შენს ერს, რომ დღემდე სიამით ახსოვთ. შენს მამულში ილიას დარბაზიც დიდი სიყვარულით და ადამიანებზე ზრუნვით გულგამთბარმა ააშენე. უფალმა გიკარნახა კეთილი საქმეები, რადგან უფლის სამსახურში იყავი მაშინაც კი, როცა ამის გამო, მკაცრი სასჯელი გელოდა. როცა მსოფლიოს უზარმაზარი იმპერიის, დედამიწის ერთი მეექვსედის მმართველმა, შენი ქადაგების მერე ამ იმპე-

რიის თავდაცვის მინისტრს ჰკითხა, მართლმადიდებელი ქრისტიანი ხომ ხარო, ეს იყო შენი უდიდესი გამარჯვება და იესოს სულის ლხენა. დიდება უფალს!

– დიდება უფალს! – პირჯვარი გადაიწერა ჯუმბერმა და სანთელი აანთო. მერე თეთრმოსასხამიანს გახედა, თუმცა ის იქ აღარ იყო. წასულიყო. ღვთისმშობლის ხატთან მდგარ ჯუმბერს კი თვალები სიხარულის და სიმშვიდის ცრემლებით ჰქონდა სავსე. ახლა გაახსენდა თანაპარტიელების გაოგნებული სახეები, როცა წინადადებით გამოვიდა ნინოწმინდის(მაშინდელი ბოგდანოვკის)რაიონში, ფოკას მონასტრისთვის ოცი ჰექტარი საეკლესიო ფართობი გადაეცათ. და რა ბედნიერი იყო, როცა პატრიარქის სურვილი აღასრულა და მეტეხის ეკლესია აღადგინა. დღესაც ცხადად ახსოვს ის ემოცია, როცა პირველად მეტეხის გუმბათზე ჯვარი დაინახა. მეტეხის ბედი მალევე გაიზიარა გელათის მონასტერმა და ბოლნისის სიონმა. ყოველწლიურად მილიონებს აძლევდა ბიუჯეტიდან ეკლესია-მონასტრების აღდგენა-რესტავრაციისთვის. სხვათა შორის, სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობის იდეაც და ამ იდეაზე მომუშავე კომისიის შემადგენლობაც იმ წლებში ჩამოყალიბდა.

– არსებული სასულიერო სემინარია არასაკმარისია ჩვენი ქვეყნის სულიერი განვითარებისათვის... კარგი იქნება, საქართველო არის ამის ღირსი, რომ ჩვენ სასულიერო აკადემია გვქონდეს, – უთხრა უწმინდესმა ერთ-ერთი შეხვედრის დროს.

რადგან სიონის საკათედრო ტაძრის ეზოშივე მდებარეობდა უწმინდესის რეზიდენცია, ჯუმბერ პატიაშვილის დიდი მეცადინეობით გადაწყდა, სასულიერო აკადემიისთვისაც შესაფერისი ფართობი მიმდებარე ტერიტორიაზე გამოეყოთ. მოსახლეობას ალტერნატიული ფართი შესთავაზეს. გამოთავისუფლებულ ფართობზე კი სასულიერო აკადემია განთავსდა. სწორედ ამ დიდებული საქმის შესრულებისთვის, მადლიერების ნიშნად მიიღო უწმინდესისგან 1988 წლის 4 იანვარს წერილი, რომლითაც ეს სცენარი დავიწყე. მიუხედავად იმისა, რომ ჯუმბერისთვის, ყველა ბარათს და ჯილდოს შორის, რომელიც ოდესმე მი-

ულია, პატრიარქის ეს წერილი ყველაზე მნიშვნელოვანი და ღირებულია, მის სამზეოზე გამოტანას ყოველთვის ერიდებოდა, თუმცა იცოდა, რომ ცხოვრების კრიტიკულ მომენტებში, მისი შინაარსი დადებითად წაადგებოდა. ალბათ ჩემთვის და თქვენთვის, ვინც ახლა მდებთ პატივს და კითხულობთ ჩემს სცენარს, ეს ბარათი უცნობი დარჩებოდა, რომ არა დიდი რეჟისორი რეზო ჩხეიძე, რომელმაც ჯუმბერ პატიაშვილის წიგნი“ოცდასამი წლის შემდეგ“დამიდო წინ და მითხრა: აბა, ივარგე და ეს სცენარად გადააკეთე, დოკუმენტური ფილმი უნდა გადავიღოთო. თუ ხეირიანად იმუშავებ, მოგეხმარები და დიდ სამქმეს გავაკეთებთო. სცენარი შეიქმნა. მერე ბატონმა რეზომ დიდი წვალებით დაიყოლია ბატონი ჯუმბერი. ეს იყო ყველაზე რთული მომენტი ჩვენი შვიდსერიანი დოკუმენტური ფილმის გადაღების პერიოდში...

ხატის წინ მდგარი ჯუმბერი კი ისევ სასწაულად მოვლენილ სტუმარზე ფიქრობდა და უცებ მისი ხმა გაიგონა:

– სამოთხის ბაღად გიქცევია ეზო. კურთხეული ხელი გაქვს. როცა უფლის ცრემლებზე გესაუბრე, შენი ცრემლებიც გამახსენდა... სვანეთის დიდთოვლობამ ოცდაექვსი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. მაშინ შენ გახევებული იდექი სვანების გარემოცვაში, თოვლში ქალების და ბავშვების ცხედრები ეწყო. ერთი სიკვდილი გაათავე...

და ჯუმბერს თვალწინ დაუდგა ის დღე და მერე, მოგვიანებით იქ მყოფთა თქმული: “არ გვეგონა თუ გადარჩებოდით“. თუმცა სვანები იმასაც ჰყვებიან, რომ არაადამიანური გამძლეობა და ტკივილების დათრგუნვა გამოიჩინა ჯუმბერმაო.

– იმავე წელს, გაზაფხულიდანვე დარაზმე ხალხი და ასეულობით სახლი აშენდა, – განაგრძო მოსულმა, – 18 სოფელი შექმენი ქვემო ქართლში, საგარეჯოს რაიონში და წყალტუბოს მიმდებარე ტერიტორიაზე. შენი მოქმედების გვირგვინი იყო, – ხმას აუწია თეთრთმაწვერიანმა, – სოფელი, რომელსაც ერის იმედი უწოდე, თუმცა ახალმოსახლეობის ზეიმის დროსაც, მეხსიერებიდან არ ამოგდიოდა ის დღე – სვანეთის პირქუში,

დათოვლილი მთები, ტკივილისაგან გახევებული მამაკაცები და თოვლზე ლოყებღაჟღაჟა ბავშვებისა და უმწეო ქალების ჩამწკრივებული ცხედრები. მართალი თქვა ჭეშმარიტად დიდმა კაცმა, ჯუმბერ კოპალიანმა, არავის ისეთი ღვაწლი არ მიუძღვის სვანეთის მიმართ, როგორვ ჯუმბერ პატიაშვილსო. ანდა ის აპოკალიფსური სურათი, რომელიც სომხურ პატარა ქალაქ სპიტაკში იხილე, როცა მიწისძვრამ აღგავა იგი. საყოველთაო დაბნეულობის ჟამს, ნანგრევებში მოყოლილთა კვნესის და გადარჩენილთა განწირული კივილის ფონზე, შენ ერთს აღმოგაჩნდა ის უნარი, რომ სიტუაციის შესაფერისად გემოქმედა და იქვე იქეცი, თვალზეცრემლშეუმშრალი, სახალხო ბელადად. ამიტომ იხსენიება ამ დღიდან შენი სახელი სომეხი ხალხის გმირებს შორის... და ერთი რამეც უნდა გაგახსენო, ვიდრე წავალ: მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერს, ვახტანგ ვაჩნაძეს უსაყვედურე: – რატომ ხდება, რომ საბჭოეთიდან კოსმოსში თითქმის ყველა გაფრინდა, ქართველების გარდა? ...გამოდის, რომ ჩვენ აქ, მიწაზე ვმუშაობთ, კოსმოსში კი სხვები დაფრინავენ.

ვაჩნაძემ რამდენიმე ქართველი კანდიდატი შეარჩია, მათ შორის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეცნიერთანამშრომელი მერაბ ადეიშვილი, მაგრამ 9 აპრილმა ჩაშალა ეს წამოწყება, თუმცა მანამდე მოახერხე და საგურამოს სასტენდო კომპლექსი შექმენი, ფაქტობრივად კი კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტი. აქ შექმნილი ოცმეტრიანი კონსტრუქცია კოსმოსურმა ხომალდმა „პროგრეს40-მა“ გაიტანა და გაშალა ორბიტაზე. ეს სიამაყით გაცნობა მთავარმა კონსტრუქტორმა ელგუჯა მეძმარიაშვილმა 1994 წლის 1 ნოემბერს და მაშინ სიხარულის ცრემლმა გაგიბრწყინა თვალები... თვით კიტა ბუაჩიძემაც კი რომლის სიტყვა „ჰო“ „ჰო“ იყო და „არა“ „არა“ მოგწერა: „პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნებიდან თქვენ ყველაზე უფრო ქართველი კაცი ხართ“.

ვიცი რა არის შენი ოცნება: როცა იმ წითელსახურავიანი სახლებში მცხოვრებნი დაუბრუნდებიან ძირძველ ადგილს, როცა სოხუმის უნივერსიტეტში ქართველი და აფხაზი სტუ-

დენტები ისევ ჩაეხუტებიან ერთმანეთს, მაშინ იქნები ბედნიერების მწვერვალზე და გეტყვი დაუფარავად: შენ იხილავ ამ დღეს და სრულიად საქართველოსთან ერთად იზეიმებ...

და წავიდა სტუმარი სხვა კეთილ ადამიანთან ნუგეშის საბოძებლად...

ამით გასრულდა ჩემი „ზეციდან შობილნი“, ნაწილი მეორე: პირველი – ბიძინა ივანიშვილს მიეძღვნა, მეორე – ჯუმბერ პატიაშვილს. ორივეს განსაკუთრებული დამსახურება აქვთ ერის წინაშე და დრო კიდევ ბევრ მათ ნაღვაწს გამოაჩენს. ერთი კომუნისტურ ეპოქაში ხელმძღვანელობდა ქვეყანას და გოჯი ქართული მიწა არ დაუთმია; მეორე გაპარტახებულ და დაცემულ ქვეყანას ჩაუდგა სათავეში და გააფთრებული იცავს ქართული მიწის თითოეულ მტკაველს და თითოეულ ქართველს შინა და გარე მტრისგან. ორივეს ერთი მიზანი აერთიანებს და ერთი ოცნება-საქართველოს გაბრწყინება!

ჭაბუა ამირეჯიბი ამბობდა: „საქართველოს ცეკას მდივნებიდან ჯუმბერ პატიაშვილი ყველაზე ბრძენი და ვაჟკაცი იყო“.

კითხვაზე, როგორ უნდა გადარჩენილიყო საქართველო სააკაშვილის რეჟიმისგან, ჭაბუამ დაფაზე დაწერა: ბიძინა ივანიშვილი!

ღმერთო, შენ მოუმართე ხელი და დაიცავი ისინი.

ათეისტებისა და ურწმუნოების წასაკითხი

უბრალო და მარტივი პასუხი მათთვის, ვისაც ღმერთის არსებობის არ სჯერათ ანდა სჯერათ და არ აღიარებენ წმინდა სამებას: თქვენ იმიტომ უარყოფთ სულიერ სამყაროს, რომ არ შეგიძლიათ შეიგრძნოთ იგი შეზღუდულობის გამო. ვერ გრძნობთ არაჩვეულებრივ, არაყოველდღიურ მოვლენებს, რომელიც არ ემორჩილება ფიზიკის კანონებს. თუმცა თანამედროვე ფიზიკა, განსაკუთრებით კი კვანტური, ეზოთერიკას საკმაოდ დაუახლოვდა.

აი, ის მარტივი მაგალითი ზემოთ რომ ვახსენე:

ადამიანის ცხოვრებაში სამი მდგომარეობა ანუ სამი სტადიაა:

პირველია ჩანასახის სტადია. ადამიანს არაფრის გაკეთება არ სჭირდება. საშვილოსნოში ის იღებს საკვებს, სითბოს, უსაფრთხოებას. ვერაფერს ხედავს და აცნობიერებს – ბევრი გრძნობა ჯერ-ჯერობით მიძინებულია;

მეორე სტადიაა – ადამიანი ფიზიკურ გარემოში: მისი ხუთივე გრძნობა მუშაობს, მაგრამ ის ვერ ხედავს „სულიერ“ სამყაროს ისევე, როგორც ჩანასახში ვერ ხედავდა ფიზიკურ გარემოს.

მესამე სტადიაა, როცა აკეთებს ხარისხიან ნახტომს და მის წინაშე იშლება სულიერი სამყარო. ეს გახლავთ ის დონე, რომელიც გაცილებით მაღლაა ფიზიკურ დონესთან შედარებით. ადამიანს ეხსნება ე.წ. მეექვსე გრძნობა, რომელსაც ხელეწიფება შეიმეცნოს უფლის გზა და ამ სტადიაში ადამიანის გონება მზად არის სულიერი სიცოცხლის დასაწყებად.

ხედავთ რა მარტივია? ისინი ვისაც ღმერთის არ სჯერა, მეორე სტადიაზე დარჩნენ და სულიერად ჯერ-ჯერობით ვერ დაიბადნენ.

თუ ისინი თავისი ცხოვრების განმავლობაში ვერ მიაღწევენ მესამე დონეს, მათი სიცოცხლე იქნება ციყვის შრომა ბორბალში. გეტყვით, რომ ადამიანმა თავად უნდა გააკეთოს ხარისხის

ამაღლების ნახტომი სულიერ სამყაროში, არა ვინმეს ბრძანებით (რაც შეუძლებელია), არამედ მორწმუნეებთან საუბრებით და ურთიერთობით, შემდეგ კი მათი სწავლებების გაანალიზებით. სულიერი სამყარო რომ შეიმეცნო, წმინდა წერილები უნდა იკითხო მორწმუნესგან რჩევის მიღების შემდეგ. თუ ის ვერ აგიხსნის, მიდი მღვდელთან, უთხარი, რომ უფლის გაცნობა გინდა. ის სიხარულით და სიყვარულით დაგეხმარება, შენი საუკეთესო მეგობარი გახდება, როცა შენი სურვილის შესახებ შეიტყობს. ხელს ჩაგკიდებს და გაგიძღვება სიცოცხლის გზაზე. აი, ეს იქნება პირველი ნაბიჯი და ძლიერი ბიძგი მესამე სტადიისკენ. საშუალება მოგეცემა შეეხო სულიერ სამყაროს.

რომან რურუა

...და სწორედ მაშინ, როცა დავწერე „დაიცავი ისინი“ და წერტილი დავსვი, ჩემთან, ღვთის მონა ზაალ ნემსაძესთან ისევ მოვიდა ის, რომელიც მოდის, როცა ვწერთ, ვხატავთ, მელოდიას ვქმნით, ვენახს ვუვლით და სიკეთეს ვაკეთებთ... მოვიდა და მითხრა: – არის კაცი შენი ტომის, რომელიც უფლის წინაშე დგომის მაგალითს აძლევს თანამოძმეთ და ვისზედაც ქრისტემ მძლავრად დაბერტყა თავისი აუწონელი სიკეთის კალთა. აბა, დაფიქრდი და გაიხსენე, ვინ არის შენს ნაცნობ-მეგობრებში ის, ვინც წერს, ვენახს უვლის, ძროხას წველის, ფუტკარს აშენებს და ვინც მსოფლიოში გაიტანა ქართული გამჭრიახობა და ენით უთქმელი ვაჟკაცობა; ვინც ღვთის ძალით და წყალობით აღვსილი, წაქცეული არავის უნახავს და ვისაც ჩემპიონის სახელით იცნობს დიდი და პატარა... ხვდები, ვისზე მიგანიშნებ?

– ვხვდები, – ვთქვი ხმამაღლა, – რომან რურუა!

– და წავიდა იგი „ტურფასა საბაღნაროსა“... შუქი ავანთე, კარადაში რომანის ნაჩუქარი წიგნი მოვძებნე: „ქალამნებიდან ჩემპიონობამდე და კიდევ...“ გადავშალე და თვალებს არ დავუჯერე:

„რომან ვლადიმერის ძე რურუა – დაიბადა 1942 წლის 25 ნოემბერს.

საქმე ის გახლავთ, რომ ეს ყველაფერი 24-25 ნოემბრის გასაყარზე მოხდა 00 საათზე და 37 წუთზე... 11 საათზე და 22 წუთზე დავურეკე:

– დაბადების დღეს გილოცავთ ბატონო რომან! ამ საუკუნეში ყველა 25 ნოემბრის დილა გაგითენოთ ღმერთმა!

– დიდი მადლობა, გაიხარეთ! სასწაული სიზმარი ვნახე წუხელ. უფრო ჩვენება, ვიდრე სიზმარი.

– მეც ვნახე რაღაც მაგდაგვარი, – ვეუბნები, – ახალ წიგნზე ვმუშაობ. მეგონა დავამთავრე, მაგრამ მითხრეს, რომან რურუას გარეშე, მაგ თემას სრულყოფილება არ ექნებაო.

– ვინ გითხრა? – დადარაჯებული ხმით მკითხა.

– იმან, ვინც სახრით მიმდენის ხოლმე საწერ მაგიდასთან.

– მუზა გწვევია ჩემო ზაალ, თუ მაგ საქმეში გამოგადგები, მზად ვარ. თან სიზმარ-ჩვენებაში გამზდელი ბებია ვიხილე – მღელვარება შეეპარა ხმაში.

– ჩემპიონი ბებია! – წამოვიძახე და გამახსენდა ჩემპიონის მედლით დამშვენებული ბებო, მინა გახოკია, – რა გვიბრძანა ქალბატონმა მინამ?

– ჭეშმარიტებაზე და სიცოცხლეზე მესაუბრა...

ორი საათის შემდეგ რომანთან ვიჯექი.

– ბებია უაღრესად მორწმუნე ქალი იყო, – დაიწყო რომანმა, – დილას ლოცვით იწყებდა და საღამოს მწუხრის ლოცვით ამთავრებდა. უზარმაზარი შინაგანი კულტურისა და ზნეობის განსახიერება გახლდაო. შრომა უყვარდა, ქვრივი იყო, მაგრამ ჭირნახული ყოველთვის სხვაზე მეტი ჰქონდა. მისგან სესხულობდნენ ფქვილს, ყველს, სიმინდს, ფულსაც კი. საქონელი ყოველთვის ჰყავდა, ვენახიც ჰქონდა. 1966 წელს, როცა ტოლიდოში მივემგზავრებოდი ჩემს პირველ მსოფლიო ჩემპიონატზე, მინა ბებიამ ზუსტად ისე დამარიგა და სახარებიდან ის ადგილი მიამბო, როგორც წუხელ. მაშინ ოცდაოთხი წლის ვხდებოდი, ახლა კი სამჯერ მეტი წელი მოვიტოვე, ანუ დეჟავუ ნახევარი საუკუნის შემდეგ!

– 54 წელია გასული.

– ეჰ, მაშინ ჩემი კოხტა მინა ცოცხალი მყავდა, ახლა კი ნახევარი საუკუნეა გასული მისი გარდაცვალებიდან. თუ ძმა ხარ, ჩართე დიქტოფონი და მოგიყვები, რაც კი გამახსენდება.

იმას, რაც ბატონი რომანისგან მოვისმინე „ჭეშმარიტება და სიცოცხლე“ ვუწოდე.

– მე ვარ გზა. ჭეშმარიტება და სიცოცხლე. მამასთან ვერავინ მივა, თუ არა ჩემი ნებით, – გავიმეორე და გონებაში ოქროსმედლიანი ბებო ამომიტივტივდა. თუმცა რა გონებაში, აგერ ეკიდა კედელზე. რომანმა თვალი გააყოლა ჩემს მზერას და გაეღიმა:

– ეს ოქრო ტოლიდოდანაა. მაშინ, 1966 წელს პირველად გავხდი მსოფლიოს ჩემპიონი. ფინალში ძველი ჩემპიონის გუსტავ

ფრეის შვილს შევხვდი. სუფთა რომ მომეგო, ირანელი მეორე, ხოლო შვედი მესამე ადგილზე გავიდოდა. ჩემს ხელში იყო მათთვის ადგილების განაწილება. შვედი ნაკლები ქულებით დავამარცხე და ამით საშუალება მივეცი, მეორე ადგილის მფლობელი გამხდარიყო.

– ირანელს რას ერჩოდი?

– გამაბრაზა ფინალის წინ. ჯერ ხმა გაავრცელა, თითქოს უარს ამბობდა ჭიდაობაზე. გამოგვაცხადეს თუ არა, ხალიჩაზე ჩემზე ადრე შევარდა. ეს აფერისტობა არ იკმარა და პაექრობის დროს, ხალიჩის მიღმა გასულს უკან მომეპარა, ვითომ ხალიჩაზე ეგონა თავი. ხელები მომხვია და იატაკზე თავით დამარჭო. მისი მხრიდან ეს დიდი უხეშობა იყო. ჩემს გაბრაზებას კი დღესაც არავის ვურჩევ. ისეთ დღეში ჩავაგდე და იმხელა უპირატესობით მოვუგე, სჯობდა უარი ეთქვა ჭიდაობაზე, – ღრმად ამოისუნთქა რომანმა და გამომხედა, – ჭიდაობაზე თუ შევყევი საუბარს, ახალ წლამდე გამიგრძელდება. შენ ის ჩაწერე, რა მითხრა მინამ 24 წლის და 78 წლის რომან რურუას:

ჭეშმარიტება და სიცოცხლე

მინა გახოკიას მონაყოლი: – ნამდვილი და გადამრჩენელი რწმენა ჩვენი უფლის მიმართ, იწყება მაშინ, როცა ადამიანი იგრძნობს სულიერ სიცარიელეს, სიბრმავეს და ცოდვებისგან გათავისუფლების საჭიროებას. როცა ხვდები, რომ აღარაფერი დარჩა შენში, აღარაფერი გაქვს საიმისოდ, რომ გადარჩე, ამ დროს თუ იგრძნობ, რომ არსებობს ის, ვინც გადაგარჩენს და ყოველ წამს მზად არის ამისთვის, უკვე გადარჩენის გზაზე დგახარ. ჩვენი ყოფილი მღვდელი, რომელსაც ბევრი ადამიანის აღსარება აქვს მიღებული, ამბობდა, რომ აღსარების დროს უმრავლესობა, მხოლოდ სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში იბრძოდა სულის გადარჩენისთვის. ამაშიც არაფერია დასაძრახი, რადგან უფალი თანაბარი საზღაურით უზღავს მთელი დღის მშრომელსაც და უკანასკნელი ჟამის მუშაკსაც, მაგრამ ცხოვრებაში ხშირად დგება მომენტი, როცა ვერ ასწრებს მუშაკო-

ბას და მონანიების გარეშე რჩები. ამიტომ არ უნდა დააგვიანო იესოსთან შეხვედრა. ის ყოველთვის შენს გვერდითაა, ლამის ყოველ წამს გეხება, შრომობს შენთვის, უახლოესი მეგობარია, შენი ცოდვებისთვის მოკვდა და შენი სიცოცხლისთვის აღდგა. არავინ გყავს მასზე ძვირფასი და შენ, იმის მაგივრად, დააფასო შენი გადამრჩენელი და მაცხოვარი, ყრუ და ბრმა ხარ მის მიმართ...

მარკოზის სახარების მეათე თავში მოთხრობილია ბრმა ბარტიმეოსის განკურნების შესახებ:

„მოვიდნენ იერიხონს. იერიხონიდან რომ გადიოდა, თავის მოწაფეებთან და დიდძალ ხალხთან ერთად, გზის პირას იჯდა ბრმა მათხოვარი, ტიმეს ძე, ბარტიმეოსი.

როგორც კი ყური მოჰკრა, რომ ეს იესო ნაზარეველიაო, მორთო ყვირილი და ამბობდა: „იესო, დავითის ძეო, შემიწყალე!“

ბევრი უწყრებოდა მას, რომ გაეჩუმებინათ, მაგრამ უფრო მეტად ყვიროდა: „დავითის ძეო, შემიწყალე!“

შედგა იესო და თქვა: „დაუძახეთ მას!“ დაუძახეს ბრმას და უთხრეს: „ნუ გეშინია, ადექი, გეძახის.“

მან გადაიგდო მოსასხამი, ადგა და მივიდა იესოსთან.

იესომ მიუგო მას: „რა გინდა, რომ გაგიკეთო?“ ბრმამ უთხრა: „რაბუნი, რომ თვალი ამეხილოს“.

იესომ უთხრა მას: „წადი, შენმა რწმენამ გიხსნა“ და მას მყისვე აეხილა თვალი და გაედევნა იესოს გზაზე“ (მარკოზი 10:46-52).

ყურადღება მიაქციე იესოს სიტყვებს: „წადი, შენმა რწმენამ გიხსნა“.

ასეა, უფალი ყოველთვის ხარობს ჩვენი რწმენით, რადგან „ხოლო რწმენის გარეშე შეუძლებელია ღვთისთვის მოსაწონად ყოფნა, ვინაიდან ვინც ღმერთთან მიდის, უნდა სწამდეს, რომ ღმერთი არსებობს და თავის მაძიებელს სანაცვლოს მიაგებს“ (ებრ. 11:6).

„ვინაიდან მადლით ხართ გადარჩენილები, რწმენის მეშვეობით, და ეს თქვენგან კი არ არის, არამედ ღვთის ნიჭია“ (ეფეს. 2:8).

როცა ბარტიმეოსმა იესოს სიახლოვე იგრძნო, ის მიხვდა, რომ ხსნა ახლოს იყო... იესოს სახელი მაშინ მთელ იუდეას პირზე ეკერა და ბრმა მათხოვარს, რომელიც გზის გასაყარზე იჯდა და ირგვლივ მილეთის ხალხი ირეოდა, ბევრი რამ სმენოდა ქრისტეს სწავლებისა და სასწაულების შესახებ. უეჭველია, მას გაეგონა იერიქონშივე მცხოვრები, მებაჟეთა უფროსის, უმდიდრესი ზაქეს შესახებ, როდესაც იგი იესოს ხილვის აუტანელი სურვილით აღვსილი, ლეღვის ხიდან უჭვრეტდა უფალს და მისი წყალობა რომ დაემსახურებინა, ქონების ნახევარი დაურიგა ღარიბებს. ზაქემ რწმენით მიიღო უფალი და გადარჩა. რასაც უფლის შესახებ ისმენდა, ბარტიმეოსის რწმენას კიდევ უფრო განამტკიცებდა და ერთ მშვენიერ დღეს, ბრმის მახვილ სმენას მისწვდა ხალხის შორეული ხმაური და ფეხების ტყაპა-ტყუპი. იგრძნო, რომ ხალხის დიდი ბრბო უახლოვდებოდა. „ნუთუ იესო მობრძანდება? მხოლოდ მას დაჰყვება უამრავი ხალხი“, – გაიფიქრა ბარტიმეოსმა. დიახ, ასე იყო! გამვლელ-გამომვლელმა მისი ვარაუდი დაადასტურა: ქრისტე იერიქონიდან იერუსალიმს მობრძანდებოდა.

ან ახლა, ან არასოდეს! შემოსძახა ბრმას შინაგანმა ხმამ. შენი დრო დადგა! გამოიყენე ის დღესვე, ამ წუთას, ამ წამს. ხმაური მოახლოვდა, ზედ მოადგა და უცებ გაისმა განწირული, თითქოს წყალწაღებულის განმგმირავი ღრიალი: „იესო, დავითის ძე, შემიწყალე!“

ამ ღრიალით შეშფოთებულნი, შეიძლება შეშინებულნიც, უწყრებოდნენ და აჩუმებდნენ მას, მაგრამ ის ჩირად არავის აგდებდა, უფრო მეტი ხმით ყვიროდა, რადგან იცოდა ამ წუთების და ამ შეხვედრის მთელი სიდიადის შესახებ. მოკვდებოდა და ხსნის ამ უნიკალურ შანსს ხელიდან არ გაუშვებდა. არც გაუშვა! სრულიად გამოიყენა თავისი ფიზიკური შესაძლებლობები და მისაღები მიიღო... და არა მარტო! გაუნათდა არა მარტო თვალები, არამედ მთავარი – სული! დიახ, მისი სული გადარჩა!

ასეა ჩემო ძვირფასო, ასეთ შესაძლებლობას, ჩვენი ცხოვრების განმავლობაში, უფალი ყველას გვაძლევს. ბარტიმეოსივ-

ით გამოიყენე ის, რომ მერე არ ივაგლახო. „ეჰ, რომ მცოდნოდა ეს იყო ერთადერთი შანსი, ხომ გამოვიყენებდი. ახლა კი გვიანააო“. თუ გვიანაა, შე გასახარებელო და კარგად სამყოფო და ამ დასკვნამდე მიხვედი, წამითაც ნუ გადადებ დროს ხსნისას, რომ მერე სამუდამოდ არ იყოს გვიან.

ყურადღება მიაქციე! როცა ბარტიმეოსი უფალს ეძახის, როგორ ცდილობენ ირგვლივ მყოფნი ამ ხმის ჩახშობას და როგორ აჩუმებენ მას. ვინ იყვნენ ისინი? ძირითადად რელიგიური ხალხი, რომელიც იერუსალიმში მიდიოდა პასექის დღესასწაულზე. თითქოს ისინი ბრმას სხვაგვარად უნდა მოქცეოდნენ. მხარი უნდა დაეჭირათ მისთვის, ყოფა შეემსუბუქებინათ. ეს უფრო ლოგიკური იქნებოდა, მაგრამ პირიქით მოხდა. იქნებ მათ ეგონათ, რომ უმჯობესი იყო, ბარტიმეოსი დარბაისლურად, ყვირილისა და აღელვების გარეშე ხლებოდა ქრისტეს, თუმცა უფლისადმი ცოცხალმა და ყოვლისმომცველმა რწმენამ ააყვირა და ააღელვა ბარტიმეოსი. საეჭვოა, მათ სცოდნოდათ, რომ ისინი უფრო ბრმები იყვნენ, ვიდრე გზაზე მჯდარი მათხოვარი: „ურწმუნოთათვის, რომელთაც ამ წუთისოფლის ღმერთმა დაუბრმავა გონება, რათა მათთვის არ ებრწყინა სახარებისეულ ნათელს ქრისტეს დიდებისა, იმისი ვინც უხილავი ღვთის ხატია“ (კორ. 4:4).

ამ ხალხის დიდი ნაწილი, ისრულებდა რა საკუთარ მოთხოვნილებებს და ვნებებს, არ აცნობიერებდა, რომ თავად იყო სულით ბრმა და დაღუპვის პირას იდგა: „ვინაიდან შენ ამბობ: მე მდიდარი ვარ, გავმდიდრდი და არაფერი მაკლიაო. ის კი არ იცი, რომ უბედური ხარ და საცოდავი, ღატაკი, ბრმა და შიშველი“ (გამოცხ. 3:17).

ეს ბრმა მიმართავს იესოს პირადად, შუამავლის გარეშე. ცოდვილის გულწრფელმა და გულმხურვალე ლოცვამ მიაღწია ღმერთამდე. იესო შეჩერდა და ბრძანა, დაეძახათ მისთვის, რადგან „...ჩემმა ხელმა შექმნა ეს ყველაფერი და ასე გაჩნდა ეს ყველაფერი, ამბობს უფალი. აი, ვის მივაპყრობ მზერას – გლახაკს თუ სულგამწარებულს, ჩემი სიტყვების მოშიშს“ (ესაია 66:2).

როცა იესოსკენ გარბის, ბარტიმეოსი მოსასხამს გადაიგდებს, ინძარცვავს, იშორებს იმას, რაც ზედმეტია მისი აზრით. არადა, ეს მისი სიმდიდრეა, ერთადერთი, მართალია ძველი, მიგლეჯილ-მოგლეჯილი, მაგრამ მეტი არაფერი აქვს. ახლა ეს მას აღარ სჭირდება. მას მაცხოვარი იხმობს და უნდა წავიდეს. აი, რა არის ნამდვილი რწმენა. აი, ასე ეძახის იესო ყველა დაბადებულს. გადააგდეთ თქვენი ძველი, დახეული და ცოდვებით დამძიმებული სამოსი, ყველაფერი სხვაც, რაც ხელს გიშლით უფალთან მისვლაში. მიეახლე უფალს, ვითარცა ბარტიმეოსი, ყველაფრისგან თავისუფალი. გახსოვდეს: როცა სურვილი სინამდვილედ იქცა, ბრმადყოფილი იესოს გაჰყვა და გაჰყვა არა იმისთვის, რომ სხვათა დასანახად ყოფილიყო მისი ამალის წევრი, არამედ იმ მიზნით, რომ მასთან ერთად გაევლო ეკლიანი გზა. ყველა სხვა გზას დაღუპვისკენ მიჰყავს ადამიანის სული. იესომ ბრძანა: „მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე. მამასთან ვერავინ მივა, თუ არა ჩემით“ (იოანე. 14:6). აი, როგორი ბებიის გაზრდილი ვარ ჩემო ზაალ და როცა მეორედ გავხდი მსოფლიო ჩემპიონი, იაპონელ ფუძიმოტოსთან გადამწყვეტ პაექრობაში, სწორედ რომ ბარტიმეოსის მაგვარი რამ ჩავიდინე, – ამაყად თქვა რომანმა და ბებიის ფოტოს გახედა.

– იმ ჩემპიონატზე ლამის შეგჭამეს მსაჯებმა. უსამართლო ფრე „გაგიჩალიჩეს“ ადგილობრივ პოპესკუსთან და ისე მოაწყვეს საქმე, თუ ფუძიმოტოს სუფთად ვერ დაამარცხებდი, ფინალში სწორედ ის და პოპესკუ გავიდოდნენ, – შევაშველე სიტყვა.

– მართალი ხარ. ქულებით მოგების შემთხვევაშიც ფინალში ისინი შეხვდებოდნენ და ჩემი ბედი მათი გადასაწყვეტი ხდებოდა, – გაეცინა რომანს, – ღმერთი ვახსენე და ხალიჩაზე იმ გადაწყვეტილებით დავდექი, მოვკვდებოდი და იაპონელს და რუმინელს ერთმანეთში „ვაჭრობის“ საშუალებას არ მივცემდი.

– და ფუძიმოტო გააბრტყელე.

– უკუღმა მოგვერდი მთელი ტრაექტორიით გავუკეთე და ხიდზე დავაყენე. მიჭირავს ხიდზე. მიყვირიან, დააწვინე, დააწ-

ვინეო, მაგრამ ვგრძნობ, გამექცევა, კატასავით მოქნილი ბიჭი იყო. სახეზე დავხედე და ვხედავ, რომ ჩემი მუცელი მისი ცხვირიდან მილიმეტრებით არის დაშორებული. დარწმუნებული ვარ, უფალმა მიკარნახა, ჩემი ოდნავი რხევა და მოწინააღმდეგეს სასუნთქი არხები ჩაეკეტება. წინ წავიწიე და მისი ცხვირი დაიფარა. ფუძიმოტო ორ წამში გაბრტყელდა ხალიჩაზე... ხელიდან ძლივს გამაგდებინეს.

– ეს იყო კომბინაციური და ტაქტიკური ჭიდაობის ბრწყინვალე ნიმუში – ასეთი შეფასება მისცა ამ ორთაბრძოლას მაშინ მსოფლიო პრესამ, – ამაყად ვთქვი მე.

– ასე იყო, – გაიცინა ისევ რომანმა, – წინასწარ არ მიფიქრია, რას და როგორ გავაკეთებდი. შედეგრი სწორედ ისაა, თუ მისი ქმედება სიტუაციის მიხედვით ორგანიზმის, ჭკუისა და გონების იმ წამიერი ნაკარნახევია. ჩემი ქმედება იმ მომენტში ძალიან ჰგავდა ბარტიმეოსის საქციელს. მას უყვიროდნენ, ცდილობდნენ თავის ჭკუაზე გაეტარებინათ. მეც ასე მიყვიროდნენ, დააწვინე, დააწვინეო, მაგრამ როგორც ბარტიმეოსში სძლია უფლისადმი რწმენამ და ლტოლვამ ყველაფერს, ჩემშიც ასევე მოხდა და საბოლოო ჯამში, ორივემ გავიმარჯვეთ, ორივემ უფლის ნება შევასრულეთ.

ჩავფიქრდით...

იაპონელი ფუძიმოტოსთვის რომან რურუა ბედისწერად იქცა. 1968 წლის მეხიკოს ოლიმპიადაზე ისინი ფინალში შეერკინენ. ტოკიოს ოლიმპიადაზე მსაჯებისგან გულნატკენი რომანი, მექსიკაში გაასმაგებული ბრძოლის ჟინით მუსრავდა მეტოქეებს და ერთმანეთს მიაყოლა ერაყელი, ამერიკელი, იუგოსლავიელი, გერმანელი, თურქი და ბულგარელი მოჭიდავეები. ფინალისკენ ამ ტრიუმფალურმა სვლამ ჭიდაობის მესვეურები იმდენად დააფიქრა და დააეჭვა, სპორტსმენებიდან პირველად ის გასინჯეს დოპინგზე. ფინალში კი ძველი იაპონელი მეტოქე ჰიდეო ფუძიმოტო დახვდა. ოქროს მოსაპოვებლად რომანს ფრეც აწყობდა, რადგან შეხვედრების უმეტესობა სუფთად ჰქონდა მოგებული, იაპონელს მხოლოდ გამარჯვება

სჭირდებოდა. იაპონელთან ერთად, რურუას მსაჯებიც უნდა დაემარცხებინა, რომლებმაც მართლაც „გამოიჩინეს“ თავი და ისე გაამწარეს თავიანთი არაობიექტურობით, რომ ერთ მომენტში, ექიმს ბამბა გამოგლიჯა ხელიდან, მამაპაპურად დაახვია და თვითონ გაიკეთა ნესტოებში. საქმე იმაშია, რომ ერთ-ერთი ილეთის გაკეთებისას, რომანს ცხვირიდან სისხლი წასკდა. აი, ამ ამოტენილი ცხვირით იჭიდავა რისკის გარეშე და სიფრთხილით, შეხვედრა შეგნებულად დაამთავრა ფრედ და ოლიმპიური ოქრო მოიპოვა. ეს იყო 1968 ოლიმპიური თამაშების ბოლო ოქრო. სსრ კავშირის გუნდში რვა მსოფლიო ჩემპიონიდან ოქროს მედალოსანი მარტო რომან რურუა გახდა. ამას მოაყოლა მარ-დელ-პლატას და ედმონტონის მსოფლიო ჩემპიონატების ოქროები, ხოლო 1963-64-65-67-70-71 წლებში სსრკ ჩემპიონობა და სამჯერ ზედიზედ 1963-67-71 წლებში სსრკ ხალხთა სპარტაკიადის ჩემპიონობა.

– ბატონო რომან, – მივმართე, – მინდა თქვენი თანდასწრებით ერთი პატარა ჩანახატი წავიკითხო, რომელიც ხუთი წლის წინ დავწერე და თქვენზე გადაღებულ დოკუმენტურ ფილმს წარუმძღვარე. ფილმს „ჩემპიონი“ ვუწოდეთ:

„დღევანდელი ძნელბედობისა და უკიდურესი გაჭირვების მიუხედავად, მაინც ბედნიერი და ამაყი ერი ვართ – გმირები გვყავს! რომან რურუა ერთ-ერთი მათგანია. სპორტსმენებისთვის ის ჩემპიონია ჭიდაობაში, ბიზნესმენებისთვის – ჩემპიონია ბიზნესში, მეგობრებისთვის, მეზობლებისთვის და ახლობლებისთვის – ის ჩემპიონია მეგობრობაში, მეზობლობაში, აზროვნებაშ და უბრალოდ, ადამიანობაში. რომან რურუას საყვარელი ფრაზა – გინდათ სიმართლე და სამართალი საქართველოში? ამირჩიეთ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ. ახლა მთლად სოლომონ ბრძენივით თუ არა, ბრეჰტის აზდაკივით მიუდგომლად და სამართლიანად რომ განსჯის ყველას და ყველაფერს, ამაში ეჭვი არავის ეპარება. თუ ცოტას ვიფანტაზიორებთ და ამ სურვილს ავუსრულებთ, რურუას აქაც თავისი პირობა აქვს: „ხალხმა დამნიშნოს და ხალხმა ამირჩიოსო“.

სწორედ რომ ხალხმა, თორემ მთავრობების იმედი წესით კი უნდა დაეკარგა ამდენ ხანს. აბა, რას უნდა მიეწეროს ის საოცარი ფაქტი, რომ ქვეყნის წინაშე ამხელა დამსახურებების მიუხედავად, წინა ხელისუფლებებმა რომან რურუას, 60 მილიონ დოლარზე მეტი წაართვეს და მაინცდამაინც არც დღევანდელი ჩქარობს წართმეულის დაბრუნებას. არადა, არ არის იოლად დასაჩაგრი კაცი. ამას წინათ, ერთმა ბეჭდურმა გამოცემამ ასეთი გამოკითხვა ჩაატარა: ვინ არის მსოფლიოში ის უნუიკალური სპორტსმენი, რომელსაც ერთი ვერცხლი და ყველა დანარჩენი ოქრო აქვსო. პასუხად კი, ქართველი მოჭიდავე რომან რურუა ეწერა. კლასიკური (დღ. ბერძნულ-რომაული) ჭიდაობა მისთვის სალოცავი ტაძარივითაა, ხოლო მოჭიდავის ბეჭებს წმინდა ადგილს უწოდებს და აღშფოთებულია ჭიდაობის დღევანდელი წესებით: ესენი ბეჭებზე კოტრიალებენ და ისე აგროვებენ ქულებსო. თავად ბეჭდაუდებელი იყო. მის კბილა უცხოელი კლასიკოსები დღესაც გაკვირვებულნი და აღტაცებულნი არიან, ძალიან გვრცხვენია, მაგრამ ვერცერთმა ვერ მოვახერხეთ მისი დამარცხებაო. ის ერთი კინკილა ვერცხლიც, რომელიც ტოკიოს 1964 წლის ოლიმპიადაზე მიიღო, მსაჯების მოგონილი ფრეს „წყალობა“ იყო. იმ შეჯიბრის ოქროს მედალოსანი, უნგრელი იმრე პოიაკი, მთელი ცხოვრება რურუას მეგობარ-მეხოტბედ დარჩა და სულ იმეორებდა, ის შეხვედრა შენ მოიგე რომან, მაგრამ რაკი ჩემთვის ბოლო შანსი იყო, მსაჯებმა ძალით დამამთავრებინეს ფრედო. არბიტრები რურუას არც მერე წყალობდნენ, მაგრამ რომანი ხალიჩაზე ფეხს რომ შედგამდა, მერე მისი მომრევი დედამიწაზე აღარავინ იყო და უსამართლობასაც ყველივით სჭრიდა. დიდი გემოვნებით და განსაკუთრებული პროექტით აშენებულ სახლში, ერთ დიდ ოთახში, ლამის ერთი ტომარა მედლები და თასები აქვს გამოფენილი. მრავალ ფოტოთა შორის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ჩემპიონი ბებიის – მინა გახოკიას იდუმალღიმილიანი სახე, რომელიც თითქოს მადლს სწირავს უფალს, ასეთი შვილიშვილი რომ აჩუქა.

– ბებია დარდიანი ქალი იყო, – ნაღვლიანად ამბობს რომანი, – ორი შვილი დაეღუპა ჯარში. სიცოცხლის ბოლომდე ელოდა, იქნებ ცოცხლები არიანო. რვა შვილიშვილი ვყავდით. არ ვიცი, სხვებისგან განსხვავებით, მე მეტი შრომისმოყვარეობა შემატყო, პატივისცემა თუ მორჩილება, მაგრამ შვილიშვილებში პატარაობიდანვე გამომარჩია. გადაწყვიტა, რაც გააჩნდა, ყველაფერი ჩემთვის დაეტოვებინა. მთავარი კი, რაც მინა ბებიამ დამიტოვა და ჩამინერგა, არის უფლისადმი უზომო სიყვარული და მორჩილება, რამაც მომცა ყველაფერი ის, რაც დღემდე მაქვს. აი, ახლაც ყურში ჩამესმის იერემიას სიტყვები, რომელსაც ხშირად მიმეორებდა ბებია: „ასე ამბობს უფალი, რომელიც გვაძლევს მზეს დღის გასანათებლად, მთვარისა და ვარსკვლავის წესებს ღამის გასანათებლად, რომელიც აღძრავს ზღვას და აბობოქრებს მის ტალღებს და რომლის სახელი ცაბაოთი უფალია“ (იერემია 31:34) და თუ რამე სასიკეთოა ჩემში დღეს, იმ ცხოვრებიდან მომყვება. მომყვება დედისგან, მამისგან, ბებოსგან, მამიდისგან, იმ ადამიანებისგან, ვინც მაშინ ჩემს ირგვლივ ცხოვრობდნენ და შრომობდნენ.

და მაინც, ჩემპიონის სიძლიერე მის ღრმა განსწავლულობაშია.

– ჭიდაობისას მოწინააღმდეგის სუნთქვის მიხედვით ვგრძნობდი, როდის უნდა შემეტია და როდის გადავსულიყავი დაცვაზე. როგორც კი, ერთი ტაქტით აუჩქარდებოდა სუნთქვა, უკვე ხელში მყავდა, გადაწყვეტილი იყო შერკინების ბედი. მაშინ სად იყო კომპიუტერები და ვიდეოჩანაწერები? ბრძოლის პროცესში მის ზნე-ჩვეულებებს ნაბიჯ-ნაბიჯ ვსწავლობდი.

– სადღაც წამიკითხავს. ჩამოვიდა რურუა და დანარჩენებმა მეორე ადგილისთვის უნდა ვიბრძოლოთო, ჩემპიონობაზე ვერც ვიოცნებებთო. რამდენი ოფლის ღვრა დაგჭირდათ ვარჯიშებზე, ვიდრე იმ დონეს მიაღწევდით?

– ნუ გამახსენებ. ვერავითარი ფიზიკური შრომა ვერ შეედრება, – გაეღიმა.

– ერთხელ გატეხილი ნეკნით გააგრძელე ბრძოლა და ექიმ-

ებმა პასუხისმგებლობა მოიხსნეს შენს სიცოცხლეზე. ეგ ნეკნი ღვიძლში შეგერჭობა და დარჩები ხალიჩაზეო.

– აზარტში შევედი, თან მეტოქემ გამაბრაზა. ტრავმირებულს კი არ მომიბოდიშა და მანუგეშა, პირიქით, დავლური ჩამოუარა ყიჟინით, რურუა წავაქციეო და მივაგე საკადრისი – ერთი მოქნევით გავშალე ბეჭებზე, – გაეცინა რომანს, – რაც დრო გადის და ასაკში შევდივარ, ვრწმუნდები, რომ უფლის ხელი თუ არ ურევია, ვერაფერს მიაღწევ. ადამიანის დაცემა, გაღარიბება და თუ გნებავთ, უბედურებაც, იწყება მაშინ, როცა უფალს ივიწყებს. არავის ეგონოს, რომ უფლის სიყვარული და მორჩილება მხოლოდ ლოცვა-მუხლმოყრაშია. ღმერთის საამებელი საქმეები უნდა აკეთო. მოყვასი საკუთარი თავივით უნდა შეიყვარო, მტერ-მოშუღლისთვისაც უნდა ილოცო, რომ უფლის გზაზე დადგეს. ამდენ უპოვარს რომ ვხედავ, გული და სული მემღვრევა. ერთი ოცნება მაქვს: მინდა ყველაზე გაპარტახებული სოფელი ჩავიბარო, როგორც გამგებელმა თუ რწმუნებულმა და რამდენიმე წელიწადში ისე შევცვლი სოფელსაც და ხალხსაც, მათ ბედს ბევრი შენატრებს. ხალხმა ჯერ ღვთის სიყვარული უნდა ისწავლოს, მერე შრომასაც უკეთესად შესძლებს და სწავლასაც.

თუ იმ მიწიერ ედემს გადავხედავთ, რაც ჩემპიონის ხელმა, მონდომებამ და დიდმა ნიჭმა შექმნა მის კარ-მიდამოში, რომან რურუას სიტყვებში იოტისოდენა ეჭვსაც ვერ შეიტანთ. ხალხური ზღაპრის არ იყოს, ზოგი მცენარე კვირტშია, ზოგი – ყვავილში, ზოგს – მკვახე ასხია და ზოგს – მწიფე. რურუებთან ერთად ნახავთ წელიწადის ოთხივე დროს და ცხოველ-ფრინველთა ისეთი ნაირსახეობაა, გეგონებათ, ნოემ არარატზე ასვლამდე აქ გააღო კიდობნის კარი და სარკმელი.

– უღმრთოდ არაფერი გამოვა და არც უწიგნოდ გვეშველება, – ამბობს ჩემპიონი და იხსენებს: ერთხელ, მეგობრებთან ლხინის დროს, სადღეგრძელოში ვთქვი: „იესო ქრისტე იხსნის თავის ხალხს მათი ცოდვებისაგან“. სუფრის ზოგიერთი წევრისგან შენიშვნა დავიმსახურე: შენ ღმერთის პრივატიზებას

ნუ ახდენ აქო. ღმერთი ყველა ადამიანს ერთნაირად შეუნდობს ცოდვებსო.

– არა მეგობრებო, – განვაცხადე მტკიცედ, – იესო წუთისოფლიდან არჩევს მათ, ვინც ირწმუნა ისიც და მისი მომვლინებელიც. დიახ! იესო მოვიდა ყველასთვის და მოკვდა ყველასთვის, მაგრამ ყველა ვერ გადარჩება და ეს მაცხოვრის ბრალი როდია. ეს იმათ მოჰკითხონ საკუთარ თავს, ვინც არ მიიღო და არ გაითავისა ჯვარცმა. უფალი კი არ ირჩევს ვინმეს გადასარჩენად, არამედ გადარჩებიან ისინი, ვინც თავად ისურვებენ უფლის შვილობას. გიმეორებთ, უფალი მხოლოდ თავის შვილებს გაწმენდს ცოდვებისგან. აი, რა წერია ახალ აღთქმაში:

„არ არსებობს სხვა სახარება, მაგრამ არსებობენ ადამიანები, რომელთაც არეულობა შეაქვთ თქვენში და სურთ დაამახინჯონ ქრისტეს სახარება...

ახლა ადამიანებთან ვეძებ კეთილნებობას თუ ღმერთთან? თუ ვცდილობ ადამიანებს ვაამო? ისევ ადამიანებს რომ ვაამებდე, ქრისტეს მონა აღარ ვიქნებოდი“ (გალატელთა 1:7,10).

– შევატყვე დაფიქრდნენ და გამოცხადებიდან ვთქვი: „აჰა, ვდგავარ კართან და ვრეკ. თუ ვინმე მოისმენს ჩემს ხმას და გამიღებს კარს, შევალ მასთან. მე მასთან ვივახშმებ და ის ჩემთან“. (გამოცხ. 3:20). ამიტომ გეუბნებით, – გავხედე სუფრას, – არჩევანი ჩვენზეა. ჩვენი უმეცრება კი ის არის, რომ ხშირად, ოჩანი ვირივით ვჯიუტობთ და ვყოყმანობთ. არადა, უფალში განუსაზღვრელი და დაუსაბამო თავისუფლება და წყალობაა: „ვერც მეძავნი, ვერც კერპთაყვანისმცემლები, ვერც მრუშნი, ვერც მხდალნი, ვერც მამათმავალნი, ვერც მპარავნი, ვერც ხარბნი, ვერც ლოთნი, ვერც მლანძღველნი, ვერც მტაცებელნი ვერ დაიმკვიდრებენ ღვთის სასუფეველს“ (კორ. 6:9-10).

რომ გითხრა, ყველა აღტაცებული შეხვდა ჩემს შეგონებას, არ ვიქნები მართალი. ალბათ ზოგმა შეისმინა, ზოგმა – არა, მაგრამ იმითაც ბედნიერი ვიქნები, თუ ერთმა მათგანმა მაინც აიღო სახარება ხელში იმ საღამოს მერე, – თქვა ჩემპიონმა...

აივანზე ერთად გავედით და ჯვრის მონასტერს გავხედეთ.

უფლის სახლს ნოემბრის ჩამავალი მზის სუსტი ნათელი აჩნდა და თავისი ყოვლისშემძლე ჯვარით სამყაროს გვირგვინად ადგა...

– ამის პატრონი იფიქრებ, რომ ცოდვილ დედამიწაზე ამდენი უსამართლობა ტრიალებს? – მეკითხება ჩემპიონი და განაგრძობს, – ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებზე მსაჯების თვითნებობას რა ვუთხარი, თორემ ოქრო უნდა ჩამომეტანა. ის შენი ნახსენები პოიაკი სამჯერ ჩავაყენე ჩოქბჯენში, თუმცა არბიტრებმა ერთხელაც „ვერ შენიშნეს“.

ილიმპიადის შემდეგ ლოზანაში – ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის შტაბ-ბინაში ამ ორთაბრძოლის ფირი ვნახეთ. ყველამ აღიარა, რომ მსაჯები შეცდნენ, 3:0 გავიმარჯვე, მაგრამ შედეგი არავის შეუცვლია. სხვათა შორის ტოკიოშივე, ოლიმპიურ სოფელში მოვიდა და მომიბოდიშა. მის დაკრძალვაზეც მიმიწვიეს უნგრეთში. სახელოვანი სპორტსმენების – ლასლო პაპისა და ფერენც პუშკაშის გვერდით დაასაფლავეს, სადაც მადიართა ყველა დროის უდიდესი ადამიანები განისვენებენ.

– ნუთუ ტოლ-სწორი არ გყავდა კლასიკოსებში? აბურთავებდი ყველას?

– არავინ იყო მაშინ ჩემი მომრევი. ტოლედოს მსოფლიო ჩემპიონატზე 6 მეტოქე დავამარცხე ქულათა საერთო ანგარიშით 82:0 და ისე ავედი კვრაცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე.

მართლაც საოცარი პიროვნებაა ჩემპიონი. როცა მთელი საქართველო ქალაქისკენ გარბოდა, რურუა ოჯახით მცხეთაში, ღართისკარისხევში გადასახლდა, უკაცრიელი ადგილი წალკოტად აქცია. შრომას მზის ამოსვლამდე იწყებს: თავად ხნავს, თესავს, თოხნის, ბარავს, კრეფს, ამყნობს, რწყავს. არც საქვეყნო საქმეს, ახლობლებსა და ნაცნობ-მეგობრებს ივიწყებს – ხალიჩაზე შეუდარებელი მორკინალი სიკეთის თესვაში და ადამიანურ ურთიერთობებშიც გამორჩეულია და რაც მთავარია, ბიბლიური ბარტიმეოსივით შეუძლია უკანასკნელი ლუკმა გაუყოს თანამოძმეთ.

ნონა გაფრინდაშვილი

„ერთი დედაკაცი, ქალაქ თიატორიდან, სახელად ლიდია, ძოწეულთმოვაჭრე, ღვთისმოშიში, ისმენდა. უფალმა გაუხსნა გული პავლეს სიტყვების მოსასმენად.

როდესაც მოინათლნენ ის და მისი სახლობა, გვთხოვა და გვითხრა: „თუ უფლის მორწმუნეთ შემრაცხეთ, მოდით ჩემს სახლში და დარჩით. და დაგვიყოლია“ (საქმეები 16:14-15).

„და ნახა ერთი იუდეველი, სახელად აკვილა, წარმოშობით პონტოელი და მისი ცოლი პრისკილა, იტალიიდან ახლად დაბრუნებულნი, ვინაიდან კლავდიუსმა ბრძანა ყველა იუდეველი რომიდან გამოეძევებინათ და მივიდა მათთან.

და რაკი ერთი ხელობისანი იყვნენ, დარჩა მათთან და შრომობდა, ვინაიდან მათი ხელობაც მეკარვეობა იყო“ (საქმეები 18:2-3).

რომაელ ქალთა უმრავლესობა ძირითადად დიასახლისი იყო, ხოლო დიდგვაროვანი გარკვეულ განათლებას იღებდა და თავისუფალ დროს გართობებში ატარებდა. იყვნენ და არცთუ ცოტა, რომლებიც ოჯახის გარეთ შრომობდნენ დილიდან გვიან ღამემდე.

პარადოქსია, მაგრამ ასეთი ქალები უფრო აქტიურები იყვნენ საზოგადო საქმეებში და სოციალურ სფეროში, ვიდრე დიდგვაროვანნი, ვინაიდან იძულებულნი იყვნენ სხვადასხვა ხერხისთვის მიემართათ ოჯახის გამოსაკვებად. ზემოთ მოხსენიებული ლიდია და პრისკილა ვაჭრობით და მეკარვეობით ირჩენდნენ თავს.

უნდა აღინიშნოს, რომ მაშინდელ რომში კრიმინალი ჰყვაოდა და საშინელი სანიტარული პირობები იყო. ცუდი სანიტარიისა და მედიცინის გამო ქალების მეექვსედი მშობიარობის დროს იღუპებოდა. ახალშობილთა მხოლოდ ნახევარი აღწევდა ხუთ წლამდე. წარმოიდგინეთ, რა ძალისხმევის ფასად უხდებოდათ ყოფა იმ დროის ადამიანებს. გაცილებით უკეთესი სიტუაცია იყო სოფლებში, სადაც მოსახლეობის 90% ცხოვრობდა,

მაგრამ სწორედ რომში, ქალაქში იწყებოდა ძველ ქრისტიანთა რელიგიური ცხოვრება.

იმ დროს, ქრისტიანებს ჯერ არ ჰქონდათ ღვთისმსახურებისთვის ეკლესიები და ტაძრები. ისინი შეკრებებს სახლებში ან სუფთა ჰაერზე, ბაღებში ატარებდნენ. ღვთისმსახურებაში შედიოდა ლოცვები, გალობა და ქადაგება, აგრეთვე ერთობლივი ტრაპეზი-სერობა, რომელსაც თავად იესომ დაუდო სათავე:

„როცა ისინი ჭამდნენ, აიღო იესომ პური, აკურთხა, დატეხა, მისცა მათ და თქვა: „აიღეთ და ჭამეთ – ეს ჩემი სხეულია“.

აიღო სასმისი, მადლი შესწირა და მისცა მათ და იქედან შესვა ყველამ.

უთხრა მათ: „ეს არის ჩემი სისხლი ახალი აღთქმისა, მრავალთათვის დაღვრილი.

ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: მეტს აღარ შევსვამ ვაზის ნაყოფისგან იმ დღემდე, როცა შევსვამ ახალს ღვთის სასუფეველში“ (მარკ. 14:22-25).

თანდათან ეს ტრაპეზი საიდუმლოდ იქცა, სადაც ქალები უდიდეს როლს თამაშობდნენ. სწორედ ისინი ამზადებდნენ საიუბილეო სერობებზე საჭმელს, ტრაპეზში მამაკაცთა თანაბრად მონაწილეობდნენ და ხშირად, ამ ადრეული საეკლესიო მსახურების დროს ხელმძღვანელობის ამბიციებიც კი უჩნდებოდათ.

ქალები სხვებთან ერთად აღავლენდნენ ლოცვებს. მოციქულთა საქმეებში ვკითხულობთ, რომ ქრისტიანული შეკრებების მთავარი ნაწილი სწორედ ლოცვები იყო, რომელსაც ქალები და კაცები ერთად აღავლენდნენ.

„ისინი ყველანი ერთსულოვნად გამუდმებულ ლოცვა-ვედრებაში იყვნენ დედაკაცებთან, იესოს დედასთან მარიამთან და მის ძმებთან ერთად“ (საქმეები 1:14).

ანალოგიური სიტუაციაა აღწერილი საქმეების 12:12-25-შიც, როცა პეტრე მოციქული აკაკუნებს მარკოზად წოდებული იოანეს დედის, მარიამის სახლის ჭიშკარზე, „სადაც მრავალნი შეკრებილიყვნენ და ლოცულობდნენ“. კარის გასაღებად ვინ გამოდის? „ერთი მოახლე, სახელად როდე“.

ამას გარდა, ქალები კითხულობდნენ და ავრცელებდნენ წმინდა წერილს... და ზოგიერთი ქალბატონი მამაკაცზე უკეთ აკეთებდა ამას. ერთ იუდეველ კაცს, სახელად აპოლონს, ენამჭევრს და ძლიერს წერილებში, რომელიც ზუსტად ასწავლიდა იესოს შესახებ, ოღონდ მარტო იოანეს ნათლისცემა იცოდა... „მან გაბედულად დაიწყო ლაპარაკი სინაგოგაში. რომ მოუსმინეს, აკვილამ და პრისკელამ თან წაიყვანეს და უფრო ზუსტად აუხსნეს უფლის გზა“. (საქმეები 18:24-26).

ქალები ქველმოქმედებასაც ეწეოდნენ – სამოსს და საკვებს ურიგებდნენ უპოვართ. გავიხსენოთ ტაბითას ისტორია:

„ხოლო იაფოში იყო ერთი მოწაფე დედაკაცი, სახელად ტაბითა, რაც თარგმანებით ნიშნავს ქურციკს. იგი სავსე იყო კეთილი საქმეებითა და მოწყალებით, რასაც იქმოდა.

იმ დღეებში იყო რომ ავად გახდა იგი და მოკვდა. განბანეს და დაასვეენეს ზედა თვალში.

ვინაიდან ლიდა იაფოს ახლოს მდებარეობდა, მოწაფეებმა შეიტყვეს პეტრე აქ არისო და ორი კაცი გაუგზავნეს სათხოვნელად, რომ არ დაეყოვნებინა მათთან მისვლა.

ადგა პეტრე და წავიდა მათთან. როცა მივიდა, აიყვანეს ზედა თვალში. მის წინაშე წარსდგა ყველა ქვრივი. ისინი ტიროდნენ და უჩვენებდნენ მოსასხამებსა და სამოსელს, რომლებსაც ქურციკი უკეთებდა, სანამ მათთან იყო“ (საქმეები 9:36-39).

და მოციქულთა თავმა, წმინდა პეტრემ მკვდრეთით აღადგინა ტაბითა მის მიერ ჩადენილი ქველმოქმედების გამო და წმიდებსა და ქვრივებს ცოცხალი წარუდგინა იგი.

საერთოდ, ადრეულ ეკლესიაში გამეფებული აზრით, განურჩევლად სქესისა, ყველა ადამიანი უფლის ქმნილებას წარმოადგენს და თანაბარია. ამიტომ ეკლესია თავის რიგებში იღებდა მონებსაც მათი ბატონების დაუკითხავად. იღებდა ქალებს, მათი ქმრების თანხმობის გარეშე. ეს გახლდათ ნამდვილი გარდატეხა რომის პატრიარქალური ყოფის და სწორედ ეს იყო ერთერთი მიზეზი მრავალ სხვა მიზეზს შორის, რის გამოც დაიწყო ქრისტიანთა დევნა. უბირები ქრისტიანებს – „ათეისტებს“ უწ-

ოდებდნენ იმის გამო, რომ ისინი თაყვანს არ სცემდნენ ცრუ ღმერთებს, არც შესაწირავი მიჰქონდათ სამსხვერპლოზე და არც წარმართულ დღესასწაულებში მონაწილეობდნენ.

სწორედ ეკლესიის დევნის პერიოდში იღებს სათავეს დიაკონისას ინსტიტუტი ეკლესიაში. ჯერ კიდევ პავლე მოციქული სწერდა რომაელებს: „აჰა, წარმოგიდგენთ ჩვენს დას ფიბეს, რომელიც არის კენქრელთა ეკლესიის მსახური“ (რომ. 16:1).

დევნა-შევიწროვების დროს, ქალებზე იშვიათად მიჰქონდათ ეჭვი. ალბათ ამან განაპირობა დიაკონისების პოპულარობა.

მოციქულებმა სპეციალური ლოცვა შემოიღეს დიაკონისების ხელდასხმის დროს. მათ განაწესში წერია, რომ დიაკონისა დიაკონის რჩევის გარეშე ნურას იქმნს და წარმოთქვამს, ამასთან ერთად ქალს არ აქვს უფლება დიაკონისას გარეშე მივიდეს დიაკონთან და ეპისკოპოსთან.

ამ ინსტიტუტმა ბიზანტიაში ჰპოვა ფართო გავრცელება – ბევრი ქალბატონი იქნა ხელდასხმული საიმპერატორო ოჯახიდან ამ პერიოდში, მაგრამ შუა საუკუნეებში დიაკონისებმა არსებობა შეწყვიტეს.

ქრისტიანობამ უფლის წინაშე გაათანაბრა მამაკაცი და დედაკაცი. ვინც საწინააღმდეგოს ამტკიცებს, შორს დგას ეკლესიისგან. ქრისტიანობის მიხედვით, ქალები მთავარი როლებისთვის შექმნა უფალმა კაცებთან ერთად და სწორედ ეს არის ერთ-ერთი მთავარი უპირატესობა ქრისტიანობისა, სხვა რელიგიებთან შედარებით.

წმინდა წიგნთა წიგნი „ბიბლია“ კიდევ მრავალ ღირსეულ ქალბატონს მოიხსენიებს, რომელთაც მამაკაცებზე არანაკლებად და ხშირად, უფრო მეტიც კი იღვაწეს უფლის სახელის განსადიდებლად... და რაოდენ ბედნიერი და ღვთით ნაკურთხი ხალხი ვართ ქართველნი, რარიგად ვუყვარვართ უფალს, რომ ბევრი გამორჩეული და ღვთის რჩეული ქალბატონი მოგვმადლა.

ნონა გაფრინდაშვილი ყრმობის ასაკიდან შემოვიდა ჩემს შემეცნებაში. ჯერ სახელი და გვარი ე.წ. „ხაზის“ რადიოდან, რომე-

ლიც ხრინწიანი ხმით, მაგრამ საზეიმოდ აცხადებდა, რომ ახალგაზრდა ქართველმა ნონამ ელისაბედ ბიკოვა დაამარცხა და ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონი გახდაო. მერე მამამ მოიტანა გაზეთი ნონას ფოტოთი. დედამ ფრთხილად ამოჭრა იგი და კედელზე გააკრა აკაკის და ვაჟას გვერდით. ასე გავიცანი ნონა, რომლის სადღეგრძელოს გარეშე ჩვენს ოჯახში მცირე თუ დიდი ლხინი არ ჩაივლიდა... გავიდა ხანი და ნონას ფანი გავხდი. 1969 წელს, როცა იგი მესამედ გახდა მსოფლიო ჩემპიონი, მისი და ალა კუშნირის ნათამაშები ფინალის ყველა პარტიას ვუყურე მეზობლებთან ერთად. ლამის მთელი ჩემი კუთხე ვალიკო ბიძიას ოჯახში ვიკრიბებოდით, მეორე სართულზე, დიდ „ზალაში“. უფროსები მაგიდასთან ისხდნენ, ბავშვები კი მაგიდის წინ იატაკზე მოვიკალათებდით და მოუთმენლად ველოდით თენგიზ გიორგაძის გამოსვლას ტელეეკრანზე, რომელიც იმ დღეს ნათამაშებ პარტიას არჩევდა. ბევრმა საერთოდ არ იცოდა ჭადრაკის თამაში, მაგრამ ყურებჩამოყრილნი უყურებდნენ პირველ ორ პარტიას, რომელიც ნონამ წააგო, თუმცა ოპტიმიზმი არ დაუკარგავთ. მეორე მარცხის შემდეგ, ოჯახის უფროსმა, სახელოვანმა კოლმეურნემ, ვალერიან (ვალიკო) ნემსაძემ ჭიქა ასწია, თავჩაქინდრულ მეზობლებს გახედა და თქვა: – მორჩა, აწი ნახავთ რა გოგოა ნონა და როგორ მიანგრევს კუშნირს. ნონას გამარჯვებას გაუმარჯოს!

დანარჩენებმა უხმოდ დალიეს. არ სჯეროდათ თითქოს. ტყუილად! ნონამ ამის შემდეგ 6 პარტია მოიგო, 5 ყაიმი დაამთავრა და მესამედ გახდა მსოფლიო ჩემპიონი... როცა ბედნიერებისგან გაბრწყინებულმა თენგიზმა ეს გვაცნობა, პარტიის დემონსტრირების დამთავრებას ვინ დაელოდა. ატყდა სიხარულის ყიჟინა და ღრიანცელი. ვეხვეოდით ერთმანეთს, ვხტუნავდით და ნონა-ნონას გავიძახოდით. ხმაურზე სონია ბიცოლამ ამოირბინა და როცა უთხრეს, ნონამ მოიგოო, იკითხა: – რა ანგარიშით?

ნონა ხალხის სიხარული და იმედი გახდა. მისი სახელი დიდს თუ პატარას პირზე ეკერა. მთავარი ის იყო, რომ ბევრმა სიბერეში ისწავლა ჭადრაკის თამაში. ჩვენს სკოლაში ტარდებოდა ჩემპიონატები მეხუთედან მეათე კლასების ჩათვლით და მერე

სკოლის ჩემპიონატი. გამარჯვებულს ლამის ხელით დაატარებდნენ: თუ ბიჭი იყო ტალს ეძახდნენ და თუ გოგო – ნონას (მიხეილ ტალი – მამაკაცებში მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში).

ნონას არასოდეს გაუცუდებია ხალხის იმედები. ის ხუთჯერ გახდა მსოფლიო ჩემპიონი, 11 გუნდური და 9 პირადი ოლიმპიური ოქროს მფლობელია. გახდა პირველი ქალბატონი გროსმაისტერი ვაჟებში. როცა თენგიზ გიორგაძის წიგნი გამოვიდა „ტახტზე მეოთხედ ავიდა“, მის გარეკანს სწორედ ნონას ფოტო ამშვენებდა და ეს წიგნი სახლში მივიტანე, 12-13 წლის ბიჭს, ბებომ, ფედოსი კირკიტაძემ, თავზე მაკოცა, წიგნი ბიბლიის გვერდით, ღვთისმშობლის ხატის ქვემოთ დადო და გადმომხედა: – ნონა მაღლიდან, ზეციდან დაბადებულია – თქვა და გამიღიმა.

ბებია უაღრესად მორწმუნე ბრძანდებოდა, თუმცა ეს იოლი საქმე არ იყო ათეისტურ სახელმწიფოში. თავად ნონაც ხომ ამ სახელმწიფოს მოქალაქე იყო და მის დაბადებამდე ათიოდე წლით ადრე საბჭოთა კავშირში, ლენინის განკარგულებით 30 ათასი მღვდელი დახვრიტეს და ასობით ეკლესია-მონასტერი გაასწორეს მიწასთან. ნონას წარმატებებით გამოწვეული გულწრფელი და გადამეტებული სიხარული ხალხის მხრიდან, ერთგვარი პროტესტი იყო ღმერთთან მებრძოლი პოლიტიკის წინააღმდეგ... და როცა ბებია ფედოსიმ ნონას „ზეციდან დაბადებული“ უწოდა და ვკითხე, რას ნიშნავდა ეს, მიპასუხა:

– რომ გაიზრდები და ბევრ რამეს ისწავლი, მიხვდები, რომ ნონა იესო ქრისტემ მოგვივლინა იმედად და სიხარულად. უფალმა ჩვენ, ადამიანები, ყველაზე ბოლოს შეგვქმნა და ყველაფერი, რაც მანამდე გააჩინა, ჩვენ მოგვცა. მოუარეთ, უპატრონეთ, როგორც საკუთარსო და ეს რომ არ დაგვავიწყდეს, უფალი წყალობის სახით გვიგზავნის ნონასნაირ ღვთისშვილებს, რომლებიც გვაყვარებენ ერთმანეთს და გვავიწყებენ ძნელბედობას.

და მე, ღვთის მონა ზაალ ნემსაძეს, ათეულობით წელი დამჭირდა იმის შესაცნობად, რას ნიშნავს „ზეციდან დაბადებული“ და ვიდრე მამა ტერენტიმ არ ამიხსნა, ბრმა და ყრუ ვიყავი უფლის ხმის მიმართ, მისი ხატების მიმართ.

ჩვენი დედა ღვთისმშობელი

ეს ამბავი გასული საუკუნის 90-იან წლებში მოხდა მოსკოვთან ახლოს, ულამაზეს პატარა ქალაქ სერგიევ-პოსადში, რომელსაც იმ დროს ჯერ კიდევ ზაგორსკი ერქვა. ქართველთათვის ეს ადგილი ძვირფასია იმის გამო, რომ აქ მართლმადიდებლური ეკლესია-მონასტრების დიდი კომპლექსია და ჩვენი საყვარელი ილია მეორე, სწორედ აქ იღებდა სასულიერო განათლებას. სერგიევ-პოსადში ყოფნის დროს საათებს ვატარებდი მთავარ ტაძარში.

თოვლიან-ყინვიანი იანვრის დილა იდგა. თავდახრილი ვიდექი ღვთისმშობლის ხატის წინ. მხარზე ფრთხილი შეხება ვიგრძენი, მოვიხედე. ჩემს წინ დაბალი ტანის, საშუალოზე ოდნავ გრძელწვერიანი, ჭროღათვალებიანი, ცოტა შესუქებული მამაო იდგა.

– მესანთლესთან გელოდებით, – მითხრა ღიმილით...

ცოტა ხანში ორივენი მესანთლე ქალბატონის წინ ვიდექით, რომელიც ყოველთვის დიდი თავაზიანობით გამოირჩეოდა, სანთლებს ღიმილით და სიყვარულით მოგაწვდიდა. თუ ვინმე, იქაური ტრადიციის არმცოდნე ფულს გაუწვდიდა, ღიმილით უთითებდა შემოწირულების ყუთისკენ. ნებისმიერს შეეძლო სანთლების აღება და თანხის სურვილისამებრ გადახდა. აქ არავინ ამოწმებდა, ექვივალენტური იყო თუ არა თანხა სანთლების ღირებულებისა.

– თუ არ გეწყინება შვილო, პირდაპირ გკითხავ, სადაური ხარ? – მკითხა მამაომ, – რუსს არ ჰგავხარ. გაკვირდები ხოლმე. მაცხოვართან რომ ილოცებ, მერე დიდხანს დგახარ ღვთისმშობლის ხატის წინ და არასოდეს წახვალ, თუ წმინდა გიორგის არ დაუნთე სანთელი.

– ქართველი ვარ, მამაო.

– დიდებული ერი ხართ შვილო, ბრწყინვალე. ცოცხალი წმინდანები გყავთ, – და პირჯვარი გადაიწერა.

– უკაცრავად მამა...

– ტერენტი, მამა ტერენტი დამიძახე.

– მამა ტერენტი. ამაზე უკეთეს ადგილს სად წავალთ, მაგრამ თუ არ მიწყენთ, აქვე, ახლოს, მოედანზე რომ კაფეა, იქ შევიდეთ, ვისადილოთ და ვისაუბროთ, – დავპატიჟე.

გამიხარდა, როცა მიპატიჟებაზე დამთანხმდა. ათიოდე წუთი მაცალე, პატარა საქმეს მოვაგვარებო და... ცოტა ხანში მყუდრო კაფეში ვიჯექით პელმენების და ბლინების გარემოცვაში.

– მამაო, ღვინო მივირთვათ თუ?

– არაყი შვილო, არაყი! ერთი ჩვენი წმინდანი ამბობდა, ჩვენ, რუსი ქრისტიანები, არაყის და სალოსის ხალხი ვართო.

– სალოსობა თუ არყის სმასთან იყო კავშირში, არ მეგონა, – გავიცინე.

– რუსეთში ასეა შვილო ჩემო, – დაბეჭდა ტერენტიმ.

როცა არყის ბოთლს ძირი მოვუმშრალეთ და მეორეზე გადავედით, ერთმანეთზე ბევრი რამ ვიცოდით...

– შენ რომ საათობით დგახარ ხოლმე ღვთისმშობლის ხატის წინ, იცოდე, რომ ეს ხატი სასწაულთმოქმედია, – მეუბნება მამაო.

– განა არსებობს ხატი, რომელიც სასწაულთმოქმედი არ არის? – ვეკითხები.

– არ არსებობს, მაგრამ ამ ხატის სასწაული თვალნათლივია, გიამბო?

თავი დავუქნიე.

– ეს ამბავი გორბაჩოვის მმართველობის ბოლო წლებში მოხდა. ჩემი ქალაქიდან 10-15 კილომეტრში დასახლებაა, გაესს ეძახიან, კარგი, კოხტა, მყუდრო ადგილია. მრავალსაუკუნოვანი სახლებიცაა, სამსართულიანებიც, ორსართულიანებიც. ათასი ჯიშის და მოდგმის ხალხი ცხოვრობს. ჰოდა, იქ, ერთი ოჯახი შეიქმნა. ახალგაზრდებმა სიყვარულით და ურთიერთპატივისცემით დაიწყეს ცხოვრება. ქმარი ბიზნესმენობდა, ცოლი ბაღის გამგე იყო. ოჯახი მალე გამდიდრდა და დიდი, ორსართულიანი სახლიც შეიძინეს, უკანასკნელ მოდაზე გაარემონტეს, ავეჯით და ტექნიკით გამოტენეს, მოდური მანქანებიც იყიდეს. ქალი

ღვთის მოშიში იყო და ხშირად მოდიოდა ჩვენს ტაძარში. გალობდა კიდეც ჩვენთან ერთად. ქმარი, აქ არასოდეს გვინახავს. აქ კი არა, ბოლოს ისე გაყოყოჩდა, სახლშიც იშვიათად მიდიოდა თურმე. დაიწყო სმა, გაიჩინა საყვარლები და ბოლოს, მოსკოვში, კაზინოს შეეჩვია და მისი აწყობილი ცხოვრება საბჭოთა კავშირთან ერთად დაიშალა. გადავარდა ვალებში და გაღარიბება-გაკოტრება ცოლს დააბრალა. შავ დღეში აგდებდა თურმე საწყალ და ალალმართალ ქალს... – აქ მამაომ თავი ჩაღუნა, ცრემლი მოიწმინდა, არაყი გადაჰკრა და შემომხედა.

– მერე რა მოხდა?

– ერთხელ, სახლდაკარგული, ცოლთან მის ერთოთახიან ბინაში შესახლებული ეს არაკაცი, დილით გამოვიდა სახლიდან ნალოთავები და ჭუჭყიან „ზაბეგალოვკაში“ შევიდა, იქნებ ვინმემ სამადლოდ არაყი დამალევინოსო. იქიდან პანღურებით გამოაგდეს, წახანხალდა და შემოდგომის ყინვის მიუხედავად, ბეტონის ბორდიურზე ჩამოჯდა. თავი უსკდებოდა.

– ჰეი, ტოლია, კარგ ცხოვრებას გამოქცეულო, მანდ რა დაგრჩენია, უკანალი გაგეყინება, – გამოსძახა ცხვირწინ დამუხრუჭებული მისი ყოფილი მანქანიდან თანაქალაქელმა ოსტაპმა, რომელმაც მისი ბიზნესი, სახლი და მანქანა იყიდა, – მოდი, ჩაჯექი, არაყზე გპატიჟებ...

რესტორანში მიიყვანა. ტოლიამ სული მოითქვა. თავის ტკივილმაც გაუარა.

– არ მოგენატრა ძველებური, აზრიანი ცხოვრება? – ჰკითხა ოსტაპმა დამტკბარი ხმით.

– რა აზრი აქვს იმაზე ოცნებას, რაც სამუდამოდ დავკარგე? – ხელი ჩაიქნია ლოთმა.

– გინდა მილიონი მოგცე? – გაუცინა ოსტაპმა.

– მადლობა. მშიოდა და გამაძღე, მაგრამ სასაცილოდ აგდების უფლებას არ მოგცემ, – შეუღრინა ტოლიამ.

– კარგი ბიზნესმენი იყავი, – დაუყვავა ოსტაპმა, – ტყუილად რომ არაფერს მოგცემენ, იცი. შენ გაქვს საქონელი, მე ფული და ვარ მყიდველი.

– სულს იქით რა მაბადია? – იკითხა ტოლიამ, – ცოლი მყავს, რომელიც მეზიზღება და მისი სორო, სადაც ვცხოვრობ.

– ჰოდა, ეგ მომყიდე, მაგაში გიხდი მილიონ დოლარს, ნაღდს, სულ ასდოლარიანი კუპიურებით. ჭკვიანი გოგრა გაქვს, მილიონს გააასმაგებ, ლუდა კი რად გინდა? არ გიყვარს, დედას აგინებ და ეშმაკებთან და ჯოჯოხეთში აგზავნი. ჰა, მილიონი შენ და ლუდა მე!

– მილიონს მართლა მომცემ? – ურწმუნო თვალებით შეხედა ტოლიამ.

– დღესვე მოგითვლი.

– თანახმა ვარ... ოღონდ ჯერ ფული... ლუდა მერე მიირთვი.

– მოტა ხელი. როგორც შეგპირდი, ფულს დღესვე მოგცემ. ლუდას კი ერთი თვის მერე წავიყვან. მანამდე სხვა საქმეები მაქვს მოსაგვარებელი...

თქვეს და გააკეთეს... სამ დღეში ცოლ-ქმარი ახალ ბინაში გადავიდა... მართალია, ეს არ იყო ის, რაც უწინ ჰქონდათ, მაგრამ ორივენი კმაყოფილნი იყვნენ. ლუდა მყის ეკლესიაში მოვიდა, ღვთისმშობლის ხატის წინ დაემხო და მხურვალე მადლობა უძღვნა მოცემული საჩუქრისთვის, შეავედრა ქმრის კარგად ყოფნა და თხოვა, ეშუამდგომლა უფალთან მისი ოჯახის ბედნიერებისთვის: „როგორც შენი უსარგებლო და უვარგისი შვილი მოგმართავ დედაო დაუსაბამო უფლისაო. შეავედრე ძესა შენსა და ღმერთსა ჩვენსა, იესო ქრისტეს, შენი უღირსი, ფეხის მტვერი შვილების სული, მოგვხედოს და მოგვცეს წყალობა“, – ღაღადებდა ლუდა.

თვე გავიდა და ოსტაპმა ნაყიდი მოითხოვა. ზნედაცემულ ტოლიას ბევრი არ უფიქრია და საღამოს ცოლს ისე არხეინად მიახალა მისი გაყიდვის ამბავი, თითქოს სერიალზე ესაუბრებოდა. ლუდა შოკში ჩავარდა. მთელი ღამე ილოცა და დილით გარეწარ ქმარს უთხრა: – თანახმა ვარ, ოღონდ ჯერ ეკლესიაში წავალ.

– მე მიგაბრძანებ ჩემო ჭკვიანო ქალო, – გაეხარდა ტოლიას და ოსტაპს დაურეკა, შეხვედრა შუადღით, ბლინების მთაზე დაუნიშნა, აფთიაქის წინ.

ორი საათი ელოდა ახალ მანქანიდან ამაყად მომზირალი

ტოლია მეუღლეს. ღთისმშობლის ხატის წინ ჩამუხლულ ლუდას ლოცვის დროს ჩაეძინა. თეთრი შალი, რომელიც თავზე ეხვია, ჩამოუვარდა და მისი სახე სანთლების შუქზე არაამქვეყნიური ნათელით გაბრწყინდა...

– შეგეძლო უფრო მალე გამობრძანებულიყავი, მოვკვდი ლოდინით, – შეუღრინა ტოლიამ თავზე და სახეზე თეთრშალმოხვეულ ქალს.

...მივიდნენ აფთიაქთან. ტოლია მანქანიდან გადმოხტა და მისკენ წამოსული ოსტაპისკენ დაიძრა.

– ვიცოდი, რომ საქმის და სიტყვის კაცი ხარ, – მხარზე დაარტყა ხელი მყიდველმა, – მობრძანდით ქალბატონო ლუდმილა. დღეიდან თქვენთვის ახალი, ბედნიერი ცხოვრება იწყება, – თავისი მანქანის კარი გაუღო ქალს, რომელიც ახლაღა გადმოვიდა ტოლიას მანქანიდან და ოსტაპისკენ დაიძრა.

– ისევ ისეთი ლამაზი ხარ? – ჰკითხა ოსტაპმა და შალი გადაუწია სახიდან, – და დაბარბაცდა, სახეში იტკიცა ხელი და მერე ორივე ხელით თმა ბღუჯად ჩამოიღო, – ეს რა ჰქენი, დამღუპე და მომსპე! გამანადგურე! ქრისტეს დედა მომიყვანე? ... და ისე მოკურცხლა, მანქანაც აღარ გახსენებია.

ტერენტის ცრემლები ღვარად ჩამოდიოდა. ცრემლები მომდიოდა მეც. ეს იყო ყველაზე დიდი შვების და სიხარულის ცრემლი, რაც ცხოვრებაში დამიღვრია. სამოცს გადავაბიჯე და ამას მხოლოდ იმ ცრემლებს შევადარებ, რომელსაც პირველი შვილის და შვილიშვილის დაბადებისას გარგუნებს უფალი... მამა ტერენტის მონაყოლმა, თითქოს, მეორედ დამბადა და მერე, როცა დავუმეგობრდი, მიმტკიცებდა, რომ ეს არის ზეციდან დაბადება.

ვმადლობ უფალს, თუ ეს მაღირსა მე, ყველაზე ცოდვილს ადამიანთა შორის... „უყვარს წყალობაი და მსჯავრი უფალსა და წყალობითა უფლისათა სავსე არს ქვეყანაი“ (ფსალმ. კანონი 5. ფ. 32,5).

მე თავმდაბალი კაცი ვარ და თავს ვერ დავდებ, ჩემს ზეციდან დაბადება – არადაბადებაზე, თუმც ოდნავადაც არ მეეჭვება და სრულ ჭეშმარიტებად მიმაჩნია ჩემი ნაშრომის მთავარ

გმირთა ზეციდან დაბადების ნამდვილობა.

„ვინც გადაარჩინა თუნდაც ერთი ადამიანი, მან გადაარჩინა მთელი სამყარო“, – წერია თორაში. თუ ჩემს უსაყვარლეს მკითხველებს შორის აღმოჩნდება თუნდაც ერთი, რომელიც მიახლოებულ რიცხვს მაინც იტყვის იმ ადამიანებისას, რომელთა სიცოცხლეც ბიძინა ივანიშვილმა გადაარჩინა, უყოყმანოდ ვაღიარებ სოლომონ ბრძენის ჯუფთად...

თუ ვინმე დამიდასტურებს მსოფლიოში რომელიმე სახელმწიფო მეთაურს, რომელიც მისი მოქალაქეების დემონსტრაციაზე დაღუპვის გამო, დაუყოვნებლივ გადადგა თანამდებობიდან, როგორც ეს ჯუმბერ პატიაშილმა გაუკეთა, მასაც სოლომონ ბრძენის ტოლ-სწორად ჩავთვლი.

როცა გატეხილი ნეკნით ხალიჩაზე შებრუნებულ რომან რურუას ექიმებმა უთხრეს, რომ სასიკვდილო საფრთხის წინ იდგა ჭიდაობის გაგრძელების შემთხვევაში და მაინც გააგრძელა ბრძოლა, ხმა შემოესმა: „რომან! ღრმად ჩაისუნთქე და ვიდრე გამძლეობა გეყოფა, სუთქვა შეიკარი!“ რომელი ჩემი უფალი მკითხველი დამადგებით პირზე და მეტყვით, რომ ეს არ იყო ხმა ზეციდან და ეს არ იყო რომანის ზეციდან დაბადება. ამის შემდეგ გახდა ის, ის რომან რურუა, საყოველთაო აღტაცებას რომ იწვევს დღემდე.

ნონა გაფრინდაშვილი – ოოო, ქალბატონ ნონას ამ მხრივ ყველაზე მეტად აქვს აჟურში საქმე. იტყვი „ნონა“ და ყველას ეღიმება, ყველას უხარია. აღარც გვარის თქმაა საჭირო და აღარც ტიტულების. ლამის სამოცი წელია უყვართ და აფანატებენ, ზეციდან დაბადებულთა შორისაც კი იშვიათია ასე უყვარდეთ ვინმე.

ამ ოთხეულის ყველა დამსახურებას ვერავინ ჩამოთვლის და მათი სიდიადე იმაშია, რომ ისინი მუდამ მწყობრში არიან. ასაკს მათთვის მნიშვნელობა არ აქვს. პირიქით, უფრო ახალგაზრდავდებიან. ზეციდან დაბადებულნი უყვარს უფალს და სამოთხის არსებობასავით მჯერა, როცა ლაზარე და სამშობლო ჩვენი აღდგება და გაივლის, ყველა ზეციდან დაბადებული დაესწრება ამ აღდგინებას...

სამი წერტილი

– რას კითხულობ მასეთს, თვალს რომ ვერ სწყვეტ და არ გვისმენ? – იკითხა მთავარმა რედაქტორმა, რომელიც ნიუსრუმის მაგიდის თავში იჯდა და მომშტერებოდა.

– ახალი აღთქმის ერთ იგავს, – ვუპასუხე.

– რაო, რას იძახის? მეორედ მოსვლის შემდეგ ისევ ასეთები ვიქნებით თუ ფრთები გამოგვესხმება? – ცბიერად გამიღიმა და თვალები მოჭუტა.

– სიკვდილის შემდეგ ისეთივე გოჩა იქნები, როგორიც ხარ. ნუ ნერვიულობ. არ მიიღებ არც ანგელოზის და არც სხვა ვინმეს სახეს. იესო ქრისტემ გვიქადაგა, რომ ადამიანური ბუნება არ გადავა ახალ ფორმაში და ისევ მიიღებს იმ პირველყოფილ სახეს, ვიდრე შესცოდავდა და უფლის წყალობას დაკარგავდა.

– ანუ რომ ჩავძაღლდები, მეორედ მოსვლის მერე ისევ ამ სახით ავღდგები? – იკითხა პოლიტიკის რუბრიკის წამყვანმა ქეთიმ და ჟურნალისტებმა ჩაიქირქილეს, ხოლო საქონელმა (გელას ეძახდნენ ასე) დაბალი ხმით თქვა: – აბა, ამან ეს ცხვირი ახალ ცხოვრებაშიც უნდა ატაროს?

– დიახ, – ვუპასუხე, – მკვდარი და მკვდრეთით აღმდგარი სხეული იდენტური იქნება, ოღონდ უხორცო. აი, რას ამბობს პავლე მოციქული, – და სახარება გადავშალე: „აი, მე საიდუმლოს გეუბნებით: ყველანი არ განვისვენებთ, მაგრამ ყველანი შევიცვლებით.

ერთ წამში, თვალის დახამხამებაზე, უკანასკნელი საყვირისას;ვინაიდან დასძახებს საყვირი და მკვდრები აღდგებიან უხრწნელად, ხოლო ჩვენ შევიცვლებით.

ვინაიდან, ეს ხრწნადი უხრწნელობით უნდა შეიმოსოს და ეს მოკვდავი უკვდავებით უნდა შეიმოსოს“ (1კორ. 15:51-53). პავლე გვასწავლის, რომ ღვთის სამეფოში საუკუნო, მუდმივი სიცოცხლე მორწმუნეთათვის იწყება მხოლოდ აღდგომის შემდეგ ახალ, უხრწნად სხეულში. ის ამბობს, რომ სიკვდილი მუდმივი არ არის. მას დიდებული აღდგომა მოჰყვება.

– ანუ რა გამოდის? – იკითხა ჯილდამ და დიდი თვალები ააფახულა.

– ის გამოდის ჩემო ჯილდა, – ვუპასუხე, – მკვდარი ადამიანი მხოლოდ სხეულია მისი, რასაც მიწას ვაბარებთ, ხოლო ადამიანში მთავარი-უფლის მსგავსი სახე-სულია და ის ცოცხალია. ის გადადის სხვა სამყაროში და იქ ცხოვრობს.

– ანუ სამოთხეზე ამბობ? – რამდენიმემ იკითხა ერთად.

თავი დავუქნიე.

– თუ ძმა ხარ, ბარემ გაგვარკვიე რა არის სამოთხე და ვისი სამოთხე უკეთესია – იუდეველების, მუსულმანების თუ ქრისტიანების? – მკითხა რედაქტორმა.

– გეტყვი, რაც ვიცი. ბევრ რელიგიაში სამოთხე არის ბედნიერების, ნეტარების, ღმერთთან ყოფნის, სიუხვის და სიმდიდრის ადგილი.

– ანუ სიამოვნება და სიხარული, – მილულა თვალები ირინამ.

– იუდაიზმით დავიწყოთ, – განვაგრძე, – მისი მთავარი წიგნია თორა, სადაც აღწერილია ადამის და ევას ცხოვრება სამოთხის ბაღში – ედემში, რომელიც გახლავთ მიწიერი სამოთხე. იქ მათ შეეძლოთ მუდმივად ეცხოვრათ, ეკონტროლებინათ მთელი დედამიწა, ისინი იყვნენ ქმნილებათა გვირგვინი. ედემი დღეს დაკარგული მიწიერი სამოთხეა: ადამის და ევას ცოდვის შემდეგ მათი სული და სხეული წახდა. ამიტომ სამოთხე შესაძლებელია მხოლოდ მხსნელის მობრძანების შემდეგ, რომელიც დაამყარებს სამართალს, ყველა მკვდარს აღადგენს. საშინელი სამსჯავროს შემდეგ მართლები იცხოვრებენ ნეტარებაში, იხილავენ სამოთხეს, ანგელოზებს, როგორც იყო ადამ და ევას დროს.

სამოთხის ასეთივე კონცეფციას იზიარებს ზოროასტრიზმი და ისლამიც. ისლამში სამოთხეს ჯანათს უწოდებენ. იუდაიზმისა და ქრისტიანობისაგან განსხვავებით, ისლამი უფრო კონკრეტულად აღწერს სამოთხეს: ყველა ბაღში არის სასახლე, სადაც ყველაფერი მორთულია ხალიჩებით, გვირგვინებით, ბალიშებით, თასებით. უხვადაა ხილი, ხორცი და ღვინო. ხალ-

ხს ამშვენებს ძვირფასეულობა და აბრეშუმი. კაცები ფლობენ დიდთვალა ულამაზეს ქალწულჰურიებს და შემორტყმულნი არიან საკუთარი ვაჟებით. მათ განკარგულებაშია ბრილიანტივით ლამაზი მსახური ბიჭები. ქალებზე კი მეტი არაფერია ნათქვამი.

ქრისტიანული წარმოდგენა სამოთხეზე გამოიხატება ღვთის სასუფევლის იდეაში. ღვთისმეტყველნი ამტკიცებენ, რომ ადამის და ევას დროინდელი სამოთხე, ეს არის ადამიანის განვითარების საწყისი ეტაპი. საერთო წარმოდგენა სამოთხეზე ქრისტიანობას არ აქვს. ზოგი სამოთხეში ღვთის სასუფეველს ხედავს, ზოგი კი მას მართლების ადგილს უწოდებს. ქრისტიანული კონცეფციით ქრისტიანის მიზანი უფალში ყოფნაა და ეს არის მისთვის სამოთხე.

სამოთხის ერთ-ერთ გამოხატულებად ითვლება წარმოდგენა ზეციური იერუსალიმის შესახებ, რომელიც მიწიერი ბაბილონის დაპირისპირებაა. იოანეს „გამოცხადებაში“ ზეციური იერუსალიმი არის უფლის და ანგელოზების დავანების ქალაქი-მაღალი კედლებით, სადაც არასოდეს ღამდება, მუდმივი სინათლე სუფევს, ყველა ემსახურება უფალს და ცხოვრების ხე ყოველთვიურად იძლევა ნაყოფს. ასე, რომ ჩემო კოლეგებო და მეგობრებო, სამივე რელიგიაში სამოთხის კონცეფციას აქვს განსხვავებული თავისებურებანი. იუდაიზმში გვხვდება კლასიკური სამოთხე, რომელიც ჩვენთვის ცნობილია ედემის ბაღის სიუჟეტიდან;ქრისტიანობაში სამოთხეს აქვს არამატერიალური და ცნობიერების შემცველი ხასიათი;ისლამში კი, პირიქით, აქცენტი მატერიალურ გრძნობებზეა გაკეთებული, – დავამთავრე განმარტება და ჟურნალისტებს გავხედე.

– სამივე სამოთხე კარგია, არც ერთზე არ ვიტყოდი უარს, – გაეცინა რედაქტორს და გაციებული ყავა ისე მოხვრიპა, თითქოს მასზე სურდა ჯავრის ამოყრა, რომ ვერ გაარკვია, რომელ სამოთხეში მიიღებდნენ და შეუშვებდნენ თუ არა საერთოდ შიგ.

– ნუ მიიღებთ ახლა ამას მთლად სარწმუნოდ, – თქვა საქო-

ნელმა, – იქნებ სულაც არაა ასე.

და მასე რომ იყოს, სად მამაჩემის მამასთან მიდიხარ მერე? – ქიმუნჯი წაჰკრა შავმა პაატამ და მერე იმ ხელით შეფიქრიანებული თავი მოიფხანა.

ნიუსრუმი იშლებოდა ციხის კარანტინივით და იწყებოდა ახალი გაზეთის ჩასახვის პროცესი...

ახლა კი უფლის მადლით ცხებული, კიდევ ერთი ზეციდან ნაშობი უნდა წარმოგიდგინოთ.

გიორგი ნადარეიშვილი

„ჩვენ ვართ შექმნილნი ატომებიდან, ატომები განუწყვეტლივ მოძრაობენ და წარმოქმნიან ენერგიას. თუ ეს ენერგია ჩვენ არ მოვიშორეთ, გამოიწვევს დაავადებებს და სიკვდილს... თუ ელექტრონი მიუახლოვდება ბირთვს, უმეტესწილად ეს უკვე სიკვდილს ნიშნავს ან სერიოზულ დაავადებას... უნდა მოინახოს საშუალება, რომელიც ამ ენერგიას გამოდევნის გარეთ: ამით ელექტრონი მოშორდება ბირთვს და დაუბრუნდება თავის ადგილს“ – ამბობს ის და მთელი ცხოვრება ელექტრონების ბირთვიდან მოშორებას და ადგილზე დაბრუნებას მიუძღვნა და მიაგნო კიდეც. გიორგი ნადარეიშვილმა ათასობით ადამიანს გაუხანგრძლივა უფლის ნაბოძები სიცოცხლე. ლუკას სახარებიდან განსაკუთრებით ერთი ადგილის გამეორება უყვარს: „მოუხმო თორმეტს, მისცა მათ ძალა და ხელმწიფება ყველა ეშმაკზე, რომ განეკურნათ სნეულებანი“ (ლუკა 9:1).

– ვთვლი, რომ იესოს მოწაფეთა საქმის გაგრძელებას ვცდილობ. ყველა ჩემი წამალი უფლის მადლით იქმნება: დილა – ლოცვით ყოველი საქმის დაწყების წინ და ღამე – ლოცვა ყოველი საქმის დამთავრების შემდეგ. ამაშია ჩემი, როგორც ჰომეოპათის წარმატების ანი და ჰაე.

და ის, რომ გიორგი ნადარეიშვილი სუპერწარმატებული მკურნალია, იმ მადლიერ პაციენტთა სამადლობელი ჩანაწერებია, რომელიც დიდი რუდუნებით შეაგროვა მწერალმა ჟინვერ ქარსელაძე- კილაძემ ბიოგრაფიულ წიგნში, რომელიც გიორგი ნადარეიშვილს ეძღვნება და „არის ასეთი ცხოვრება“ ჰქვია:

„თქვენ ექიმი კი არა, სასწაულმოქმედი ხართ. სხვამ რომ გაიგოს, გადაჭარბებად ჩამითვლის. მკვდარი გამაცოცხლეთ. ყველა მკურნალმა აიღო ხელი ჩემზე, თქვენ მითხარით და აასრულეთ – მალე დაგაყენებთ ფეხზეო... ალბათ, ღმერთი მომ-

ცემს სიკეთის გადახდის შესაძლებლობას...

თქვენი გაცოცხლებული პაციენტი კიმი ალიაშვილი“.

„ადამიანი, რომელსაც ექიმების გადაწყვეტილებით, დღეები მქონდა დათვლილი და ვიყავი სასოწარკვეთილი. დღეს ვარ ბედნიერი და შრომისუნარიანი, რაც თქვენი სიკეთით და ცოდნით მოხდა...

პატივისცემით ო. ბერიძე“.

„ჩემი შვილი გიორგაძე დოდო, რამდენიმე წლის მანძილზე იტანჯებოდა ცხვირიდან საშინელი ჩირქოვანი გამონადენით. არანაირი შედეგი არ გამოიღო მედიკამენტებით მკურნალობამ. ექიმ ნადარეიშვილის ერთმა სეანსმა საერთოდ განკურნა.

რუსუდან გიორგაძე“.

„ამა წლის აგვისტოს თვეში მოვედი ღმერთ ექიმ პატივცემულ გია ნადარეიშვილთან, მკერდზე სიმსივნით. სიმსივნე დამიპატარავდა. დიდ მადლობას ვუხდი ექიმ ბატონ გია ნადარეიშვილს.

პატივისცემით ანა დვალიშვილი“.

ყველა ჩანაწერის წარდგენას ტომები არ ეყოფა...

ცოტაა ადამიანი, ვისაც ამდენი ვინმე ემადლიერება. თავად გია ნადარეიშვილმა მშვენივრად იცის საკუთარი პიროვნების ფასი, მაგრამ სამაგალითოდ თავმდაბალი ადამიანია... ჩვენი შეხვედრა 2020 წლის 8 დეკემბერს შედგა, ჩვენი საერთო მეგობრის, ზღაპარი კაცის და სანიმუშო ქართველის მიხეილ ანდღულაძის ოფისში, საზოგადოებრივი კოალიცია „ერთსულოვნების“ ლიდერთა გარემოცვაში. ნადარეიშვილის მობილური ლამის ორი საათის განმავლობაში არ გაჩერებულა, თუმცა პატრონს არ უპასუხია არცერთი ზარისთვის, თიშავდა ტელეფონს წამდაუწუმ. ნამეტანი რომ შეწუხდა, გაიღიმა და მორიდებით გვითხრა: – დღეს საპენსიო ასაკი შემისრულდა და ამიტომ მოუსვენრობს ტელეფონიო.

მკითხველს ვეტყვი, რომ ამ შემთხვევამ რომან რურუა და მისი დაბადების დღე გამახსენა. ასე შემოვიდა ჩემს ცხოვრებაში მსოფლიო მნიშვნელობის პიროვნება გიორგი ნადარეიშვილი

და იქვე გამიჩნდა იდეა, ჩემი წიგნის მეხუთე გმირი სწორედ იგი გამხდარიყო. განსაკუთრებით იმან მომხიბლა, რომ ბატონი გია ღრმად მორწმუნე და თეოლოგიურად განსწავლულია. როცა ის ამაყად აცხადებს, რომ „იესოს მოწაფეთა საქმის გაგრძელებას ვცდილობო“ და როცა ამბობს „რომ მისი ჯილა იესოს მოწაფეებიდან თავი მოციქული წმინდა პეტრეა“, მისი ზეციდან შობა ეჭვს აღარ იწვევს ჩემში:

კლიტენი სასუფევლისა ცათაისანი...

როცა მოციქული პეტრე მეორე მისიონერული მოგზაურობიდან დაბრუნდა იერუსალიმში, თვით იესო ქრისტე გამოეცხადა და უთხრა: „აღდეგ, პეტრე და დასავლეთს წადი! იმის დროც დადგა, რომ იგიც განათლდეს შენი ქადაგებით. მე კი შენთან ერთად ვიქნები და შეგეწევი!“

ხილვის შემდეგ პეტრე მოციქული რომისკენ დაემართა. ჯერ ანტიოქიაში შეიარა და წმინდა პავლე მოინახულა და ტარსის ეპისკოპოსად დაასხა ხელები ურბანს. მახლობელ ადგილებში კიდევ რამდენიმე ეპისკოპოსი აკურთხა, მათ შორის ფიგელაოსი ეფესოში, თუმცა ეს უკანასკნელი განდრკა სარწმუნოებისგან და სიმონ მოგვს ეზიარა. პეტრე სიცილიისკენ ხომალდით გაეშურა და იქიდან რომში ჩავიდა, სადაც დაიწყო ქრისტიანობის გავრცელება. ამან სიმონ მოგვის განრისხება გამოიწვია და პეტრეს წინააღმდეგ გამოემართა. ვინ იყო სიმონ მოგვი?

პეტრე მას, ჯერ კიდევ, სამარიაში ქადაგების და მკურნალობის დროს გადაეყარა. სიმონ მოგვი წარმოშობით სამარიის გიტონიდან იყო. ის ადრევე გრძნეულებას ეწეოდა, რითაც ადგილობრივებს აოცებდა და ამის გამო, თავი დიდ ვინმედ მოჰქონდა. „ეს ის ღვთიური ძალაა, დიდად რომ იწოდება“ – ამბობდა დიდი და პატარა.

ამ დროს კი სიმონის და სამარიელთა მოულოდნელად, ფი-

ლიპე ჩამოვიდა და დაიწყო ქრისტეს ქადაგება. ხალხმა ირწმუნა ამ მქადაგებლის, რადგან მრავალთაგან, რომლებიც არაწმინდა სულებით იყვნენ პყრობილნი, ხმამაღალი ყვირილით თავისუფლდებოდნენ, მრავალი დავრდომილი და კოჭლი იკურნებოდა. ამის გამო სამარიელთა ქალაქში დიდი სიხარული იყო. თვით სიმონ მოგვმაც ირწმუნა და მოინათლა, ფილიპეს აღარ შორდებოდა, მოხდენილ სასწაულებს და ნიშნებს რომ ხედავდა, უკვირდა.

თავის მხრივ, დიდი სიხარულით აღივსნენ იერუსალიმში მყოფი მოციქულები იმის გამო, რომ სამარიამ მიიღო ღვთის სიტყვა და გაგზავნეს მათთან პეტრე და იოანე. ისინი ჩავიდნენ და ილოცეს მათთვის, რომ მიეღოთ სულიწმინდა. როცა სიმონ მოგვმა დაინახა, რომ მოციქულთა ხელების დასხმით ეძლეოდათ სულიწმინდა, ფული მიუტანა მათ და უთხრა: „მეც მომეცით ხელმწიფება, რომ ჩემგან ხელდასხმულმაც მიიღოს სულიწმინდა“.

პეტრემ უპასუხა: „შენი ვერცხლი შენვე გქონდეს შენს დასაღუპად, ვინაიდან ღვთის ნიჭის ფულით მოპოვება განიზრახე. შენი გული წრფელი არაა ღვთის წინაშე და არ გაქვს წილი და ხვედრი სიტყვაში. მწარე ნაღვლით და უსამართლობით ხარ შემორკილი. მოინანიე შენი უკეთურება და შეევედრე უფალს, ვინძლო მოგეტეოს შენი გულის ზრახვა“ (საქმეები: 8:9-24).

„შეევედრეთ ჩემთვის უფალს, რომ არაფერი მომეწიოს თქვენი ნათქვამიდან“, – უპასუხა სიმონ მოგვმა და კუდი ამოიძუა, თუმცა თავისი შავბნელი ფიქრები და მოქმედება განაგრძო. სწორედ სიმონ მოგვის ქმედების მიხედვით გავრცელდა – სიმონია – საეკლესიო თანამდებობის ყიდვა-გაყიდვა, რაშიც ბევრმა პაპმაც კი „გამოიჩინა“ თავი. განსაკუთრებით პაპმა ნიკოლოზ მესამემ „გაითქვა“ სახელი ამ ქმედებით. დანტე ალეგიერმა „ღვთაებრივ კომედიაში“ აღწერა თავისი საუბარი ამ პაპთან ჯოჯოხეთში, ხოლო გუსტავ დორემ ფერწერული ტილო შექმნა ამ ეპიზოდზე...

მოციქულებისგან უარყოფილი სიმონი წავიდა ტიროსში და

პეტრესგან უკან მიყრილი ფულით, ბორდელიდან იყიდა მეძავი ელენა, რომელსაც ამ საქმიანობის 10 წლის სტაჟი ჰქონდა და ის გამოაცხადა უმაღლესი ღვთაების ქმნილებად. სიმონი ამბობდა, რომ ეს არის ჰომეროსის ელენა, რომლის გამოც ატყდა ტროას ომი, რომელიც ათასი წლის შემდეგ აღმოჩნდა ტიროსში მეძავად გარდაქმნილი, სადაც სიმონ მოგვმა აღმოაჩინა და როგორც მწყემსმა კეთილმა, გადაარჩინა და თავისთან წამოიყვანა, როგორც დაკარგული ცხვარი. ბევრმა ბრიყვმა დაიჯერა ეს ნაბოდვარი...

...და ახლა, ამდენი წლის შემდეგ, სიმონ მოგვი, რევანშის აღების მიზნით, დაიძრა პეტრე მოციქულის გასანადგურებლად. ვერც კი აცნობიერებდა, რა უთანასწორო ბრძოლაში შედიოდა და უპირისპირდებოდა მას, ვინც პირველი იყო მოციქულთაგან. ვისაც მკვდრეთით აღმდგარი უფალი ეჩვენა. „და რამეთუ ეჩუენა კეფას და მერე ათერთმეტთა მათ“ (კორ. 15:5) და მან მოჰმადლა პეტრეს სულიწმინდის მადლი. პეტრეს პირველი მისიონერული მოგზაურობის დროს, როცა მოციქული ლაოდოკიიდან სირიის ქალაქ ანტიოქიაში ჩავიდა, იმ მყოფი სიმონ მოგვი იუდეაში გაიქცა, თუმცა რომაელებს ვერსად დაემალა. მათ კლავდიუსის ბრძანებით შეიპყრეს და რომში ჩაიყვანეს. აქ კი მოგვმა თავისი გრძნეულებით ბევრი მოხიბლა და დასჯის მაგივრად, ღმერთადაც კი აღიარეს. სიმონ მოგვი აცხადებდა, რომ ის გახლავთ, ზეციური ღვთაების სამი სახე – მამა ღმერთი, ძე ღმერთი და სულიწმინდა. როგორც მამა, თითქოს ის გამოეცხადა სამარიელებს, როგორც ძე – იუდეველებს იესოს სახით, რომელიც დატოვა ჯვარცმის წინ და ახლა, როგორც სულიწმინდა, ის გაანათლებს წარმართებს მთელ მსოფლიოში.

ამ გაუგონარი ღვთისგმობის მიუხედავად, სიმონს ბევრი მომხრე და თაყვანისმცემელი გამოუჩნდა არამარტო უბირ ხალხში, არამედ ხელისუფლების მაღალ ეშელონებშიც... და ამით გულმოცემულმა გადაწყვიტა შერკინებოდა იესო ქრისტეს უსაყვარლეს მოწაფეს, რომელსაც უფალმა სამჯერ უბრძანა: „დამწყსენ ცხოვარნი ჩემნი“ (იოანე 21:15-19).

რაც პეტრეს მიერ ეფესოს ეპისკოპოსად ხელდასხმული – ფიგელაოსი განდრკა სარწმუნოებისაგან და სიმონ მოგვს თანაეზიარა, ეტყობა ამან გაათამამა და რეალობის აღქმა დაკარგვინა მოგვს. რომის მცხოვრებნი, რომლებიც დაბრმავებულნი იყვნენ, ამ მოგვის სასწაულმოქმედებებით გვერდს ვერ უვლიდა პეტრე მოციქულის პიროვნებას და მის სულიერ უპირატესობას. არაერთხელ ეცადა სიმონ მოგვი მის ჩამოშორებას, მაგრამ ვერაფერს გახდა. ბოლოს კი თავად პეტრე მოციქულმა გადაწყვიტა, ჭკუა ესწავლებინა ამ დაუძინებელი მტრისთვის და სახლში ეახლა მას.

წმინდა პეტრეს მოგვის სახლთან მრავალი ადამიანი დახვდა, გზა გადაუღობეს და ერთმა, ყველაზე თამამმა და რეგვენმა უთხრა: – აქაურობას გაეცალე, თორემ მოგკლავთ. შეხედე ამ უზარმაზარ შავ ძაღლს, ერთ ლუკმად არ ეყოფი!

პეტრეს გაეცინა ამ ბაქი-ბუქზე და ძაღლს მიმართა: „წადი და გადაეცი სიმონს: პეტრეა მოსული, ქრისტეს მოციქული და შენთან შემოსვლა სურს!“

ძაღლმა კუდის ქიცინით მოუსმინა წმინდანს და სახლში შევიდა. მერე კი ყველას გასაგონად, ადამიანური ხმით და ენით მოახსენა მოციქულის მოსვლის შესახებ. ვთქვა, რომ ხალხი განცვიფრდა, ნიშნავს, არაფერი ვთქვა! ხალხთან ერთად გაოცებისგან პირდაღებულმა სიმონ მოგვმა ძაღლი გამოუშვა და დააბარა, შემოვიდეს პეტრეო. წმინდანი შევიდა, თუმცა მასპინძელს სტუმართმოყვარეობის ნიშან-წყალიც არ დატყობია. პირიქით, მრავალი ჯადოქრობა გამოიყენა, თუმცა პეტრე მოციქულმა ყველა იოლად დაძლია.

ამ პაექრობამ, მე, ღვთის უბადრუკ მონას, მოსეს და ფარაონის ქურუმთა დაპირისპირება მომაგონა, რომელიც, როგორც მაშინ, ისე ახლა, ღვთის რჩეულის გამარჯვებით დამთავრდა.

მარცხის მიუხედავად, სიმონი მისნობას აგრძელებდა. ერთხელაც, რომში, ერთ კეთილშობილ ქვრივ დედაკაცს შვილი გარდაეცვალა. მრავალი მიდიოდა მის სანუგეშოდ. ზოგი პეტრესთან, ზოგი კი სიმონთან მისვლას ურჩევდა. ჭაბუკის და-

საფლავების დღეს უამრავი ხალხი შეიკრიბა, რომ საბოლოოდ გადაეწყვიტათ, ვისი მოძღვრება ეღიარებინათ. სიმონ მოგვმა განაცხადა, თუ მე გავაცოცხლებ მიცვალებულს, მაშინ პეტრე უნდა მოკლათო. ხალხი დათანხმდა. მოგვმა თავისი გრძნეულებით შეძლო, რომ მკვდარმა თავი გააქნია. გამხეცებული ხალხი პეტრეს მივარდა: – მოიცადეთ, – თქვა წმინდანმა, – თუ ცოცხალია, ადგეს და გაიაროს.

მიცვალებული არც განძრეულა. ხალხმა ახლა სიმონ მოგვი დაიჭირა, მოსაკლავად განამზადა. მაშინ პეტრე მოციქული ადგა, აღაპყრო მაღლა ხელები და წარმოთქვა: – ჭაბუკო აღდეგ! შენ განგკურნავს და მკვდრეთით აღგადგენს უფალი ჩემი, იესო ქრისტე!

მიცვალებული უმალ აღდგა და ჩაუვარდა მოციქულს ფეხებში. ამის შემდეგ იწამა ხალხმა ჭეშმარიტი ღმერთი და ქალაქიდან გააძევა სიმონი, თუმცა, კლავდიუსის გარდაცვალების შემდეგ, ახალმა იმპერატორმა ნერონმა, ის დააბრუნა უკან.

სიმონ მოგვმა ვერ მოისვენა და გადაწყვიტა, ისეთი სასწაული მოეხდინა, რომ საერთოდ დაეპყრო ხალხის გულები. გამოაცხადა, ზეცად ავმაღლდებიო. ამისთვის ის ავიდა ყველაზე მაღალ შენობაზე, გაიკეთა დაფნის გვირგვინი და იქიდან ეშმაკის ძალით დაიწყო ფრენა გაკვირვებულ-აღტაცებული ხალხის თავზე. ამის შემხედვარე პეტრე მოციქულმა გულმხურვალედ ილოცა და მაღლა აფრენილ სიმონს გამოაცალა ეშმაკებზე დასაყრდენი ძალა. მოგვი მიწაზე დაებერტყა... თუმცა, სიკვდილის პირას მოსულმა, მაინც ვერ დაანება ღვთის გმობას თავი და თავის მომხრეებს უბრძანა, აკლდამაში ჩამასვენეთ, მოდით სამი დღის შემდეგ და მნახავთ მკვდრეთით აღმდგარსო... სამი დღის შემდეგ მათ სიმონის გაციებული გვამი ნახეს. ასე მოკვდა სიმონ მოგვი, რომელმაც უზარმაზარი ერესი შეიტანა ეკლესიაში და გაცამტვერდა იესოს ყოვლისშემძლეობის გამო.

პეტრე მოციქულმა კი უფლის ნებით და შეწევნით, მისიონერული მოღვაწეობა აფრიკაში წარმატებით გააგრძელა, შემდეგ დაბრუნდა რომში, გადავიდა დიდ ბრიტანეთში, იქაც

დააარსა ეკლესია და მოღვაწეობდა, ვიდრე ანგელოზი არ გამოეცხადა და აუწყა: „პეტრე, მოახლოვდა ამა ქვეყნიდან შენი განსვლის დღეც! შენ რომს უნდა ჩახვიდე, სადაც ჯვარზე სიკვდილს დაითმენ და ღირსეულ საზღაურს მიიღებ იესო ქრისტესგან!“

ყოველივე ისე მოხდა, როგორც უფლის ანგელოსმა უთხრა. პეტრე მოციქულმა ღირსად არ მიიჩნია თავი უფლის მსგავსად ჯვარცმულიყო და ითხოვა, თავდაყირა გაეკრათ ჯვარზე.

ასე აღესრულა ქრისტეს მოციქულთა თავი წმინდა პეტრე, 67 წლის 25 ივნისს, მოციქული, რომელსაც უფალმა აღუთქვა: „და მიგცნე შე კლიტენი სასუფევლისა ცათაისანი და რომელი შეკრა ქუეყანასა ზედა, კრულ იყოს იგი ცათა შინა; და რომელი განჰხსნა ქუეყანასა ზედა, ხსნილ იყოს იგი ცათა შინა“ (მათე 16:19).

– ყველანი, – ამბობს გია ნადარეიშვილი, – უფლის შვილები ვართ, მისი ნებით ვიბადებით და მისი ნებით გავდივართ ამა ქვეყნიდან, უფალი განუზომელ თავისუფლებას გვაძლევს თითოეულს და მინდა ჩემი თავისუფლება ჩემი ხალხის ბედნიერებას მოვახმარო. ამას პათეტიკად ნუ ჩამითვლით, მსურს იმათ რიცხვში ვიყო, „...და რომელი განჰხსნა ქუეყანასა ზედა, ხსნილ იყო იგი ცათა შინა“.

და ირჯება კიდეც კეთილად თანამოძმეთათვის.

„გიორგი ნადარეიშვილი ხალხს ხომ შველის და შველის, მაგრამ აგრონომიაში ჰქონია საოცარი მიღწევები. ამზადებს ფუტკრის წამლებს, ღორის ჭირის, ქათმის ჭირის და ნიადაგის წამლებსაც კი... მისი დახმარებით ისევ გაძლიერდა ჩემი მეფუტკრეობა და ჩემს ჯანმრთელობასაც ეშველა,“ – ამბობს ვანო ჩხეტიანი.

ზაქრო ჭანტურია, ახმეტა: – გიამ გამიმხილა, რომ ის მუშაობდა ბიოპროდუქტის მოყვანაზე, ხარისხის და რაოდენობის გაზრდაზე. მივიღეთ მისი შემოთავაზება და დავთესეთ პურის ყანა „წითელი დოლის“ ჯიშით. მეთოდებს ვიცავდი და მითითებებს ვასრულებდით. ისეთი სწრაფი ზრდით წავიდა ჯეჯილი,

მაღალი კაცის სიმაღლე გახდა. მოისხა არნახულად... მეორე წელს უფრო მეტი მოვიწიეთ. მესამე წელს კიდევ უფრო მეტი. გიორგი ამბობს, რომ ჰექტარზე 25-30 ტონა მარცვლის მოყვანას შევძლებთ...

ტარიელ ელიგულაშილი: – ერთი პერიოდი მაგრად გამიჭირდა. ვიყავი ოჯახით მშიერ-მწყურვალი. ნადარეიშვილმა მითხრა, აუზი მაინც გააკეთე, წყლის პრობლემა არ გაქვთ და საარსებო გექნებაო. ოთხი მეზობელი შევამხანაგდით, ჩვენივე მიწები გავაერთიანეთ, დიდი არხები გავჭერით და შიგ ჩავყარეთ გიორგის მოცემული ბიოლოგიური საშუალება – პლანქტონი. ამ ამ მცენარით იკვებება თევზები და მცირე დანახარჯებით გავზარდეთ ისინი. ამოვისუნთქეთ. შიმშილით სიკვდილი აღარ გვემუქრებოდა... სხვებმაც მოგვბაძეს და ბევრი ოჯახი დღეს ამ ხელობით ირჩენს თავს...

როგორც ავადმყოფობისგან განკურნებული, შიმშილისგან და გაჭირვებისგან განკურნებულიც ბევრი მადლიერი ადამიანი ჰყავს გიორგი ნადარეიშვილს, რომელიც კეთილშობილური მისიისთვის იყენებს ღვთის მიერ ნაბოძებ განუზომელ თავისუფლებას. ამის გამო მას სრული უფლება აქვს ზეციდან ნაშობად მოიხსენიონ აწმყოშიც და მომავალშიც...

„...ჭეშმარიტად გაუბნებით თქვენ: თუ ისე არ მოიქცევით და არ იქნებით, როგორც ბავშვები, ვერ შეხვალთ ცათა სასუფეველში“ (მათე 18:3).

აი, ამას გვეუბნება უფალი და გვასწავლის, ბავშვის სულივით და გულივით წმინდა და შეურყვნელი შევა ცათა სასუფეველში. უფლის აზრით, ჩვენი მომავალი თაობაა სწორედ საქაო ცხოვრების გვირგვინი და სილამაზე, ხოლო ჩვენი საქმე მისი ქრისტიანული აღზრდაა. მინდა ჩვენი საუკეთესო ნაწილის, ჩვენი ბავშვების წინაშე, წარმოვადგინო.

ბზობის ზღაპარი

ამ ზღაპარს ვუყვებოდი ჩემს ულამაზეს შვილიშვილებს – თათიას, მარიამს და ბარბარეს, როცა ისინი სულ პატარები იყვნენ და ძალიან მოსწონდათ. როცა მათთან არ ვიყავი და ტელეფონით ვესაუბრებოდი, შეთქმულებივით, ცალ-ცალკე და სამივე ერთად, მთხოვდნენ, მობილურით მომეყოლა მათთვის ზღაპრები, განსაკუთრებით კი ჩოჩორის შესახებ, რომელმაც ზურგით ატარა იესო ქრისტე. ხომ გიყვართ შობის დღესასწაული, ანდა აღდგომის დილას რა სჯობს? ყველას უხარია, ერთმანეთს ულოცავს, ყველაზე ბრაზიანი მეზობელიც კი გეფერება და წითელ კვერცხს გაწვდის. შენ უკვე დიდი გოგო და დიდი ბიჭი ხარ და იცი, რომ შობას იესო ქრისტე დაიბადა, ხოლო აღდგომას მკვდრეთით აღდგა და ზეცად ავიდა. ჩემმა გოგოებმა იცოდნენ, რომ მათი ტატო მამიკო სწორედ ზეცაში იყო იესოსთან და როცა ამ ზღაპარს ვუყვებოდი, სიამით ეღიმებოდათ, თითქოს მას ხედავდნენ.

ზღაპრის მოყოლას (როცა ერთად ვიყავით) ახალ აღთქმის გადაშლით ვიწყებდი. ხომ იცით ამ წიგნის შესახებ? როცა მე, შენსავით პატარა ვიყავი, ჩემი ბებია მას „სიცოცხლის წიგნს“ უწოდებდა. კითხვა რომ ვისწავლე, ხშირად ვკითხულობდი მას. შენც გირჩევ, გირჩევ კი არა, გთხოვ, თუ კითხვა იცი და ჯერ არ წაგიკითხავს, ზღაპრის მოყოლას რომ მოვრჩები, გადაშალე

ცხოვრების და სიცოცხლის წიგნი. მის კითხვაში უფრო ლამაზი და ჭკვიანი გახდები, კეთილი საოცრებების კეთება მოგინდება და გააკეთებ კიდეც. ყველა ლამაზი სურვილი აგისრულდება და მიხვდები, როგორც დედიკოს და მამიკოს, დაიკოს და ძამიკოს, ბებოს და ბაბუს უყვარხარ და გიყვარს, აი, ასე ძლიერ უყვარხარ იესო ქრისტეს და მალე იგრძნობ, რომ შენც ასეთივე ძალით შეგიყვარდება. იესო შენი საყვარელი მეგობარი გახდება! და მერე, როცა დიდი გაიზრდები და ზალიკო ბაბუას ხნის გახდები, მისი სიყვარული და მეგობრობა გაგრძელდება, ის ყოველთვის შენთან იქნება და არ დაგტოვებს. აბა სცადე, დაუმეგობრდი იესოს, სთხოვე დაგეხმაროს არითმეტიკის ამოცანის ამოხსნაში ან გრძელი ლექსის დაზეპირებაში და ნახავ, რა იოლი იქნება შენთვის. იცოდე, რომ თუ გარშემო მყოფთ პატივს სცემ და შეიყვარებ, იესო ამისთვისაც დაგაჯილდოვებს.

ჩემი ზღაპარი კი ორი ათასი წლის წინანდელია. თუ შენ არ იცი, უფროსები გეტყვიან, რამდენია ორი ათასი. ჩვენი საერთო მეგობარი, იესო ქრისტე, იერუსალიმში აპირებდა შესვლას. ეს ქალაქი ულამაზეს და ჩვენს მეგობარ ქვეყანაში, ისრაელშია. იმ დროს არც მანქანები იყო და არც თვითმფრინავები. ხალხი ფეხით, ცხენით ან ეტლით დადიოდა. უნდა გითხრა, რომ იესო ყველა დროის საუკეთესო მასწავლებელი იყო და თორმეტი მოწაფე ჰყავდა. მოწაფეები ცოტა ცელქები კი იყვნენ, როგორც შენ და შენი კლასელები, ზოგჯერ არ უჯერებდნენ იესოს, მაგრამ უფრო ხშირად კარგად იქცეოდნენ და სწავლაში ბეჯითები იყვნენ. იესომ თავის ორ შეგირდს უთხრა, სოფელში წადით, იქ დაბმულ ვირს იპოვნით ჩოჩორთან ერთად, ახსენით და მომიყვანეთო. თუ მათი პატრონი გკითხავთ, სად მიგყავთო, უპასუხეთ: უფალს სჭირდება-თქო და მაშინვე გამოგატანთო.

საიდან იცოდა იესომ წინასწარ, რომ მოწაფეები სოფელში დაბმულ ვირს და ჩოჩორს ნახავდნენ? საქმე იმაშია, რომ იესო გულთმისანია. მან ყველაფერი იცის, რაც მოხდა, რაც ხდება და რაც მომავალში მოხდება. ის ხომ უფალია. აკი უთხრა მოწაფეებს: ვირის პატრონს უთხარით, უფალს სჭირდება და მაშინვე

გამოგატანთო. უფალი კი გახლავთ ყველაფერი ის, რასაც შენი ლამაზი თვალები ხედავს და ისიც, რასაც ვერ ხედავს. მნიშნელობა არა აქვს სად ცხოვრობ, – ქალაქში თუ სოფელში. ყველგან არის განსხვავებული ჩაცმულობის, ანაფორიანი და ჯვრიანი, თმაწვერიანი კაცი, რომელსაც მღვდელი ეწოდება. ეს გახლავთ იესოს საიმედო მეგობარი და მიმდევარი. თუ ჯერ არ წვევიხართ მას, სთხოვე მშობლებს და როცა შეხვდები, ის აგიხსნის ყველაზე კარგად, ვინ არის უფალი, რა არის ანაფორა და ყველაფერს, რასაც ახალ აღთქმაში წაიკითხავ. იმედია, ჩემო საყვარელო, არ დაგავიწყდება, რომ ერთმანეთს შევპირდით, ამ ზღაპარს რომ დავამთავრებთ, სიცოცხლის წიგნის კითხვას ვიწყებთ...

მოწაფეები წავიდნენ და ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ყოვლისმცოდნე იესომ თქვა...

მოჰგვარეს მას ვირი და ჩოჩორი, დაუფინეს ზედ თავიანთი სამოსლები და დაჯდა მათზე. გასწია იერუსალიმისკენ და როცა ქალაქში შევიდა, იქაურობა შეძრა. აი, ასეთი ამბავი ახლდა ყველგან ჩვენი დიდი მეგობრის, იესო ქრისტეს შესვლას...

ვირიც და ჩოჩორიც ძლიერ გაკვირვებულნი იყვნენ ნანახით, ისინი პატრონს ხშირად წაუყვანია იერუსალიმში, რა თქმა უნდა, არა სასეირნოდ, არამედ ტვირთის გადასატანად. ბევრი ოფლი უღვრიათ სიმძიმისგან და მცხუნვარე მზისგან. ახლა კი... ახლა იერუსალიმელნი და ქალაქის სტუმარნი საკუთარ ტანსაცმელს უფენდნენ ფეხქვეშ და ბზის და პალმის რტოებს, შეძახილებით ხვდებოდნენ, ქებით და სიმღერებით ასხამდნენ ხოტბას... ცხოველებს ძალიან მოეწონათ ასეთი დიდებული გასეირნება და გულიც კი დაწყდათ, როცა იესომ ფეხით განაგრძო გზა. წინ ტაძარი იყო და უფალი იქ შებრძანდა. როცა გაიცნობ, მღვდელი გეტყვის, რომ ტაძარი უფლის სახლია და ყველა შესულს იგი გულითადად მასპინძლობს, განსაკუთრებით კი ბავშვები უყვარს განურჩევლად: ღარიბი, მდიდარი, ცელქი, ბეჯითი, მოწყენილიც და მხიარულიც. ყველა მისი მეგობარია, მისი შვილია, მისი დისშვილი და ძმისშვილია...

ვირი და ჩოჩორი ერთხანს ხალხის გარემოცვაში იდგნენ. მე-

რე კი პატრონმა მოაკითხათ თავის ორ ზრდასრულ ვაჟკაცთან ერთად. ცხოველები და პატრონები დიდი სიყვარულით შეხვდნენ და ამაყად გასწიეს შინისკენ. არადა დილით, როცა იესოს მოწაფეები დაუკითხავად ხსნიდნენ მათ პალოდან, გაბრაზებული პატრონი გამოუვარდათ ყვირილით:

– რას შვრებით! სად მიგყავთ ჩემი ვირი?!

პატრონზე ადრე კი მისმა ვაჟებმა მოირბინეს. ერთმა მოწაფემ ვირის ახსნა გააგრძელა, მეორე კი გაბრაზებულ პატრონებს მიუბრუნდა და წყნარად უთხრა:

– იესოსთან მიგვყავს, მან გამოგვგზავნა:

– როგორ? იესომ ისევ იკადრა ჩვენთან მოსვლა? – განცვიფრდა პატრონი.

– დიახ, ბეთბაგეში (ადგილის სახელწოდება) გაჩერდა, როგორც ყოველთვის.

პატრონი თავად დაეხმარა მოწაფეებს ვირის ახსნაში და გზაზე როცა გაიყვანეს და გააცილა ისინი, დიდხანს უყურებდა მიმავალთ.

– მამა, რატომ გაატანე უცხო ხალხს ჩვენი ვირი? – იკითხეს ბიჭებმა.

– შვილებო, ჩემო ძვირფასებო. მთელი ჩემი სახლი რომ მომთხოვოს იესომ და მთელი ჩემი ქონება, სიხარულით მივცემ, არც კი დავფიქრდები, – უპასუხა მამამ.

– ვინ არის იგი? რომელიმე დიდგვაროვანია და ამის გამო დაგვასაჩუქრებს?

– გაგვამდიდრებს და დიდ სამსახურში ჩაგვაყენებს? – ერთმანეთს არ აცლიდნენ შვილები.

– ეჰ, ბიჭებო, ბიჭებო. არასოდეს არც ერთ დიდგვაროვანს და მეფეს არ ჰქონია და არც ექნება ისეთი ძლევამოსილება, როგორც იესოს. წინა შაბათს რომ მეზობელ ბეთანიაში გარდაცვლილი ლაზარე აღადგინა (გააცოცხლა), სწორედ ის იესო ბრძანდება და მიხარია, რომ სწორედ მისთვის წაიყვანეს ჩვენი ვირი.

– ვიცით, ვიცით, – თქვა უფროსმა ვაჟმა, – ჩვენც ვიყავით წასულნი გაცოცხლებული ლაზარეს სანახავად.

– ძალიან ბევრი ადამიანი იყო, – გააგრძელა უმცროსმა, – იერუსალიმიდანაც იყვნენ მოსულნი. თუმცა ვერ გავიგეთ, როგორ გაცოცხლდა ლაზარე.

– ხალხი ამბობს, – თქვა მამამ, – რომ იესო მივიდა სამარხთან, რომელსაც ლოდი ჰქონდა აფარებული, ბრძანა მოეშორებინათ ეს ლოდი და თქვა: „ლაზარე, გამოდი!“ და ლაზარე გაცოცხლდა. ცხოვრობს თავის სახლში, როგორც ადრე.

– ნუთუ შეიძლება ადამიანმა ასეთი სასწაული მოახდინოს?

– ამბობენ, რომ იესო ჩვეულებრივი ადამიანი არ არის, ის მესიაა, რომელიც კაცობრიობას იხსნის.

მამა მართალს ამბობდა. იესომ მართლაც იხსნა კაცობრიობა და დღეს სიცოცხლე გვაქვს ყველას იესოში. ჩვენც, თქვენი ბაბუები და ბებიები, თქვენი დედიკოები და მამიკოებიც და თქვენც, ჩვენო ულამაზესო და უჭკვიანესო გოგო-ბიჭებო იესოში ვცოცხლობთ და ვხარობთ. ნუ მოგერიდებათ, ჰკითხეთ მღვდელს, როგორ ხდება ეს და აგიხსნით და გასწავლით იგი, როგორ იმეგობროთ იესოსთან, როგორ უნდა გიყვარდეთ ირგვლივ მყოფნი და ამავე დროს, თბილად მოეპყრათ ცხოველებს და ფრინველებს, არ დაჩაგროთ ისინი, გაუმასპინძლდით და თვალყური მიადევნეთ, სხვებმაც არ მიაყენონ ზიანი.

იმ დღეს კი, როცა მამა-შვილები და მათი ცხოველები იერუსალიმიდან სახლში ბრუნდებოდნენ, ყველა ზეიმობდა. გახსოვდეს, ასე ჩაეყარა საფუძველი ულამაზეს რელიგიურ დღესასწაულს – ბზობას. ხომ მოგაქვთ სახლში აღდგომის წინ ბზის ტოტი, გახსოვდეთ, რომ სწორედ ბზის და პალმის ტოტებს უფენდნენ საკუთარ ტანსაცმელთან ერთად, იერუსალიმში შემავალ, ვირზე მჯდარ უფალს – იესო ქრისტეს“

ამ ზღაპრით ვამთავრებ ჩემს მრავალწლიან შრომას. ზღაპრით და ბავშვებით იმიტომ, რომ იესო ქრისტეს ყველაზე დიდი მეგობრები სწორედ ბავშვები არიან. ქრისტეს სიყვარულით გაჯერებული მომავალი თაობა კი გახლავთ იმ მისიის კეთილი გაგრძელება და გამარჯვება, რომელიც დაიწყო ქრისტეშობის პირველი წამიდან.

ზურაბ წერეთელი

საქართველოდან ცხრა მთასა და ცხრა ზღვას იქით, პუერტო რიკოს სანაპირო ქალაქ არესიბოში, რომლის ნაპირებს საამურად ელამუნებოდა ოკეანის ნარნარი ტალღები, გრანდოტელში, საკონფერენციო დარბაზი ჟურნალისტებს და ქალაქის მოწინავე ადამიანებს ვერ იტევდა. დღეს, 2016 წლის 15 ივნისს, ეს ადგილი მსოფლიოს ყურადღების ცენტრშია და ამის მიზეზი ქართველია. მისმა გენიამ ხუთი საუკუნის წინანდელი მოვლენები გააცოცხლა. ქრისტეფორე კოლუმბი დღეს იმ ადგილს ძეგლის სახით დაუბრუნდა, სადაც თავის დროზე მეზღვაურებიანად მოადგა და სინათლეში შეაბიჯა, ახალ სინათლეში, რადგან ამერიკა კაცობრიობისთვის სწორედ სინათლედ და ბედნიერების სიმბოლოდ იქცა. პუერტო რიკოელებს ქართველი გენიოსის, ზურაბ წერეთლის საჩუქარი ძალიან გაეხარდათ და ეს მათთვის ღირსების საკითხად იქცა.

„ახალი მსოფლიოს დაბადება“ კუნძულზე 1998 წელს ჩაიტანეს დაშლილი სახით და საცავში მოათავსეს. ეს იმ კარაველას (გემის) სიმბოლოა, რომლითაც კოლუმბი და მისი მეზღვაურები კუნძულზე მოვიდნენ.

18-წლიანი ლოდინის შემდეგ, ძეგლის აწყობაში ზურაბ წერეთელიც მონაწილეობდა. რატომ 18 წელი? პუერტო რიკო მაინცდამაინც მდიდარი ქვეყანა არ არის, მაგრამ მოსახლეობამ შეძლო 20 მილიონზე მეტი დოლარის შეგროვება ძეგლის დიდ, 44 მეტრიან პიედესტალზე დასადგმელად. ამით მათ ღირსეული პატივი მიაგეს იმ ესპანელებს, რომლებმაც ინდიელები ღვთისადმი რწმენას აზიარეს და დაუნათესავდნენ კიდეც მათ – კრეოლები გახდნენ... დადგმის დღიდან ეს ძეგლი იქცა არა მარტო ამ ქალაქის, არამედ პუერტორიკოს სავიზიტო ბარათად – ა, ასე გაცვეთილი კომპლიმენტით, მაგრამ სამართლიანით, აღნიშნეს ყველგანმავალმა რეპორტიორებმა ეს ამბავი... თუმცა ამაზე მთავარი და შეიძლება ითქვას, მის ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა ზურაბ წერეთლისთვის 15

ივნისის გამთენიას მოხდა სასტუმროს ნომერში, როცა თვალი გაახილა და ფანჯარასთან მდგარი თეთრმოსასხამიანი, თეთრთმაწვერიანი მაღალი, არგნიანი და კეთილად მომღიმარი ჩვენება იხილა:

– ახალგაზრდობა გაიხსენე ღმაწვილო, – დაიწყო მოსულმა, – მცხეთის ჯვარზე ახვედი ძმაკაცებთან ერთად, ღამე კარავში გაათენეთ და დილის სისხამზე, როცა კარავიდან გამოდი და ზემოდან გადახედე მცხეთის ულამაზეს სანახებს, არაგვის და მტკვრის შერწყმას და მსუბუქ ორთქლს მდინარეზე, ამოწვერილ მზეს და ჯერ კიდევ გაუმქრალ მთვარეს, ყურში ჩაგჩურჩულეს: „შენ უფრო ძვირფასი ხარ უფლისთვის, ვიდრე ის, რასაც ხედავ“. გახსოვს?

– მახსოვს, – თვალებში მონატრების ცრემლმა გაურბინა ზურაბს, – მახსოვს და მენატრება, დღე-ღამ მენატრება და მიყვარს.

– გიყვარს და განა ამაზე ნაკლებად გიყვარს შენი სოფელი გუბი? სოფელში ჩასვლისას ქალაქის ბორკილები მძვრებოდა და ჩიტივით თავისუფალი ვიყავი, შენი სიტყვებია ეს.

– ასე იყო. მართლა ჩიტივით თავისუფალი ვიყავი იქ.

– ვერ გრძნობ, ალბათ, თორემ შენ ზურაბ წერეთელო, ყველგან თავისუფალი იქნები ფრინველივით, სადაც არ უნდა იყო, იმიტომ, რომ მადლი გაქვს უფლის თვალში, რადგან იესომ იცის, რაც გაწერია გულის ფიცარზე.

– და რა მაწერია? – წამოჯდა განცვიფრებული წერეთელი.

– როცა წმინდანი ეგნატე ღმერთშემოსილი, იმპერატორის ბრძანებით მშიერ ლომებს მიუგდეს და მათ მისი სხეული დაფლითეს, გული უვნებელი აღმოჩნდა. წარმართებმა გაჭრეს იგი და ნახეს, რომ მის შიდა მხარეზე ოქროს ასოებით იყო ამოტვიფრული: „იესო ქრისტე“. შენ კი, უფლის რჩეულს, გულის შიდა მხარეს „საქართველო“ გაწერია, რადგან ეს არის შენი თანმდევი. ეს დღე აქაურებისთვის არის ზეიმი, შენთვის კი ჩვეულებრივი, მორიგი ტრიუმფის დღეა. ბევრი გამარჯვება გქონდა და მომავალშიც გექნება, მაგრამ ჭეშმარიტად ბედნიერი მაშინ

ხარ, როცა შენს სამშობლოში აღმართავ ხოლმე წერეთლისეულ შედევრს. მაშინ ბავშვივით გიხარია და მხოლოდ მაშინ გრძნობ ჩიტივით თავისუფალ ყოფნას, უბორკილოდ. არ ადგე, მე ახლა წავალ, მხოლოდ ერთი რამ მინდა დაგავალო.

– მიბრძანეთ, მოვკვდები და შევასრულებ, – დაპირდა ზურაბი დიდი სიხარულით, რადგან იცოდა ვინც იდგა მის წინ.

– დღეს შენ ქრისტეფორე კოლუმბის ძეგლს დგამ, მაგრამ თუ გსმენია რამე ძაღლისთავიან წმინდა ქრისტეფორეზე? გეტყვი პირდაპირ, რომ მართლმადიდებლურიც და კათოლიკე ეკლესიაც მას წმინდანად მიიჩნევს.

– მსმენია, – გულწრფელად უპასუხა ზურაბმა, – მაგრამ ბევრი არაფერი ვიცი მასზე.

– მაგიდაზე გრაგნილი დაგიტოვე. გახსენი და იქ იპოვი წმინდანის ცხოვრების უმნიშნელოვანეს მომენტებს, რომ წაიკითხავ, იფიქრე და გადაწყვიტე, რა შეგიძლია მის განსადიდებლად გააკეთო. რაც უფალმა გიბრძანოს, ის შეასრულე.

– უფალი მიბრძანებს?

– დიახ, უფალი ზეციდან შობილებს ხშირად სტუმრობს და არიგებს. ის ყოველი დამარცხების თუ გამარჯვების დროს, შენთანაა. და კიდევ ერთი, ყურადღება მიაქციე წმინდა ქრისტეფორეს მოწამეობრივი აღსასრულის გამო უფალმა რა დღე დამართა იმპერატორ დეციუსს და მის მოდგმას. ამიტომ, ვაი იმ მოძალადეს და ავყიას, რომელიც ზეციდან შობილს ცუდად შეეხება...

... და მოსული, თითქოს ჰაერს შეენივთა და ბოლოს მოსასხამის კალთა გაქრა ზურაბის თვალსაწიერიდან. წამოდგა, ფანჯარა გამოაღო და შუბლი შეუშვირა ოკეანიდან დაძრულ ოდნავ ცივ სიოს. სწრაფად ჩაიცვა და გრაგნილს მიეტანა. თეთრი ფერის ქაღალდი იყო, გაშალა და დიდი, ლამის, პირსახოცისხელა მოსასხამისფერისნაირი, ხასხასა, იისფერი მელნით იყო ნაწერი. სათვალე მოიმარჯვა, სავარძელში მჯდომმა და სათაური წაიკითხა:

ქრისტეფორე – ძაღლისთავიანი წმინდანი

თუ ვინმე, საქართველოში, ქრისტიანობის პირველ მქადაგებელ-გამავრცელებლის, წმინდა ანდრია პირველწოდებულის, მოციქულის, წმინდა პეტრეს უფროსი ძმის მისიონერულ მოღვაწეობას გაეცნობა, ერთ ასეთ ამბავსაც გადაეყრება: საქართველოში მეორედ ყოფნის და ქადაგების შემდეგ, მოციქული გაემართა პართეთში. გზად ქურთისტანი უნდა გაევლო და გადასულიყო გედროზიას უდაბნოში (ბალოხისტანი) – ახლანდელი პაკისტანი-ირანის საზღვრის ახლოს. მაშინ იქ კონოკეფალები (ძაღლისთავიანი ადამიანები) ცხოვრობდნენ. მათ დანახვაზე წმინდა ანდრია შეკრთა, თუმცაღა შემდგომ მიხვდა, რომ მისი იქ ყოფნა ღვთის ნება იყო. არ გვაქვს ცნობა იმისა, უქადაგა თუ არა წმინდანმა კინოკეფალებს, თუმცა მესამე საუკუნეში, ერთ-ერთმა ძაღლისთავიანმა, თავისი მოწამეობრივი ცხოვრებით და ქრისტე ღმერთისადმი მსახურებით, 50 ათასი ადამიანი გააქრისტიანა.

ეს გახლავთ მოწამე ქრისტეფორე, მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდანი. მისი ხსენების დღეა 22 (9) მაისი. იგი მაღალი, არაჩვეულებრივი ძალის კაცი იყო, სახე კი მხეცისმაგვარი ჰქონდა. ერთ-ერთი გადმოცემით, თავიდან საოცრად ლამაზი ყოფილა, მაგრამ იმდენად პატიოსანი და წესიერი, როცა თავი მოაბეზრა მდედრობითი სქესის შემოტევამ, მუხლმოდრეკილი სთხოვა უფალს: დამიმახინჯე სახე, რომ არ ვაცდუნო სხვებიო.

უფალმა თხოვნა შეუსრულა და ასე გახდა რეპრევი (ასე ერქვა წმინდანს ნათლობამდე) კინოკეფალი, თუმცა ზოგი მის წარმოშობას პირდაპირ კინოკეფალებს მიაწერს, ზოგი კი ჰანანელებს. როცა გარეგნობა შეიცვალა, მეტყველების უნარი დაკარგა. ერთ დღეს კი ჩვენების ღირსი გახდა.

– რეპრევ, მოვედი, რომ ისევ დაგიბრუნო სიტყვათა ხმამაღლა წარმოთქმის უნარი, – უთხრა მაღალმა, დიდგვაროვანივით შემოსილმა ჭაბუკმა, რომელიც მოულოდნელად გაჩნდა, ჩრდილში, ჭილოფზე გაწოლილი რეპრევის წინ. მუნჯი წამოდ-

გა, თუმცა წამომჯდარიც კი, ლამის ორჯერ სჭარბობდა სიმაღლეში ჭაბუკს. ზოგიერთი ცნობით, რეპრევის სიმაღლე ხუთნახევარი მეტრი იყო. გაუკვირდა კი ძლიერ, ამალის გარეშე რატომ დადის ეს ახალგაზრდაო. ის კი მიუახლოვდა და სთხოვა. თავი დაეხარა... და ხელი შეახო ბაგეზე.

– მადლობა უფალო, – მუხლებზე დადგა ამეტყველებული, რომელიც მიხვდა ვინც მოახდინა ეს სასწაული, – დიდი თხოვნა მაქვს შენთან.

– ვიცი, რაც უნდა მოთხოვო, – უპასუხა ჭაბუკმა, – იქ, ქვემოთ, მდინარის პირას, ღრმა მორევის თავზე, გამოქვაბულში ბერი ცხოვრობს. თხოვნას ის აგისრულებს... ეს უთხრა და გაუჩინარდა. რომ არა მეტყველების დაბრუნება, რეპრევი სიზმრად ჩათვლიდა ამ შეხვედრას...

გაიქცა ბერის სადგომისკენ. გამოქვაბულში შესვლა შეუძლებელი აღმოჩნდა. ჩვეულებრივი სიმაღლის ადამიანიც ვერ შეაღწევდა წელგამართული. დაძახება მოერიდა. კარგა ხანს მოუწია ლოდინი და ბოლოს გამოვიდა ტანდაბალი, შავ სამოსელში გახვეული, წვერიანი, სანდომიანი ახალგაზრდა საოცრად სხარტი და მოუსვენარი თაფლისფერი თვალებით. ძაღლისთავიანის არ შეშინებია, ხუმრობით უთხრა: ან დაიხარე და დაჯექი, რომ სათქმელი გაგაგონო, ანდა რომელიმე ხეზე ავძვრები და ისე მოგახსენებ.

მოსული მის წინ განერთხო. ბერი ჩამოჯდა და უთხრა:

– ყოჩაღ რეპრევ! მოუნათლავმა ადამიანმა გადაწყვიტე ქრისტეს ემსახურო, გიქებ ჩანაფიქრს.

– მზად ვარ ნებისმიერი სამსახურისთვის!

– მაშინ დაეხმარე ადამიანებს.

– როგორ?

– აი, თუნდაც მდინარეზე რომ გადაიყვანო ისინი – ხიდი აქედან შორსაა. იქამდე მთელი დღის სავალია. ეგერ, მორევის ზემოთ წყალი კი ღრმაა, მაგრამ შენი სიმაღლის და ძალის პატრონს არ გაგიჭირდება კაცის ზურგით გადაყვანა მეორე ნაპირზე. შეძლებ?

– შევძლებ, – უპასუხა რეპრევმა სიხარულით. მადლი შესწირა უფალს და ბერს.

საქმეს დაუყოვნებლივ შეუდგა. დღე და ღამე, დარში და ავდარში, მრავალი მოგზაური გადაიყვანა ნაპირიდან ნაპირზე. საქმე სულ ჰქონდა, მაგრამ განდეგილი ბერისთვისაც იცლიდა. ხშრად მიურთმევია მისთვის ველური თაფლი, სოკო, ხილი. ტყეში ყველაფერი ბლომად იყო.

იმ დიდებულ დღეს კი დილიდან უამრავი საქმე გამოუჩნდა. ჯერ ასამდე ჯარისკაცი გადაიყვანა მდინარეზე. ერთ ჯერზე ოთხ-ოთხი გადაჰყავდა, რადგან ძლიერ ეჩქარებოდათ. ბოლოს ჯაჯღანა ცენტურიონი გადააბრძანა, რომელსაც მადლობაც არ უთქვამს. პირიქით, უკან რომ დავბრუნდებით, დაძახებისთანავე გვეახლეო, შემოუბღვირა. ცოტა კი გაბრაზდა და ის იყო, უკან უნდა გამობრუნებულიყო, ღარიბულად ჩაცმული ათიოდე წლის ბიჭი მოადგა და...

– მითხრეს, რომ შენ ხარ ხიდი მდინარის ნაპირებს შორის, – წკრიალა ხმით შესძახა კინოკეფალს.

მოეწონა ბიჭი. თითქმის ყველა ბავშვი გარბოდა მის დანახვაზე და ტირილ-ღრიალით ყურს უჭედავდნენ მდინარეზე გადაყვანისას. ეს კი მარტო მოვიდა, არ შეეშინდა მისი სახის, არც მისი სიმაღლის, თან ხიდი უწოდა, მდინარის ხიდი. ასე არავის დაუფასებია მისი სამსახური. ზოგი ფულსაც სთავაზობდა, მადლობას გულმხურვალედ უხდიდა, ღარიბები ხელზე კოცნას ლამობდნენ, როცა აქეთ თუ იქით გადაიყვან-გადმოიყვანდა, ეს კი პატარა, კოხტა ბიჭი, ხიდად მოიხსენიებდა. ხელში აიტაცა და კისერზე შეისვა.

– სოფელში ცხოვრობ? – ჰკითხა სიყვარულით და მდინარეში შევიდა.

– აღარ! – უპასუხა იმან.

როცა წყლის შუაგულს მიაღწია, რეპრევს ლამის მუხლი მოეკვეთა. ბიჭი ისე დამძიმდა, კისერი მოუდრიკა, სუნთქვა შეეკრა და ის იყო, უნდა წაქცეულიყო, შემსუბუქება იგრძნო. თითქოს რკინის მძიმე კასრები მოხსნეს და ბუმბული აჰკიდეს. გაღმა

რომ გააღწია, ისეთი დაღლილი იყო, მდინარის პირას მობიბინე ბალახში გაიშოტა და სული მოითქვა. ბიჭი თავთან ჩამოუჯდა.

– შენ ჩვეულებრივი კაცთაგანი არ ხარ. ასეთი სიმძიმე არასოდეს მიგრძვნია. მივხვდი, შენ ხარ უფალი ჩემი, სანატრელი და ყოვლისმომცველი. მთელი ქვეყნიერება გკიდია მხრებზე უფალო, დიდება შენ ძვირფასო, მადლობა, რომ ყველას სატარებელს ერთი ატარებ!..

ჯერ წამოხტა რეპრევი, მერე კი დაემხო ბიჭის წინ და ფეხებზე ეამბორა.

– მალე იმპერატორი დეციუსის ჯარი მოგადგება რეპრევ. უსიტყვოდ დამორჩილდი. ახლა კი აიღე, აი, ის ხმელი ტოტი, – უბრძანა უფალმა.

ბალახზე დამხობილი, გრძელი ხელებით იოლად მისწვდა ხმელი ტოტებიდან ერთ-ერთს.

– ჩაარჭვე მიწაში.

საოცრება მოხდა. ხმელი ტოტი ჯერ ამწვანდა, მერე გაიზარდა, ხედ იქცა და ნაყოფიც გამოისხა.

– ეს ნიჭი მუდამ შენთან იქნება, – დაუბეჭდა უფალმა, – გავა მცირე ხანი და იმპერატორ დეციუსის იმ მეომრებთან ერთად, რომლებიც უკვე მოემართებიან შენს შესაპყრობად, ანტიოქიის ეპისკოპოსი ბაბილა მოგნათლავს და სახელად გიწოდებს – ქრისტეფორეს – ქრისტეს მატარებელს...

როცა რეპრევი გამოერკვა, უფალი აღარ იდგა მის წინ, თუმცა ხე, რომელიც გამხმარი ტოტიდან აღმოცენდა, თავისი სილამაზით, მთელ ტყეს ამშვენებდა. მეგობარი ბერი მოადგა: – ძმაო, იმპერატორმა დეციუსმა, შენი, როგორც ქრისტიანთა ქომაგის წინააღმდეგ 200 მხედარი გამოგზავნა და ხვალ დილით აქ იქნებიან.

– მას შემდეგ, რაც ჩემი უფლის კისრით ტარება მეღირსა, მისი ხმის გაგონება, მისი ფეხების ამბორი და მისგან სასწაულის კეთების ნიჭი მომეცა, თუნდაც მთელი იმპერიის ჯარი მომადგეს, – უპასუხა ბერს და მადლობა მოახსენა, მდინარეზე შრომა რომ ურჩია.

სისხამ დილით მოსულ მხედრებს, რეპრევი მზად დახვდა გასამგზავრებლად. მრავლისმნახველი მეომრები შეაძრწუნა მისმა დანახვამ, მეთაურმა კი ენის ბორძიკით მოახსენა, იმპერატორს უნდა ეახლოო. გისმენთ და გემორჩილებითო, მიუგო და გზას დაადგნენ...

შუადღეზე ჯარის უფროსმა სადილის შესვენება გამოაცხადა და ტყიდან უკვე გასული მხედრები ჩამოქვეითდნენ. მათთან ერთად ჩამოჯდა რეპრევიც, რომელიც ფეხით მოდიოდა, თუმცა ცხენები უფრო დაღლილნი გამოიყურებოდნენ, ვიდრე იგი.

– აბა ბიჭებო, თითო ნატეხი პური თუ შეგვხვდა, მადლობა მითხარით, – ბრძანა მეთაურმა, – აი, გუშინდელი ღრეობის შემდეგ, ესღა დარჩა ჩვენი მარაგიდან.

ათიოდე პურიღა დარჩენოდათ. ორას ერთი კაცი და ათი პური!

– არა უშავს, – აყაყანდნენ მეომრები, – გზაზე სოფელია, ქრისტიანები ცხოვრობენ,საჭმელ-სასმელს არ მოგვაკლებენ.

– მოგვაკლებენ და წავართმევთ!

რეპრევი წამოდგა, თავისი უზარმაზარი ხელებით ყველა პური ერთად აიღო...

– არ შეგვიჭამო, მთელი დარჩენილი საგზალია, გევედრები! – ლამის დაუჩოქა მეთაურმა.

– დავიღუპეთ, – ხმა მისცა ჯარმა.

რეპრევს გაეღიმა, მზერა ზეცას მიაპყრო: – იესო, უფალო ჩემო, მიბოძე პური! – წარმოთქვა ყველას გასაგონად... წარმოთქვა და ათი პური სამასი გახდა. განცვიფრებული მეომრები ჯერ ფრთხილად კიკნიდნენ გაბევრებულ პურს, მერე კი, როცა ეგემრიელათ, ორივე ყბით დაიწყეს სანსვლა.

მადლობა მაშინ გადაიხადეს, როცა მორჩნენ პურის მუსვრას.

– ღმერთმა შეგარგოთ ბიჭებო და კარგ, მწიფე, გემრიელ ხილს არ დააყოლებთ? – იკითხა რეპრევმა.

ჯარმა ნდომისგან ამოიზმუვლა. მაშინ რეპრევმა უბრძანა ახლოს მყოფს: – მათრახი მომეცი.

მიაწოდა.

– ოჰო, ტარი თელის ხისგანაა. შენ რომელი უფრო გიყვარს, ვაშლი თუ მსხალი?

– სულერთია, – უპასუხა მეომარმა, – ისე კომში მირჩევნია და ბროწეული.

რეპრევმა მათრახს ენა მოაგლიჯა და ტარით ჩაარჭო მიწაში. ტარი აყვავდა, ხედ იქცა და კომში, ბროწეული, ვაშლი და მსხალი გამოისხა, უცებ დაამწიფა და ორასი მხედარი პირდაღებული შეცქეროდა ამ სასწაულს. ვინ არ გაოცდებოდა? ხილი იმაზე მეტი იყო, ვიდრე სჭირდებოდათ... ამ სასწაულმა ისე მოხიბლა მეომრები და ისეთი რწმენით აღავსო ისინი, რომის ნაცვლად ანტიოქიაში გასწიეს და რეპრევთან ერთად მოინათლნენ იქაური ეპისკოპოსის ბაბილას მიერ, რომელმაც ნათლობის სახელად ქრისტეფორე უწოდა კინოკეფალს...

მონათვლის ამბავი მყისვე გავრცელდა და რომში მათზე ადრე ჩააღწია... როცა ქრისტეფორე იმპერატორს წარუდგინეს, დეციუსი შიშისაგან ტახტიდან გადმოვარდა, იმდენად შემაძრწუნებლად გამოიყურებოდა წმინდანი. როცა გონს მოვიდა, იმპერატორმა მას ტკბილი სიტყვებით მიმართა და ბრძანა, სახლი ეჩუქებინათ მისთვის. როცა გაისტუმრა, თავისი უამრავი ხარჭებიდან ორი ყველაზე ლამაზი ამოარჩია – კალინიკია და აკვილინა:

– თქვენ უნდა შეძლოთ და კვლავ ჩვენი ღმერთებისკენ მოაბრუნოთ ის საშინელი კაც-ძაღლა, – უბრძანა ქალებს, – ეს არაა იოლი საქმე, მაგრამ თქვენი მომხიბვლელობით მე ვარ დატყვევებული, იმპერატორი და ძაღლისთავიანიც, უეჭველია, გულში ჩაგიხუტებთ. როცა შეგიყვარებთ, მერე იოლი იქნება მისი მართვა.

კალინიკია და აკვილინა პატივით და ამალით მოჰგვარეს ქრისტეფორეს, როგორც დეციუსის დიდი წყალობა. ქალებსაც დრო არ დაუკარგავთ, მყისვე შეუდგნენ მის ცდუნებას, მაგრამ მოხდა პირიქით: წმინდანმა კალინიკია და აკვილინა თავად გადმოდრიკა ქრისტეს სჯულზე...

განრისხებულმა იმპერატორმა წამებით მოაკვდინა ქალებიც და ორასი გაქრისტიანებული მხედარიც, თუმცა მათ სასჯელი სიხარულით მიიღეს. შემდგ კი იმპერატორმა ბრძანა, გახურებულ ღუმელში ჩაეგდოთ ქრისტეფორე, მაგრამ მოწამე ღვთისაგან უვნებლად იქნა დაცული და გავარვარებული ღუმელიდან ისე გამოვიდა, თმაც არ შეტრუსვია. თავისი სასწაულებით ქრისტეფორემ 50 ათასი წარმართი მოაქცია. ხანგრძლივი წამების შემდეგ, დეციუსის ბრძანებით ქრისტეფორეს თავის მოჰკვეთეს. მოგვიანებით წმინდანის ნეშტი ტოლედოში გადაასვენეს.

წმინდა ქრისტეფორე 250 წლის 22 (9) მაისს აღესრულა.

მის მწამებელ იმპერატორს მალე დაუდგა საშინელი აღსასრული, ერთ წელზე ცოტა მეტი ხნის შემდეგ, 251 წლის 1 ივლისს, რომის პროვინცია მეზიაში (თანამედროვე რაზგრადი, ბულგარეთი) აბრიტუსის ბრძოლაში, რომაელთა არმია იმპერატორ დეციუსისა და მისი ვაჟის, ჰერენიუს ეტრუსკუსის მეთაურობით, სასტიკად დამარცხდა გუთების მეფე კნივასთან. მამა-შვილი ამ ბრძოლაში დაიღუპნენ, დეციუსი იყო პირველი იმპერატორი რომის იმპერიაში, რომელიც ბრძოლაში მტრის ხელით დაიღუპა...

ტოლედოდან წმიდანის ნეშტი საფრანგეთში, სენდენის საabატოში გადაასვენეს.

ორივე, მართლმადიდებლური და კათოლიკური ეკლესია მას წმინდანად მიიჩნევს.

ჯერ კიდევ წაკითხულის შთაბეჭდილების ქვეშ იყო და დილანდელი ხმა შემოესმა: „გახსოვდეს, როგორც რეპრევი დალოცა უფალმა და მის ხელში გამხმარი ხეც კი ცოცხლობდა, ასევე ცოცხლდება შენს ხელში ქვა და ნებისმიერი ლითონი და საოცრებად იქცევა. იმიტომ, რომ შობილი ხარ ზეციდან და შენმა მომავლინებელმა მოგმადლა კეთების და შექმნის უსაზღვრო ნიჭი. მადლობა შესწირე ამისთვის უფალს ყოველ ცისმარე და უფრო მეტ მადლს მიიღებ მისგან, რომ ემსახურო იმას, რაც გულზე გაწერია... ადამიანებს უცნაური ზნე სჭირთ, საოცრე-

ბებს ეძებენ, თუმცა ადამიანი თავად არის სამყაროს ყველაზე დიდი საოცრება და ჯერ არ შექმნილა და ვერცერთი კაცის ხელით ვერ შეიქმნება ის, რაც ჩვეულებრივ ადამიანის თვალზე უფრო უკეთ შეიმეცნებს სამყაროს და რასაც კაცის ხელი და გონება ქმნის, უფლის წყალობაა. ბევრს საუბრობენ და კამათობენ იმ სასაცილო თემაზე, რასაც მსოფლიოს შვიდი საოცრება დაარქვეს და რით არ არის შენს მიერ, უფლის მადლით შექმნილი თბილისის ზღვის მუზეუმი მათზე აღმატებული? მამულის ისტორია გააცოცხლე ქვაში და მისი საშუალებით ახალი აღთქმა გამოუკვეთე კაცობრიობას და აჩვენე მშობელი ერის წარსული, აწმყო და მომავალი. ქვეყნისთვის დამაშვრალ, ქვაში გამოყვანილ გმირებს, თანამედროვე ქართველების სახე და იერი აქვთ და ამით ღაღადებ: ძველი ქართული სული დღესაც ბობოქრობს და არ ჩაქრება, ვიდრე უფალი ახალ ცას და ახალ მიწას არ გვიბოძებს. დაბეჯითებით გეუბნები, რომ შორს არ არის ის დრო, როცა ქართველების უმეტესი ნაწილი აპრილის არაგვივით დაიძრება ზღვის მუზეუმისკენ, როგორც ეროვნული სიმბოლოსკენ, ამას გასამხნევებლად როდი გეუბნები სამშობლოდან შორეულ მხარეში, არამედ იმისთვის, რომ კიდევ ერთხელ შეგახსენო რამხელა მადლი ჰპოვე უფლისგან. გაუწყებ იმასაც, რომ შენ იქნები უფლის რჩეულ ქართველთა შორის ლაზარეს აღდგინების დღესასწაულზე...

მხოლოდ რამდენიმემ შეამჩნია არესიბოში იმ დღეს, რომ „ახალი მსოფლიოს დაბადების“ შემოქმედი, ჩვეულებრივზე მეტად ღელავდა და კეთილ ღიმილში ფარული სევდა შერეოდა... და მხოლოდ გამჩენმა იცოდა რა ღვთიური ცეცხლი ენთო ზურაბ წერეთლის გულში, რომლის შიგნით **ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო** ეწერა.

მიხეილ ანდღულაძე

ერთ ღვთისმოსავ მეუდაბნოეს ჰკითხეს. ყველაზე კარგად და სწრაფად როგორ მოვემზადოთ მშვიდი და ქრისტიანული აღსასრულისთვის? უპასუხა: ყოველ დილით იფიქრე, რომ დამდეგი დღე უკანასკნელია შენს ცხოვრებაში და ყოველ საღამოს, რომ ეს შენი ცხოვრების უკანასკნელი დღეა.

ზეციდან შობილი მიხეილ ანდღულაძე სწორედ ამ პრინციპით ცხოვრობს, გამალებული აკეთებს სიკეთეს, თითქოს არავინ დაასწროს ან არ დააგვიანოს. ბავშვივით უხარია სხვისთვის სიამოვნების მინიჭება და ამას საოცარი თავმდაბლობით აკეთებს და წყინს, თუ ვინმე მადლიერებას გამოხატავს. „ღმერთს უთხარით მადლობაო“ – მიმართავს აფოფინებულს.

– თუ შენ ქრისტეს მოძღვრებით ცხოვრობ, გრძნობ, რომ ქრისტიანობა ლოგიკიდან გამოსულია, – ამბობს იგი, – რწმენა თეორიიდან არ გამოდის. ქრისტიანობა სულაც არაა მხოლოდ თეორია. რწმენა ცხოვრებაა. ყოველდღიურობით ვსწავლობთ რწმენას და იმასაც, თუ ღმერთში არ ცოცხლობ, ვერ შეიცნობ მას. სატანა, რომელიც მუდამ ჩასაფრებულია, ყურსაც არ იბერტყავს, როცა ჩავდივართ ქველმოქმედებას, ვმარხულობთ, ვშრომობთ, თუნდაც ეკლესიას ვაშენებთ. იცის, რომ ამით შეიძლება სიამაყის ცოდვაში ჩავვარდეთ. მხოლოდ ორი რამის ეშინია: როცა წამოვთქვამთ ლოცვას „უფალო იესო ქრისტე, შემიწყალე მე ცოდვილი“ და როცა ვეზიარებით.

– გეთანხმები, – ვეუბნები, – დიდი მწერალი რეზო მიშველაძე ამბობს, რომ ჩვენ, ქრისტიანები – პრობლემა ვართ საკუთარი თავისთვის და სხვებისთვის. რაკი გამოსწორება და სწორ გზაზე დადგომა გვიჭირს, ვცდილობთ, სხვები გამოვასწოროთ, სხვებს ვასწავლოთ ის, რაც ჩვენ არ ხელგვეწიფება. „ჩვენ რომ ჭეშმარიტი ქრისტიანები ვიყოთ, წარმართები აღარ იარსებებდნენ“, – ამბობდა იოანე ღვთისმეტყველი.

– ასეა, – მეთანხმება მიხეილი, – სიტყვა საქმის გარეშე მკვდარია. თუ სხეული წმინდა გონებას ემორჩილება, სულიც

ჰარმონიაშია მასთან. როგორიცაა შენი ცხოვრება, ისეთია შენი ფილოსოფიაც და პირიქით... და ჯოჯოხეში მოხვდები არა იმიტომ, რომ ცოდვილი ხარ, არამედ იმიტომ, რომ არ ინანიებ და არ ეზიარები. სარკეც არ გჭირდება საკუთარი სისუსტეების დასანახად. ხშირად, სიყვარულის საბაბით და ეგიდით ვცდილობთ თავს მოვახვიოთ სხვებს ჩვენი აზრები და მსოფლმხედველობა, ვაჩვენოთ ჩვენი უპირატესობა.

– ბოროტებამ რომ იმეფოს, საკმარისია, კარგმა ადამიანებმა არაფერი აკეთონ, – შევეშველე.

– ეშმაკის უსაყვარლესი სამოსია ისეთი სიყვარული, როცა გვიყვარს ყველა და ყველაფერი იესოს გარდა, – ოდნავ გაცხარდა მიხეილი, – აი, ეს აბატონებს ბოროტებას, მაგრამ სატანა ბოღმისგან კვდება იმ სიყვარულის წინაშე, რომელსაც პავლე მოციქული გვასწავლის. აი, მივალთ ოფისში და წაგიკითხავთ – მეუბნება და უცებ მანქანას აჩერებს ლამის შუა გზაზე. ხელგაშვერილი, იანვრის ყინვით შეწუხებული ახალგაზრდა გვიახლოვდება. გავიკარით ჯიბეზე ხელი.

– უქუდოდ რამ გამოგიყვანა ამ ყიამეთში? – საყვედურობს მიხეილი და როცა ავტოს ფანჯარაში მის უილაჯო ღიმილისგან გატანჯულ სახეს ხედავს, საკუთარ ქუდს აძლევს, მერე კი დაძრა მანქანა და თქვა: – ღმერთო შენ უშველე ყველა გაჭირვებულს!

როცა ოფისში შევედით და დავლაგდით, მიხეილმა „ახალი აღთქმა“ გადაშალა და წაიკითხა: „თუ მე ადამიანთა და ანგელოზთა ენებით ვლაპარაკობ, ხოლო სიყვარული არ გამაჩნია, მაშინ ჟღარუნა რვალი ვარ ან ჩხარუნა წინწილა.

წინასწარმეტყველებაც რომ მქონდეს, ყოველი საიდუმლო და მთელი ცოდნაც რომ ვუწყოდე, სრული რწმენაც რომ მქონდეს, ისეთი, მთების გადაადგილება რომ შემეძლოს, ხოლო სიყვარული არ გამაჩნდეს, არარაობა ვიქნებოდი.

მთელი ჩემი ქონება რომ დავარიგო და ჩემი სხეული დასაწვავად გავსწირო, ხოლო სიყვარული არ გამაჩნდეს, არაფრად ვარგივარ“ (კორინ. 13:1-3).

– განუზომელია უფლის წყალობა ადამიანთა მიმართ, – ამბობს მიხეილი, – და რაც მთავარია, ჭეშმარიტი ქრისტიანისთვის უცხოა შური ანუ მწუხარება სხვისა სიხარულსა ზედა, რადგან „სიყვარული სულგრძელია და ტკბილი, სიყვარული ქველმოქმედია, არ შურს, არ ყოყოჩობს, არ ამპარტავნობს (კორ. 13:4).

„სიყვარული არასოდეს მთავრდება. წინასწარმეტყველებანი იყოს, გაუქმდება, ენები იყოს, ენები იყოს, შეწყდება, ცოდნა იყოს, გაუქმდება...

...ახლა კი რა რჩება: რწმენა, იმედი, სიყვარული – ეს სამი, ხოლო მათგან სიყვარულია უმეტესი“ (კორინ. 13:8,13).

თავად მიხეილი ყველა საქმეს სიყვარულით, რწმენით და იმედით აკეთებს.

– ჩვენი მიხეილი თავისი ოჯახით, რწმენით, ვაჟკაცობით, თავდადებით, მამულისა და უფლის სიყვარულით გამორჩეული კაცია. იგი წმ. გიორგის სახელობის ქაშუეთის ტაძრის მრევლია და ყველა მისი ქმედება გაჯერებულია წმ. გიორგის ყმობის სულისკვეთებით, – გუჯა ბურდული, მსახიობი.

– საქართველო და თავისი ხალხი უზომოდ უყვარს. ეროვნული კაცია, წესიერი. ჩვენს ქვეყანას სჭირდება ასეთი კაცები. საქართველო გადარჩება ასეთი ხალხით, – გურამ საღარაძე – მრავალგზის მსოფლიო ჩემპიონი ჭიდაობაში.

– მივესალმებოდი და მუდამ მივესალმები ქართველი კაცის შემართებას სამშობლოსთვის ბრძოლაში და შრომაში. მე ასეთად ვიცნობ ხუთი შვილის მამას, ბატონ მიხეილ ანდღულაძეს, ჩემს უმცროს მეგობარს და ერთგულ კაცს, მორწმუნეს და თავდადებულ პიროვნებას, – ნოდარ მგალობლიშვილი – საქართველოს სახალხო არტისტი.

– მისი ეროვნული თვითშეგნება, უფლისადმი უსაზღვრო სიყვარული, ცოდნა და საზოგადოებასთან ურთიერთობის გამოცდილება, სამაგალითო უნდა გახდეს მთელი საქართველოსთვის, – თემურ ჩხეიძე – რეჟისორი.

ისტორიულ-ბიოგრაფიული ნარკვევი:

1971 წლის 4 თებერვალს, რესტორნის დარბაზში დიდი ხალხმრავლობა და ყაყანი იყო. კარგად შემთვრალი საზოგადოება ქეიფის აზარტში იყო შესული. განსაკუთრებით ერთ მაგიდასთან მჯდომი ოთხი ახალგაზრდა გამოირჩეოდა მთელ დარბაზში, თუმცა არა ხმაურით და შეძახილებით, არამედ დახვეწილი მანერებით და ისეთი გემრიელი სიმღერებით, რომ ყველა მათ უყურებდა, ფხიზელიც და მთვრალიც. ბიჭები კი ისე გემრიელად ქეიფობდნენ, თითქოს მარტო ისინი იყვნენ ამ მილეთის ხალხში და ყურადღებას არავის აქცევდნენ. მეზობელი მაგიდიდან ფეხზე წამოდგა ახოვანი კაცი და მთელი დარბაზის ყურადღება მოითხოვა. როცა სიჩუმე ჩამოვიდა, ამ ოთხკაციან მაგიდის წევრებს მიმართა: – ვენაცვალე თქვენს გამჩენს ახალგაზრდებო, აქაურობის გვირგვინი ხართ და ძალიან მაინტერესებს, რას აღნიშნავთ?

ერთი წამოდგა ოთხიდან, ღვინით სავსე ჭიქა აღმართა და უპასუხა: – ჩვენს ძმაკაცს, თეიმურაზ ანდღულაძეს ბიჭი შეეძინა და მას ვადღეგრძელებთ.

მთელი დარბაზი სადღეგრძელოს შეუერთდა და საზეიმოდ აღნიშნა მიხეილ ანდღულაძის დაბადება.

გაჭრა მათმა ლოცვამ და უფლის ნებით პატარა მიხეილი ბავშვობიდან ადამიანების მიმართ ქრისტესმიერი სიყვარულით განიმსჭვალა და სამშობლოს სიყვარულის გრძნობა ყველა უჯრედში გაუჯდა: 18 წლის ასაკში უკვე ეროვნული მოძრაობის აქციების ხშირი მონაწილე იყო და 9 აპრილის მოვლენებმაც მის თვალწინ ჩაიარა; 2007 წლის 7 ნოემბერს მის თავზე დატრიალდა სისასტიკე და დაუნდობლობა. მეტიც, იგი უსაფუძვლოდ იქნა დაპატიმრებული და რეპრესირებული. მისი ინიციატივით და ლიდერობით, 2012 წლის ნოემბერში შეიქმნა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა გაერთიანება-კოალიცია „ერთსულოვნება“, სადაც სამასზე მეტი არასამთავრობო და საზოგადოებრივი ორგანიზაცია გაერთიანდა.

მიხეილი რომ დღე და ღამე, ცხადშიც და ძილშიც ქვეყანაზე ფიქრობს, ერთი მაგალითიც მოწმობს. ტერმინი „ერთსულოვ-

ნება“ მან სიზმარში იხილა, გამოცხადებაში. მას ყურში ჩაესმა

ერის ერთობა და ბერმუხების წინ გაძღოლება,

უფლის ნებაა, რასაც ჰქვიან ერთსულოვნება.

კონსტიტუციური ვადების დარღვევისა და უმაღლესი მთავარსარდლის პოსტის უზურპირების საპროტესტოდ, ამ ორგანიზაციამ მილიონ ნახევარი ხელმოწერა შეაგროვა პრეზიდენტ სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნით და რამდენიმე თვიანი ალყა შემოარტყა პრეზიდენტის სასახლეს. 8 თებერვალს აშშ-ის ელჩიც კი მივიდა „ერთსულოვნების“ ხელმძღვანელებთან მოსალაპარაკებლად...

„ერთსულოვნების“ დიდი გამარჯვება იყო ყოვლად გაუმართლებელი კანონის გაუქმება ბიომეტრიული რეგისტრაციით ამომრჩეველთა სიის ფორმირების შესახებ და ამის სანაცვლოდ საარჩევნო სიების ფორმირება მოქალაქეთა რეალური ფოტოსურათებით მოხდა. ამით საბოლოოდ აღმოიფხვრა ფალსიფიცირებული პირადობებით არჩევნების გაყალბების მცდელობა... და სხვა მრავალი საქმე გაკეთდა ამ ორგანიზაციის მიერ... ამას გარდა, მიხეილი მრავალი წლის განმავლობაში უძღვებოდა გადაცემების ციკლს „ერთობიდან ერთსულოვნებამდე“ ქართულ ტვ-ზე და სამეფო არხზე.

– ერთ-ერთი გადაღება სნოს ხეობაში გვქონდა, – იხსენებს მიხეილი, – გადაღების შემდეგ გადავწყვიტეთ დარიალის ხეობაში მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზების ეკლესია გვენახა, მაგრამ ღამდებოდა და ადგილობრივმა პატრულმა უსაფრთხოებიდან გამომდინარე, უკან მიგვაბრუნა. ერთი წუთი ვიარეთ და უცებ თანამგზავრები აყიჟინდნენ, გააჩერე, ხედავ რა ხდება, რა გამოჩნდაო! გავაჩერე მანქანა, გადმოვედით და სასწაული ვიხილეთ: მთებზე მოოქროვილჯვრიანი ფარით, ხელში ხმლით, კალთააფრიალებული მიქაილ მთავარანგელოზი მოქროდა. ერთ-ერთმა ჩვენთაგანმა მოასწრო გადაღება. რაკი ჩვენ ვერ მივედით და მისვლა სულით და გულით გვინდოდა, თავად წმინდანი გვეჩვენა. სწორედ ამას ვქადაგებ სახლში ჩემს შვილებთან (ბატონ მიხეილს და მის უსათნოეს მეუღლეს

ქეთევან ზაქარეიშვილს ხუთი შვილი აჩუქა უფალმა: ნინო, ანა, დავითი, გიორგი და იოსებ ანდღულაძეები), გარეთ მეგობრებთან და ნაცნობებთან, რომ ილოცეთ, კეთილი საქმეები აკეთეთ, გადადგით ნაბიჯი უფლისკენ და ის ათგზის გადმოდგამს თქვენსკენ, ვინაიდან „ღმერთი სიყვარულია“.

მინდა აღვნიშნო, მიხეილის ვაჟი, დავით ანდღულაძე – ჩემი მეგობარი, ვუნდერკინდი. გთხოვოთ დაიმახსოვროთ ეს სახელი და გვარი. უეჭველად, ქრისტეს და მამულის დამცველი დიდი მომავლის ქართველია და ერის იმედი, ეტყობა, რა ოჯახშიც იზრდება და როგორი დედ-მამა ჰყავს.

სწორედ მიხეილ ანდღულაძის უფლისადმი ერთგულებამ და ღვთისმოსაობამ დამაწერინა, ეს პატარა კვლევა, რასაც „რწმენის შედეგი“ დავარქვი:

რწმენის შედეგი

მარკოზის სახარების 11-ე თავის 22-24-ში ნათქვამია: „იქონიეთ ღვთის რწმენა. ჭეშმარიტად გეტყვით, რომ ვინც ეტყვის ამ მთას: აიწიე და ზღვაში ჩავარდიო, და გულში არ შეეჭვდება, არამედ ირწმუნებს, რომ მისი სიტყვისაებრ მოხდება, აუსრულდება მას.

ამიტომ გეუბნებით: ყველაფერს, რასაც ლოცვაში ითხოვთ, გწამდეთ, რომ მიიღებთ და მოგეცემათ“.

მათე 7:7: „ითხოვეთ და მოგეცემათ; ეძებეთ და იპოვით; დააკაკუნეთ და გაგეღებათ“.

ლუკა 11:9: „და მე გეუბნებით თქვენ: ითხოვეთ და მოგეცემათ; ეძებეთ და იპოვით; დააკაკუნეთ და გაგეღებათ“.

იოანე 14:13: „რასაც ითხოვთ ჩემი სახელით, გავაკეთებ, რათა განდიდდეს მამა ძეში“.

იერუსალიმში ზეიმით შესვლის შემდეგ, ვნების კვირაში, მეორე დღეს, როცა ჩვენმა უფალმა მეორედ მიაშურა ამ ქალაქს, ბეთანიიდან რომ გამოვიდა, მოშივდა: „შორიდან დაინახა გაფოთლილი ლეღვის ხე. წავიდა, ვინძლო ზედ რამე ვიპოვოო.

რომ მივიდა, ვერაფერი იპოვა ფოთლების მეტი, ვინაიდან არ იყო ლეღვობის დრო. უთხრა მას: „ნუღარავინ ჭამოს უკუნისამდე ნაყოფი შენი“. და გაიგონეს ეს მისმა მოწაფეებმა“. მარკოზი 11:12-14.

გავაგრძელოთ...

„15. მოვიდნენ იერუსალიმში, შევიდა ტაძარში იესო და დაიწყო ტაძარში გამყიდველთა და მყიდველთა გამორეკვა: მეკერმეთა მაგიდები და მტრედთა გამყიდველთა სკამები ააყირავა.

16. არ ანებებდა მათ და ეუბნებოდა: „არ წერია: ჩემი სახლი სამლოცველო სახლად იწოდება ყველა ხალხისთვისო? თქვენ კი ავაზაკთა ბუნაგად აქციეთ (მარკოზი 11).

მათე ასე აღწერს ამ ამბავს: მათ. 21:12-13.

„შევიდა იესო ტაძრად და გამორეკა ყველა გამყიდველი და მყიდველი, ვინც ტაძარში იყო, გადააყირავა მეკერმეთა ტაბლები და მტრედების გამყიდველთა სკამები.

უთხრა მათ: „დაწერილია: ჩემი სახლი სამლოცველო სახლად იწოდება, თქვენ კი ავაზაკთა ბუნაგად გიქცევიათ იგი“.

ლუკა 20:45-46: „შევიდა ტაძარში და დაიწყო მოვაჭრეთა გამორეკვა.

უთხრა მათ: „დაწერილია: ჩემი სახლი სამლოცველო სახლი უნდა იყოს, თქვენ კი ავაზაკთა ბუნაგად აქციეთ იგი“.

იოანე კი აღნიშნავს: იოანე 2:15-16. „გააკეთა საბლის შოლტი და გარეკა ტაძრიდან ყველა, აგრეთვე ხარებიც და ცხვრებიც, ფულის გადამცვლელებს ფული დაუბნია და მაგიდები აუყირავა.

მტრედების გამყიდველებს უთხრა: „გაიყვანეს ესენი აქედან და მამაჩემის სახლს ნუ გახდით სავაჭრო სახლად“.

მარკოზის სახარებას დავუბრუნდეთ:

„და მოსაღამოვდა, როცა გავიდნენ ქალაქიდან.

დილით რომ ჩაიარეს, დაინახეს, რომ ლეღვი ფესვებამდე გამხმარიყო.

გაახსენდა პეტრეს და უთხრა მას: „რაბი, აჰა, ის ლეღვი შენ რომ დასწყევლე, გამხმარა“. მარკ. 11:19-22.

პასუხად მიიღო ის, რაც ნაშრომის დასაწყისში წაიკითხეთ.

წმინდა წერილის ეს ადგილი მიჩენს შეკითხვებს: რა მნიშვნელობა აქვს ლეღვის დაწყევლას? ხომ არ უკავშირდება იგი ტაძრის განწმენდას? ეს ორი მოვლენა ხომ ერთ დღეს მოხდა? ჩემი აზრით ლეღვის დაწყევლას უფრო შემეცნებითი ხასიათი და მნიშვნელობა აქვს, ხოლო ტაძრის განწმენდა იქცა ღვთის წინასწარმეტყველურ ქმედებად და მის გულახდილობის ნიმუშად კაცობრიობისადმი. არ დაგვავიწყდეს, რომ იერუსალიმში დიდებით შესვლის ჟამს, ქრისტე პირდაპირ ტაძარში მივიდა, დაათვალიერა ის და შეისწავლა. მის ღვთაებრივ მზერას არაფერი გამოპარვია. ამიტომ მეორე დღეს, აიღო საბლის შოლტი და ტაძრის შეურაცხმყოფლებს დაერია...

ლეღვის ეპიზოდს დავუბრუნდეთ. მარკოზი წერს: „ვინაიდან არ იყო ლეღვობის დრო“. მიუხედავად ამისა, „ლეღვი ფესვებამდე გამხმარიყო“. რატომ არის აქ, ერთი შეხედვით, უფლის მოქმედება არა მიმტევებელი, არამედ გამანადგურებელი? რატომ მოითხოვა იესომ ლეღვისგან ნაყოფი მაშინ, როცა არ იყო ლეღვობის დრო? თუ სიტუაციას ძირფესვიანად განვიხილავთ, სულ სხვა დასკვნამდე მივალთ...

პალესტინაში, ლეღვის სამ მოსავალს იღებენ: ივნისში, აგვისტოში და დეკემბერში. აქ აღწერილი კი აპრილში, ვნების კვირაში მოხდა. მარკოზი მართალია, როცა წერს, რომ „არ იყო ლეღვობის დრო“, მაგრამ ყურადღება მიაქციეთ იმ ფაქტს, რომ ხეს ჰქონდა ფოთლები, რაც მიუთითებდა, რომ ნაყოფი უკვე დამწიფდა. პალესტინაში ჯერ ნაყოფი ჩნდება ლეღვზე და მერე ფოთლები. ანუ ფოთლების გამოჩენა ნაყოფის სიმწიფეზე მიუთითებს. აქ კი, ხეს მაცდური შესახედაობა და ფორმა ჰქონდა, რითაც მნახველი შეცდომაში შეჰყავდა. ფოთლები ლეღვობის დროს აჩვენებდნენ, ნაყოფი კი არსად იყო. ნახეთ, როგორ წერია: „შორიდან დაინახა გაფოთლილი ხე. წავიდა, ვინძლო ზედ რამე ვიპოვოო. რომ მივიდა, ვერაფერი იპოვა ფოთლების მე-

ტი“. აღსანიშნავია, რომ იესოს მოშივდა. შიმშილის გრძნობას უფრო ღრმა მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ჩვეულებრივ შიმშილს. იესო ეძებდა თავისი ხალხის სიმართლის ნაყოფს იერუსალიმში. ლეღვი აქ არის მაშინდელი ისრაელის სიმბოლო. ღმერთი ამ ლეღვის ხეს (ისრაელს) სწყალობდა, უვლიდა და პატრონობდა, წმენდდა. ყველაფერ ამას უფალი ღირსეული ნაყოფის მისაღებად აკეთებდა ამან სიკეთე ვერ გამოიღო. მისი ცდა ამაო აღმოჩნდა. და ბოლოს, როცა ნახა ხის საცოდავი მდგომარეობა და მისი სრული არარაობა, გაანადგურა, მოსპო, გაახმო იგი. ფოთლებში მან დაინახა ზერელე რელიგიურობა, დამახინჯებული ტრადიციები და მდიდრული წარმოდგენები, მაგრამ არსად იყო სიყვარული, სიხარული, მშვიდობა, მოთმინება, რწმენა, გულმოწყალება... ანუ ნაყოფი ღვთისა არ იყო.

უფალმა ლეღვი მოჩვენებითი ნაყოფიერების გამო გაახმო, ეს იყო იესოს სასამართლო პირმოთნეობის, თვალის ახვევის წინააღმდეგ, სიცრუის და შეცდომაში შეყვანის წინააღმდეგ. იგივე სიტუაცია დახვდა უფალს ტაძარშიც, სადაც გაცხოველებული ვაჭრობა იყო.

ამიტომ დასწყევლა მან უნაყოფო ლეღვი. ამიტომ დაბრუნდა ტაძარში და გამორეკა იქიდან მოვაჭრეები და ამიტომ უთხრა მოწაფეებს, რომლებიც გაკვირდნენ გამხმარი ლეღვის დანახვისას: „იქონიეთ ღვთის რწმენა!“

და რა ჰქნა უფალმა, როცა უნაყოფო ლეღვის ხე გაახმო და ტაძარი მოვაჭრეებისაგან განწმინდა? „მოვიდნენ მასთან ტაძარში ბრმები და კოჭლები და მან განკურნა ისინი“ მათე 21:14.

აი, ეს არის რწმენის შედეგი! ჯერ წინაღობების გადალახვა, შემდეგ ტაძრის გაწმენდა და ბოლოს, თვალის ახელა, სმენის დაბრუნება, განკურნება და გალობა. ტაძარი დაუბრუნდა იმას, რისთვის ააგეს – ღმერთის თაყვანისცემის ადგილს „ვინაიდან ღვთის სასურველი საჭმელ-სასმელი კი არ არის, არამედ სიმართლე. მშვიდობა და სიხარული სულიწმინდაში“ რომაელთა 14:17.

როცა მიხეილს ვაუწყე, რომ ჩემი წიგნის ერთ-ერთ გმირად

მოვიაზრებდი, სასტიკი უარი განმიცხადა, ამ ბუმბერაზ ხალხთან მე რა სახსენებელი ვარო. თავმდაბლობა ამშვენებს ქრისტიანს, ჩემო მიხეილ, მაგრამ შენი მოღვაწეობით და სიკეთით არავის ჩამოუვარდები. შენ ხომ შესაძლებლობების მაქსიმუმს აკეთებ მოყვასისთვის უფლის სახელით!

ამ რამდენიმე წლის წინ ქვეყანა აალაპარაკა ერთმა დიდმა მოვლენამ უახლეს ისტორიაში, რის სათავეში მიხეილ ანდღულაძე იდგა. შენი და შენი მეგობრების ომარ მხეიძის, მანუჩარ მაჩაიძის, ფერდინანდ ლოთქიფანიძის და მრავალ სხვა მამულიშვილთა დამსახურებით. ახალგორიდან დევნილ წეროვანში ჩასახლებულ ექვსასზე მეტ ადამიანს, საშუალება მიეცა 2013 წლის აღდგომას ახლობლების ოკუპირებულ საფლავებზე შეხვედროდნენ ჩვენი სასწაულმოქმედი პატრიარქის ლოცვა-კურთხევით. ამიტომ ხარ შენ დიდი ქრისტიანი და ზეციდან შობილ ქართველებში ღირსეულად დგახარ.

– არ მესმის იმ ხელისუფლების, რომელთაც ლომის წილი შეიტანეს ერისთვის დამარცხებულის სინდრომის ჩამოყალიბებაში, – წუხს მიხეილი, – შევარცხვინე ის მთავარსარდალი, სახალხოდ რომ ფორთხავს შიშისგან და თავის ჯარს გამოასწრებს ბრძოლის ველიდან მეთაურებთან ერთად. მერე გამდიდრდება წაგებული ომის ხარჯზე, გარემოცვასაც დაასუქებს და საკუთარი ხალხის წინაშე იწყებს „ვაჟკაცობის“ გაპიარებას. იმის მაგივრად, რომ ოკუპირებულ საფლავებიან ქვეყანას შესწიროს თავი, სამარეს საკუთარ ერს უთხრის. ამიტომ შემოვარტყით ალყა სააკაშვილის სასახლეს და დიდი სურვილი მქონდა, პირადად დამედო მისთვის ბორკილი, მაგრამ არ მაცადეს შინაურებმა და გარეულებმა და მაინც, ვერ მოვისვენებ და ვიბრძოლებ უფლის ნებით, ვიდრე ერთი ოკუპირებული საფლავი მექნება სამშობლოში და წინ აღვუდგები იმათ, ვინც სკვითს წაართმევინა ჩემი მიწები და ახლა ცოფიანივით მოიწევს ხელისუფლებისკენ. ამ დუჟმორეულებს რომ ვუყურებ, ჯოჯოხეთის კარიბჭესთან მგონია თავი, თითქოს ჭუჭრუტანიდან ვუყურებ.

როლანდ კილაძე

ლხინი, ის იყო ეშხში შევიდა და თამადამ კათოლიკოს-პატრიარქის სადღეგრძელო წარმოთქვა. გრძელი სუფრა ვენახის ბოლოში იყო გაშლილი და ოთხიდან სამი ფეხზე წამოუდგა ნათქვამს. ერთმა კი რაღაცნაირად ჩაიქირქილა და...

– კაკოია, ცურვა თუ იცი კარგი? – ჰკითხა თამადამ და გამოცლილი ჭიქა მაგიდაზე დადგა.

– ვიცი, – თავი დაუქნია სკამზე მიწეპებულმა.

– გამოგადგება, – და თამადა დაიძრა მისკენ, თავის ბოკონა სკამიდან ასწია და ღობის აქეთ, აპრილის დასაწყისისთვის საკმაოდ მომძლავრებულ მდინარეში გადაისროლა. ვიდრე თანამეინახეები გონს მოვიდოდნენ, კაკოიამ მდინარე გაცურა, გაღმა რიყიდან ერთი კი გამოიხედა და მაინც, სიფრთხილეს თავი არ სტკივაო, მოკურცხლა.

– რომ დახრჩობილიყო, სად მიდიოდი? – იკითხა ერთმა.

– დაიხრჩობოდა და ერთი ათეისტით და ვირიშვილით ნაკლები იქნებოდა ამ ქვეყანაზე, – უპასუხა თამადამ, როლანდ კილაძემ და სუფრა წესისამებრ გააგრძელა.

ნორმალური, ჯიგრიანი ქართველისთვის ასეთი კაცები და მათი საქციელი წამალივითაა. არავის გეგონოთ, რომ ჩემი ძვირფასი მეგობარი, როლანდ კილაძე „ოპრიჩნიკივით“ დასდევს უღმერთოებს და ძალად მაცხონეებს და სადაც დაინახავს წყალში აგდებს. ბევრს ვერ ნახავთ ასეთ გულჩვილ, ლმობიერ და მოყვრის შემცოდე კაცს. უკანასკნელ თეთრს ამოიღებს ჯიბიდან გაჭირვებულის დასახმარებლად, სხვისკენ წამოსულ ტყვიას გადაეფარება და ძალადობის პირველი მტერია, მაგრამ, როცა საქმე ტრადიციას და ადათს ეხება, აქ შეუვალია და ამ დროს მასთან შეპაექრებას არავის ვურჩევ. მინახავს იგი ზემო აჭარაში, უძველესი, კლდეში ნაკვეთი ჯვრის წინ მლოცველი ცრემლებით და სასოებაში გადასული სახით; მინახავს ის განრისხებული და თავშეუკავებელი, როცა ორ მუტრუკს თავები ახლევინა ერთმანეთზე ქალბატონის შეურაცხყოფისთვის; მი-

ნახავს, როცა ერთ წესიერ, მაგრამ ერთი კვირით გალოთებულ ადამიანს, როგორ თხოვა: თუ კიდევ ნასვამს გნახავ, გამოცდი ჩემი მარჯვენის ძალასო და მერე ის ნასვამი აღარავის უნახავს. როლანდი გაჭირვებულთა მშველელად გაუჩენია ღმერთს. იყო დრო, როცა ლამის მთელ მის თანამშრომლებს მისი ვალი გვქონდა და რა გგონიათ, გამოგვართვა ვინმეს? რელიგიურ საკითხებშიც ფრიად გათვითცნობიერებულია.

– ერთი ნაცნობი მყავს, – ვეუბნები, – მას აღიზიანებს გამოთქმა „მონა უფლისა“ და ბუზღუნებს, რად მინდა ღმერთი, რომელიც მონას მიწოდებს?

– აბა, გადაშალე ახალი აღთქმა და თუ ნახავ სადმე, სადაც უფალი ადამიანს მონას უწოდებს, – გაეცინა როლანდს, – პირიქით, იესო ამბობს: „მე აღარ გიწოდებთ მონებს, ვინაიდან მონამ არ იცის, რას აკეთებს მისი ბატონი. არამედ მეგობრები გიწოდეთ, რადგან ყველაფერი გამცნეთ, რაც მამაჩემისგან მსმენია“ (იოანე 15:15).

– ზოგჯერ იმასაც ამბობენ, რომ იესო ღმერთის ძე იყო და არა ღმერთი.

– ეს ბევრს ეშლება, – მპასუხობს როლანდი, – არადა, თავად პავლე მოციქული აღნიშნავს, რომ „ქრისტე იესო მოვიდა წუთისოფელში ცოდვილთა სახსნელად“ (1 ტიმ. 1:15), ეს კი მხოლოდ ღმერთს შეუძლია, რომელმაც შექმნა ადამიანი: „ყოველივე მის მიერ შეიქმნა და მის გარეშე არაფერი შექმნილა, რაც კი შექმნილა“ (იოანე 1:3). იესოს ღმერთობაში მხოლოდ მას ეპარება ეჭვი, ჩემო ძმაო, ვინც ჯერ არ გაბედნიერებულა მასთან შეხვედრით. აი, მოციქული პავლე, „მოშურნედ მდევნელი ეკლესიისა“ (ფილიპ. 3:6), „იწონებდა მის (სტეფანეს) მოკვლას“, „არბევდა ეკლესიას, იჭრებოდა სახლებში და ძალით გამოჰყავდა მამაკაცები და დედაკაცები და საპყრობილეში ჰყრიდა მათ“ (საქმ. 8:1-3), მაგრამ „როცა დამასკოს უახლოვდებოდა, უეცრად მოეფინა ნათელი ციდან.

დაეცა მიწაზე და მოესმა ხმა, რომელიც ეუბნებოდა: „საულ, საულ, რად მდევნი მე?“

უთხრა „ვინ ხარ შენ „უფალო?“ მან კი: „მე ვარ, იესო, რომელსაც შენ სდევნი. გაგიჭირდება დეზის წიხვლა“.

შეძრწუნებულმა და გაოგნებულმა უთხრა: „რას მიბრძანებ, უფალო, რომ გავაკეთო?“ და უთხრა მას უფალმა: „ადექი და შედი ქალაქში და გაიგებ, რაც უნდა გააკეთო“ (საქმ. 9:3-6).

– ამ შეხვედრამ სავლე სხვა ადამიანად აქცია, – ამბობს როლანდი, – მოციქულ პავლედ. როცა უფალი იესო გვეუბნება:

„აჰა, ვდგავარ კართან და ვრეკავ. თუ ვინმე მოისმენს ჩემს ხმას და გამიღებს კარს, შევალ მასთან. მე მასთან ვივახშმებ და ის ჩემთან“ (გამოცხ. 3:20), ანუ მხსნელი დგას ჩვენს კარებთან და აკაკუნებს. გავუღებთ კარს თუ თავს მოვიყრუებთ, თითქოს კაკუნი არ გვესმის, ეს ჩვენი არჩევანია – ჩემი, შენი, იმ შენი ურწმუნო ნაცნობის. მე კი უფლის ნათქვამს გავიმეორებ: „გამარჯვებულს გვერდში მოვისვამ ჩემს ტახტზე, ისევე, როგორც მე გავიმარჯვე და დავჯექი ჩემს მამასთან მის ტახტზე“ (გამოცხ. 3:21) და მუდამ გახსოვდეს: როცა აღიარებ მამა ღმერთს და ძე ღმერთს, აუცილებლად აღიარე სულიწმინდა.

„როცა მოვა ნუგეშისმცემელი, რომელსაც მე მოგივლენთ მამისაგან – ჭეშმარიტების სული – რომელიც მამისგან გამოდის, ის დაამოწმებს ჩემს შესახებ“. (იოანე 15:26). თუ ყველაფერს მოახერხებ და ზუსტად გადასცემ შენს ურწმუნო ნაცნობს, არ დაგავიწყდეს იმის თქმაც, რომ „ეს ყველაფერი გითხარით, რათა არ დაბრკოლდეთ რწმენაში“ (იოანე 16:1), – მითხრა როლანდმა.

– და მაინც, – ვკითხე, – როგორ ვიცნობთ იესო ქრისტეს მისი მეორედ მოსვლის დროს? როცა ის მკვდრეთით აღდგა, იმდენად შეიცვალა, რომ ვერავინ იცნო.

– ასე ნუ იტყვი, – მიპასუხა მან, – რომ ვერავინ იცნო. ზოგიერთი გამოცხადებისას ვერ იცნეს, მაგრამ აბა წაიკითხე მათე მახარებლის 28:8-9: „ისინი სწრაფად გამოეშურნენ სამარხიდან შიშით და დიდი სიხარულით, და გაიქცნენ, რომ ეცნობებინათ მისი მოწაფეებისთვის.

და აჰა, იესო შეხვდა მათ და უთხრა: „გიხაროდენ!“ ისინი მი-

ვიდნენ, ფეხებზე მოეხვივნენ და თაყვანი სცეს მას!“

ანდა იოანესთან: „რვა დღის შემდეგ მისი მოწაფეები კვლავ შინ იყვნენ და თომაც მათთან იყო. შევიდა იესო კარჩაკეტილში, დადგა შუაში და თქვა: „მშვიდობა თქვენდა“ (იოანე 20:26).

– მაცხოვრის მეორედ მოსვლის შესახებ, – გააგრძელა როლანდმა, – გვაქვს პირდაპირი მითითება წმინდა წერილში მათეს თან (24:29):

„ვინაიდან, როგორც ელვა გამოდის აღმოსავლეთიდან და თვით დასავლეთამდე ანათებს, ასევე იქნება კაცის ძის მოსვლაც“. ამის შესახებ იოანე ოქროპირმა თქვა: ის, ყველას ერთად და ერთდროულად გამოგვეცხადება და აღარავის დაგვჭირდება ვიკითხოთ: ქრისტე აქ არის თუ იქ? როგორც ელვის დროსაა, აი ასე იქნება. ყველას ექნება ბედნიერება მისი გამოცხადების.

ღრმად მორწმუნეობის და ტრადიციების დაცვისადმი ბრძოლის გარდა, როლანდ კილაძეს სიყვარულის დიდი ნიჭი მომადლა უფალმა და თანამეცხედრეც ღირსეული შეხვდა. როლანდის და ქალბატონი ეკას სიყვარულზე და ცოლ-ქმრობაზე ლეგენდები დადის და ამ მხრივ ეტალონი ოჯახი აქვთ. სამი შვილი მათი ქორწინების უფლისგან ნაჩუქარი გვირგვინია. როლანდის და ეკას სიყვარული და ურთიერთობა ოვიდიუსის „მეტამორფოზებში“ მოხსენიებულ ბავკიდას და ფილიმონიას ანალოგიურია.

როცა ადამიანი ქორწინდება და წყვილი ურთიერთს უფლის წინ პირობას უდებს, ეს ნიშნავს სიყვარულს უკანასკნელ ამოსუნთქვამდე. როცა ორივე, ცოლიც და ქმარიც, ღვთის წინაშე დადებულ აღთქმას და ურთიერთდაპირებულ სიტყვას ასრულებს, ბედნიერია ის ოჯახი. საერთოდ, სიყვარულის გარეშე, ადამიანი მკვდარია.

ცოლ-ქმარი

მინდა მოგიყვეთ ერთი სიყვარულის ლეგენდა. ბავკიდას და ფილიმონს ახალგაზრდობაში შეუყვარდათ ერთმანეთი და მყის დაქორწინდნენ. უშფოთველად და ფათერაკების გარეშე

იცხოვრეს ღრმა მოხუცებულობამდე – თავიანთ უბრალო ქოხში, ლერწმით აგებულში და ჩალით გადახურულში. მოსიყვარულე ცოლ-ქმარი ცულის ტარზე დაეტიაო – ასეთი იყო მათი ყოფა-ცხოვრება. „ამაოდ დაუწყებდით მათ ქოხში ძებნას ბატონსა და მონას. ორივენი თავად იყვნენ. ბრძანებდნენ და ასრულებდნენ“, – აღტაცებით წერდა ოვიდიუსი „მეტამორფოზებში“.

ერთხელ იმ მხარეს, სადაც ფილიმონი და ბავკიდა ცხოვრობდნენ, ზევსი და ჰერმესი ესტუმრნენ, მაგრამ ჩვეულებრივი ადამიანების სახით. დიდგზაგამოვლილნი, დაღლილნი და მტვრიანი მოგზაურებივით დადიოდნენ და აკვირდებოდნენ ხალხის ცხოვრებას, თან ყველა კარზე აკაკუნებდნენ, თავშესაფარს, ღამის გასათევს ითხოვდნენ.

მაგრამ... იმედგაცრუება ელოდათ წინ ზევსსა და ჰერმესს. მცხოვრებლებმა კატასტროფული არასტუმართმოყვარეობა გამოიჩინეს. არა თუ საცხოვრისი შესთავაზეს, წყალი და პური არავინ მიაწოდა მგზავრებს. მხოლოდ სოფლის ბოლოში გასულებს, ორმა მოხუცმა შეთავაზა, ჩვენთან მოისვენეთო! ჩვენმა კეთილგონიერმა, მოსიყვარულე ცოლ-ქმარმა – ფილიმონმა და ბავკიდემ.

მათ არ იცოდნენ, რომ ღმერთები შეიფარეს, რაც ჰქონდათ ღარიბულ ქოხში, არაფერი დაუზოგავთ. საზეიმო დღისთვის შემონახული უკანასკნელი საბადებლით გაუშალეს სუფრა, შეძლებისდაგვარად არაფერი დააკლეს სტუმრებს, მერე კი მათთან ერთად შემოუსხდნენ მაგიდას და ტკბილი საუბრით შეიქციეს.

ამ დროს კი ღმერთებმა მოქმედება დაიწყეს: ნუგბარი საჭმელები თავისით გაჩნდა სუფრაზე, საუკეთესო ღვინოც გამოჩნდა მაგიდაზე მდიდრული ჭურჭლით და ცოლ-ქმარი მიხვდა, რომ მათ ქოხში ღმერთები სტუმრობდნენ. მოუბოდიშეს მათ არასაკმარისი მასპინძლობისთვის და გადაწყვიტეს საზეიმო დღისთვის შესაწირავი ბატი დაეკლათ მათთვის.

ზევსმა უარი თქვა ბატის შეწირვაზე და განაცხადა: „ჩვენ ღმერთები ვართ. თქვენს მეზობლებს საშინელ სასჯელს მო-

ვუვლენთ იმისთვის, რომ გაჭირვებულ მგზავრებს არ გაუწოდ-ეს დახმარების ხელი. თქვენ უვნებელნი გადარჩებით, დიდხანს იცოცხლებთ და როცა დრო მოვა, უკანასკნელად ერთად ამოისუნთქავთ. ახლა კი ჩვენთან ერთად დატოვეთ სახლი, უკან მოგვყევით და ერთად ავიდეთ აი იმ მთაზე“.

როგორც კი მთის წვერს მიაღწიეს და სოფელს გადმოხედეს, სადღა იყო? იქაურობა წყალს დაეფარა, მხოლოდ მათი ქოხის ადგილას, სოფლის ბოლოში, შემაღლებულზე იდგა ტაძარი მარმარილოს სვეტებით და ოქროს სახურავით, ოქროს კარებით და მთლიანად ოქრო-ვერცხლში ჩასმული.

ზევსმა უთხრა ფილიმონს და ბავკიდას, რომ ეს ტაძარი ამიერიდან მათი საცხოვრებელია და ცოლ-ქმარს ნებისმიერ თხოვნას აუსრულებს.

ცოლ-ქმრის საერთო სურვილი ღმერთებს ფილიმონმა მოახსენა: „გვინდა თქვენი ტაძრის ქურუმნი ვიყოთ და თქვენ გემსახუროთ და შეგვისრულოთ ის, რასაც შეგვპირდით: ორივეს გვინდა, როცა დრო მოგვივა, ერთად დავიხოცოთ, რომ ურთიერთსიკვდილით არ გავმწარდეთ“.

და ასეც მოხდა. დიდხანს იცოცხლეს სიყვარულით და პატივისცემით. როცა სიკვდილის საათი დაუდგათ, გამოეთხოვნენ სიყვარულით ერთმანეთს და გადაიქცნენ მუხად და ცაცხვად, რადგან ეს ორი ხე, ერთი ფესვიდან იზრდება.

და ვთხოვ უფალს, ასი წლის შემდეგ, როცა უკეთეს საუფლოში გადასვლის ჟამი დაუდგებათ, ჩემი როლანდი და ეკა, ურთიერთგარდაცვალებით არ გამწარებულიყვნენ.

რევაზ მიშველაძე

„... არის რაიმე სამყაროში მარადიული, უფალო?
– მხოლოდ ღმერთი“.

ასე ამთავრებს რომანს „ქრისტე ახალი სახარება“, ჩვენი დროის უდიდესი მწერალი რევაზ მიშველაძე: ტკბილმოუბარი, თბილღიმილნაღვლიანი, ოთხმოცი წლის ახალგაზრდა, ნატანჯი და წამებული, თავზე წისქვილქვადატრიალებული და კამეჩის რქასავით მაგარი, ქვეყნისთვის ყველაზე ძვირფასის მიმცემი ერისკაცი.

-გაბრიელ ანგელოზის სტუმრობით ღვთისმშობელ მარიამთან, დაიწყო ჩვენი, ქრისტიანების დღესასწაული, ანუ თუ თანამედროვე ენით ვიტყვით, მოსამზადებელი სამუშაოები ხსნის გზის გასაჭრელად ცათა სასუფევლისკენ, – მეუბნება ბატონი რეზო, – მალე უნდა გამოჩენილიყო სამყაროს მამოძრავებელი იესო ქრისტე, რომელსაც ჩვეულებრივი კაცის სახე უნდა მიეღო, ეცხოვრა ჩვენს შორის, მომკვდარიყო და აღმდგარიყო მკვდრეთით, როგორც სიკვდილის დამთრგუნველი და საუკუნო სიცოცხლის მიმნიჭებელი.

მწერლის მაგიდიდან „ახალ აღთქმას“ ვიღებ და ხმამაღლა ვკითხულობ:

„მეექვსე თვეს კი წარმოიგზავნა ღვთისაგან გაბრიელ ანგელოზი გალილეის ქალაქს, რომლის სახელია ნაზარეთი.

ქალწულთან, რომელიც დანიშნული იყო კაცზე, სახელად იოსებზე, დავითის სახლისაგან, ხოლო ქალწულის სახელი იყო მარიამი.

შევიდა მასთან და უთხრა: „გიხაროდეს, მომადლებულო, შენთანაა უფალი. კურთხეული ხარ დედათა შორის“ (ლუკა 1:26-28).

– იესო ჩვეულებრივი ბავშვივით დაიბადა, – თქვა დიდმა მწერალმა, – დაიბადა არა მეფის სასახლეში, არამედ გამოქვაბულში. ყრმა ჩააწვინეს არა ოქრო-ბრილიანტით მორთულ აკვანში, არამედ ბაგაში. მის დაბადებას არ მოჰყოლია არმიის აღლუმი

და ქვემეხთა სროლა, არც სენატორები და დიდგვაროვანნი ჩამდგარან გრძელ რიგში საჩუქრების მისართმევად.

– ანუ არ ყოფილა ის ზეიმი, რაც უფლისწულის დაბადებას ახლავს, – ვთქვი მე.

– სამაგიეროდ, ყრმა იესოს ანგელოზებმა უგალობეს, მწყემსებმა სცეს თაყვანი, საჩუქრები მოართვეს შორეული სპარსეთიდან მოსულმა ბრძენმა ვარსკვლათმრიცხველებმა, რომელთაც ცაზე ნიშანი მიეცათ – საოცარი ვარსკვლავი... – საზეიმოდ აღნიშნა ბატონმა რეზომ და კითხვაჩამდგარი თვალებით გადმომხედა, შენ რას იტყვიო.

– ამ დღეს წინ უძღოდა ლუკა მახარობლის მიერ აღწერილი, მთავარანგელოზ გაბრიელის სტუმრობა მარიამთან, – მივუგე, – იუდეური კანონით და წესით, 12 წელს მიღწეულ გოგონას უკვე შეეძლო დანიშნული ყოფილიყო. პრაქტიკულად კი 14-15 წლიდან ხდებოდა ეს. დანიშნულები მთელი წლის განმავლობაში მშობლების სახლში რჩებოდნენ და შეხვედრა-საუბარი მხოლოდ სხვათა თანდასწრებით შეეძლოთ. წლის გასვლის შემდეგ იმართებოდა დიდი ქორწილი, რომელიც ხშირად კვირაზე მეტ ხანს გრძელდებოდა, თუ გოგონა ნიშნობის პერიოდში დაორსულდებოდა და საქმრო მას მღვდლის წინაშე წაუყენებდა ბრალს, ქალს ქვებით ჩაქოლვა ემუქრებოდა. ანდა საქმროს შეეძლო, უბრალოდ, დაშორებოდა საცოლეს, მიეცა მისთვის განმაქორწინებელი წერილი. ლაფდასხმული ქალი მშობლების სახლში ბრუნდებოდა სამუდამო სირცხვილის ლაქით.

– მართალი ხარ ჩემო ზაალ, – გაიღიმა ბატონმა რეზომ, – სახარებიდან ვიგებთ, რომ მარიამი იოსებზე იყო დანიშნული. ზოგი გადმოცემით, იოსები ახალგაზრდა აღარ იყო და პირველი ქორწინებიდან შვილებიც ჰყავდა. არის ვარაუდი, იოსებმა იმიტომ მოიყვანა მარიამი ცოლად, რომ ამ ამით მისი ქალწულობა დაეცვა. სხვა წყაროებით, იოსები ახალგაზრდა იყო და მარიამთან ჩვეულებრივი წესით სურდა დაქორწინება: შეექმნა ოჯახი, გაეჩინა და აღეზარდა შვილები.

– ანუ არ ვიცით, სინამდვილეში რა მიზნით იქმნებოდა ეს ოჯახი?

– საეჭვოა, ოდესმე ამოვხსნათ ეს საიდუმლო, – მიპასუხა მასპიძელმა და განაგრძო, – ის კი ცნობილია, რომ იმ დროის პალესტინაში ზოგი ქალიშვილი ცხოვრებას ღმერთს უძღვნიდა და ქალწულობის აღთქმას დებდა. მორწმუნე მამაკაცს უფლება ჰქონდა დაქორწინებულიყო ასეთ ქალიშვილზე, რომ მისი უბიწოება დაეცვა... ჩვენთვის კი მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ მარიამი იოსებზე იყო დანიშნული... და როცა გაბრიელ მთავარანგელოზი წარუდგა და უთხრა „კურთხეული ხარ დედათა შორის“, ეს ნიშნავდა, რომ მარიამი არჩეულია დედამიწაზე მცხოვრებ ქალთა შორის უდიდესი ღვთიური მიზნის და ჩანაფიქრის განსახორციელებლად.

„ის კი შეაძრწუნა ამ ნათქვამმა და ჩაფიქრდა: „რას უნდა ნიშნავდეს ეს მისალმება“ (ლუკა 1.29), – წავიკითხე მე.

– ყურადღება მიაქციე ერთ დეტალს, – მიხსნის დიდი მწერალი, – მარიამი არ შეუშინებია ანგელოზის გამოჩენას, მხოლოდ ჩაფიქრდა. იგივე ლუკა, როცა აგვიწერს ანგელოზის გამოცხადებას მღვდელ ზაქარიასთან, ამბობს: „შეკრთა მის ხედვით ზაქარია და შიში დაეცა მას“ (ლუკა 1:12). როგორ მოხდა, რომ ანგელოზმა მღვდელი შეაშინა და გოგო ვერა? წმინდა მამები ამბობენ, რომ მარიამი, ეტყობა, პირველად არ შეხვედრია ანგელოზს. ჩვენ ხომ არ გვაქვს ცნობები მარიამზე მანამ, ვიდრე იგი მაცხოვრის დედა გახდებოდა? გადმოცემით მხოლოდ ის ვიცით, რომ სამი წლის მარიამი მიიყვანეს იერუსალიმის ტაძარში და ღმერთს მიუძღვნეს, – აღნიშნა ბატონმა რეზომ და დასძინა: – დღესასწაულიც კი გვაქვს „წმინდა ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანება“.

– ნებისმიერ შემთხვევაში, ჩავერთე მე, – მომავალი ღვთისმშობელი ყრმობიდანვე განსაკუთრებული ღვთისმოშიშობის ატმოსფეროში იზრდებოდა, სიწმინდეში და ლოცვებში. მართლმადიდებლური გადმოცემა ამბობს, რომ მარიამი უფლის დედობის ღირს იქმნა თავისი სიწმინდით და ღმერთის დიდი რწმენით.

„უთხრა მას ანგელოზმა: „ნუ გეშინია, მარიამ, ვინაიდან მადლი ჰპოვე ღმერთთან.

აჰა, დაორსულდები და შობ ძეს და სახელად იესოს დაარქმევ. (ლუკა 1:30-31).

– შეუძლებელია, – თქვა ბატონმა რეზომ და გაიმეორა, – შეუძლებელია წარმოიდგინო, ანგელოზის ამ სიტყვების მერე რა განიცადა ღვთისმშობელმა: „უთხრა მარიამმა ანგელოზს: „როგორ იქნება ეს, როცა მე მამაკაცი არ ვიცი“ (ლუკა 1:34).

– რა არის ეს? უნდობლობა? – ვიკითხე.

რეზო მიშველაძე ჩაფიქრდა და პაუზის მერე მიპასუხა: – ნეტარი თეოფილაქტე აღნიშნავდა: „ქალწულმა ეს თქვა არა იმიტომ, რომ მას არ სჯერა, არამედ, როგორც ბრძენმა და გონიერმა, რომელსაც სურს გაიგოს, შეიმეცნოს ეს მოვლენა, რამეთუ არაფერი მსგავსი მანამდე არ მომხდარა და არც შემდეგ არ მოხდება აღარასოდეს!“ „ანგელოზმა მიუგო პასუხად: „სულიწმიდა გადმოვა შენზე და უზენაესის ძალა მოგიჩრდილავს. ამიტომ წმიდა შობილიც იწოდება ღვთის ძედ... ვინაიდან ღმერთთან არავითარი სიტყვა არ დარჩება შეუძლებელი.

მაშინ მარიამმა თქვა: „აჰა, მხევალი ვარ უფლისა: მეყოს შენი სიტყვისამებრ“ (ლუკა 1:35,37-38).

– წმინდა ათანასე ალექსანდრიელი, რომელიც ამ მოვლენიდან სამასი წლის შემდეგ მოღვაწეობდა, – შევეშველე კლასიკოსს, – წერდა: „მარიამმა თანხმობის სიტყვებით გამოაცხადა: უფლისთვის დაფა ვარ და მას რაც სურს, იმას დაწერს“.

– იესოს ჩასახვასა და ჩვეულებრივი ადამიანის ჩასახვას შორის განსხვავება ის არის, რომ ადამიანს ჩასახვამდე სული არ აქვს, – ამბობს ბატონი რეზო, – ვიდრე განაყოფიერება არ მოხდება, ის არ არსებობს. იესო კი მუდამ არსებობდა. დიახ, ის სუფევდა და მხოლოდ ორი ათასი წლის წინ მიიღო ადამიანური ბუნება. იოანეს სახარება გავიხსენოთ:

„უთხრეს მას იუდეველებმა: ჯერ ორმოცდათი წლისაც არა ხარ და აბრაამი გინახავს?“

ითხრა მათ იესომ: „ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით

თქვენ: სანამ აბრაამი იქნებოდა, მე ვარ!“ (იოანე 8:57-58).

– იესოს ჩასახვით ღვთის შვილი გახდა ადამიანთა შვილი, – ვთქვი.

– დიახ, – დამიქნია თავი, – ქვეყნიერება მესიას ელოდა. ვამბობთ იესო ქრისტე. იცის ბევრმა, რას ნიშნავს ეს?

– ქრისტე ტიტულია, – ვპასუხობ, – ბერძნულად „ცხებულს“ ნიშნავს. ძველ ისრაელში ზეთს სცხებდნენ მეფეებს, წინასწარმეტყველებს და მღვდლებს, ანუ მათ, ვისაც უფალმა გარკვეული სამსახური დააკისრა.

– სწორედ რომ. – დაბეჭდა რეზო მიშველაძემ, – იესომ სამივე მსახურება შეითავსა. ის მოვიდა, რომ ქვეყნიერება და ადამიანი დააკავშიროს ღმერთთან; გახდეს მეფე, გახდეს წინასწარმეტყველი უფლის სასუფევლისა დედამიწაზე და იყოს მღვდელი შექმნილის შემქმნელთან.

– ქვეყნიერებამ არ იცოდა, რომ მესია მობრძანდა. – ჩავერთე მე, – მხოლოდ მარიამმა და იოსებმა იცოდნენ ეს. მათეს სახარებაში წერია, რომ იოსებმა, შეიტყო რა მარიამის ორსულობის შესახებ, გადაწყვიტა, არ გაეხმაურებინა ეს ამბავი, რათა ქალიშვილი ქვებით არ ჩაექოლათ. მიეცა მისთვის განწორწინების წერილი და გაეშვა მშობლებთან.

აქ კი ბატონმა რეზომ სახარება გადაშალა:

„როცა ამას ფიქრობდა, აჰა, ეჩვენა მას სიზმარში უფლის ანგელოზი და უთხრა: „იოსებ, ძე დავითისა, ნუ გაშინებს შენი ცოლის, მარიამის მიღება, ვინაიდან ის, ვინც მასშია ჩასახული, სულიწმინდისაგან არის.

ძეს შობს და დაარქმევ მას სახელად იესოს, ვინაიდან იგი იხსნის თავის ხალხს მათი ცოდვებისაგან“ და როგორ ძლიერია იოსების რწმენა და უფლისადმი მორჩილების ძალა, – დაასკვნა გენიალურმა მწერალმა, – მოუსმინე მათე მახარობლის 1:24-ში რა წერია: „სიზმრისგან გამოფხიზლებული იოსები ისე მოიქცა, როგორც უფლის ანგელოზმა უბრძანა და მიიღო თავისი ცოლი“. **ღმერთისადმი ნდობა და მორჩილება მისი ნებისადმი ყოველგვარი განსჯის გარეშე ნიშნავს ქრისტიანს!**

რეზო მიშველაძემ ამ ფორმულით გვამცნო თავისი დამოკიდებულება ამ თემისადმი და აღელვებული ხმით განაგრძო: – მარიამიც და იოსებიც მორჩილებით ასრულებენ უფლის განაწესს, თუმცა უფლის ჩანაფიქრი დაფარული იყო მათთვის. ჩემი და შენი მოვალეობაც ის არის ჩემო ძმაო, რომ შევძლოთ ღვთისადმი იმდაგვარი ერთგულება და შვილობა, რომ ხელი შევუწყოთ ქრისტეს ეკლესიას, მიაღწიოს უფლის უზენაესი ნება ყოველგვარი განსჯის გარეშე მიიღონ და აღასრულონ ჩვენმა მკითხველებმა. ღმერთისადმი ნდობა და მორჩილება მისი ნებისადმი, არის გადარჩენის ერთადერთი ფორმულა. სხვა გზა ხსნისა მე არ ვიცი და ვეჭვობ, ვინმე მოკვდავთაგანმა ოდესმე აღმოაჩინოს!

ოთხი სახარების მიზანი

– თქვენი რომანი „ქრისტე – ახალი სახარება“ უაღრესად პოპულარულია და მთელი ტირაჟი უცებ გაიყიდა.

– ამ რომანს ცხოვრებისეული გამოცდილება და წმინდა წერილების ძირფესვიანი შესწავლა უძღოდა წინ. ჯერ ოთხი სახარების მიზანი გავასიგრძეგანე და მე, სამშობლოს მიწების წართმევით გამწარებულმა ქრისტიანმა, უფლის მცნებაში „სამშობლო“ დავამატე მეორე მცნებად: „გიყვარდეს სამშობლო და იბრძოლე მისი თავისუფლებისთვის“!

იმედია უფალი შემინდობს და მომიწონებს ამას. ახლა კი ოთხი სახარების მიზანზე გიამბობ:

წმინდა წიგნის კითხვის დროს, ხშირად გვიფიქრია, რატომ მოგვცა ღმერთმა ოთხი სახარება ერთის მაგივრად? პირველი, რაც თავში მოგვდის პასუხად: იმისთვის, რომ უფრო სრული სურათი მოეცა იესო ქრისტეს ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. ბიბლია ხომ „ღვთივსულიერია და სასარგებლოა სასწავლებლად, სამხილებლად, გამოსასწორებლად, დასარიგებლად სიმართლეში“. (2 ტიმოთე 3:16). სახარების თითოეულ ავტორს საკუთარი მიზანი ჰქონდა და აქცენტს იესო ქრისტეს პი-

როვნებისა და მოღვაწეობის სხვადასხვა ასპექტზე აკეთებდა.

მათე ებრაული აუდიტორიისთვის წერდა და მისი ერთ-ერთი მიზანი იყო ეჩვენებინა იესოს გენეალოგია და ძველი აღთქმის წინასწარმეტყველების აღსრულება რომ იესო დიდი ხნის ნანატრი მესია იყო. მათე მინიშნებას აკეთებდა იმაზე, რომ იესო გახლდათ აღთქმული მეფე, „დავითის ძე“, რომელიც საუკუნოდ დაიკავებს ისრაელის ტახტს (მათე 9:27;21:9).

„როცა იესო იქიდან მოდიოდა, ორი ბრმა აედევნა. ყვიროდნენ და ამბობდნენ: „შეგვიწყალე, დავითის ძეო!“

„ხოლო ხალხი, წინ რომ უძღოდა და უკან მისდევდა, შესძახოდა: „ოსანა დავითის ძეს: კურთხეულია უფლის სახელითა მომავალი! ოსანა მაღალთა შინა!“

მარკოზი, „ბარნაბას დისწული“ (კოლას. 4:10) უშუალო მოწმე იყო იმ მოვლენების, ქრისტეს დროს რომ მოხდა და მოციქულ პეტრეს მეგობარი იყო. წმინდა პეტრეს იგი ისე უყვარდა, რომ თავის შვილს ეძახდა, ხოლო მარკოზის სახარებაზე თქვა: „ყოველივე ჭეშმარიტია და შეიძლება მისი რწმუნება“. მარკოზი წარმართი აუდიტორიისთვის წერდა და მთავარ აქცენტს აკეთებდა იმაზე, რომ იესო იმისთვის კი არ მოვიდა, მას ემსახურონ, არამედ იმ მიზნით, რომ სხვებს ემსახუროს და თავისი სიცოცხლე სხვების ცოდვების გამოსყიდვას შესწიროს (მარკ. 10:45).

„რადგან კაცის ძე არ მოსულა იმისთვის, რომ მას ემსახურონ, არამედ იმისთვის, რომ თავად ემსახუროს და მისცეს თავისი სული მრავალთა გამოსასყიდად“.

ლუკა – მოციქული პავლეს „საყვარელი მკურნალი ლუკა“ (კოლას. 4:14) სახარების და მოციქულთა საქმეების ავტორია. ყოველთვის ითვლებოდა სკურპულოზურ ისტორიკოსად მათთვის, ვინც მის ქმნილებებს იყენებდა გეოლოგიურ და ისტორიულ გამოკვლევებში. როგორც ისტორიკოსი, ის ირწმუნება, რომ მიზნად ჰქონდა, თანმიმდევრობით აღეწერა იესოს ცხოვრება თანამედროვეებზე, თვითმხილველებზე დაყრდნობით (ლუკა 1:1-4).

„რაკი უკვე ბევრმა მიჰყო ხელი ჩვენს შორის აღსრულებულ ამბავთა თანმიმდევრულ აღწერას.

როგორც გადმოგვცეს თავიდანვე თვითმხილველებმა და სიტყვის მსახურებმა.

მეც მივიჩნიე, რომ მას შემდეგ, რაც გულდასხმით გამოვიკვლიე ყოველივე თავიდან, თანმიმდევრულად აგიწერო, ღირსეულო თეოფილე.

რომ შეიცნო იმ მოძღვრების ჭეშმარიტება, რომელიც გისწავლია“.

ვინაიდან ლუკა წერდა სპეციალურად, გარკვეული სტატუსის მქონე წარმართი თეოფილესათვის, სახარებაც შედგენილია წარმართული აუდიტორიისთვის. ლუკას განზრახვა გახლდათ ეჩვენებინა, რომ ქრისტიანული რწმენა დაფუძნებულია ისტორიულად სანდო და შემოწმებულ ფაქტებზე. ლუკა ხშირად საუბრობს ქრისტეზე, როგორც „კაცის ძეზე“, ანუ აქცენტს აკეთებს მის ადამიანურ ბუნებაზე. ამას გარდა მის სახარებაში მრავალი დეტალია, რომელიც სხვა სახარებებში არ გვხვდება.

იოანეს სახარება უფრო თეოლოგიურ მსჯელობებს შეიცავს ქრისტეს პიროვნების მიმართ და რწმენის მნიშვნელობაზე. მათეს, მარკოზის და ლუკას სახარებებს „სინოპტიკურ (მიმოხილვით) სახარებებს“ უწოდებს ბევრი, ვინაიდან მათში მოცემულია ქრისტეს ცხოვრების მიმოხილვა, აგრეთვე ერთმანეთს ჰგავს შინაარსით და წერის სტილით. იოანეს სახარება კი იწყება, არა იესოს დაბადებით და დედამიწაზე მოღვაწეობით, არამედ ღვთის შვილის ქმედებით და დახასიათებით იმ მომენტამდე, ვიდრე ის ადამიანი გახდებოდა (იოანე 1:14).

„სიტყვა იქცა ხორცად და დამკვიდრდა ჩვენს შორის, მადლითა და ჭეშმარიტებით აღსავსე და ჩვენ ვიხილეთ მისი დიდება, როგორც მამისაგან მხოლოდშობილი დიდება“.

იოანეს სახარება ხაზს უსვამს იესოს ღვთაებრივ ბუნებას, რაც ჩანს ისეთი ფრაზების გამოყენებაში, როგორიცაა: „სიტყვა იყო ღმერთი“ (იოან. 1:1) „წუთისოფლის მხსნელი“ (4:42), „ღვთის ძე“ (ბევრჯერ გამოიყენება) და „უფალი ჩემი და

ღმერთი ჩემი“ (20:28). ამ სახარებაში თავად იესო ამტკიცებს და ამოწმებს თავის ღმერთობას – „მე ვარ!“ „უთხრა მათ იესომ: „ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: სანამ აბრაამი იქნებოდა, მე ვარ“ (იოანე 8:58), მაგრამ იოანე ასევე აღნიშნავს უფლის ადამიანურ ბუნებასაც.

იოანეს სახარებაში ხაზგასმულია მისი შექმნისა და დაწერის მიზანი (იოანე 20:30-31):

„მოწაფეების წინაშე ბევრი სხვა ნიშანიც მოიმოქმედა იესომ, რაც ამ წიგნში არ დაწერილა.

ეს კი დაიწერა, რათა ირწმუნოთ, რომ იესო არის ქრისტე, ძე ღვთისა და რათა მორწმუნეებს გქონდეთ სიცოცხლე მისი სახელი“.

ამგვარად, ოთხივე სახარებაში ჩვენ წინ გადაშლილია იესო ქრისტეს პიროვნებისა და მოღვაწეობის სხვადასხვა ასპექტი. ერთობლიობაში ისინი ქმნიან მის პორტრეტს, რომლის სრული აღწერა ყოვლად შეუძლებელია, როგორც იოანე აღნიშნავს, „ბევრი სხვა ნიშანიც მოიმოქმედა იესომ, რაც ამ წიგნში არ დაწერილა“, მაგრამ, ოთხი სახარებიდან ბევრი რამ შეგვიძლია გავიგოთ იმის შესახებ, ვინ არის იესო, რომ მან ისეთი რამ მოიმოქმედა და გააკეთა ჩვენთვის, რისი რწმენითაც შეგვიძლია სამუდამო სიცოცხლის მოპოვება.

და ბოლოს, მცირე ბიოგრაფიული ცნობები სახარების შემქმნელთა შესახებ:

მათე – ალფესის ძე, მებაჟე. მათე თვითონ მოიხსენიებს თავს მებაჟედ. ერთი ვერსიით ის ქადაგებდა ეთიოპიასა და პართიაში; მეორე ვერსიით – სპარსეთსა და მიდიაში.

სხვადასხვაობაა მის გარდაცვალებასთან დაკავშირებით: ერთი ვერსიით ის ეთიოპიაში, კოცონზე დაწვით იწამეს. მეორე ვერსიით, იგი თავისი სიკვდილით გარდაიცვალა.

სახარება ქრისტეს ამაღლებიდან 8 წლის შემდეგ დაწერა ებრაულ ენაზე – იუდეველებისათვის.

მათე მახარობლის სიმბოლოა ფრთებიანი ყმაწვილი.

მარკოზი – 70 მოციქულთა შორისაა. მისი სიმბოლოა – ლო-

მი. პეტრე მოციქულის მოწაფე იყო, რომელსაც რომში გაჰყვა, სადაც დაწერა კიდეც სახარება. პეტრე მოციქულმა სახარება მოიწონა და იგი საქადაგებლად აკვილიაში და ეგვიპტეში გააგზავნა. მარკოზი იყო ალექსანდრიის პირველი ეპისკოპოსი.

მარკოზი წამებით მოკლეს.

ლუკა – ლუკას სიმბოლოა ხარის თავი. წარმოშობით ებრაელი იყო. ერთი მოსაზრებით, ლუკამ მარიამ ღვთისმშობლის სახე დახატა ყრმით ხელში. შემდეგ კიდევ ორი ნახატი, ასევე ღვთისმშობლის და უჩვენა ყოვლად წმინდა ქალწულს, რომელმაც თურმე წარმოთქვა შემდეგი: „ჩემგან შობილისა და ჩემი მადლი იყოს ამ ხატებთან“.

ლუკა 80 წელს გადაცილებული წამებით აღესრულა.

იოანე მახარებელი – მისი სიმბოლოა არწივი, ზებედეს ძე იყო. მას იესომ „ქუხილის ძე“ დაარქვა, რადგან იცოდა, რომ ქუხილის მსგავსად ყველგან იღაღადებდა ქრისტეს სიტყვებს. ჯვარცმის დროს იდგა უფლის ჯვართან მარიამის გვერდით. იესომ დაინახა და მარიამს უთხრა: „აი ძე შენი“, ხოლო იოანეს – „აი დედა შენი“. ამის შემდეგ იგი დედასავით ერთგულებდა ღვთისმშობელს. მარიამის მიძინების შემდეგ, იოანე აზიაში წავიდა საქადაგებლად და ბევრი წამებაც გადაიტანა ქრისტიანული მოძღვრების ქადაგებისთვის, როდესაც 100 წელს გადააბიჯა, მოწაფეებს ჯვრის ფორმის საფლავის ამოთხრა უბრძანა, შემდეგ მისი ცოცხლად ჩაშვება და საფლავის მიწით ამოვსება. მოწაფეებმაც დაკოცნეს მახარობელი და სრულიად დაფარეს მიწით. ეს რომ მისმა მიმდევრებმა გაიგეს, საფლავზე მივიდნენ, ამოთხარეს, მაგრამ ვეღარაფერი ნახეს.

ყოველ წელიწადს, 8 მაისს გამოჩნდებოდა წმინდა მტვერი მის საფლავთან და მრავალს კურნავდა.

დიახ, ზუსტად ამ სიტყვებით დაასრულა ამ თემაზე ჩემთან დიალოგი კალამკურთხეულმა და ზეციდან შობილმა... დამშვიდობებისას კი ღიმილით, მიშველაძისებურად ჩამიკრა თვალი და მითხრა: – იესოს ღმერთობაში მხოლოდ მას ეპარება ეჭვი, ვინც ჯერ არ გაბედნიერებულა მასთან შეხვედრით.

არადა დღეში შეიძლება რამდენჯერმე შეგხვდეთ და ვერ ვიცნოთ. ამიტომ მუდმივად ვაკეთოთ სიკეთე, მწიკვი ბოროტება არ გავივლოთ გულში და იესოს ხმას გავიგონებთ. მერწმუნოს ყველა, რომ უამესი და უბედნიერესი შეგრძნება არ არსებობს წუთისოფელში. „წუთისოფელში ჭირი გექნებათ, მაგრამ გამაგრდით. მე ვძლიე წუთისოფელს“ (იოანე 16:33).

ბოლოთქმა

მსურდა წერტილი ჩემს დაბადების დღეს, 15 დეკემბერს დამესვა, მაგრამ 12 დეკემბერს დავამთავრე. უფლის წინაშეც და თავთანაც რომ მართალი ვიყო, აი, ახლა 12-ში ვაპირებ წერტილის დასმას. ეცადეთ, სიმართლეში იდგეთ ღმერთთანაც და ადამიანთანაც. მე თქვენთვის კარგის მსურველი, მიუხედავად ერთგვარი რელიგიური განათლებისა, ხშირად ვცოდავდი და ეჭვი შემქონდა ბევრ ჭეშმარიტებაში. ჩემი სულიერი განკურნების და უფლის მორჩილებისკენ შემობრუნების პირველი ნაბიჯი უკავშირდება 2013 წლის 1 ოქტომბერს, როცა 56 წლის ასაკში, თვალებში ჩავხედე სიკვდილს. ტკივილებისგან გათანგული, სისხლდენისაგან მისუსტებული ჩამომიტანეს რეანომობილში ჩასადებად (ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით!). გამთენიის მიუხედავად, საცხოვრებელი კორპუსის ეზოში უამრავმა ადამიანმა მოიყარა თავი და მათ შორის, ჩემი ექვსი წლის წინ გარდაცვლილი შვილი შევნიშნე. მან თითი მიიდო ტუჩებზე და გამიღიმა. მივხვდი, მისი სახით უფალი მოვიდა ჩემთან – გადასარჩენად... კიდევ ერთი სასწაული წინ მელოდა, ღუდუშაურის კლინიკაში... პირველი გადაუდებელი დახმარების შემდეგ, პალატაში ამიყვანეს. ღონემიხდილს და ნანახის გამო ერთგვარ სასოებაში მყოფს, დაბალი ტანის, გამხდარი, ახალგაზრდა კაცი დამადგა თავზე და მითხრა: – მშვიდად განაგრძეო მკურნალობა. ყველა ხარჯს სახელმწიფო აგინაზღაურებთ. თუ საჭირო გახდება, უცხოეთიდანაც მოვიწვევთ ექიმებს.

ასე დაიწყო ჩემი ეჭვების გაფანტვა ბიძინა ივანიშვილის მიმართ, რომლის გამარჯვებას, იმ დილამდე ზუსტად ერთი წლის წინ, ზარ-ზეიმით არ შევხვედრივარ. ახლა კი საკუთარ ტყავზე გამოვცადე ჯანდაცვის სრული სიკეთე, რაც ბიძინას მოსვლას მოჰყვა და როცა მრავალმა იგრძნო იგივე, გავხდი მისი გულიანი მხარდამჭერი. ბიძინა რომ არა, ჩემი მეგობარი, გიორგი გოგლიჩიძე, რომელიც სიცოცხლის უკანასკნელ წამებს ითვლიდა სააკაშვილის ციხეში მოგონილი ბრალდებით, ვერ

გადარჩებოდა, ვერ დაუბრუნდებოდა ოჯახს და ზესტაფონსაც არ ეყოლებოდა მზრუნველი მერი მისი სახით. ჩვენ, ქართველები, იმიტომ ვუყვარვართ უფალს გამორჩეულად, რომ მადლის დაფასების ნიჭი გვაქვს და როცა ამ ძვირფას თვისებას ვკარგავთ, მაშინ დასაკარგავში ვაგზავნით ბარათაშვილს, ვესვრით ილიას, საშიმშილოდ ვიმეტებთ ვაჟას...

როცა ბიძინა ივანიშვილზე აუგის თქმა ვაპირებთ, გავიხსენოთ უფალი და მისი თვალით შევხედოთ ამ კაცის ნამოქმედარს.

როცა ჯუმბერ პატიაშილზე ვსაუბრობთ, ნუთუ არ გიჩნდებათ აზრი, რომ სრული სიმართლე არ ვიცით 9 აპრილის მოვლენებზე და დროა, ჭეშმარიტება დავადგინოთ.

როცა რომან რურუას გამარჯვებებზე ვსაუბრობთ და ნონას ტრიუმფზე, ვიფიქროთ იმაზე, რა შეუძლია უფალს შთაუნერგოს თავის რჩეულთ ანუ იმათ, ვინც მიიღო და გაითავისა იესო ქრისტე.

როცა გიორგი ნადარეიშვილის მადლიერ ხალხს ვუსმენთ, გავიაზროთ ის, რომ ჩვენს გვერდით არიან იესო ქრისტეს მოწაფეები, რომლებიც აგრძელებენ თორმეტი მოციქულის და სამოცდაათი წარგზავნილის საღვთო საქმეებს.

როცა ზურაბ წერეთლის შედევრებით მოფენილ მსოფლიოს ვუყურებთ, გვიხარია ჩვენი ქართველობის გამო და ამიტომ ჯეროვანი პატივი უნდა მივაგოთ მას.

დიდ მწერალს, რევაზ მიშველაძეს შევხედოთ, როგორც ქართული სიტყვის და თანამედროვე ჩვენი ლიტერატურის უდავო სარდალს, რომლის გვერდით მისი შექმნილი პერსონაჟების უზარმაზარი არმია დგას, უფლის აუწონელი მადლით გასხივოსნებული საქართველოს მეციხოვნეები. იგი ამ მხრივ საკუთარ სახელმწიფოს ფლობს, ყოველგვარი საზღვრების გარეშე. იქ შესვლა პლანეტის ნებისმიერ მცხოვრებს სახლიდან გაუსვლელად შეუძლია, გადაშალეთ მისი ნებისმიერი წიგნი და მყის აღმოჩნდებით უპანდემიო, მზით და სიყვარულით გამთბარ ქვეყანაში, რევაზ მიშველაძემ რომ აჩუქა კაცობრიობას და ღერბზე „ღმერთი სიყვარულია!“ აწერია.

და დასასრულს, აუგად ნურც მე მომიხსენიებ, ამ წიგნის ავტორს იმის გამო, რომ მსურს უკეთესი იყო, ვიდრე ახლა ხარ.

12.12.2020
15 სთ. 12 წთ.
თბილისი

დავამთავრებ იმით, რითაც დავიწყე – ნიკოდემოსის და უფლის ურთიერთობით, მათი საუბრით მაღლიდან შობის შესახებ: ნიკოდემოსმა მაშინ ვერ გაიგო, რა ჰქონდა იესოს მხედველობაში, მაგრამ ის კი იგრძნო, რომ ეს მას არ ჰქონდა, არადა, თითქოს ყველაფერს ფლობდა ამის მოსახვეჭად: კეთილ საქმეებს, ასრულებდა რელიგიურ წეს-ჩვეულებებს, ლოცვებს, ჰქონდა უფლის რწმენა, იესოსაც თვლიდა უფლისგან მოგზავნილად, მაგრამ არ იყო მაღლიდან შობილი და არ ჰქონდა წილი ღვთის სამეფოში.

და მაინც, რას ნიშნავს მაღლიდან შობა? ეს არის სულიწმიდის ბუნებრივი ქმედება, რომელსაც უფალი ახორციელებს ადამიანში თავისი სულით და სიტყვით. ამის შედეგია ადამიანის ახალი ბუნება – არა, უკაცრავი პასუხია და შეკეთებულ-„შერემონტებული“, არამედ ახალი, ცინცხალი, რაც ადრე არ ჰქონდა, სხეული კი არ შეცვლილა, სული განახლდა! სრულიად ახალი სული დაიბადა, „ვინაიდან ისე შეიყვარა ღმერთმა წუთისოფელი, რომ მისცა თავისი მხოლოდშობილი ძე, რათა ყოველი მისი მორწმუნე არ დაიღუპოს, არამედ ჰქონდეს საუკუნო სიცოცხლე“ (იოანე 3:16)

ორი ათასი წელი იესოს მადლი იცავს ადამიანებს და სამყაროს. რამდენი დამცირება და ტკივილი გადაიტანა ჩვენი ცოდვების გამო. მისი მაგალითით აღფრთოვანებულმა ზეციდან შობილებმა, მოწამეობრივი ცხოვრებით ბევრ ადამიანს გაუხსნეს გზა მეორე დაბადებისკენ, მაგრამ საზოგადოების უმრავლესობა დღემდე ურწმუნოა და არათუ სწამს, დასცინის კიდეც მორწმუნეებს. ეს კი დამღუპველია მათთვის. დავით წინასწარმეტყველმა წარმოთქვა (ფსალმ. 13:4-7):

„ნუთუ ვერ შეუგნიათ უკანონობის ჩამდენთ, ჩემი ხალხის მჭამელთ, პურს რომ სჭამენ და ღმერთს არ უხმობენ?

იქ შეკრთნენ შიშით, რადგან ღმერთი მართალთა თაობაშია.

თქვენ დასცინეთ რჩევას საწყლისას, რაკი ღმერთია მისი მფარველი.

ვინ მისცემს სიონიდან ისრაელს ხსნას, ოდეს შემოაქცევს ღმერთი თავის ხალხის ტყვეობას, მოილხენს იაკობი, გაიხარებს ისრაელი.“

დიახ, ღმერთი ყველაფერს ხედავს და უყურადღებოდ არ ტოვებს ამ დაცინვას, რადგან ირიბად ეს მასაც ეხება. ქრისტიანთა დაცინვა უმდაბლესი ქცევაა: როგორ მწარედ იცინოდნენ და მასხრობდნენ იესო ქრისტეზე მისი ჯვარცმის დროს (მათე 27:39-42):

„გამვლელები კი თავს იქნევდნენ და გმობდნენ მას.

ამბობდნენ: „ტაძრის დამანგრეველო და სამ დღეში მაშენებულო, იხსენი შენი თავი, თუ ღვთის ძე ხარ, გადმოდი ჯვრიდან“.

ასევე მღვდელმთავრები, მწიგნობრებთან და უხუცესებთან ერთად, დასცინოდნენ და ამბობდნენ:

„სხვებს იხსნიდა, საკუთარი თავის ხსნა კი არ შეუძლია, თუ ისრაელის მეფეა, გადმოვიდეს ჯვრიდან და ვიწამებთ მას!“

თუმცა, დამცინავმა მასამ, როგორც დღევანდელმა, ისე მისმა ორიათასი წლის წინანდელმა წინაპარმა, მთავარი ჭეშმარიტება დაივიწყეს: დასაწყისი კი არ განსაზღვრავს საქმის შედეგს, არამედ დასასრული. რამდენი ასეთი კბილდაკრეჭილი შეგხვედრიათ, მერე რომ უნანიათ და ამით გადარჩენილან?! არიან ისეთებიც, რომელთაც საერთოდ უარყვეს უფალი, ეშმაკს ჩაეხუტნენ და დაკარგეს უფლისგან დაცვა. ეშმაკმა ადამი და ევა აცთუნა, უკვდავებას შეჰპირდა და მოატყუა და ამ საცოდავებს როგორ მოექცევა?

ერთ მაგალითს მოგიტანთ:

ცხონებული ბიძაჩემი, გიორგი, იგივე ჟორა ნემსაძე, სულით და ხორცით ქრისტიანი, ლუკმას არ ჩაიდებდა პირში ლოცვის

გარეშე, გვიყვებოდა: მეორე მსოფლიო ომის დროს, მოქმედ არმიაში მსახურობისას, ფრონტზე, ჯარისკაცებთან სანგარში მჯდარი, სადილობდა. ვიდრე ჭამას შეუდგებოდა, ღმერთს შეთხოვა, საკვები დაელოცა. ამ დროს კი მის ულუფასთან, სამხედრო ნაწილს ადევნებულმა ძაღლმა მიირბინა, პირი წაავლო და გაიქცა. ლოცვას მორჩენილი ქრისტიანი ძაღლს გაეკიდა, ხოლო თანამესანგრეებმა ხმამაღალი სიცილი დააყარეს: „ჟორა, სად არის შენი ღმერთი? რატომ არ დაიცვა შენი საჭმელი?“

რამდენიმე წამში, იმ ადგილას, სადაც ჯარისკაცები სადილობდნენ, ჭურვი აფეთქდა და ზოგი მოკლა, ზოგი კი დაასახიჩრა. „ღმერთი მუდამ ჩემთანაა, რომ მტრისგან მიხსნას“, – პირჯვარი გადაიწერა ჟორა ბიძიამ და დაშავებულთა საშველად გაიქცა...

ფსალმ: 73:21-22:

„ნუ დაბრუნდება ჩაგრული გაწბილებულად,
ღარიბ-ღატაკნი აქებენ შენს სახელს.
აღდეგ, უფალო, ედავე შენს მოდავეებს,
გაიხსენე შენი ლანძღვა არამზადებისაგან ყოველდღე“.

„ნუ მოტყუვდებით: ღმერთი არ შეურაცხყოფს, ვინაიდან, რასაც დათესავს კაცი, იმას მოიმკის“ (გალატელთა 6:7).

12.12.2020.

საშობაო ზღაპარი

შობის წინა დღეს პავლე ადრე ადგა და შვილიშვილს, 10 წლის ბაჩუს უთხრა: – ბაბუ, რომ ადგები, ნაძვებს ფირფიტები ჩამოჰკიდე. მე საღამომდე ვერ მოვალ. საშობაო სუფრა გაწყობილია. ვინც გინდა, დაპატიჟე. რაღაცებს კიდევ მოვიტან...

ბაჩუ იმ წამსვე წამოხტა, ბაბუ კარებამდე მიაცილა, ხელ-პირი დაიბანა, კალათას ხელი წამოავლო და თბილად ჩაცმული, ეზოში გამოვიდა... სახლი ორსართულიანი იყო, წითელი აგურით ნაშენები, კრამიტის სახურავით. წინა ეზოში ცხენი კარგად გაჭენდებოდა. ახლა კი იქაურობა თოვლს დაეფარა. ჭიშკრამდე გზა ბაბუას მანქანისთვის გაწმენდილი იყო. გზის ორივე მხარეს ექვს-ექვსი ნაძვის ხე იყო ჩამწკრივებული, თანაბარი ზომის, ლამაზები და ხასხასა...

ბაჩუ პირველს მიუახლოვდა, კალათიდან თეთრ ზონარშებმული ვერცხლისფერი, მისი ხელისგულისტოლა ფირფიტა ამოიღო და ნაძვის ხეს ქვედა ტოტზე შეაბა. „ფედოსი ბებია“, – ეწერა მასზე. რამდენიმე წუთში ამ ფირფიტას კიდევ თერთმეტი მიემატა: 2. ჟორა; 3. მიშა; 4. ალექსანდრე; 5. თამარი; 6. სანდრო; 7. ნიკოლოზი; 8. ეთერი; 9. ელდარი; 10. ბაცუცა. 11 ავთანდილი; 12. გიორგი (ოტელო). მეცხრე და მეათე ფირფიტის დაკიდებისას, ბაბუმ ცრემლები მოიწმინდა. ელდარი და ბაცუცა მისი უფროსი და-ძმა იყო და მის მშობლებთან ერთად, ამ სამიოდე წლის წინ ავარიაში დაიღუპნენ. მათი დასაფლავების შემდეგ დარგო ბაბუმ ეს ნაძვები შვიდი წლის ბაჩუსთან ერთად და ბიჭს ეს ორი ნაძვი გამორჩეულად უყვარდა. ამ ნაძვებში იყო თავმოყრილი მთელი მათი საგვარეულო. დასვენების დროს თითოეულ ხესთან ბაბუა დიდხანს იდგა და მათ, როგორც ცოცხლებს, ისე ეფერებოდა თავისი მძიმე ხელებით.

პავლე ბაბუა სულ მუშაობდა, შინ თუ გარეთ. მშვენიერი ბაღვენახი და ზამთარ-ზაფხულ ამწვანებული ბოსტანი ჰქონდათ. პავლეს სახელოსნო აქედან ნახევარი საათის სავალზე იყო პატარა ქალაქში და კარგ შემოსავალსაც აძლევდა, ბაჩუს სკოლა ორასიოდე მეტრში მდებარეობდა. ბიჭი ცდილობდა კარგად ეს-

წავლა და მოხუცს სახლის საქმეებშიც ეხმარებოდა.

აი, ახლაც, შობის წინა დღეს, ცრემლები მოიწმინდა ხეებს შორის მდგარმა და სახლისკენ გასწია...

ჭიშკარზე დააბრახუნეს, შემოაღეს და იკითხეს ბოხი ხმით:

– სტუმარს მიიღებ, ბიჭო?

– მობრძანდი ბატონო, სტუმარი ღვთისაა, – მიეგება ბაჩუ.

– გამარჯობა შენი, – თავი დაუკრა ეზოში შემოსულმა, ძველმანები ეცვა და ცალყურა ქუდი ეხურა. ქუსლმორღვეული ფეხსაცმელებით მოფლატუნობდა, რაც ზაფხულის მშრალ ამინდს უფრო შეეფერებოდა. ვიდრე ამ თოვლიან ზამთარს, მსუქანი კაცი კი იყო, ზანტი. ეტყობა სმა-ჭამა უყვარდა და ახლა ცოტა ნასვამიც გახლდათ.

– სახლში შემობრძანდით – თავაზიანად მიიპატიჟა მასპინძელმა.

– რაო, სახლშიო? – ყურებს არ დაუჯერა სტუმარმა, – დავბერდი და ჯერ არავის შევუყვანივარ შინ. ეზოში გამომიტანენ ხოლმე სანოვაგეს და აგერ, ჩანთაში მიწყობენ (როგორ არა! ჩანთა! რაღაც ძველი, აბგის მსგავსი თოკიანი ტომარა ეკიდა მხარზე).

– ჩანთაშიც ჩაგილაგებთ და საშობაო სუფრაზეც მიირთვით, – გაეცინა ბაჩუს, – თქვენი სარგო თბილი ფეხსაცმელებიც გვექნება, ქუდიც, მაგრამ სხვა არაფერი მოგერგებათ.

– იყოს ქუდი და ფეხსაცმელი, – გაეხარდა თბილ სახლში შესულ სტუმარს, – აბაზანაც გქონიათ. შეიძლება შხაპი მივიღო სადილამდე?

– აგერ სააბაზანო, მობრძანდით, – გაუძღვა ბაჩუ, – აგერ საპონი, ქაფი, წვერის საპარსი, პირსახოცი, შამპუნები. ასე თბილი წყალი წამოვა, ასე ცივი...

ვიდრე სტუმარი იბანდა და იხეხებოდა, ბაჩუმ ბაბუს ფეხსაცმელებიდან აურჩია თბილყელიანები, ასევე ორი ყურებიანი და სამი სპორტული ქუდი... ერთი ქუდი დიდხანს ატრიალა ხელებში, ბოლოს კი მაინც სტუმრის აბგაზე დადო...

ნახევარ საათში დაბანილი, გაპარსული და პავლეს ფეხსაც-

მელებში გამონკეპილი სტუმარი საშობაო მაგიდას უჯდა და მუსრს ავლებდა. ადამიანს ასე ბევრი ეჭამოს და ამდენი ლიმონათი დაელიოს, ბიჭს ჯერ არ ენახა. როცა კარგად გამოძღა, სტუმარმა კბილის საჩიჩქნი მოითხოვა და ამოიხვნეშა: – აგერ ისეთი ლამაზი და ფუმფულა ტახტი დაგიდგამთ, ცოტას წავუძინებ თუ არ გეწყინება. ბუხარიც კარგად გუგუნებს და მესიამოვნება.

– ბალიში ან მუთაქა ხომ არ დაგიმატო? – ჰკითხა ბაჩუმ.

– არა, ასეც კარგია... და გაგორდა ტახტზე და ისეთი ხვრინვა ამოუშვა, ბიჭს ეგონა, იხრჩობაო.

ვიდრე მოსულს ეძინა, ბიჭი უკანა ეზოში გავიდა, ბუდიდან ათიოდე კვერცხი ამოიღო და კალათით შეიტანა სახლში.

– კვერცხები?! – გამოსძახა სტუმარმა.

– კი.

– ჩამიწყვე ჩანთაში, ოღონდ ფრთხილად, არ გატეხო. ახალი კვერცხი ძალიან მიყვარს.

– ახლავე ბატონო, თუ გნებავთ, ახალ ჩანთას მოგართმევთ.

– არა, ჩემი მირჩევნია ყველა ჩანთას ერთად არსებულს...

წასვლისას სტუმარმა კიდევ ერთხელ ისადილა და მაგიდა დააცარიელა.

– ისე, დიდი ძუნწი ვინმე ხარ, – უსაყვედურა ბაჩუს, – ერთი ჭიქა ღვინოც არ შემომთავაზე. უღვინოდ სადილი, სადილი გგონია შენ?

– უჰ, ბოდიში ბატონო, – წარმოთქვა ბაჩუმ და ბოთლი გამოარბენია. კაცმა გახსნა და მოიყუდა. ბოლომდე დაცალა შეუსვენებლად და: – კარგი ღვინო გქონიათ, ერთი-ორი-სამი ბოთლი მომეცი.

ბიჭმა თხოვნა შეუსრულა და სტუმრის ჩანთა-აბგაში სამი ბოთლი ღვინო ჩადო. აქა-იქ დარჩენილი ნამუსრევიდან საღი ნაწილი ამოურჩია და ისიც ჩაულაგა. სტუმარმა ჩანთა მხარზე მოიქცია და დაუმშვიდობებლად წავიდა. ბაჩუმ ჭიშკრამდე მიაცილა, იმას კი არც მოუხედავს, არც რამე უთქვამს, დაადო თავი და ღიღინით დაადგა თოვლიან გზას.

– ეჰ, საწყალი, – ამოიოხრა ბაჩუმ, – ვინ იცის, სახლიც არ აქ-

ვს. რატომ არ შევთავაზე, ამ ზამთარს ჩვენთან დარჩენილიყო?

გაკიდება და უკან მისი მობრუნება დააპირა, მაგრამ სტუმარი თითქოს აორთქლდა. კარგა მანძილი ირბინა, მაგრამ ვეღარ იპოვა.

ვიდრე მობრუნდა, ბაბუაც მოვიდა, მანქანა ეზოში გააჩერა, გადმოვიდა და ბაჩუს გასძახა: – მოდი, ნახე რა საშობაო ნამცხვარი მოვიტანე! საშობაო საჩუქარი რატომ არ გახურავს? მაგ ქუდში ნახევარი თვის ხელფასი მივეცი.

– სტუმარს ვაჩუქე, – აღიარა ბიჭმა და შერცხვა.

– სჭირდებოდა ალბათ და მიეცი, კარგად მოქცეულხარ, – შეაქო ბაბუამ, – ნამცხვარი შეიტანე სახლში.

ბაჩუმ სახლის კარი შეაღო და ყუთი კინაღამ გაუვარდა. ჰოლიდან ბუხრამდე დიდი წითელი სანთლები ენთო. სანთლები ბრდღვიალებდნენ სასადილო მაგიდაზეც, რომელზეც იმ ნამუსრევის მაგივრად, სტუმარმა რომ დატოვა, ხელუხლებელი, ათჯერ ამაზე მეტი სანოვაგე ელაგა, ვიდრე მსუქანის მოსვლამდე.

– მაგარი ბიჭი ხარ, – გაეხარდა პავლეს, – აი, მესმის შობა! კარგად მოგიფიქრებია.

– არა ბაბუ, ეს მე არ გამიკეთებია.

– აბა ვინ?

და ამ დროს ეზოში ყიჟინა გაისმა. ბაბუამ და ბაჩუმ გამოირბინეს და სახტად დარჩნენ. ნაძვები ადამიანებად გარდაქმნილიყვნენ და ლამაზი საშობაო მელოდიის რიტმზე ცეკვავდნენ. აქ იყო ყველა: ფედოსი, ჟორა, მიშა, ალექსანდრე, თამარი, სანდრო, ნიკოლოზი, ეთერი, ელდარი, ბაცუცა, ავთანდილი, გიორგი (ოტელო) მხიარულობდნენ, ცეკვავდნენ და მღეროდნენ.

ღია ჭიშკარში დღევანდელი სტუმარი იდგა და იცინოდა:

– ბიჭო, ეს ჩემი საშობაო საჩუქარია. ყოველ შობას თუ ამ სახლში შეხვდები, ესენი გესტუმრებიან და მთელი ღამით შენთან იქნებიან.

– მადლობა ბატონო და თქვენ?

– მე მივდივარ, ახლა სხვებს უნდა შევუჭამო საშობაო სუფრა.

ანგელოზები

პავლე ბაბუა პრინციპული და ხშირ შემთხვევაში, თავისნათქვამა კაცი იყო. არა მხოლოდ თანამშრომლებს, მაღალი თანამდებობის პირებსაც უჭირდათ მასთან კამათი, რადგან თუ სიტყვით ვერ შეასმენდა ვინმეს, რკინის მუშტებს ჩართავდა საქმეში. ამას საქმის გარჩევები მოჰყვებოდა, მაგრამ პავლეს ვერავინ ამტყუნებდა. შედეგი და შეფასება მუდამ ერთი იყო – მართალია, ძმაო, ეს კაცი.

„ეს კაცი“ ანუ პავლე ბაბუა სულ სხვაგვარი და საოცრად ლმობიერი იყო შვილიშვილების მიმართ: „ღმერთს სამი ანგელოზი ჰყავს, მე კი – თერთმეტიო“, – იძახდა სიამაყით.

– ღმერთო, აპატიე ამ რეგვენს შენი გმობა, – პირჯვარს იწერდა ფედოსი ბებია, – მე მაპატიე, გულმოწყალე უფალო ამ ცოდვილის მაგივრად!

ბაბუა ვერ ეკამათებოდა ამ საკითხში. ღმერთის პავლესაც ძლიერ ეშინოდა და ერთხელ, როცა ბებომ განსაკუთრებული გულმხურვალებით შეთხოვა უფალს ცოდვების მიტევება, მე და ჩემი უმცროსი ძმის ამირანის თვალწინ, ჰკითხა: – ძალიან გთხოვ, ერთხელ და სამუდამოდ გამაგებინე, სულ რამდენი ანგელოზია ბიბლიაში?

– შენ რამდენი იცი? – კითხვა შეუბრუნა ბებიამ.

– მე სამი სახელი ვიცი, – მიუგო ბაბუამ, – ბიბლიაში მხოლოდ მიქაელი, გაბრიელი და რაფაელია ნახსენები.

ბებომ ხატების ოთახიდან ბიბლია გამოიტანა, მაგიდასთან ჩამომჯდარ ბაბუას გვერდით სკამზე მიუჯდა, მე და ამირანს დაგვიძახა და წიგნი გადაშალა:

– მიქაელი „გამოცხადებაშია“ ნახსენები: „შეიქმნა ცაში ომი: მიქაელი და მისი ანგელოზები ებრძოდნენ გველეშაპს. შეებრძოლნენ გველეშაპი და მისი ანგელოზები“ (გამოცხ. 12:7). მიქაელს დანიელ წინასწარმეტყველიც ახსენებს, – განაგრძო ბებიამ და წიგნი გადმოფურცლა: „...და, აჰა, ჩემს საშველად მოვიდა მიქაელი, ერთ- ერთი პირველი მთავართაგანი...“ (დან.

10:13). და ისევ დანიელთან: “იმ დროს აღდგება მიქაელი, დიდი მთავარი, შენი ხალხის შვილთა მფარველი...“ (დან. 12:1). გაბრიელის შესახებ კი ლუკა მახარებელი წერს, – თქვა ბებომ და კითხვისას ხმა აუწია: – ლუკა: 19: „ანგელოზმა უთხრა პასუხად: მე ვარ გაბრიელი, ღვთის წინაშე მდგომელი, წარმოგზავნილი ვარ, რათა გელაპარაკო და გახარო ეს“... რაც შეეხება რაფაელს, მის შესახებ ტობითის მეთორმეტე თავში სწერია: “მე ვარ რაფაელი, ერთი იმ შვიდ წმინდა ანგელოზთაგანი, რომელნიც აღავლენენ წმიდათა ლოცვებს და ამაღლდებიან წმიდის დიდების წინაშე.“ (ტობ. 12:15). შენ სიმართლე თქვი პავლე, ბიბლია სამი ანგელოზის სახელს ასახელებს, მაგრამ მინიშნებას გვაძლევს შვიდ ანგელოზზე, რომელნიც აღავლენენ წმიდათა ლოცვებს.

– მათი სახელები იცის ვინმემ? – დაინტერესდა ბაბუა.

– ვიცი, – გაეცინა ბებოს, – ბავშვობაში გვასწავლა სოფლის მღვდელმა მე და ჩემს დებს და გვითხრა, თურმე ენოქის წიგნში წერია, ძველ ებრაულ წერილში.

– ჩამოთვალე, – სთხოვა ბაბუმ და გადმომხედა, – ჩაიწერე.

ამ საქმისთვის მაშინ ქაღალდთან ერთად მელანი და კალმისტარი იყო საჭირო, თუმცა ვინ მაცალა?მეორე კლასელი ჩემი ძმა, რომელიც იშვიათი კალიგრაფიული მიღწევებით იყო ცნობილი მთელს სკოლაში, ნახევარ წუთში, კალამმომარჯვებული უჯდა თავის პატარა საწერ მაგიდას გადაშლილი რვეულით და კარნახს ელოდა:

– მთავარანგელოზი მიქაელი და სხვა უხორცო ზეცის ძალნი, – დამარცვლა დინჯად ფედოსი ბებიამ, – გაბრიელი, რაფაელი, ურიელი, სელაფიელი, ეგუდიელი, ვარახიელი და იერომიელი. მოასწარი ბებო, ჩაწერა? – გახედა ამირანს.

– კი, – უპასუხა და ამაყად დახედა ამირან ნემსაძემ ჯერ კიდევ მელანშეუშრობელ ფურცელს.

– გადმოცემით, – თქვა ბებომ, – მიქაელი შეებრძოლა ღვთის წინაშე ამხედრებულ სატანას, დაამარცხა იგი და მის მოციქულებთან ერთად ზეციდან გადმოაგდო. ოდეს მაცხოვარი აღსდგა მკვდრეთით, მთავარანგელოზმა მიქაელმა გადააგორა

უფლის საფლავის ქვა და ახარა მენელსაცხებელე დედათ. ღმერთმა მიანიჭა მას უფლება, ყოველი წლის 6(ახ. სტ. 19) სექტემბერს, ქერუბიმთა და სერაფიმთა ნავით, ანგელოზთა და წმიდანთა თანხლებით, მიუახლოვდეს განწირულთა სულებს და ილოცოს მანამ, ვიდრე ღმერთი არ შეიწყალებს ადამიანებს და ყოველივე სულიერს დედამიწაზე. იოანე ღვთისმეტყველმა თავად იხილა, როგორ ამოჰყავდა მთავარანგელოზ მიქაელს თავისი ფრთებით ცოდვილთა სულები ჯოჯოხეთიდან.

– აგაშენა ღმერთმა! – სიხარული გაერია ბაბუას ხმას.

– გაბრიელ მთავარანგელოზი ღვთის საიდუმლოს კეთილი მაცნეა, – განაგრძო ბებომ, – ძველი აღთქმის წინასწარმეტყველებს სწორედ ის აუწყებდა იესო ქრისტეს მოსვლას, ღვთისმშობელ მარიამსაც მან ახარა მაცხოვრის მასში განხორციელება. გაბრიელი წმინდანთ მათი ამ ქვეყნიდან განსვლის ჟამს ამცნობს. თუ მთავარანგელოზ მიქაელს ხატებზე ჯავშნით გამოხატავენ, გაბრიელი სამოთხის რტოთი გამოისახება, რომელიც მან ყოვლადწმინდა ქალწულს მიართვა.

– და რაფაელი? – ჩაეძია ბაბუ.

– მთავარანგელოზი რაფაელი სნეულებათაგან გვიცავს- ხატებზე მას მარჯვენაში მაკურნებელი წამლის ჭურჭელი უჭირავს, მარცხენაში კი ჭაბუკი ტობია, რომელსაც შორეულ მოგზაურობაში ახლდა და მის მოხუც მამას თვალისჩინი დაუბრუნა... მთავარანგელოზი ურიელი ბერ-მონაზონთა და ღვთისმეტყველთა მფარველად ითვლება. იგი გონებას გვინათლებს, რათა ღვთიური საიდუმლოებები და წმინდა წერილი შევიმეცნოთ. ურიელი ცეცხლოვანი და შიშველი მახვილით გამოიხატება. ეგუდიელი უფლის მადიდებელია. ის მოღვაწეებს განამტკიცებს და შუამდგომლობს შემოქმედთან. თან მოგზაურთა მფარველად და გაჭირვებულთა შემწედაც ითვლება. ხატებზე მას მარჯვენა ხელში ოქროს გვირგვინი, ხოლო მარცხენაში სამტოტიანი შოლტი უჭირავს. შოლტი ზარმაცებისათვის, ხოლო გვირგვინი გულმოდგინეებისთვისაა განკუთვნილი.

– ვარახიელი დაგავიწყდა ბებო, – ამოხედა ამირანმა, რო-

მელსაც მთავარანგელოზთა ჩამონათვალი ედო წინ და შოლტის ხსენება არ ესიამოვნა.

– ვარახიელი, – გაეცინა ბებიას, – კეთილ საქმეებზე უფლის მიერ კურთხევას იძლევა, მოწამეთა, ქრისტეს აღმსარებელთა და მოსაგრეთა მფარველად ითვლება. ხატებზე მის სამოსელს ვარდისფერ ყვავილთა სიმრავლე ამშვენებს – სულიწმიდის ნიჭის სიმბოლო. იერომიელი კი საღვთო სიყვარულის აღმძვრელია და ვნებათა და ცოდვათა დაძლევაში შეგვეწევა. იგი ხატებზე სასწორით ხელში გამოიხატება.

– და საერთოდ, – საზეიმო ხმით წარმოთქვა ფედოსი ბებიამ, წამოდგა და ბიბლიას დაადო მარჯვენა, – წმინდა წერილი გვამცნობს, რომ ათასობით ანგელოზი სუფევს და ზუსტად მათი რიცხვი, უფლის გარდა არავინ იცის. ცოდვა ის კი არ არის, – გადახედა ბაბუას, – შვილიშვილებს ანგელოზებს რომ ეძახი, ანგელოზი სიყვარულია და სწორედ ამას გამოხატავ. ცოდვა ის არის, როცა უფლის მტვერი პარალელს ავლებ მასთან.

ბაბუას გაეცინა: – ეგ საიდან იცი, რომ ათასობით ანგელოზი სუფევს?

– ლუკა მახარობელი წერს, 2:13: „და უეცრად გაჩნდა ანგელოზთა დიდძალი ლაშქარი ციდან, აქებდნენ ღმერთს და ამბობდნენ: “დიდება მაღალთა შინა ღმერთს, მშვიდობა ქვეყანაზე და კაცთა შორის სათნოება“.

ბებიასთან და ბაბუასთან ერთად სამჯერ გავიმეორეთ ანგელოზთა სიტყვები და პირჯვარი გამოვისახეთ.

წავიღებ თქვენს სიყვარულს!

გორგოლაჭიანი საკაცით მიაგორებდნენ. სანიტრებს ყასბების ფორმა ეცვათ. მათი საუბარი კი კარგად ესმოდა.

– სიკვდილის პირას მიუყვანიათ ეს საწყალი, – თქვა ერთმა.

– გაჩერებულიყო ჭკუით! – უპასუხა მეორემ.

– როგორც გავიგე, არ ყოფილა ცუდი ბიჭი. სხვისი საქმე შეუტენიათ! – იცავდა პირველი.

– მასე გეგონოს!მთელი ზესტაფონი არია და ააქოთა. რა ამის საქმე იყო რა ხდებოდა. თავის სახლში ანტისახელმწიფოებრივი შტაბი ჩამოუყალიბებია, მაგრამ ჩვენს მთავრობას გამოეპარება რამე? – მთავრობა შეაქო მეორე სანიტარმა.

– კანონი შეიძლება დაარღვია, მაგრამ ადამიანის ასე წამება ნამეტანია, – დანანებით თქვა პირველმა, – ნეტავ რა გაუკეთეს ასეთი, გადაადგილების უნარიც დაკარგა.

– ღირსია, გაჩერებულიყო ჭკუით! – დაბეჭდა თანამოსაუბრემ და უყვირა: – შენ ვინ ჩემი ფეხები ხარ, მთავრობას რომ მიკრიტიკებ?! თუ გინდა ამის ადგილას იწვე და იქ ამოჰყო თავი სადაც ეს მიგვყავს? ენა ჩაიგდე, თორემ მოვახსენებ, სადაც საჭიროა!

– ახლა სიტყვას მოჰყვა თუ არა რა ჩემი საქმეა, – დანებდა პირველი.

– მაშ არ იტყვი? უკანასკნელად გაფრთხილებ! – შემოესმათ ხმა რომელიღაც საკნიდან. ამ ხმას სხვისი ხმაც მოჰყვა: – დუმს ეს ნაბოზარი! ხომ არ ჩაძაღლდა? ექიმი სად წაეთრა?

მერე კარების ბრახუნი გაისმა.

– მომკვდარა. ახალგაზრდა კია საწყალი, – დანანებით თქვა ვიღაცამ.

– ერთი მაგის დედაც... ერთი – ორი წამოარტყით და რამ მოკლა? მოაშორეთ აქედან...

ხმები მიწყდა...

– მთავრობა რომ შეიცვალოს, მერე რა ვქნათ? – ჰკითხა პირველმა სანიტარმა მეორეს, როცა სიჩუმე ჩამოვარდა.

– ვინ უნდა შეიცვალოს ბიჭო? არჩევნები როგორც კი დამთავრდება, პირველ ოქტომბერსვე, საღამოს მიშა მოკიდებს ყურში ხელს ბიძინას, დასვამს საფრანგეთის „სამალიოტზე“ და კომედია დამთავრდაო, ეტყვის. გასაგებია? – ჩაიცინა მეორე სანიტარმა.

– ვინ ვის მოკიდებს ხელს და ვინ ვის სად დასვამს, მაგასაც ვნახავთ! – ამოიხავლა გიორგიმ თითქოს სამარედან წამოსული ხმით და გონება დაჰკარგა.

– ხედავ? კვდება და მაინც გვებრძვის? დასანდობია ეხლა ეს? – გაბრაზდა ბოროტი სანიტარი, – ახლა ამას, მორგში რომ შევაგდებ, მიცვალებულზე ხელბორკილით რომ მივაბამ... მერე ნახე ამის გაგიჟება.

ლმობიერმა საკაცეზე გაკრულის მაჯა ასწია, გაუსინჯა და თქვა: – შენმა მტერმა გაიღვიძოს ისე. გათავებულია კაცი...

გიორგიმ მტრის ჯინაზე გაიღვიძა!ისეთი სიცივე იყო, ძაგძაგი დააწყებინა, მაგრამ სხეული, რომელიც უკვე აღარც გონებას და აღარც გრძნობებს ემორჩილებოდა, მალე შეეჩვია სიცივეს. “რახან ვაზროვნებ, ალბათ ცოცხალიც ვარ“, – გაიფიქრა, – ეს რა მკიდია ხელზე?

მქრქალ, მბჟუტავ შუქზე შენიშნა, მიცვალებულზე იყო გადაბმული ხელბორკილით. იმდენი წამება ჰქონდა უკვე გადატანილი, შიშის გრძნობაც გამქრალიყო. “სულ გათახსირებულან, ნუთუ აქამდეც დავიდნენ?“ – გაიფიქრა და რობერტ მერლის რომანი გაახსენდა “სიკვდილი ჩემი ხელობაა“. “გაზის კამერებშიც არ ექცეოდნენ ფაშისტები ასე ებრაელებს. ამ ყოფას არ სჯობს მტრის ტყვეობაში სიკვდილი?“ – მერე მოიშორა ეს უამური ფიქრი: – ისე როგორ მომსპეს, რომ ტყვეობა ვინატრე? არა, ომს როცა იწყებ, ყველაფრისთვის მზად უნდა იყო!...

რა იყო მისი ომი? ბავშვობიდან ცდილობდა სიკეთე ეთესა ყველგან და როცა ე.წ. „ვარდების რევოლუციამ“ ძალიან მალე ისე შეცვალა ხალხი, რომ მეზობელი მეზობელს არ ინდობდა, ვინც ჩივილს მოასწრებდა და რევოლუციონერებთან კარგად იყო, მართალიც ის იყო! ხელისუფლებას არ მისცა იმის საშუ-

ალება, უკვე გასაყიდად გახაზირებული ზესტაფონის სიამაყე, ღვინის უძველესი საცავი – ენოთეკა 105 ათას ლარად გაეყიდა და საქვეყნოდ გამოაცხადა: ასი მაგდენი თანხის უნიკალური და უძველესი ღვინოები ინახება აქო და თქვენ ვინ გკითხავთ, სტაროსელსკის გუბერნატორობის დროს აშენებული, ამ კულტურული ძეგლის გასხვისებასო.

ბევრი ზესტაფონელი მაშინვე გვერდში დაუდგა გიორგის და გოგლიჩიძეების სახლი ნაცხელისუფლებასთან წინააღმდეგობის გაწევის შტაბად გადაიქცა, სადაც დღენიადაგ მიმსვლელ – წამსვლელის გამო არც ჭიშკარი იკეტებოდა და არც სახლის კარი. ფრთხილმა და ყველა ხელისუფლების ტაშისდამკვრელებმა გიორგის ვერ გაუბედეს და მის მშობლებს კი ბევრჯერ უთხრეს: – გააჩერეთ ეგ ბიჭი, ხიფათს გადაეყრებაო.

როცა მამას ყელში ამოუვიდა ამ ნაცარქექიების შეგონებანი, ცივად მიახალა:აბა რა ქნას? უყუროს როდის დაგვექცევა ქვეყანა თავზე?

ფრთხილი მეზობლები იქეთ იყოს და გიორგიმ ხელისუფლების დაუცხრომელი ყურადღება ეგრევე იგრძნო:უსმენდნენ მის ტელეფონს, ლანდივით დაჰყვებოდა ერთი ან ორი მსტოვარი მანქანა... მერე კი დადგა 2011 წლის ოქტომბერი და ბიძინა ივანიშვილმა გადაწყვიტა პოლიტიკაში შემოსვლა. მის პირველ განცხადებას არამხოლოდ საყოველთაო ინტერესი და გამოხმაურება, არამედ უიმედობაში ჩავარდნილი ადამიანების აშკარა და ფარული მხარდაჭერა მოჰყვა. პირველმა მიტინგმა თბილისში მთელი საქართველო გამოიყვანა გარეთ და ნაცხელისუფლება აგონიაში ჩააგდო. რა ხრიკებს და ტერორამდე დაყვანილ ფლიდურ ხერხს არ მიმართეს ნაცხელისუფლებმა, მაგრამ სიმართლის ნერგი იხარებს, დარგო გინდ სიპსა ქვაზედა. ხალხმა იგრძნო, თუ ახლა ვერ დაამარცხებდა ამ ურჩხულს, რომელიც ყველაზე საშინელ მტარვალად მოვლენილიყო საქართველოს ისტორიაში, მალე სწორედ რომ ავგიას თავლაში მოუწევდა ძაღლუმადური არსებობა. გიორგის მეგობრებმა შემოუძახეს: – გვეშველა!მოდის ბიძინა ზვავივით, შევეხიდოთ

ჩვენც და ერთად წავლეკოთ მიშა და მისი სატრაპები.

– ეჭვიც არ მეპარება!ბდღვირს ავადენთ! – იქით გაამხნევა გიორგიმ.

ამ დღიდან დაიწყო გიორგი გოგლიჩიძის აშკარა დევნა – შევიწროება, რომელიც არც აქამდე აკლდა და სამი წლის წინათ, ემიგრაციაშიც კი იყო წასული. ახლა უფრო სწრაფად და სასტიკად იმოქმედეს: დაიბარეს კუდში, მერე პროკურატურაში, თითქოსდა „ვისოლში“ გამოვლენილი დარღვევების გამო. ამაზე ბევრი იცინა. ერთი საათიც არ უმუშავია იქ. მისი გვარის და სახელის კაცი მუშაობდა. დაბარებით დაიბარეს, თუმცა უწყება არ გამოუგზავნიათ. რამდენიმე დღეში კი სომხეთში საქმეზე წასული, იქაურებმა დააკავეს, თავზე პარკი ჩამოაცვეს და სადახლოზე ქართველ სამართალდამცავებს ჩააბარეს. ამის მერე გარესამყაროსთან კონტაქტი მხოლოდ ადვოკატის – ნათიას საშუალებით ჰქონდა. მშობლებს ემიგრაციაში ეგონათ, თუმცა უკვირდათ, რომ მათმა ყურადღებიანმა შვილმა ერთხელ მაინც რომ არ დაურეკათ. ნათია კორკოტაძე ძუ ვეფხვივით იბრძოდა!ყველა ფეხზე დააყენა, ვისაც სიტყვა ეთქმოდა და ნაცების დიქტატურის არ ეშინოდა...

წამება კი გლდანის მერვე საპყრობილეში მიყვანისთანავე დაუწყეს, თუმცა გლდანი სამოთხე იყო იმასთან შედარებით, რაც გიორგის ციხის საავადმყოფოში დამართეს. ისეთი პრეპარატები მიაღებინეს, სიარული დღემდე არ შეუძლია. უმძიმეს მდგომარეობაში ანზორ მელიას კლინიკაში გადმოიყვანეს... ოჯახის ზოგიერთ წევრს დართეს ნება, ენახათ. მხოლოდ დედას ვერ გაუმხილეს – მზევინარ გოცაძეს გულის სისუსტე სჭირდა და მომაკვდავი შვილის ნახვას ვერ გაუძლებდა.

პალატაში მისი თანამებრძოლი შემოუშვეს ხუთიოდე წუთით:“გორის აქციიდან მოვდივარ, – უჩურჩულა მან, – ბიძინასთან შესახვედრად მილეთის ხალხმა მოიყარა თავი. იცი რა თქვა? საქართველოს გული ახლა ნაიარევიაო... ამ ჭრილობას სულის შებერვით ვერ მოაშუშებო... თუ გვინდა ამ ჭრილობამ პირი შეიკრას, დღეს უნდა შევკრათ პირი აქ... ჩვენი ხალხის ას-

ეთი უღირსობა უნდა დამთავრდესო... ცოტაც გავუძლოთ ყველამ ერთად, ჩვენ ვერ გვაჯობებენ!რასაც სააკაშვილი ჩვენს წინააღმდეგ ახორციელებს ყაჩაღობაა...“ – ეს ბოლო სიტყვები ხმამაღლა თქვა და პალატა დაატოვებინეს.

გიორგი აღელდა: “ცოტაც უნდა გავუძლოთ ყველამ ერთად. ჩვენ ვერ გვაჯობებენ!უნდა გავძლო, უნდა გავძლო. მართალია!ჩვენ ვერ გვაჯობებენ, ვერ დაგვამარცხებენ!ბიძინა გაიმარჯვებს!ბიძინა გაგვათავისუფლებს!მიშა და მისი ბანდა განწირულია!ასეთ დროს ჩემი სიკვდილი ღალატი იქნება. იმის ღალატი, რისთვისაც ვიბრძვი. ღმერთო შენით!“

ბიძინამ ზვავივით გადაუარა მტარვალებს... გიორგი გოგლიჩიძე პოლიტიკური პატიმრის სტატუსით გაათავისუფლეს. ახლობლები რომ დაინახა, მაშინ გაიაზრა ბოლომდე, რას გადაურჩა ისიც და ათასობით მასავით თავგანწირული ქართველი. ჩვენ ყველა, სააკაშვილის მმართველობის ბოლო წლებში სასიკვდილო საფრთხის წინ ვიდექით, ისინიც კი ვინც სააკაშვილის გუნდის წევრები იყვნენ. პირველი რაც ახლობლებთან გამოხატა, მადლიერება იყო: – რომ არა ბიძინა ივანიშვილის ეს ისტორიული გამარჯვება, უამრავი ადამიანი თავისუფლებას ვერ ეღირსებოდა და იმ ჯოჯოხეთში ამოგვძრებოდა სული.

ახლა გიორგი გოგლიჩიძესაც და ბევრს, ვისაც ნაცებისდროინდელი საქართველო გვახსოვს, გვიკვირს იმ ჩვენი ზოგიერთი თანამემამულის, რომელთაც პოლიტიკური სკლეროზი დაემართათ და აღარ ახსოვთ რას გადაურჩნენ 2012 წლის 1-ლი ოქტომბრის გამარჯვებით. 300 ათასი ჩვენი მოქალაქე ეჭვმიტანილთა სიაში იყო და ციხეში მხოლოდ იმიტომ არ იჯდა, რომ ადგილები არ იყო საკმარისი!

გიორგი გოგლიჩიძეს ხშირად ფილმი „შინდლერის სია“ ახსენდება და ამბობს: – ივანიშვილის გადარჩენილებმა სწორედ რომ სია უნდა შევადგინოთ, სანაცეთს გადარჩენილთა სია. ოსკარ შინდლერმა 1200 ადამიანი გადაარჩინა, ბიძინა ივანიშვილმა განუზომლად უფრო მეტი!ეს უნდა გვახსოვდეს მუდამ!

– თორაში წერია, – ამბობს გიორგი, – ვინც გადაარჩინა ერ-

თი სიცოცხლე, მან გადაარჩინა სამყარო. რომ არა ბიძინა ივანიშვილი, საქართველო ახლა რუსეთის გუბერნია იქნებოდა და სააკაშვილი გუბერნატორი. თავი გასაწირად გადადო ამ კაცმა და სასიკვდილო დარტყმის წინაშე დააყენა საკუთარი ოჯახი, მაგრამ უდიდესი სიკეთით და ქვეყნისადმი განსაკუთრებული ერთგულებით უფლის სიყვარული და თანადგომა დაიმსახურა. ბიძინას გარდა, ალბათ არც სწამდა და სჯეროდა ვინმეს საბოლოო გამარჯვების და პირდაპირ ვიტყვი, ერთმა შეძლო ყველაფრის და ყველას მობილიზება და სისხლისმსმელი სააკაშვილი საერთაშორისო მაწანწალად აქცია. ღმერთს ვყვარებივარ, რომ განსაცდელის ჟამს და ლამის სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში ბიძინა ივანიშვილი მომივლინა მხსნელად.

მართლაც ჰყვარებიხარ უფალს ჩემო გიორგი!და არამხოლოდ სასწაულებრივი ხსნის გამო!ისეთი ერთგული და კეთილშობილი მეუღლე მოგმადლა ღმერთმა, რომელმაც ერთადერთმა ზიდა შენთან ერთად მეუღლის პატიმრობის ტვირთი. ამ სიფრიფანა და სათნო ქალბატონმა, საერთოდ არ გააგებინა არც შვილებს, არც გოგლიჩიძეებს ქმრის პატიმრობის შესახებ და როცა ქალბატონი ლელა ჰყვება ამ მძიმე წლებზე, ცრემლების გარეშე ვერ მოუსმენ. ერთადერთი მესაიდუმლე გიორგის უფლებების დამცველი ქალბატონი ნათია კორკოტაძე ჰყავდა, რომელმაც საარაკო ძალისხმევა გამოიჩინა გოგლიჩიძის სიცოცხლის გადარჩენაში და მაინც, რომ არა 2012 წლის ოქტომბრის ის დიდი გამარჯვება, გიორგის და ათასობით მის ბედში მყოფთ ვერავინ გამოგლეჯდა სააკაშვილის ჯალათებს.

ციხიდან ახალგამოსული გიორგი გოგლიჩიძე 63 კილოგრამიღა იყო დარჩენილი. დედის გულმა ვერ გაუძლო ნაწამები შვილის ნახვას. სამი წელი უყურებდა დედა ნატანჯ შვილს და ლამის ყოველდღე კვდებოდა... მზევინარ გოცაძე ინსულტით გარდაიცვალა. ნაცბელადების სისასტიკეს და თავნებობას კიდევ ერთი დედა შეეწირა, საუკეთესო ქართველების გამზრდელი, უებრო დიასახლისი და საყვარელი ბებია.

დარდისგან გამწარებულ გიორგის მამამ უთხრა: – გამაგ-

რდი შვილო!შენ თავს ვფიცავ და დედაშენის საფლავს, ვიდრე საკუთარ ფეხზე მყარად არ გაივლი, არ მიგატოვებ.

როცა ადგილობრივი არჩევნების შედეგები გამოაცხადეს, მიუხედავად იმისა, რომ გიორგი გოგლიჩიძის გამარჯვებაში ყველაზე დიდ სკეპტიკოსსაც არ ეპარებოდა ეჭვი, გამარჯვება შტაბმა დიდი სიხარულით აღნიშნა. ერთმა, თითქოს ჰოლივუდური სინჯებიდან მოსულმა მოხდენილმა ყმაწვილმა, ოცნებელების შტაბში ისეთი ტაში დასცხო და ისეთი სიამაყით გადახედა სავარძელში მჯდარ გამარჯვებულ ახალ მერს, როგორც შვილები უყურებენ საამაყო მამებს. ის კი, მუდამ მშვიდი, კეთილად მომღიმარი და ათას ჭირგამოვლილი გიორგი გოგლიჩიძე ღიმილით ამბობდა: – ჩემო ზესტაფონელებო, ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ როცა მერობიდან წავალ, თან მხოლოდ თქვენი სიყვარული წავიღო!

ეპილოგი

ამ წიგნის დიდი მონაკვეთი პანდემიის პერიოდშია დაწერილი. ვერაგმა კოვიდ 19-მა უამრავი ადამიანი შეიწირა მსოფლიოში. ვერც საქართველო გადაურჩა ამ მუხანათს. ექიმთა თავდაუზოგავი და ილაჯის გამწყვეტი შრომის მიუხედავად ჩემი უახლოესი მეგობრებიც შეეწირნენ... და მაინც... არ შეშინდეთ ქრისტიანებო! შიშში ცხოვრება რწმენის დავიწყებას ნიშნავს! ამიტომ არ მივცეთ კოვიდს საშუალება, ჩადგეს უფალსა და ჩვენს შორის: „ვინაიდან ღმერთმა ჩვენ მოგვცა არა სიმხდალის სული, არამედ ძალის, სიყვარულისა და თავშეკავებისა“ (2ტიმ. 1:7).

„ყველაფერი გააკეთეთ უდრტვინველად და უყოყმანოდ.

რათა იყოთ უბიწონი და სუფთანი, ღვთის უმანკო შვილები მზაკვარ და უკუღმართ თაობაში, რომელშიც ანათებთ, როგორც მნათობნი სამყაროში“ (ფილიპ. 2:14-15).

„ნუ შეკრთება თქვენი გული. იწამეთ ღმერთი და მიწამეთ მე.

მშვიდობას გიტოვებთ თქვენ, ჩემს მშვიდობას გაძლევთ თქვენ. წუთისოფელი რომ იძლევა ისე კი არ გაძლევთ. ნუ შეკრთება თქვენი გული და ნურც შეშინდება“ (იოანე14:1;27).

ეს იმიტომ გითხარით, რომ მშვიდობა გქონდეთ ჩემში. წუთისოფელში ჭირი გექნებათ, მაგრამ გამაგრდით. მე ვძლიე წუთისოფელს“ (იოანე16:33).

„ამიტომ არ ვცხრებით, მაგრამ თუ გარეგანი კაცი იხრწნება, ჩვენი შინაგანი მაინც ახლდება დღითი დღე.

ვინაიდან ჩვენი მსუბუქი და ხანმოკლე ტანჯვა დიდ და მომეტებულ საუკუნო დიდებას ქმნის ჩვენთვის,

როცა ვუყურებთ არა ხილულს, არამედ უხილავს, ვინაიდან ხილული დროებითია. ხოლო უხილავი – საუკუნო“ (2კორ. 4:16-18).

„გვსურს იცოდეთ ძმებო, სიმართლე განსვენებულთა შესახებ, რათა არ ინაღვლოთ სხვებივით, რომელთაც იმედი არ გააჩნიათ“ (1 თეს. 4:13).

„ვინ ჩამოგვაშორებს ქრისტეს სიყვარულს:ჭირი თუ შევიწროება, დევნა თუ შიმშილი, სიშიშვლე თუ საფრთხე, ანდა მახვილი?“ (რომ. 8:35).

„ყოველივე სიხარულად ჩათვალეთ, ჩემო ძმებო, როდესაც სხვადასხვა განსაცდელში ცვივდებით. რაკი იცით, რომ თქვენი რწმენის გამოცდა მოთმინებას შობს“ (იაკობ. 1:2-3).

„ძმებო, მსურს იცოდეთ, რომ ჩემზე დათეული ამბები ემსახურნენ სახარების დიდ წარმატებას.

ისე რომ, ჩემი ბორკილები ქრისტეში ცნობილი გახდა მთელი პრეტორიისათვის და ყველა დანარჩენისათვის“ (ფილიპ. 1:12-13).

ხედავთ? თავად პავლე იყო კარანტინში... და ამას იგი განიხილავდა არა როგორც სახარების გავრცელებისათვის ხელისშემშლელ გარემოებას, არამედ უფლის მადლის გამოვლინებას და ღვთის წყალობას.

ამიტომ მტკიცედ დექ! ბედნიერი ვიქნები თუ ეს ამონარიდები ბიბლიიდან, ვინმეს დაეხმარება პანიკის დაძლევაში პანდემიის პირობებში.

ემსახურეთ უფალს და დაუჯერეთ ექიმებს.

ქრისტეშია სიყვარული, გამარჯვება და უკვდავება!

ჭეშმარიტად! როცა 2021 წლის 6 აპრილს, კოვიდისგან გათანგული ჩემმა უახლოესმა მეგობარმა, ზაურ სირაძემ მიმიყვანა თბილისის ინფექციურ საავადმყოფოში, ვიმეორებდი: ემსახურეთ უფალს და დაუჯერეთ ექიმებს.

ამან გადამარჩინა!

საოცარი, შესანიშნავი საქართველო ვიხილე საავადმყოფოს კედლებს შორის და ვინატრე, უფალო, ასეთი ხალხი მიმრავლე მამულში! ასეთი წყალობა და შენი მადლის გამოვლინება! ყველა _ ექიმი, ექთანი, სანიტარი, ბიბლიური ტაბითები არიან, თავდადებულნი. ასეთი სიყვარული და თავგანწირვა პაციენტისადმი მხოლოდ უფალმა შეიძლება შთაუნერგოს მის მორწმუნეს! სადაც წამალი არ ჭრის, ტკბილი სიტყვა და სიყვარული არჩენს. 40 გრადუსიანი სიცხით მილეული ბიჭი ნახევარ საათში მოაბრუნეს და ეს ისე მოიმოქმედეს, თითქოს ვოდევილს თამაშობდნენ: ლაღად, ავადმყოფთან მხიარული გასაუბრებით, მოფერებით. ახლა, როცა ამას ვწერ, სიხარულის ცრემლი მომდის. ჩვენ, ქართველებს, ქალები გვყავს _ კაცობრიობის თვალისჩინი. სკაფანდრებში ყველა თითქოს ეთრნაირია. ისინი თეთრი ანგელოსები არიან, უფლის ანგელოსები, ბოროტს და სნებას რომ ამარცხებენ: ნინო, ლელა, ციური, თამრიკო... ჩვენი სიცოცხლის მცველნი და მათ შორის გამორჩეული – ექიმი მაია ჟამუტაშვილი – ჩვენი ცის თვალი. ასე ეძახის ყველა! იცით რას ჰგავს მაიას თითოეული შემოვლა? თბილი ქვეყნებიდან დაბრუნებული მერცხალი რომ გაზაფხულზე ბუდეს დაუბრუნდება და სიხარულით რომ ჭიკჭიკებს! ა, ასე ჭიკჭიკებს მაია დღეში ორჯერ (ჩამოვლისას) და ყველა ავადმყოფი ცისთვალს ელოდება.

კოვიდმა ამ დიდებული თეთრი ანგელოსების გარდა, კოვიდ ძმებიც (ასე ვუწოდე!) შემძინა. ჩემი ლადო ნანაძე, საოცარი იუმორის და დახვეწილი მანერების მქონე გურული, რომელიც მეუღლესთან, ქალბატონ მაია ჩხაიძესთან ერთად მოხვდა კლინიკაში, როგორც მე და ჩემი ფიქრია.

ლადოს და მაიას ცოლ-ქმრობაზე და ურთიერთსიყვარულ-

ზე მთელი საპაციენტო აღტაცებული საუბრობს, ხშირად, შუა საუბრის დროს, ლადო უცებ გაქრებოდა, მაიას მიაკითხავდა და ცოტა დამორცხვებული დაგვიბრუნდებოდა.

ჩემი პატარა ძმებიც უნდა ვახსენო: გიორგი კივილაძე – ფათერაკიანი რაჭველი, რომელსაც საქართველოში ყველა „კისერმოსატეხი“ ადგილი (ასე ამბობს) აქვს შემოვლილი და ინტელექტის ბუდე დათო ყალიჩავა, რომელიც ნებისმიერ თემაზე ისეთ დისკუსიას გაგიშლის, ყველა შოუ გაგიუგემურდება.

აი, ასე ვებრძოდი კოვიდს, რომელიც ჩემი ასაკის ადამიანისთვის ცოცხალი ჯოჯოხეთია და მსგავსი ფიზიკური ტკივილებისგან დაიხსენ უფალო ადამის შვილი!

და დღეს, როცა უკან დამრჩა კორონა, ვიმეორებ: ემსახურეთ უფალს და დაუჯერეთ ექიმებს!

ქრისტეშია სიყვარული, გამარჯვება და უკვდავება!

Contents

გეპატიჟებით ---------- 3
ზეციდან შობილნი ---------- 5
ბიძინა ივანიშვილი ---------- 9
ჯუმბერ პატიაშვილი ---------- 46
ათეისტებისა და ურწმუნოების წასაკითხი ---------- 60
რომან რურუა ---------- 62
ნონა გაფრინდაშვილი ---------- 76
ჩვენი დედა ღვთისმშობელი ---------- 82
სამი წერტილი ---------- 88
გიორგი ნადარეიშვილი ---------- 92
ბზობის ზღაპარი ---------- 101
ზურაბ წერეთელი ---------- 106
მიხეილ ანდღულაძე ---------- 117
როლანდ კილაძე ---------- 127
რევაზ მიშველაძე ---------- 133
ბოლოთქმა ---------- 144
საშობაო ზღაპარი ---------- 149
ანგელოზები ---------- 153
წავიღებ თქვენს სიყვარულს! ---------- 157
ეპილოგი ---------- 164